

ქუთაისის საეპისკოპოსოს ისტორია

პაპუნა ბაბისონია

თბილისი 2016

ქუთაისის საეპისკოპოსო საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეპარქიაა, თავისი მდიდარი წარსულით. ქუთაისის საეპისკოპოსოს თავისი სამწყსოს ტერიტორიითა და მნიშვნელობით საუკუნეთა განმავლობაში გამორჩეული ადგილი ეკავა საქართველოს ეკლესიის ეპარქიებს შორის. ქუთათელ ეპისკოპოსსა და მის ეპარქიას განსაკუთრებულად გამორჩეული ადგილი ეკავა გვიანი შუა საუკუნეების დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.

წინამდებარე ნაშრომი ამ ეპარქიის ისტორიის მონოგრაფიული შესწავლის პირველი ცდაა. ვფიქრობთ, აღნიშნული გამოცემა თავის წვლილს შეიტანს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის საეპისკოპოსოების ისტორიის კვლევა-ძიების საქმეში.

რედატორი:

ისტორიის დოქტორი, პროფესორი **დავით მერკვილაძე**

რეცენზენტები:

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ბეჟან ხორავა

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ეპიფანე გვენეტაძე

შინაარსი

წინასიტყვაობა

საისტორიო წყაროების და ლიტერატურის ზოგადი მიმოხილვა

თავი I. ქუთაისის საეპისკოპოსოს დაარსება

1. ქუთაისის საეპისკოპოსოს დაარსების საკითხისათვის

2. ქუთაისის ღვთისმშობლის კათედრალური ეკლესია (ბაგრატის ტაძარი)

თავი II. ქუთაისის საეპისკოპოსოს საზღვრები

თავი III. ქუთათელ მთავარეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი

თავი IV. ქუთათელ მთავარეპისკოპოს-მიტროპოლიტების პოლიტიკურ-დიპლომატიური მოღვაწეობა

თავი V. ქუთაისის საეპისკოპოსოს სამეურნეო-ეკონომიკური მდგომარეობა

დასკვნა

წყაროები

წინასიტყვაობა

საქართველოს საეკლესიო ცენტრებს შორის ქუთაისის საეპისკოპოსო ერთ-ერთი უძველესი და მდიდარი წარსულის მქონე ეპარქიაა. საუკუნეთა მანძილზე ქუთაისის საეპისკოპოსოს თავისი სამწყსოს ტერიტორიითა და მნიშვნელობით გამორჩეული ადგილი ეკავა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ეპარქიებს შორის. ძალზე დიდი იყო ქუთაისის საეპისკოპოსოს როლი გვიანი შუა საუკუნეების დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. ამის მიუხედავად, საკუთრივ ქუთაისის საეპისკოპოსოს ისტორია ბოლო დრომდე არ ყოფილა მონოგრაფიულად შესწავლილი.

წინამდებარე გამოკვლევა წარმოადგენს 2005 წელს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაცულ ჩვენს სადისერტაციო ნაშრომს მცირედენი ცვლილებებით. იგი ამ ეპარქიის მონოგრაფიული შესწავლის ერთ-ერთი პირველი ცდაა. ვფიქრობთ, ეს ნაშრომი კიდევ უფრო შეუწყობს ხელს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილის – საეპისკოპოსოების ისტორიის კვლევას, კონკრეტულად კი – ქუთაისის საეპისკოპოსოს ისტორიის შესწავლას.

ნაშრომის პირველი თავი ქუთაისის საეპისკოპოსოს დაარსებას ეხება. ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ საკითხების ირგვლივ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. მკვლევარ-ისტორიკოსთა ერთი ნაწილის მოსაზრებით, ქუთაისში საეპისკოპოსო კათედრის

დაარსება XI საუკუნის დასაწყისში მოხდა და ის ბაგრატ III-ის (978-1014 წწ.) სახელს უკავშირდება. მეორე ნაწილი ამ ეპარქიის დაარსებას უფრო ადრეულ ხანაში ვარაუდობს. საკვლევი საკითხის ირგვლივ არსებული საისტორიო წყაროებისა და ისტორიოგრაფიული მასალის მონაცემთა გათვალისწინებით, შევეცადეთ დაგვემტკიცებინა, რომ ქუთაისში საეპისკოპოსო უნდა დაარსებულიყო IX-X საუკუნეთა მიჯნაზე, ეგრის-აფხაზეთში კონსტანტინე III-ის (893-922 წწ.) მეფობის დროს, დაახლოებით ერთი საუკუნით ადრე, ვიდრე ბაგრატ III ქუთაისში ძველი ეკლესიის ადგილას ახალ, ღვთისმშობლის საეპისკოპოსო ტაძარს საზეიმოდ აკურთხებდა.

მომდევნო თავი ქუთაისის ეპარქიის საზღვრების ცვალებადობას ეხება საეპისკოპოსოს დაარსებიდან მისი არსებობის მთელ მანძილზე. ქუთაისის საეპისკოპოსოს სამწყსოში მის დაარსებისთანავე მოექცა დასავლეთ საქართველოს უდიდესი ნაწილი: იმერეთი, გურია და ქვემო აჭარა. საქართველოს ეკლესიის ეპარქიათა შორის ქუთაისის საეპისკოპოსო ტერიტორიულად ერთ-ერთი უდიდესი იყო. XV-XVI საუკუნეებში ქუთაისის ეპარქიის სამწყსო მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც ახალი საეპისკოპოსო ცენტრების დაარსებით იყო გამოწვეული. მიუხედავად ამისა, XIX საუკუნის დასაწყისამდე ის უმნიშვნელოვანეს საეკლესიო ცენტრად და ტერიტორიულად ვრცელ საეპისკოპოსოდ დარჩა. ამ თავში დაწვრილებით გვაქვს ნაჩვენები საუკუნეთა განმავლობაში ქუთაისის საეპისკოპოსოს საზღვრები და მათი ცვალებადობა.

ნაშრომის მესამე ნაწილი ქუთათელ მთავარეპისკოპოსთა ქრონოლოგიურ რიგს ეხება. ჩვენამდე მოღწეული საისტორიო წყაროთა ცნობების მიხედვით, 27 ქუთათელ მღვდელმთავარის ვინაობის დადგენა მოხერხდა, რომელთაც გამორჩეული პატივი მიეცებოდათ ჯერ გაერთიანებული საქართველოს სამეფოსა და შემდეგ იმერეთის სამეფო კარზე. მათ საეკლესიო იერარქიაში უმაღლესი საფეხური ეკავათ. ამავე დროს ქუთათელი მთავარეპისკოპოსების საპატიო მოვალეობას მომავალი მონარქისათვის მეფედ კურთხევის დროს სამეფო გვირგვინის დადგმა შეადგენდა და მათ კათედრალში სამეფო სკიპტრა ინახებოდა. ქუთათელი მღვდელმთავრების საპატიო მოვალეობები ნაშრომის ამ თავში დაწვრილებით გვაქვს განხილული.

მეოთხე თავი რამდენიმე ქუთათელ მთავარეპისკოპოს-მიტროპოლიტის პოლიტიკურ და დიპლომატიური საქმიანობას შეეხება. საეკლესიო ცხოვრების გარდა, ისინი ქვეყნის საშინაო-პოლიტიკურ ცხოვრებაშიც მონაწილეობდნენ. XVIII საუკუნიდან კი ქუთათელი მიტროპოლიტები იმერეთის სამეფოს ინტერესების დასაცავად დიპლომატიურ ასპარეზზეც გამოჩნდნენ. ყველა ქუთათელი მღვდელმთავრის პოლიტიკური თუ დიპლომატიური მოღვაწეობის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. ალბათ ბევრი მათგანი ამგვარი საქმიანობით არც იქნებოდა დაკავებული. მხოლოდ ცალკეული მთავარეპისკოპოსები, რომლებიც თავიანთი დამსახურებით და გავლენით გამოირჩეოდნენ, მონაწილეობდნენ აქტიურად ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ნაშრომის ბოლოს ქუთაისის საეპისკოპოსოს სამეურნეო-ეკონომიკურ ცხოვრებას შევეხეთ, რადგან მნიშვნელოვან საეკლესიო ცენტრთან ერთად, დასავლეთ საქართველოში ეს ეპარქია საუკუნეთა განმავლობაში მსხვილ სამეურნეო-ეკონომიკურ ორგანიზაციას წარმოადგენდა. ამ მხრივ მასალები ფაქტობრივად XVI საუკუნიდან მოგვეპოვება. ჩვენ შევისწავლეთ XVI საუკუნიდან XIX საუკუნის 10-იან წლებამდე არსებული დოკუმენტები, რომლებშიც ასახული იყო ქუთაისის ეპარქიაში შემავალ სოფლებში საეპისკოპოსოს კუთვნილი გლეხების ბეგარა-ვაღდებულებანი და იქიდან მიღებული შემოსავალი.

საისტორიო წყაროებისა და ლიტერატურის ზოგადი მიმოხილვა

ქართული და უცხოენოვანი საისტორიო წყაროების მონაცემების მიხედვით შევეცადეთ, მეტ-ნაკლებად სრულად გადმოგვეცა ქუთაისის საეპისკოპოსოს ისტორია ამ ეპარქიის დაარსებიდან გაუქმებამდე, ანუ მთელი მისი არსებობის განმავლობაში. შესაბამის წყაროებზე დაყრდნობით, გავმართეთ მთავარეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი, თითოეული მათგანის ზეობის შეძლებისდაგვარად დათარიღებითურთ. ასევე შევეხეთ ქუთაისის საეპისკოპოსოს საზღვრების საუკუნეთა მანძილზე მიმდინარე ცვალებადობას და ამ საეპისკოპოსოს სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრებას.

ქუთაისის საეპისკოპოსოს შესახებ უმნიშვნელოვანეს ცნობები, უპირველეს ყოვლისა, „ქართლის ცხოვრებაში“ შესული თხზულებები გვაწვდის. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ჯუანშერ ჯუანშერიანის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, „მატიანე ქართლისაჲ“, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“, ჟამთააღმწერლის „ასწლოვანი მატიანე“ და ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“.

ქუთაისის საეპისკოპოსოს ისტორიის შესწავლისთვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომს: „აღწერა სამეფოსა საქართველოდსა“. სწავლული ბატონიშვილის ამ თხზულებაში პირველად გვხვდება ცნობა ბაგრატ III-ის მიერ ქუთაისის საეპისკოპოსოს დაარსების შესახებ. „აღწერა სამეფოსა საქართველოდსაში“ მრავალი ძვირფასი ცნობა მოიპოვება ქუთათელ მღვდელმთავრებსა და მათი ეპარქიის თაობაზე.

ქუთაისის საეპისკოპოსოს ისტორიის ბოლო წლების შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული ფეოდალური ხანის უკანასკნელი ქართველი ისტორიკოსის, ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრებაში“. ქუთაისის უკანასკნელი მთავარეპისკოპოსის, დოსითეოსის შესახებ ცნობები მოეპოვება გიორგი ავალიშვილს თხზულებაში „მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე“.

XI-XV საუკუნეების ქუთათელი მთავარეპისკოპოსების ვინაობის დადგენა შესაძლებელია შემდეგი საისტორიო წყაროების მიხედვით: გიორგი მცირის „ცხოვრებაჲ გიორგი მთაწმინდელისაჲ“, ათონის ქართველთა მონასტრის და იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრის სააღაპე წიგნები (ე. მეტრეველის გამოცემები), აგრეთვე იერუსალიმში გადაწერილი ხელნაწერის, „ეპისტოლენი წმინდა მაკარისანი“-ს, კრიპტოგრამული მინაწერები (ლ. ათანელიშვილის გამოცემა). ქუთათელ მთავარეპისკოპოსების შესახებ საინტერესო ცნობებს შეიცავს XII საუკუნის ტბეთის სახარების მინაწერები. XVII საუკუნის ქუთათელ მთავარეპისკოპოსოზე ცნობას ვხდებით გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართული ხელნაწერი წიგნის მინაწერებში.

ქუთაისის მთავარეპისკოპოსისა და მისი უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ერთიანი საქართველოს სამეფოს ხანაში, შეგვიძლია ვიმსჯელოთ ქართული სამართლის ისეთი უმნიშვნელოვანესი ძეგლის მიხედვით, როგორცაა „ხელმწიფის კარის გარიგება“. ამავე საეპისკოპოსოზე მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული ქართული საეკლესიო სამართლის ძეგლებში: „მცნებაჲ სასჯულო“ და „კათალიკოზთა სამართალი“.

XI-XVI საუკუნეებში ქუთაისის საეპისკოპოსოს საზღვრების შესახებ მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული ქართულ საეკლესიო დოკუმენტში – „კათალიკოსის ხელქვეშეთნი მღვდელმთავარნი და სამწყსონი სამცხე-საათაბაგოში“.

ქუთაისის საეპისკოპოსოს და ეპისკოპოსების შესახებ საინტერესო მასალები მოიპოვება სხვადასხვა კინკლოსურ და ქრონიკალურ მინაწერებში, რომლებიც ძირითადად გამოქვეყნებულია. ამ გამოცემებს შორის, პირველ რიგში, აღსანიშნავია „მცირე ქრონიკები“ (ჯ. ოდიშელის გამოცემა), „ცხოვრება საქართველოდსა“ (გ. აღასანიას გამოცემა), „საქართველოს ისტორიის ქრონიკები“ (ა. იოსელიანის გამოცემა).

ქუთაისის საეპისკოპოსოს ისტორიის შესწავლისთვის საჭირო წყაროთა შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ფეოდალური ხანის ქართულ საერო და საეკლესიო დოკუმენტებს. ამათგან, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია „ქუთაისის საყდრის გამო-სავალი ბეგრის დავთარი“, რომლის მიხედვით შესაძლებელი გახდა XVI საუკუნის II ნახევრის ქუთაისის საეპისკოპოსოს ყმა-მამულისა და ეკონომიკური ცხოვრების საერთო სურათის აღდგენა. მრავალი საინტერესო ცნობაა დაცული დასავლეთ საქართველოს საეკლესიო და საერო ხასიათის სიგელებში, რომლებიც თ. ჟორდანიას, ექ. თაყაიშვილის, ს. კაკაბაძის, შ. ბურჯანაძის მიერ არის გამოქვეყნებული. ძალზე მნიშვნელოვანია ქუთაისის საეპისკოპოსოსა და ქუთათელი მთავარეპისკოპოსების შესახებ ფეოდალური ხანის ქართული სამართლის, როგორც საეკლესიო, ისე საერო ძეგლებში დაცული ცნობები, რომლებიც ი. დოლიძის მიერ გამოცემულ „ქართული სამართლის ძეგლებში“ არის მოცემული.

ქუთაისის საეპისკოპოსოს ისტორიისათვის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში და ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული ხელნაწერების აღწერილობანი.

ჩვენს ნაშრომში გამოყენებულია დიუბუა დე მონპერეს, მ. ბროსეს, გ. წერეთლის, ექ. თაყაიშვილის, გ. ჩუბინაშვილის, გ. ბოჭორიძის და ვ. სილოგავას მიერ გამოქვეყნებული ეპიგრაფიკული და ლაპიდარული წარწერები.

ქუთაისის საეპისკოპოსო კათედრალი ადრეფეოდალურ ხანაში დასავლეთ საქართველოში საეკლესიო რეფორმის გატარების შემდეგ შეიქმნა. ცნობები დასავლეთ საქართველოს საეკლესიო იერარქიის შესახებ ამ რეფორმის წინარე პერიოდში არსებული მდგომარეობის თაობაზე კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსადმი დაქვემდებარებულ მიტროპოლიტთა, ეპისკოპოსთა და არქიეპისკოპოსთა ნუსხებში, ნოტიციებში მოიპოვება.

ამ ნუსხების ტექსტი ქართული თარგმანით და კომენტარებით გამოაქვეყნა ს. ყაუხჩიშვილმა თავისი „გეორგიის“ IV ტომში. ჩვენ აგრეთვე ვისარგებლეთ ნოტიციების ბოლო გამოცემით, რომელიც ფრანგ მეცნიერ ჟან დარუზეს ეკუთვნის.

ქუთაისის საეპისკოპოსოს ისტორიის დასავლეთეგროპული წყაროებიდან, პირველ რიგში, აღსანიშნავია ჟან შარდენის და ი. გიულდენშტედტის მოგზაურობათა ჩანაწერები. ქუთაისის საეპისკოპოსოს ისტორიის შესახებ საინტერესო ცნობები გვხვდება მაკარი ანტიოქელის თხზულებაში (გამოყენებულია ამ თხზულების როგორც ქართული, ისე რუსული თარგმანი არაბულიდან). რუსულ საისტორიო წყაროებში ქუთაისის საეპისკოპოსოს შესახებ ცნობები XVII საუკუნის შუა წლებიდან, იმერეთში რუსი ელჩების ა. იველევისა და ნ. ტოლოჩანოვის მუხლობრივ ანგარიშებში გვხვდება. ამ საეპისკოპოსოს შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული XVII-XVIII საუკუნეების რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ მიმოწერაში. 1801-1820 წლების ქუთაისის საეპისკოპოსოს ისტორიის შესახებ პირველწყაროს წარმოადგენს კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ გამოცემული „აქტების“ IV-VI ტომებში გამოქვეყნებული დოკუმენტები.

როგორც აღვნიშნეთ, ქუთაისის საეპისკოპოსოს ისტორია მონოგრაფიულად დღემდე შესწავლილი არ ყოფილა.¹ ჩვეულებრივ, მკვლევარები ან საეპისკოპოსოს წარმოშობის საკითხს ეხებოდნენ, ან კიდევ ცალკეული ქუთათელი მთავარეპისკოპოსის ზეობის წლები დადგენას ცდილობდნენ. ამ მხრივ ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს პ. ცხვილოელის, იგივე პ. კარბელაშვილის 1892 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი „სია აფხაზეთის კათალიკოზთა, ქუთათელთა და გენათელთა“, რომელშიც მოცემულია ქუთაისის მთავარეპისკოპოსთა ქრონოლოგიური სია XI საუკუნიდან XIX საუკუნის 10-იანი წლების ჩათვლით. პ. ცხვილოელისთვის უცნობი იყო იმ დროისთვის ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი მთელი რიგი ქართული თუ უცხოენოვანი საისტორიო მასალა. შესაბამისად, მის მიერ შედგენილი XI-XVIII საუკუნეების ქუთათელ მთავარეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი არც სრულია და არც ზუსტი.

ქუთაისის საეპისკოპოსოს დაარსების საკითხს პირველად პ. ინგოროყვა შეეხო. ამავე საკითხზე ძალზე საინტერესო მოსაზრებები გამოთქვა ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა ნ. ბერძენიშვილმა. ქუთაისის საეპისკოპოსოს დაარსების თარიღი საგანგებოდ განიხილა მ. ლორთქიფანიძემ. ამავე საკითხს შეეხნენ ისტორიკოსები: თ. ბერაძე, ბ. დიასამიძე, ბ. კუდავა, ო. ლანჩავა, გ. მჭედლიძე, ქ. ჩხატარაიშვილი, ა. ჯაფარიძე.

XI-XII საუკუნეების ქუთაისის მთავარეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი მოცემული აქვს ვ. სილოგავას. ცალკეულ ქუთათელ მთავარეპისკოპოსთა ზეობის წლებს შეეხნენ ქართველი ისტორიკოსები: ზ. აბაშიძე, ღ. ათანელიშვილი, შ. ბურჯანაძე, გ. გაგოშიძე, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე, ბ. ლომინაძე, ე. მეტრეველი, მ. ნიკოლეიშვილი, თ. უორდანიას, ო. სოსელია, ა. ტუღუში, თ. ქორიძე, ივ. ჯავახიშვილი, თ. ჯოჯუა. ვინაიდან შუა საუკუნეებში ქუთაისის საეპისკოპოსოს არსებობა მჭიდროდ არის დაკავშირებული იმერეთის სამეფოსთან, ამ მხრივ საინტერესოა ე. გვენეტაძის ნაშრომში – „იმერეთის სამეფოს წარმოქმნის ისტორიიდან“.

ს. კაკაბაძემ საგანგებოდ გამოკვლევა მიუძღვნა XVI საუკუნის II ნახევრის ქუთაისის საეპისკოპოსოს მეურნეობას. მანვე საგანგებოდ შეისწავლა XIX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის საეპისკოპოსოს ეკონომიკური მდგომარეობა.

ცალკეულ ქუთათელ მთავარეპისკოპოსთა პოლიტიკური მოღვაწეობა და დიპლომატიური საქმიანობა განხილულია შ. ბურჯანაძის, ი. ლორთქიფანიძის, ვ. მაჭარაძის, ღ. მელიქსეთ-ბეგის, გ. პაიჭაძის, მ. რეხვიაშვილის ნაშრომებში.

¹ აღნიშნულ თემაზე ჩემი სადისერტაციო ნაშრომის დაცვიდან სამიოდე წლის შემდეგ, გ. მჭედლიძისა და მ. კეხევაძის ავტორობით 2008 წელს ქუთაისში გამოიცა ნაშრომი სათაურით: „ქუთაის-გაენათის ეპარქია (ისტორია და თანამედროვეობა)“. როგორც ჩანს, დასახელებული ავტორები არ გასცნობიან ჩემს სადისერტაციო ნაშრომს და არც ავტორეფერატს (ყოველ შემთხვევაში გამოყენებული ლიტერატურის სიაში იგი არ ფიქსირდება). ამის გამო ქუთაისის ეპარქიის ისტორიასთან დაკავშირებით ჩვენს მიერ დაზუსტებული არაერთი დეტალი აღნიშნულ ნაშრომში არ ასახულა.

თავი I. ქუთაისის საეპისკოპოსოს დაარსება

1. ქუთაისის საეპისკოპოსოს დაარსება

დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრებს შორის ქუთაისის საეპისკოპოსო ერთ-ერთი უძველესი და მდიდარი წარსულის მქონე ეპარქიაა. ამ საეპისკოპოსოს რამდენიმე საუკუნის განმავლობაში თავისი მნიშვნელობითა და სამწყსოს ტერიტორიით გამორჩეული ადგილი ეკავა საქართველოს სხვა საეკლესიო კათედრებს შორის. მიუხედავად დიდი მნიშვნელობისა, ქუთაისის საეპისკოპოსოს დაარსების შესახებ ავთენტური ცნობები არ მოგვეპოვება და ამ ეპარქიის წარმოქმნის საკითხი თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიაში ბოლომდე დადგენილი არ არის, რაც მკვლევარ-ისტორიკოსთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ყოველივე ეს ისევ საისტორიო წყაროთა სიმწირით აიხსნება.

ქუთაისის საეპისკოპოსოს დაარსების შესახებ ცნობას მხოლოდ XVIII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი გვაწვდის: „აქა აღაშენა ნ~ვ, მეფემან ბაგრატ ყოვლად წმიდისა ეკლესია შუენიერი, გუმბათიანი, სრულიად სოფიის კენჭითა შინაგან ქმნული და მარმარილოთა სპეტაკითა, წითლითა და ჭრელითა და სუეტებითა მისითავე, და ყოვლითა შემკობილებითა სრული, და ფრიად დიდი. დასუა ეპისკოპოზი, მწყემსი იმერეთისა და გურიისა, თუნერ რაჭა-ლეჩხუმისა. ზის აწცა და არღარა ეგდენითა სამწყსოთი“ (6,761).

ვახუშტისთან მოხსენიებული ერთიანი საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატ III-ის (978–1014 წწ.) მიერ ქუთაისში მარიამ ღვთისმშობლის მიძინების სახელობაზე კათედრალის აშენება 1003 წლისთვის დასრულდა, რასაც ამ ტაძრის სამშენებლო წარწერები გვამცნობს (წარწერები აღდგენილი ტექსტის სახით მოგვყავს):

„შეწენითა ღმრთისაფთა, ბაგრატისაგან ნებითა ღმრთისაფთა აფხაზთა და ქართველთა მეფისა და კურაპალატისა და დედისა მათისა გურანდუხტ დედოფლისა, აღაშენა წმიდაჲ ესე საყდარი...“ [202, 1. 40, 53] და მეორე წარწერა – „ოდეს განმტკიცნა იატაკი ქორონიკონი იყო 223“ [40, 52]. ქორონიკონი არაბული ციფრებით არის აღნიშნული და 1003 წელს შეესაბამება. ეს არაბული ციფრების ყველაზე ძველი დამოწმებაა საქართველოში.

ბაგრატ III-ის, როგორც ქუთაისის ტაძრის ამშენებლის შესახებ, მოგვითხრობს აგრეთვე XI საუკუნის ანონიმი, „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორი: „ამანვე აკურთხა ეკლესია ქუთათისა განგებითა დიდითა და მიუწდომელითა, რამეთუ შემოკრიბნა მახლობელნი ყოველნი კელმწიფენი და კათალიკოსნი, მღვდელთმოდუარნი და ყოველნი მონასტერთა წინამძღუარნი, და ყოველნი დიდებულნი ზემონი და ქუემონი, მამულისა და სამეფოსა მისისა მყოფნი, და სხუათა ყოველთა საკელმწიფოთანი“ [25, 281].

„მატიანე ქართლისაჲ“-ს ამ ცნობაში არაფერია ნათქვამი ქუთაისში ეპისკოპოსის დადგენის თაობაზე. აქ დაფიქსირებულია მხოლოდ ახალი საკათედრო ტაძრის კურთხევის ამბავი, რომელიც გრანდიოზული ზემით აღინიშნა. ვფიქრობთ, რომ ვახუშტის ზემოთ აღნიშნული ცნობის წყაროა „მატიანე ქართლისაჲ“ და მან ქუთაისში ტაძრის კურთხევას საეპისკოპოსოს დაარსებაც დაუკავშირა.

დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრში, ეგრის-აფხაზეთის სამეფოს დედაქალაქ ქუთაისში საეპისკოპოსო კათედრის დაარსების შესახებ

ებ საისტორიო წყაროებში, ამ ცნობის გარდა, სხვა ხელმოსაჭიდი მითითება არ მოგვეპოვება. უფრო ადრე, სანამ ქუთაისში საეპისკოპოსო კათედრა დაარსდებოდა, ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა მოხდა:

IX-X საუკუნეთა მიჯნაზე ეგრის-აფხაზეთის სამეფოში დიდი საეკლესიო რეფორმა ჩატარდა. დასავლეთ საქართველოს ეკლესია, რომელიც მანამდე ბიზანტიის ეკლესიის შემადგენელი ნაწილი იყო და კონსტანტინეპოლის პატრიარქს ემორჩილებოდა, ჩამოშორდა ბერძნულ ეკლესიას და ცალკე – აფხაზეთის ანუ ბიჭვინთის საკათალიკოსოდ ჩამოყალიბდა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ მოვლენის თარიღად შემდეგი ქრონოლოგიული მონაკვეთებია დასახელებული:

„ივ. ჯავახიშვილი – VIII-IX საუკუნეები [161, 122], პ. ინგოროყვა – IX საუკუნის I ნახევარი [97, 244-246], ნ. ბერძენიშვილი – IX საუკუნის II ნახევარი [77, 45], ს. ყაუხჩიშვილი – X საუკუნის დასაწყისი [8, 193-201], კ. კეკელიძე – X საუკუნის მეორე ნახევარი [110, 354-357], ზ. ანნაბაძე – IX საუკუნის 40-იანი წლების შემდგომი პერიოდი [187, 146], მ. ლორთქიფანიძე – IX საუკუნის I ნახევარი [126, 424-427], ვ. გოილაძე – X საუკუნის დამდეგი [88, 178], ა. ჯაფარიძე – 830 წელი [165, 75], ბ. დიასამიძე – 835-842 წლებს შორის პერიოდი [89, 220], გ. მჭედლიძე – XI საუკუნის 30-იანი წლები [136., 530], ბ. კუდავა – IX საუკუნის 80-90-იანი წლები (IX-X საუკუნეთა მიჯნა) [115, 33-48. 116, 574].

„ქართლის ცხოვრებაში“ შემავალი საისტორიო თხზულების, „მატიანე ქართლისაჲ“-ს ჩანართის ცნობის მიხედვით, დასავლეთ საქართველოს ანუ აფხაზეთის კათალიკოსის დადგენა ბაგრატ I კურაპალატს (826-872 წწ.) უკავშირდება, რომელიც ტაოკლარჯეთში „ქართველთა სამეფოს“ მფლობელი იყო: „ხოლო ამან ბაგრატ განაჩინა და განაწესა კათალიკოსი აფხაზეთს ქრისტეს აქეთ ყ ლ“ [25, 225], რომელიც 830 წელს შეესაბამება.

ვახუშტი ბაგრატიონი ამ ფაქტს, ე. ი. აფხაზეთში კათალიკოსის დადგენას, VIII საუკუნის მეორე ნახევარში ეგრის-აფხაზეთის მეფე ლეონ II-ის (758-798 წწ.) სახელს უკავშირებდა [6, 796].

„მატიანე ქართლისაჲ“-ს ჩანართის ცნობასთან დაკავშირებით, რომ ბაგრატ I-მა კურაპალატმა აფხაზეთის კათალიკოსი დაადგინა, ნ. ბერძენიშვილი ვარაუდობდა, რომ ეს ეგრის-აფხაზეთის მეფე ბაგრატ I-ს (881-893 წწ.) უნდა უკავშირდებოდეს. მისი აზრით, ამის ამსახველი ცნობა რომელიღაც ძველი წყაროდან „მატიანე ქართლისაჲ“-ს ჩანართის ავტორმა შეცდომით ბაგრატ I კურაპალატს მიაწერა [77, 45-46]. ამავე აზრს იზიარებს ბ. კუდავაც [115, 47-48]. ხოლო ა. ჯაფარიძის მოსაზრებით 830 წელს ბაგრატ I კურაპალატის მიერ დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ოფიციალურად აღიარება მოხდა [165, 75].

ამ ხანის დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წეს-წყობილების შესახებ ცნობები დაცულია ეკთესისებში: კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსადმი დაქვემდებარებულ მიტროპოლიტთა, ეპისკოპოსთა და არქიეპისკოპოსთა ნუსხებში. ეს ნუსხები ორ ჯგუფად იყოფა:

პირველი ჯგუფის ეკთესისები, რომლებიც შედგენილია ბიზანტიაში ლეონ VI-ის (886-911 წწ.) გაკეისრებამდე, წარმოდგენილია I, VI, VII, VIII და IX ნოტიციებში. ამ ეკთესისებში კონსტანტინოპოლის პატრიარქოსადმი დაქვემდებარებულ მიტროპოლიტთა, ეპისკოპოსთა და არქიეპისკოპოსთა სიებში მოხსენიებულია დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრები: ფაზისის (ფოთის) მიტროპოლიტი ღაზეთში და მისდამი დაქვემდებარებული ოთხი ეპისკოპოსი: როდოპოლისის (ვარდციხე), საისის (ცაიში), პეტრას (ციხისძირი), ზიგანევის (გუდაყვა); აფხაზეთში სებასტოპოლისის (სოხუმი) ავტოკეფალური არქიეპისკოპოსი, ხოლო ჯიქეთში ნიკოფსისის ავტოკეფალური არქიეპისკოპოსი.

ამ ჯგუფის ეკთესისებიდან ყველაზე გვიანდელია I ნოტიცია, რომელიც 820–829 წლებით თარიღდება [8, 180–184].

მეორე ჯგუფის ეკთესისები, რომლებიც შედგენილია ლეონ VI-ის დროს და შეესებოდა ლეონის შემდეგ, X-XIV საუკუნეებში, წარმოდგენილია II, III, IV, X, X^ა, X^ბ, X^გ, X^დ ნოტიციებში. ამ ეკთესისებში დასავლეთ საქართველოს საეპისკოპოსოები კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებაში მყოფ კათედრებს შორის მოხსენიებული არ არის. ეკთესისების ნომენკლატურაში ლაზიკის ეპარქიად ახალი მიტროპოლიაა წარმოდგენილი, რომელსაც ტრაპიზონის მიტროპოლიტი მეთაურობს. ამ ჯგუფის ეკთესისებიდან ყველაზე ადრეულია X^ბ ნოტიცია, რომელიც 901-907 წლებშია შედგენილი [8, 181, 196].

ფრანგმა მეცნიერმა ჟ. დარუზმა დაადგინა, რომ VI ნოტიცია, რომელიც მხოლოდ სამიტროპოლიტო სიებისგან შედგება, 879 წლის კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ადგილობრივი საეკლესიო კრების ნუსხებთან ამჟღავნებს სიახლოვეს და მისი შედგენა ამ კრების ახლო ხანებშია სავარაუდებელი (ჟ. დარუზის გამოკვლევას ვიყენებთ ბ. კუდავას სადისერტაციო ნაშრომზე დაყრდნობით). ამ ნოტიციაში ფაზისის მიტროპოლია ლაზიკაში ისევ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებაშია. აქედან გამომდინარე, სავარაუდებელია, რომ 879 წლის ახლო ხანებში დასავლეთ საქართველოს საეპისკოპოსოები ისევ კონსტანტინეპოლის პატრიარქს ექვემდებარებიან [115, 26. 117, 45].

X საუკუნის დასაწყისიდან, როგორც ეს X^ბ ნოტიციიდან ჩანს, დასავლეთ საქართველო ეკლესიურად ბიზანტიისაგან ჩამოშორებულია. იმავე საუკუნეში ეგრის-აფხაზეთის მეფეები ახალი საეკლესიო პოლიტიკის გატარებას იწყებენ. თანდათანობით გაუქმდა ბერძნული საეპისკოპოსო კათედრები და საეკლესიო ცენტრები ახლადდაფუძნებულ ქართულ საეპისკოპოსოებში გადადის. შესაბამისად, ძველი საეპისკოპოსო ერთეულების ტერიტორიაც და სამწყსოც ახალი საეპისკოპოსოების კუთვნილებაში გადავიდა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ქუთაისში საეპისკოპოსოს დაარსების საკითხს პირველები პ. ინგოროყვა და ნ. ბერძენიშვილი შეეხნენ.

პ. ინგოროყვას თვალსაზრისით, IX საუკუნეში ეგრის-აფხაზეთის მეფის, დემეტრე II-ის (825-861 წწ.) დროს, იმისთვის, რომ შეესუსტებინათ ბიზანტიური საეკლესიო გავლენა, დაიწყეს ძველი საეკლესიო ცენტრების, საეპისკოპოსო კათედრების მოშლა და მათ ნაცვლად ახალი, ქართული საეპისკოპოსოების დაარსება. გააუქმეს აფხაზეთის ანუსებასტოპოლისის (ცხუმი, სოხუმი) და ნიკოფსისის (ჯიქეთში) საარქიეპისკოპოსოები და მათ ნაცვლად ახალი საეკლესიო ცენტრი – ბიჭვინთის კათედრა დააარსეს, რომელიც აფხაზეთის კათალიკოსის რეზიდენცია გახდა. ასევე შეცვალეს ძველი ბერძნული საეკლესიო ცენტრები ლაზეთის სამიტროპოლიტოში, რომელსაც სათავეში ფაზისის მიტროპოლიტი ედგა. ამ მიტროპოლიტს როდოპოლისის, ცაიშის, პეტრას და ზიგანოსის ეპისკოპოსები ექვემდებარებოდნენ. როდოპოლისის კათედრა გადაიტანეს დასავლეთ საქართველოს დედაქალაქ ქუთაისში. ამავე დროს გაუქმდა პეტრას საეპისკოპოსო და კათედრა ქუთაისში გადავიდა. ძველი ცენტრების ეს შენაცვლება, რაც IX საუკუნეში დაიწყო, გაგრძელდა მომდევნო ხანაში. ეგრის-აფხაზეთის მეფის, გიორგი II-ის (922-957 წწ.) დროს გააუქმეს ფაზისის სამიტროპოლიტო კათედრა და იგი ახლადდაარსებულ ჭყონდიდის საეპისკოპოსოში გადაიტანეს [97, 246, 249]. ფაზისიდან ჭყონდიდში საეპისკოპოსო კათედრის გადატანასთან დაკავშირებით პ. ინგოროყვას ინფორმაციის წყაროს „მატიანე ქართლისაჲ“ წარმოადგენს, მაგრამ იქ მსგავსი რამ აღნიშნული არ არის.

ნ. ბერძენიშვილმა ფოთის (ფაზისის, პალიასტომის) ტაძრიდან პალიასტომის ხატის ქუთაისში გადასვენება, ფაზისში სამიტროპოლიტოს გაუქმებას და ქუთაისში საეკლესიო ცენტრის გადატანას დაუკავშირა. მისი აზრით, ეს ბაგრატ III-ის დროს უნდა მომხდარიყო: „რომელმაც ქუთაისი ჰყო საეპისკოპოსოდ“ [81, 526, 598]. უფრო ადრე, ნ.

ბერძენიშვილი ფაზისის სამიტროპოლიტოს პატივს ჭყონდიდელზე გადასულად მიიჩნევა და [77, 53], მაგრამ შემდეგში მან თავისი მოსაზრება შეცვალა.

მ. ლორთქიფანიძემ ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა ბაგრატ III-ის მიერ ქუთაისში კათედრის დაარსებისა და იქ ეპისკოპოსის დასმის შესახებ დასაშვებად მიიჩნია, მაგრამ ხაზი გაუსვა ერთ დამაფიქრებელ გარემოებას, რომ „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორი ერთდროულად მოგვითხრობს ბაგრატ III-ის მიერ ბედიისა და ქუთაისის ტაძრების აგებასა და მის დროს ამ ეკლესიების კურთხევის შესახებ, საგანგებოდ აღნიშნავს ბაგრატის მიერ ბედიის შექმნას „საყდრად საეპისკოპოსოდ“, ხოლო ქუთაისის საეპისკოპოსოდ დამკვიდრების შესახებ არაფერს ამბობს. მ. ლორთქიფანიძემ ამასთან დაკავშირებით დაუშვა ვარაუდი, რომ აფხაზეთის მეფე ლეონ II-ის (ან აფხაზეთის რომელიმე სხვა პირველი მეფის) დროს შეიძლება ქუთაისში საეპისკოპოსო დაარსებულყო. მისი მოსაზრებით, ქუთაისის ციხის შიგნით არსებული V საუკუნის ეკლესიის VIII საუკუნის II ნახევარში განახლება-გაფართოება ამ აქტით უნდა ყოფილიყო განპირობებული, ხოლო ბაგრატ III-ის მიერ ქუთაისის ახალი ტაძრის აგების დროს გაფართოვდა ქუთათელი ეპისკოპოსის სამწყსო და მას იმერეთის გარდა გურიაც მიემატა [127, 115-117].

ო. ლანჩავას აზრით, VIII საუკუნის ბოლოსთვის ქუთაისში საეპისკოპოსო კათედრა ვარდციხიდან გადმოიტანეს (119, 215). XI საუკუნის დასაწყისით (1003 წლის ახლო ხანებით) ათარიღებენ ქუთაისში საეპისკოპოსოს დაარსებას ქ. ჩხატარაიშვილი [154, 139] და გ. მჭედლიძე [136, 536]. თ. ბერაძის თვალსაზრისით, საეკლესიო რეფორმა დასავლეთ საქართველოში ბაგრატ III-ის დროს დასრულდა, როდესაც მან X საუკუნის ბოლოს გუდაყვის საეპისკოპოსო კათედრა ბედიის ახლადშექმნილ საეპისკოპოსოში გადაიტანა, ხოლო ცოტა მოგვიანებით პეტრასა და როდოპოლისის საეპისკოპოსო კათედრები გააუქმა და მათ ნაცვლად თავის სატახტო ქალაქ ქუთაისში, ახლად აგებულ ტაძარში სამთავარეპისკოპოსო კათედრა დააარსა. 1003 წელს ქუთაისის კათედრალის კურთხევა მოხდა, რომელიც პალიასტომის ღვთისმშობლის ხატის სახელზე აშენდა [72, 192]. ამ ეკლესიის მთავარი ხატი პალიასტომის ღვთისმშობლის ხატი გახდა, რომელიც ფაზისის ტაძრიდან გადაიტანეს, ხოლო ფაზისის კათედრა საბოლოოდ გაუქმდა [68, 86].

ქუთაისში საეპისკოპოსოს დაარსებას ვრცლად შეეხო ბ. კუდავა. მისი აზრით, აქ კათედრის არარსებობა 1003 წლამდე არ უნდა იყოს მოულოდნელი, რადგან: ა) პირველი ქუთათელი ეპისკოპოსების მოღვაწეობის ხანა X-XI საუკუნეთა მიჯნას და XI საუკუნის I ნახევარს უდგება; ბ) „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორს, რომელიც ბაგრატ III-ის მიერ ქუთაისის ტაძრის აგება-კურთხევის ამბავს გვამცნობს, არ გამორჩებოდა ქუთაისში საეპისკოპოსოს დაარსება, თუ კი ის უფრო ადრეულ პერიოდს, ეგრის-აფხაზეთის მეფეების, გიორგი II-ის ან ლეონ III-ის (957-967 წწ.) ხანას უკავშირდებოდა [115, 60-61]. იგი მიიჩნევს, რომ X-XI საუკუნეთა მიჯნამდე როდოპოლისის საეპისკოპოსო განაგრძობდა არსებობას. ამის დასტურად იმოწმებს 1963 წელს ფრანგი მეცნიერის, ვინსენ ლორანის მიერ გამოქვეყნებულ, ბენაკის მუზეუმში დაცულ საბეჭდავის ბერძნულ წარწერას, სადაც იოანე ეპისკოპოსი იხსენიება. ვ. ლორანი ამ წარწერაში მოხსენიებულ ტოპონიმ „Ποδωπ“-ს როდოპოლისის საეპისკოპოსოსთან აკავშირებს და პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით წარწერას ზოგადად X-XI საუკუნეებით ათარიღებს. ამ არგუმენტებიდან გამომდინარე, ბ. კუდავამ როდოპოლისისა და პეტრას საეპისკოპოსოების გაუქმების თარიღად 1003 წელი მიიჩნია და ქუთაისის საეპისკოპოსოს დაარსება ბაგრატ III-ის სახელს დაუკავშირა, X-XI საუკუნეთა მიჯნაზე [115, 54, 126, 130].

ის, რომ ქუთათელი ეპისკოპოსები XI საუკუნის დასაწყისამდე საისტორიო წყაროებში არ იხსენიებიან, დამაჯერებელს ვერ ხდის იმ ფაქტს, რომ ქუთაისში სწორედ ამ ხანაში დაარსდა საეპისკოპოსო. X საუკუნეში დაარსებულ ჭყონდიდის და მოქვის ეპარქიათა მღვდელმთავრები საისტორიო წყაროებში პირველად მხოლოდ XI საუკუნეში გვხვდებიან.

დასავლეთ საქართველოში ახალი საეკლესიო ერთეულების შექმნასთან დაკავშირებით, „მატიანე ქართლისაჲ“-ში საყურადღებოა ერთი ტენდენცია. მატიანეს ავტორი X საუკუნეში დასავლეთ საქართველოში ახალი საკათედრო ეკლესიის აშენებას, საეპისკოპოსოს დაარსებას და ეპისკოპოსის დანიშვნას აუცილებლად ერთდროულად აღნიშნავს და მოვლენასაც ამ სახით გვამცნობს. მაგალითად: გიორგი II-მ „აღაშენა საყდარი ჭყონდიდისა, შექმნა საეპისკოპოსოდ და განაშუენა იგი ნაწილთა სიმრავლითა...“ [25, 265]; გიორგი II-ის ძემ, ეგრის-აფხაზეთის მეფე ლეონ III-მ „აღაშენა ეკლესია მოქცსა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, აკურთხა და განასრულა ყოვლითა განგებითა...“ [25, 270]; ბაგრატ III-მ „აღაშენა საყდარი ბედიისა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, მოცვალა მუნ გუდაყვს საეპისკოპოსო, შეწირნა სოფელნი მრავალნი ყოველთა ჰვეთა და ადგილთა, განასრულა ყოვლითა განგებითა, შეამკო ყოვლითა სამკაულითა ეკლესია, აკურთხა და დასუა ეპისკოპოსი“ [25, 281].

„მატიანე ქართლისაჲ“-ს ამ უკანასკნელი ცნობის შემდეგ მოთხრობილია ბაგრატ III-ის მიერ ქუთაისში ახალი საკათედრო ეკლესიის კურთხევის ამბავი, მაგრამ საეპისკოპოსოს დაფუძნების შესახებ საისტორიო წყარო არაფერს გვამცნობს. საფიქრებელია, რომ მემატიანის ცნობა ეხება ქუთაისში ახალი, ღვთისმშობლის კათედრალის კურთხევას და არა საეპისკოპოსოს დაარსებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ძველი ქართველი ისტორიკოსი ისეთ მნიშვნელოვან მოვლენას, როგორც სამეფოს დედაქალაქში საეკლესიო კათედრის დაარსებაა, აღნიშვნის გარეშე არ დატოვებდა და წინა სამი საეპისკოპოსოს მსგავსად, აქაც გარკვევით მიუთითებდა ბაგრატის მიერ ქუთაისში საეპისკოპოსოს დაარსების და ეპისკოპოსის დასმის შესახებ.

რაც შეეხება 1003 წელს როდოპოლისის საეპისკოპოსოს გაუქმების და ამ საეკლესიო კათედრის ქუთაისით შეცვლის არგუმენტად ზემოთ ნახსენები, ბენაკის მუხეუმში დაცული იოანე ეპისკოპოსის საბუკდავის X-XI საუკუნეების ბერძნული წარწერის მიხედვას, ჩვენი მხრიდან დაუმატებლით, რომ წარწერაში ნახსენები ტოპონიმი „Ροδοπη“-ი შეიძლება სულაც არ ნიშნავდეს მაინცდამაინც როდოპოლისელს, რადგან კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში იყო ასევე როდოპის სამთავარეპისკოპოსო ბალკანეთში [8, 128, 166]. ალბათ, წარწერაში მოხსენიებული იოანე როდოპის მთავარეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო. ვფიქრობთ, რომ როდოპოლისის საეპისკოპოსო უფრო ადრეულ ხანაში გაუქმდა და მისი კათედრა ქუთაისში მაშინ გადაიტანეს.

ქუთაისის შიდაციხეში არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა დაახლოებით V-VI საუკუნეებში აგებული ბაზილიკური ტიპის სამაბსიდიანი ეკლესია, რომელიც ნაგები ყოფილა კარგად გათლილი ქვის კვადრებით. ეს ეკლესია VIII საუკუნის II ნახევარში განუახლებიათ. მისი სიგრძე – 11,45 მეტრს, ხოლო სიგანე 7,80 მეტრს შეადგენდა [120, 74-75]. ქუთაისის ეკლესიის შესახებ ვიგებთ ქართველი მემატიანის, ჯუანშერის თხზულებიდან, როდესაც ავტორი დაახლოებით 735 წლისთვის სტეფანოზ III ქართლის ერისმთავარისა და მისი შვილების – მირის და არჩილის არაბი სარდლის, მურვან ყრუსაგან ღვენის ამბავს ეხება. სტეფანოზი ეგრისში გარდაიცვალა და ჯუანშერის სიტყვებით: „...დაჰფლენ საყდარსა ქუთათისა“ [62, 241]. სტეფანოზის ცხედარი შემდეგ გადმოასვენეს და ხელმეორედ დაკრძალეს ატენის სიონში [72, 99].

შესაძლებელია, ეს ძველი ეკლესია შემდგომში გახდა ქუთათელ ეპისკოპოსთა რეზიდენცია, როდესაც აქ საეპისკოპოსო კათედრა დაფუძნდა. საფიქრებელია ისიც, რომ ბაგრატ III-მ ამ ძველი ეკლესიის მაგივრად ქუთაისის საეპისკოპოსოსათვის X-XI საუკუნეების მიჯნაზე ახალი საკათედრო ტაძარი ააშენა, რომელიც ქუთათელ მღვდელმთავართა ახალი სამყოფელი გახდა. ერთიანი სამეფოს დედაქალაქის საეპისკოპოსოს სწორედ ასეთი გრანდიოზული კათედრალი შეეფერებოდა.

ვახუშტის მოეპოვება ერთი ცნობა, რომ „ბაგრატ ძე გურგენისა (ბაგრატ III) აკურთხეს ქუთათისს მეფედ“ [6, 800]. „მატიანე ქართლისაჲ“-ს მიხედვით კი ქართლში

ეგრის-აფხაზეთის მეფის ერისთავის, იოანე მარუშისძის ინიციატივით, „შთაიყვანეს იგი აფხაზეთს და დალოცეს მეფედ...“ [25, 275].

„მატიანე ქართლისაჲ“ არ აკონკრეტებს ბაგრატის მეფედ კურთხევის ადგილს, მაგრამ უფრო სარწმუნო იქნებოდა, როგორც ვახუშტის აქვს აღნიშნული, იგი ქუთაისში ეკურთხებინათ. ხოლო ეს კურთხევა ალბათ ქუთაისის ძველ ეკლესიაში მოხდა, რადგან ძნელი წარმოსადგენია, სამეფო ტახტზე ამსვლელი პირი საეპისკოპოსო ტაძარში რომ არ დაელოცათ მეფედ.

თუ ეს მოსაზრება სწორია, 978 წლისთვის ქუთაისში საეპისკოპოსო კათედრა უკვე დაარსებული უნდა ყოფილიყო.

ქუთაისის ახლადდაარსებული საეპისკოპოსოს სამწყსო გახდა ფაზისის სამიტროპოლიტოში შემავალი როდოპოლისის და პეტრას საეპისკოპოსოები. პირველი ეპარქია, რომელიც ქუთაისთან ტერიტორიულად ახლოს მდებარეობდა, იყო როდოპოლისისა. როდოპოლისის ეპისკოპოსი ფაზისის მიტროპოლიტის პირველმოსაყდრედ ითვლებოდა [8, 187]. ყოველ შემთხვევაში, ეკთესისებში ფაზისელი მიტროპოლიტის შემდეგ მომდევნოდ მუდამ როდოპოლისელია დასახელებული. როდოპოლისის კათედრა ქუთაისში გადაიტანეს [97, 249], თუმცა პ. ინგოროყვას ეს მოსაზრება ნ. ბერძენიშვილმა არ გაიზიარა. მისი აზრით: „ქუთაისმა რომ ვარდციხის საეპისკოპოსო შეცვალა, მცდარია. ეს საეპისკოპოსოების ცვლა ისე კი არ გავიგოთ, რომ ეს ბერძნული კათედრების ცვლილება იყო ქართულით, არამედ ისე, რომ ახალ (ფეოდალურ) ხანაში, ახალი ცენტრები (პოლიტიკური, ეკონომიკური) წარმოისახა. ახალი ადმინისტრაციული დაყოფა გახდა საჭირო და ახალი საეპისკოპოსოებიც ამის მიხედვით გაჩნდა, ხოლო ძველი, დროწასული და შინაარსს მოკლებული, დაკნინდა – გაუქმდა [81, 526].

ვარდციხეში როდოპოლისის კათედრალის, როდოპოლისელ ეპისკოპოსთა მთავარი ტაძრის ნაშთები ჯერჯერობით არქეოლოგების მიერ გამოვლენილი არ არის. სავარაუდოდ, მისი საძირკველი თანამედროვე სასაფლაოს მოწყობისას განადგურდა [167, 143].

ასევე ქუთაისს დაუკავშირეს შავი ზღვის სანაპირო ზონაში პეტრას საეკლესიო კათედრა [97, 249]. ეს მხარე ეკლესიურად ქუთაისის საეპისკოპოსოს დაქვემდებარა. მესხეთის საეპისკოპოსოთა საზღვრების აღწერილობის (XVI საუკუნის დოკუმენტი) მიხედვით, ქვემო აჭარა – ქუთათელი ეპისკოპოსის დაქვემდებარებაში, ხოლო ზემო აჭარა ტბეთის ეპისკოპოსის სამწყსოში იყო მოქცეული [26, 77]. ქუთაისის საეპისკოპოსოს სამწყსოში შედიოდა მთელი გურია [6, 791, 42, 336-341]. ნ. ბერძენიშვილის აზრით, პეტრას საეპისკოპოსო ახლადშექმნილმა ხინოს საეპისკოპოსომ შეცვალა [81; 598], ხოლო ბ. დიასამიძის ვარაუდით, ერთხანს თანამედროვე აჭარა ორი საეპისკოპოსოს: ტბეთის და ხინოს სამწყსოს შეადგენდა [89, 179]. ვფიქრობთ, რომ ეს მოსაზრებები სინამდვილეს არ უნდა შეესაბამებოდეს, რადგან გურიაში საეპისკოპოსო კათედრების დაფუძნება და ქუთათელის სამწყსოსაგან მათი ჩამოშორება, როგორც დადგენილია, XV საუკუნეში მოხდა [154, 142-143. 188. 143. 201, 183].

პეტრას ეპისკოპოსთა კათედრალი პეტრას შიდაციხის ცენტრში მდებარეობდა. არქეოლოგიური გათხრების შედეგად იქ სამნავიანი ბაზილიკის საძირკველი გამოვლინდა. ბაზილიკა VI საუკუნით თარიღდება და მისი განსაკუთრებით დიდი ზომების გამო, რითაც იგი დასავლეთ საქართველოს სხვა თანადროული ბაზილიკებისაგან გამოირჩევა, მას პეტრას საკათედრო ტაძრად მიიჩნევენ [96, 107. 95, 147. 195, 17-18. 146, 26].

დასავლეთ საქართველოს ბერძნულ საეკლესიო კათედრათა შორის გამორჩეული ადგილი ფაზისის სამიტროპოლიტოს ეკავა, რომლის ცენტრი უნდა ყოფილიყო VI საუკუნის ბიზანტიელ ავტორ აგათია სქოლასტიკოსთან მოხსენიებული, „ქრისტიანთა შორის ძალიან განთქმული ტაძარი, რომელიც ქალაქს ბევრად არ იყო მოშორებული“ [1, 112-113]. ფაზისის სამიტროპოლიტოს გაუქმების შემდეგ, მისი საეკლესიო ცენტრის ჭყონდიდის, თუ ქუთაისის საეპისკოპოსოთი შეცვლის და ფაზისელი მიტროპოლიტის

პატივის ჭყონდიდელებზე თუ ქუთათელზე გადასვლის საკითხი მკვლევართა შორის ბოლომდე დადგენილი არ არის.

3. ინგოროყვას თვალსაზრისი, რომ ფაზისის მიტროპოლიის გაუქმების შემდეგ მისი კათედრა ჭყონდიდის საეპისკოპოსოში გადაიტანეს, ბ. კუდავამ განავითარა. მისი დასკვნით, პატივის თვალსაზრისით და ტერიტორიული მემკვიდრეობით ფაზისის სამიტროპოლიტოს მემკვიდრე ჭყონდიდის საეპისკოპოსო გამოდის [115, 127]. მეორე მხრივ, როგორც ეს ნ. ბერძენიშვილს და თ. ბერაძეს აქვთ აღნიშნული, ფაზისის სამიტროპოლიტოს გაუქმების შემდეგ სამიტროპოლიტო კათედრა და პალიასტომის ხატი ქუთაისში გადმოიტანეს.

პალიასტომის ხატთან დაკავშირებით ბ. კუდავამ გამოთქვა მოსაზრება, რომ ქუთაისში ამ ხატის გადმოსვენება ფაზისიდან ქუთაისში საეკლესიო ცენტრის გადმოტანას არ უნდა უკავშირდებოდეს და ეს ხატი სხვადასხვა გარემოებების გამო (მტრის შემოსევის შიშით, სტიქიური უბედურებით) არის ქუთაისის ტაძარში X-XI საუკუნეთა მიჯნაზე გადასვენებული, ბაგრატ III-ის მიერ ტაძრის შემკობის მიზნით. იგი ასევე აღნიშნავს, რომ პალიასტომის ხატი ქუთაისის კათედრალის მთავარი ხატი არ იყო, რადგან რუსი ელჩების აღწერილობის მიხედვით, ქუთაისის ეკლესიის მთავარ ხატად ღვთისმშობლის სხვა ხატი ჩანს [115, 90-96].

1650-1652 წლებში იმერეთის სამეფოში რუსი ელჩები: ა. იველევი და ნ. ტოლოჩანოვი იმყოფებოდნენ. მათ ქუთაისის ღვთისმშობლის ტაძარი დაათვალიერეს, რომლის საკურთხევლის კედელზე ღვთისმშობლის ხატი იყო დაკიდული, ხოლო პალიასტომის ხატი აღსავლის კარების მარცხენა მხარეს, ვლადკერნის ხატის შემდეგ ესვენა [4, 137-139].

მიუხედავად იმისა, რომ პალიასტომის ხატი ბაგრატის ტაძრის საკურთხეველში არ ესვენა, ის მაინც ქუთაისის კათედრალის უმთავრეს სიწმინდედ ითვლებოდა. ამას მოწმობს ლევან II დადიანის მიერ ტაძრისადმი შეწირული ბარძიმის წარწერა: „მინდობილმან თქვენმან ჳელმწიფემან დადიანმან პატრონმან ლევან თქვენ ქუთათისა და პალიასტომისა ღ-თის (ღვთისმშობელსა) (შემოგწირე) ბარძიმი ესე...“ [91, 75-76]. XVII საუკუნის შუა ხანაში მოღვაწე ქუთათელი ეპისკოპოსი სვიმონი თავის თავს „ქუთაისისა და პალიასტომის ყოვლადწმიდისა მიტროპოლიტს“ უწოდებდა [4, 175].

უფიქრობთ, რომ ქუთათელი ეპისკოპოსის ამ ტიტულით მოხსენიება იმ ტრადიციით იყო განპირობებული, რომლითაც ქუთათელები ფაზისელი (პალიასტომი) მღვდელმთავრების პატივის სამართალმემკვიდრედ მიიჩნევდნენ თავს.

თუ კი, როგორც ბ. კუდავა მიიჩნევს, ფაზისის სამიტროპოლიტოს საეკლესიო კათედრის, პატივის და სამწყსოს მემკვიდრედ ჭყონდიდის საეპისკოპოსო გამოდის, მაშინ გაუგებარია, რატომ ჭყონდიდში არ გადაიტანეს პალიასტომის ხატი, რომელიც ქუთაისთან შედარებით უფრო დაცული მხარეა.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი ფაქტიც: 1060 წელს, როდესაც ბიზანტიიდან საქართველოში ზღვით ცნობილი ქართველი საეკლესიო მოღვაწე გიორგი მთაწმინდელი ჩამოვიდა, მას ფოთში ქუთათელი ეპისკოპოსი ილარიონი დახვდა, რომელმაც გიორგი მთაწმინდელი ქართლის საზღვრამდე მიაცილა [10, 159]. უფიქრობთ, რომ საპატიო სტუმარს ის საეკლესიო იერარქი შეეგება, რომლის სამწყსოში შედიოდა ფოთი. სხვა შემთხვევაში, თუკი ეს ქალაქი ჭყონდიდის საეპისკოპოსოს სამწყსო იქნებოდა, გიორგი მთაწმინდელს იქ ჭყონდიდის ეპისკოპოსი დახვებოდა.

აქედან გამომდინარე, მართებულად მიგვაჩნია ნ. ბერძენიშვილის და თ. ბერაძის მოსაზრება, რომ ფაზისის სამიტროპოლიტოს საეკლესიო ცენტრი ქუთაისში გადაიტანეს და ფაზისელი მიტროპოლიტების სამწყსო ქუთათელ ეპისკოპოსებს დაექვემდებარა.

მაგრამ უფიქრობთ, რომ ეს რეფორმა ბაგრატ III-ის მეფობისას არ უნდა მომხდარიყო. ეს უფრო ადრეულ ხანაში უნდა განეხორციელებინათ. თანაც ლოგიკური და გამართლებული იქნებოდა ეგრის-აფხაზეთის მეფეთა მოქმედება, თუკი საეკლესიო დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე, პირველ რიგში, ფაზისის სამიტროპოლიტოს გააუქ-

მებდნენ, საიდანაც დასავლეთ საქართველოში ბიზანტიის იმპერიის საეკლესიო თუ სახელმწიფოებრივი ინტერესების განხორციელება ხდებოდა. შესაბამისად, ამ საეკლესიო ცენტრის სტრუქტურის გადატანის შემთხვევაში, ისევე როგორც როდოპოლისისა და პეტრასი, ყველაზე მისაღები ადგილი ქუთაისი იქნებოდა.

თავისთავად იბადება კითხვა: ბაგრატ III-ის დროს თუ მოხდა ქუთაისის საეპისკოპოსოს დაარსება, როდოპოლისისა და პეტრას საეკლესიო კათედრების მოშლა და მათი ქუთათელის სამწყსოდ გადაქცევა, ფაზისის სამიტროპოლიტოს გაუქმება და პალიასტომის ხატის ქუთაისის ახლადაშენებულ საკათედრო ტაძარში გადმოსვენება, რატომ გამოიჩინა ესოდენ მნიშვნელოვანი მოვლენა „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორს. რა მიზეზით არ აღნიშნა საგანგებოდ ეს ფაქტი, მაშინ როდესაც იმავე ბაგრატ III-ის მიერ ფაზისის სამიტროპოლიტოში შემავალი ერთ-ერთი საეკლესიო კათედრის, გუდაყვის მოშლა და მის ნაცვლად ბედიის საეპისკოპოსოს შექმნა გვამცნო?

ვფიქრობთ, რომ „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორი ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენას აუცილებლად აღნიშნავდა, ეს რომ მისთვის შედარებით ახლო ხანაში, X-XI საუკუნეთა მიჯნაზე, ან XI საუკუნის დასაწყისში მომხდარიყო, მით უფრო, 1003 წელს ქუთაისის კათედრალის საზეიმო კურთხევას დამთხვევოდა.

შესაძლებელია, ყოველივე ეს განპირობებული ყოფილიყო ამ აქტის სიძველით. ე. ი. „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორმა XI საუკუნეში საჭიროდ არ მიიჩნია, საგანგებოდ აღენიშნა, თუ რომელი კათედრების მემკვიდრე გახდა ქუთაისის საეპისკოპოსო, რადგან ეს უკვე დიდი ხნის წინათ მომხდარი მოვლენა იყო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ ქუთაისის საეპისკოპოსო კათედრის დაარსება IX-X საუკუნეთა მიჯნას უნდა განეკუთვნებოდეს, იმ დროს, როდესაც დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრები კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებიდან გამოვიდა.

ქრონოლოგიურად ეს პერიოდი ეგრის-აფხაზეთში ბაგრატ I-ის (881-893 წწ.), კონსტანტინე III-ის (893-922 წწ.) და გიორგი II-ის (922-957 წწ.) მეფობის ხანას ემთხვევა. კონსტანტინეპოლის საპატრიარქოდან დასავლეთ საქართველოს საეპისკოპოსოების გამოყოფა ბაგრატ I-ის დროს ნაკლებად სავარაუდოა, რადგან ის კარგა ხანს კონსტანტინეპოლში იმყოფებოდა თავის ქვეყნიდან გაძევებული და ეგრის-აფხაზეთის სამეფო ტახტი ბიზანტიის იმპერიის ჯარისა და ფლოტის დახმარებით დაიბრუნა [25, 261].

გიორგი II-ის მეფობის დროს „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორმა ამ მეფის მიერ ჭყონდიდის საეპისკოპოსოს დაარსებისა და იქ ეპისკოპოსის დასმის შესახებ გვამცნო.

კონსტანტინეპოლის საპატრიარქოდან დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კათედრების გამოყოფა, დასავლეთ საქართველოს, ანუ ბიჭვინთის საკათალიკოსოს დაარსება IX-X საუკუნეთა მიჯნაზე კარგად უთავსდება კონსტანტინე III-ის მეფობის ხანას. მის დროს ეგრის-აფხაზეთის სამეფო აღმოსავლეთ საქართველოში აქტიურ პოლიტიკას აწარმოებდა. ქართლში კონსტანტინე მეფესა და სომხეთის მეფე სუმბატ ტიეზერკალს შორის ბრძოლები წარმოებდა უფლისციხისთვის, რომელიც დაზავების შემდეგ აფხაზეთის მეფეს დარჩა. რამდენიმე წლის მერე კახეთის ქორეპისკოპოს კვირიკეს მოწოდებით, კონსტანტინე III-მ ჰერეთში ილაშქრა. ჰერეთის მთავარმა ადარნესე პატრიკმა მას არიშის და გავაზის ციხეები გადასცა. უკან დაბრუნებისას კონსტანტინე მეფემ ალავერდის წმინდა გიორგის ხატი ოქროთი შეამკო [25, 262-264].

საყურადღებოა ასევე კონსტანტინოპოლის პატრიარქის, ნიკოლოზ მისტიკოსის (901-907 და 912-925 წლები) სამძიმრის წერილი გიორგი II-ისადმი, სადაც ნიკოლოზ მისტიკოსი გარდაცვლილ კონსტანტინე მეფეს დიდი პატივით იხსიენებს: „შენი უნეტარესი მამის გარდაცვალების გამო ...დამწუხრებულები ვართ და თანავუგრძნობთ შენს დამწუხრებულ გულს, და ყველა იმათგანს, რომლებსაც კი აქვთ უნარი უყვარდეთ ადამიანი; გაჟაკობითა და სიკეთით შემკული, განსაკუთრებული იყო მამაშენი, ყველას მიერ ქე-

ბული და განცვიფრების ღირსად აღიარებული.“ შემდეგ პატრიარქი აგრძელებს – „არაფერში მოგაკლდეს მამისეული წარმატებები და შენი მამა, ეგოდენ უნეტარესი, გამოაჩინე შენი ზნით და ვაჟკაცობით...“ [8, 209-218].

შესაძლებელია, სწორედ კონსტანტინე III-ს უკავშირდებოდეს ქუთაისში საეპისკოპოსო კათედრის დაარსება და პირველი ეპისკოპოსის დანიშვნა, ასევე ფაზისის, როდოპოლისისა და პეტრას ეკლესიურად ქუთაისთან დაკავშირება. თუმცა საისტორიო წყაროებში ამის შესახებ ცნობები ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. თვით „მატიანე ქართლისად“-ს ავტორიც დასავლეთ საქართველოში ახალი ქართული საეპისკოპოსოების დაარსების შესახებ ცნობას მხოლოდ შემდეგი პერიოდისთვის, ეგრის-აფხაზეთში კონსტანტინე III-ის ძის, გიორგი II-ის მეფობის დროიდან გვაწვდის.

საინტერესოა ერთი გარემოებაც: ქუთაისის საეპისკოპოსომ დაარსებისთანავე დასავლეთ საქართველოს ვრცელი ტერიტორია: იმერეთი, გურია, ქვემო აჭარა, (სავარაუდოდ რაჭა(ც) მოიცავა, მაშინ როდესაც სამეგრელოსა და აფხაზეთში რამდენიმე ეპარქია არსებობდა. თუ რა მიზეზით იყო ეს ფაქტი გამოწვეული, ძნელი სათქმელია.

ამრიგად, ვფიქრობთ, რომ ქუთაისში საეპისკოპოსო კათედრა IX-X საუკუნეთა მიჯნაზე, ეგრის-აფხაზეთში კონსტანტინე III-ის მეფობის დროს უნდა დაარსებულიყო და ეს ამბავი ქუთაისის ღვთისმშობლის კათედრალის მშენებლობას ერთი საუკუნით მაინც უნდა უსწრებდეს წინ.

2. ქუთაისის ღვთისმშობლის კათედრალური ეკლესია (ბაგრატის ტაძარი)

ქუთაისის საეპისკოპოსოს კათედრალი, რომელიც ქუთათელ ეპისკოპოსთა მთავარ ტაძარს და რეზიდენციას წარმოადგენდა, არის ბაგრატ III-ის მიერ აშენებული ღვთისმშობლის ეკლესია. ამ ტაძარს თავისი ისტორიული და მხატვრული მნიშვნელობით განსაკუთრებული ადგილი უკავია შუა საუკუნეების მთელ ქართულ ხელოვნებაში. ეკლესია მდინარე რიონის მარცხენა ნაპირას, გორაკზე მდებარეობს და თავზე გადაჰყურებს ძველ ქალაქს. ბაგრატის მიერ აშენებული ტაძარი წარმოადგენს X საუკუნის განმავლობაში თანდათანობით შემუშავებული შენობის ტიპს – წაგრძელებული ფორმის ეკლესიას, თავისუფლად მდგომ, კედლებისაგან დაშორებულ ბურჯებზე აზიდული გუმბათით და შედარებით დაბალი სადგომებით ჯვრის მკლავებს შორის.

გეგმის მიხედვით ღვთისმშობლის ეკლესია რთულ ტრიკონქს წარმოადგენს. ჯვრის შევრილი მკლავები და ოთხი თავისუფლად მდგომი გუმბათქვეშა ბურჯი ფართო შიდა სივრცეს ქმნის. ცილინდრული თაღით გადახურული ტაძრის შინაგანი სივრცე აღმოსავლეთით, სამხრეთით და ჩრდილოეთით კონქით გადახურული ნახევარწრიული მომრგვალებით – აფსიდით მთავრდება. XI საუკუნის I ნახევარში დასავლეთისა და სამხრეთის შესასვლელების წინ აშენდა მდიდრულად მოჩუქურთმებული სახეიმო კარიბჭეები. ეკლესიის კედლები შემოსილია დიდი ზომის გათლილი ქვის კვადრებით. ქვის კაპიტელებზე, ზოგან კედლებზე, გამოსახულია სხვადასხვა სცენები. ტაძარი დანგრევამდე შიგნიდან მოზაიკით იყო მორთული, ხოლო კედლებს ფრესკები ამშვენებდა. გარკვეული დროის მანძილზე ბაგრატის ტაძარი მოჭიქული კრამიტით იყო გადახურული. ეკლესიის მშენებლობის დამთავრებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ ჩრდილოდასავლეთის კუთხეს, დასავლეთის მხრიდან სამსართულიანი კოშკი მიაშენეს. სამივე სართულს თითო ოთახი, ბუხრები და თახჩები გააჩნდა. საფიქრებელია, რომ ამ კოშკში ქუთათელი ეპისკოპოსები ცხოვრობდნენ. ეკლესიის გალავნის შიგნით არქიტექტურულად გაფორმებული ქვის სამრეკლო და სხვა დამხმარე ნაგებობები იყო აგებული. შე-

ნობის გარეგნული იერი მონუმენტური და მრავალფეროვანია: შვერილი მკლავები, დასავლეთის კოშკიანი ფასადის სიმეტრიულობა, კარიბჭეები, დეკორატიული თაღები და ჩუქურთმიანი სამკაული ტაძრის ცხოველხატულ სახეს ქმნის. ნაგებობა პროპორციების და კონსტრუქციის დახვეწილობით გამოირჩევა [75, 52-53. 155, 7-8. 156, 60-61. 153, 97].

ქუთაისში კათედრალური ტაძრის მშენებლობა მისი დედაქალაქობის სიმბოლურ გამოხატულებას წარმოადგენდა და მისი კურთხევის გრანდიოზული ზემოთ აღნიშვნა საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მიცემით იყო ნაკარნახევი [135, 232-233].

ქუთაისის ღვთისმშობლის კათედრალი თავის დროზე მდიდრულად იყო შემკული. 1651 წელს იმერეთში რუსი ელჩები: ნიკიფორე ტოლოხანოვი და ალექსი იველევი იმყოფებოდნენ. მათ 15 ივლისს მოინახულეს ქუთაისის ტაძარი და მისი აღწერილობა დაგვიტოვეს.

ქუთაისის ღვთისმშობლის ეკლესია იმ დროს სპილენძით 16 წახნაგად ყოფილა გადახურული. ტაძრის გარშემოწერილობა 86 „დიდ საუენს“ ანუ 213 მეტრს შეადგენდა. საკრებულო ტაძარს გარშემო ქვის გალავანი ჰქონდა შემოვლებული, რომლის სიმაღლე – 3,52 მეტრს, სისქე 0,90 მეტრს აღწევდა. გალავნის ალყაფის კარებამდე სამი დიდი პალატი იდგა. თითოეული მათგანის სიმაღლე 14 მეტრს შეადგენდა. გალავნის შიგნით ქვის სამრეკლო იდგა, სადაც ერთი დიდი, ორენოვანი ზარი იყო ჩამოკიდებული. ამ ზარის წონა 131 კგ-ს აღწევდა. ტაძრის შიგნით რვა მრგვალი სვეტი იდგა. ცალკე იყო გაკეთებული ქალთა სადგომი, სადაც დედოფალი სეფე ქალებთან ერთად წირვას ესწრებოდა. ქალთა სადგომის (შანიშინის) ასასვლელი კიბე ეკლესიას შიგნითა მხრიდან ჰქონდა. იქიდან დედოფალი ყველას ხედავდა, მაგრამ მას ვერაფერს ამჩნევდა. ტაძარში მარჯვენა მხარეს სვეტთან ქვით მოპირკეთებული ადგილი მონარქის სალოცავად იყო განკუთვნილი, სადაც კედლებს მეფეთა ფრესკები ამშვენებდა. საკურთხეველში ღვთისმშობლის ხატი ესვენა. ხატის გვირგვინი ოქროსგან, ხოლო გვირგვინის სამკაულები მინანქრისაგან იყო გაკეთებული. ღვთისმშობლის და მაცხოვრის სამოსელი, ასევე სახატე და ხატის კარები ოქროთი დაფარული ვერცხლით იყო შესრულებული. ხატს სადგომო დღესასწაულების გამოსახულებანი და წმინდანთა ამოტივტივებული სახეები ამშვენებდა. ღვთისმშობლის ხატი ძალზე მაღლა ესვენა და მას მხოლოდ ხელით თუ შესწვდებოდნენ. ამიტომ ხატის ბუდემდე მისასვლელად ქვის სამი საფეხური გაუკეთებიათ. ამ ხატიდან აღსავლის კარებამდე კიდევ ორი, მაცხოვრის და ღვთისმშობლის ოქროთი დაფარული ვერცხლისაგან შესრულებული ხატი ესვენა, რომელთა შორის ვერცხლისგან ჩამოსხმული, ფირუხით და ბროწეულისფერი ძვირფასი ქვით მოჭედილი ჯვარი იყო დადგმული, რომლის სიმაღლე 0,72 მეტრს შეადგენდა. ჯვრის შუაში, ჯვარცმის გამოსახულების ზემოთ, პატარა ოქროს კიდობანი ეკიდა, სადაც როგორც რუს ელჩებს უთხრეს, ძელიცხოველის ნაწილი იყო მოთავსებული. კიდობანს იაგუნდებისა და მარგალიტებისაგან შემკული ოქროს კარები ჰქონდა. ჯვარცმის კვარცხლბეკზე ვერცხლის კიდობანი იდო, სადაც ძელიცხოველისგან გაკეთებული 1 სმ-ის სიგრძის პატარა ჯვარი ესვენა. ამ ჯვარს გადმოცემის თანახმად ცოდვების მიტევება შეეძლო.

აღსავლის კარების მარცხენა მხარეს ვლაქერნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი ესვენა, რომლის გვირგვინი და შუა ნაწილი ოქროთი, ხოლო გვირგვინის სამკაული მინანქრით იყო შესრულებული. ღვთისმშობლის გვირგვინს დიდი იაგუნდის თვლები ჰქონდა ჩასმული. გვირგვინის გვერდზე მიმაგრებული იყო ორი პატარა კიდობანი, სადაც წმინდა თომა მოციქულის ნაწილები ინახებოდა. ხატის დანარჩენ, ვერცხლით მოჭედილ ადგილებს საუფლო დღესასწაულების და წმინდანთა სახეების გამოსახულებები ამშვენებდა. ეს ხატი წინათ კონსტანტინოპოლში, ვლაქერნის ტაძარში ესვენა და იქიდან წამოუღიათ. უწინ ვლაქერნის ხატს დიდძალი გასაწყობი, ოქროს მონეტები, ძვირფასი ქვების სამკაულები და ყოველგვარი საეკლესიო ჭურჭლეულობა მოჰყვებოდა, რომელიც ქუთაისის ეკლესიაში ინახებოდა.

აღსავლის კარების მარცხენა მხარეს პალიასტომის ღვთისმშობლის ხატი ესვენა. ხატზე ღვთისმშობლის და მაცხოვრის გვირგვინები ოქროთი, ხოლო ხატის შუა ნაწილი, არშიები, ბუდე და ბუდის კარები ვერცხლით იყო მოჭედილი. ხატზე ამოტვიფრული იყო საეკლესიო დღესასწაულები, წმინდანთა და მთავარანგელოზთა გამოსახულებები. პალიასტომის ხატი, გადმოცემის თანახმად, წინათ გურიაში, ციხე-ქალაქ პალიასტომის საკრებულო ტაძარში ესვენა. ამ ტაძრის მთავარ ხუცესს, სილიბისტროს სიზმრად ღვთისმშობელი გამოეცხადა და ციხე-ქალაქის წყალში ჩაძირვა აუწყა. სილიბისტრომ ღვთისმშობლის რჩევით ხატი ქუთაისში გადაასვენა, ხოლო პალიასტომის ტაძარი ქალაქთან ერთად, როგორც ნაწინასწარმეტყველები იყო, წყალში ჩაიძირა. ხატის ბუდეს წითელი ხავერდი ჰქონდა გადაფარებული, ხოლო ხატის წინ ვერცხლის კანდელი იყო ჩამოკიდებული.

ტაძრის საკურთხეველში ტრაპეზზე დაფენილ ოქროქსოვილ ხავერდის კვართს მსხვილი მარგალიტებით და ძვირფასი ქვებით შესრულებული ჯვარი ამკობდა. ტრაპეზზე იდო სახარება, რომლის ოქროთი მოჭედილ ზედა ყდაზე ჯვარცმა იყო ამოტვიფრული, ხოლო ქვედა ყდაზე ფეხზე მდგომი მაცხოვრის, ღვთისმშობლის და იოანე ნათლისმცემლის გამოსახულებები ოქროზე მინანქრით იყო შესრულებული. ქუთაისის ეკლესიას ყველა საეკლესიო ჭურჭელი ოქროსი, ხოლო ორი საცეცხლური კი ვერცხლისა ჰქონდა. ტაძრის იატაკზე ძვირფასი ხალიჩები იყო დაგებული [4, 136-140].

ანტიოქიის პატრიარქ მაკარის, რომელიც საქართველოში 1664–1666 წლებში იმყოფებოდა, ქუთაისის ტაძარში უნახავს მოლიანად ოქროსგან ჩამოსხმული ბარძიმი, ათასი თვალ-მარგალიტით შემკული. მისი ფასი 17 ათას ყურუმს (ოსმალური ფულის ერთეული) შეადგენდა. მას ასევე უნახავს ძალიან ძვირფასი სახარება, მოვარაყებული და თვალ-მარგალიტით მორთული, ამგვარივე ბევრი სხვა საეკლესიო მოწყობილობა და ძვირადღირებული წიგნები. მაკარის გადმოცემით, ქართველებს ყოველ დიდ ეკლესიაში ჰქონდათ დიდი გულანები. იგი კლიროსში დიდ საწიგნეზე იდო და მაუდის ან ტილოს ქსოვილი ეფარა [23, 112].

გულანი ყველა საეკლესიო წიგნს შეიცავდა. საესებით დასაშვებია, რომ ასეთი გულანი ქუთაისის ეკლესიასაც გააჩნდა.

ბაგრატ III-ის მიერ აშენებულმა ღვთისმშობლის კათედრალმა მტერთაგან ძარცვარბევა რამდენჯერმე განიცადა. გიორგი II-ის (1072–1089 წწ.) დროს თურქ-სელჩუკებმა „ერთსა დღესა დაწუეს ქუთათისი და არტანუჯი, და უდაბნონი კლარჯეთისანი“ [16, 319-320]. დავით ნარინის (1246–1293 წწ.) დროს მონღოლები მოულოდნელად „ზედა დაესხნეს ქუთათის აბანოსა შინა მყოფსა მეფესა, და ძლით შეესწრა ცხენსა, ერთითა კაბითა მარტო იღტვოდა, ხოლო თათართა მოაოხრეს ეკლესიანი, და მრავალი სული ქრისტიანე მოიკლა და ტყუე იქმნა“ [29, 269].

თავი II. ქუთაისის საეპისკოპოსოს საზღვრები

ქუთაისის საეპისკოპოსოს სამწყსოს ტერიტორიით და მრევლის მრავალრიცხოვნობით საუკუნეთა მანძილზე ერთ-ერთი უპირველესი ადგილი ეკავა არა მარტო დასავლეთ საქართველოს, არამედ საერთოდ ქართულ ეპარქიებს შორის. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, ქუთათელი მთავარეპისკოპოსი იყო „...მწყემსი იმერეთისა და გურიისა, თვნიერ რაჭა-ლეჩხუმისა“ [6, 761].

ამრიგად, ქუთაისის საეპისკოპოსოს საზღვრებში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო მოქცეული.

საისტორიო წყაროებში ქუთაისის საეპისკოპოსოს ადრეული ხანის საზღვრების აღწერილობის შესახებ ცნობები ძალზე მწირია. თუმცა მოგვიანო პერიოდის წერილო-

ბითი მასალა გარკვეულწილად ავსებს ამ ხარვეზს. გარდა ამისა, რადგან საეპისკოპოსოთა საზღვრები მთელი შუა საუკუნეების მანძილზე მკვეთრად არ იცვლებოდა და ძირითადად ბუნებრივ მიჯნებს ემთხვეოდა, შესაძლებელია ქუთაისის ეპარქიის საზღვრების გარკვეულწილად დადგენა.

ქუთაისის საეპისკოპოსოს საზღვრებთან დაკავშირებით შეიმჩნევა ერთი ტენდენცია. კერძოდ, ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლისთანავე ამ ეპარქიის ტერიტორია ეტაპობრივად მცირდება და იქ ახალი საეკლესიო კათედრების დაარსება იწყება.

IX-X საუკუნეთა მიჯნაზე, ქუთაისში საეპისკოპო კათედრის დაარსებისთანავე, ამ ეპარქიის სამწყსო გახდა მანამდე კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში შემავალი ფაზისის სამიტროპოლიტოს დაქვემდებარებაში მყოფი როდოპოლისის და პეტრას საეპისკოპოსოები.

პირველი ეპარქია, რომელიც ქუთაისთან ახლოს მდებარეობდა, იყო როდოპოლისის საეპისკოპოსო, რომლის საეკლესიო ცენტრი მდ. რიონის მარცხენა მხარეს, როდოპოლისში, იგივე ვარდციხეში მდებარეობდა. ცნობების უქონლობის გამო ძნელია დადგინდეს, თუ რა ტერიტორიას მოიცავდა იმერეთში როდოპოლისის ეპარქია. დ. მუსხელიშვილის მოსაზრებით, რადგან ვაკე იმერეთში, არგვეთის უდიდეს ნაწილში და რაჭა-ლეჩხუმში არცერთი ბიზანტიური საეპისკოპოსო არ იხსენიება, VII-IX საუკუნეებში ამ ვრცელ ტერიტორიაზე მცხეთის საკათალიკოსოს იურისდიქცია მოქმედებდა [135, 152].

მაგრამ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების მიხედვით, როცა გრიგოლი ეგრის-აფხაზეთის მეფე, დემეტრე II-ის თხოვნით IX საუკუნის I ნახევარში „უბედ“-ში (უბისა) მონასტერს აფუძნებს [9, 244], არ სჩანს, რომ ღიხთ-იმერეთის გარკვეულ ტერიტორიაზე მცხეთის საკათალიკოსოს იურისდიქცია მოქმედებდა. ნიშანდობლივია ისიც, რომ ამ მონასტერს ქართლის და იმერეთის სასაზღვრო მიჯნასთან ახლოს, ღიხის ქედის მიმდებარედ აარსებენ.

კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ეკთესიების მიხედვით შეიძლება ჩაითვალოს, რომ რადგან იმერეთის ტერიტორიაზე როდოპოლისის კათედრის გარდა სხვა საეკლესიო ცენტრი არ მოიხსენიება, მთელი იმერეთის ტერიტორია სწორედ ამ საეპისკოპოსოს სამწყსოს შეადგენდა. იგი მოიცავდა ვაკე იმერეთს და არგვეთს, რომელიც ვახუშტისთან დასახელებულ ქუთაისის და შორაპნის საერისთავოების ტერიტორიას ემთხვეოდა [6, 796]. მას დასავლეთით გურია და მდ. ცხენისწყალი მიჯნავდა, სამხრეთიდან მესხეთის ქედი, ხოლო აღმოსავლეთიდან ღიხის ქედი საზღვრავდა [115, 123. 5, 110].

უცნობია, ჩრდილოეთით სადამდე ვრცელდებოდა როდოპოლისელი ეპისკოპოსის იურისდიქცია, მაგრამ დასაშვებია, რომ რაჭა-ლეჩხუმი (სკუმნია, თაკვერი) ფორმალურად მაინც როდოპოლისის ეპარქიაში ყოფილიყო მოქცეული [115, 127].

როდოპოლისის საეპისკოპოსოს გაუქმების შემდეგ, მთელი ეს ტერიტორია ქუთაისის ახლად დაარსებული ეპარქიის შემადგენლობაში მოექცა. ეს დასტურდება იმითაც, რომ იმერეთში რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ქუთაისის საეპისკოპოსოს გარდა სხვა საეკლესიო კათედრა არ არსებობდა.

იმავე ხანაში ქუთაისის საეპისკოპოსოს შავიზღვისპირეთში მოქმედი, ფაზისის სამიტროპოლიტოში შემავალი კიდევ ერთი საეკლესიო ერთეული – პეტრას საეპისკოპოსო დაუკავშირეს. მისი საეპისკოპოსო ცენტრი პეტრას ციხე-ქალაქში, დღევანდელ ციხისძირში მდებარეობდა.

პეტრას ეპარქიაში შედიოდა გურია, ქვემო აჭარა (ბათუმის მხარე) და ჭანეთის ნაწილი (რიხეს მხარე) [97, 230]. პეტრას კათედრის გაუქმების შემდეგ გურია და ქვემო აჭარა, რომელიც პოლიტიკურად უმთავრესად ვახუშტისთან დასახელებულ გურიის საერისთავოში შედიოდა [6, 796. 80, 113], ეკლესიურად ქუთაისის საეპისკოპოსოს დაუკავშირდა [97, 249].

გურიის ტერიტორია, რომ ქუთათელის სამწყსოში შედიოდა, ამას ადასტურებს 1578 წლის „დავთარი ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრისა“ [42, 279-343., 1161] და ვახუშტი: „არამედ გურია იყო სრულიად ქუთათელის სამწყსო...“ [6, 791].

პეტრას საკათედრო ცენტრის ქუთაისის საეპისკოპოსოთი მოცვლის შემდეგ ქუთაისის ეპარქიის საზღვარმა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მდინარე ჭოროხამდე მიაღწია. ხოლო ჭოროხს იქით უკვე რიზეს საარქიეპისკოპოსო იყო, რომელიც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში შედიოდა [97, 202, 235, 257].

პარქიის საზღვარი, რომ ჭოროხამდე აღწევდა, ამას XV საუკუნის საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლი „მცნებაჲ სასჯულოდ“ ადასტურებს, რომლის მიხედვით, დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის იურისდიქცია ვრცელდებოდა: „...ჭოროხს აქათ, ოფსეთსა აქათ, ზღუად პონტოსა აქათ, სადა დიდისა ბიჭუინტისა საზღუარი მიაწევს...“ [42, 223]. აღსანიშნავია ვახუშტის ცნობაც ხინოწმინდელი ეპისკოპოსის სამწყსოსთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავდა „...ხინოსწყლის სამხრეთისა ჭოროხამდე“ ტერიტორიას [6, 791]. ეს ერთგვარად მოწმობს იმ ფაქტს, რომ ქუთაისის საეპისკოპოსო ჭოროხამდე ვრცელდებოდა, რადგან სწორედ ქუთაისის ეპარქიის ეს ნაწილი დაიმკვიდრა შემდგომში ხინოს საეპისკოპოსო კათედრამ.

ქუთაისის საეპისკოპოსოს აჭარაში ტბეთის საეპისკოპოსოც ესაზღვრებოდა. ტბეთის ეპარქია 914 წელს ერისთავთ-ერისთავმა აშოტ კუხმა დააარსა [25, 380. 39, 27]. XVI საუკუნის საეკლესიო დოკუმენტის – „კათალიკოსნის ხელქვეშეთი მღვდელმთავარნი და სამწყსონი სამცხე-საათაბაგოს“ – მიხედვით, საზღვარი ქუთაისისა და ტბეთის ეპარქიებს შორის მდინარე აჭარისწყალზე, სოფელ დანდალოსთან გადიოდა. დანდალოს ქვემო მხარე – ქუთათელის, ხოლო დანდალოს ზემოთ მდებარე აჭარა კი მტბევარის სამწყსოსში შედიოდა [135, 244-246].

„მცნებაჲ სასჯულოდ“-ს და სამცხე-საათაბაგოს საეპისკოპოსოების ნუსხის ცნობების მიხედვით ნ. ბერძენიშვილი დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს სამხრეთ-დასავლეთ საზღვარს, რომელიც იმავდროულად ამ საკათალიკოსოს სუბიექტის, ქუთაისის საეპისკოპოსოს სამხრეთ-დასავლეთ საზღვარსაც წარმოადგენდა, შემდგენიარად მოიაზრებდა: „დანდალოზე გადავლილი ხაზით გადაჭრილი აჭარა, შავშეთის მთები ჭოროხის დასავლეთისაკენ მიქცევამდე და მდინარე ჭოროხი ზღვამდის“ [80, 114].

გურიაში ქუთაისის საეპისკოპოსო დასავლეთით შავ ზღვამდე ვრცელდებოდა, რომელიც ბუნებრივი საზღვარი იყო. ხოლო ჩრდილოეთით სასაზღვრო მიჯნას ალბათ მდინარე რიონი წარმოადგენდა. ამ მხრივ საყურადღებოა ვახუშტის ცნობა ჯუმათელ ეპისკოპოსთან დაკავშირებით, რომელიც იყო: „მწყემსი სუფსეის მდინარისა და რიონს შორის ადგილთა“ [6, 790]. ჯუმათში საეპისკოპოსოს დაარსებამდე ჯუმათის ეპარქიის ტერიტორია ქუთათელი ეპისკოპოსის სამწყსოში შედიოდა. რიონს გაღმა ცაიშის და ჭყონდიდის ეპარქიების ტერიტორია იწყებოდა.

იმერეთში ქუთაისის საეპისკოპოსოს დასავლეთით მდ. ცხენისწყალი ჭყონდიდის საეპისკოპოსოსაგან მიჯნავდა [6, 776], რომელზეც შემდგომ იმერეთ-ოდიშს შორის პოლიტიკური საზღვარი გადიოდა [73, 45].

ქუთაისის საეპისკოპოსოს ჩრდილოეთიდან ცაგერის ეპარქია ესაზღვრებოდა. ცაგერელი, რომლის სამწყსოში ლენხუმი, ქვემო სვანეთი და ზემო სვანეთის ნაწილი შედიოდა [6, 749. 82, 21], პირველად XI საუკუნეში იხსენიება [90. 286. 200. 303]. იმერეთ-ლენხუმს შორის არსებული სასაზღვრო მიჯნა ყოფდა ამ ორ ეპარქიას, რომელიც ვახუშტის მიხედვით გადიოდა შემდეგ ადგილას: „...რიონი და მთა ხომლის კლდიდამ წარსრული დასავლეთად გორდამდე“ [6, 748].

თამაზ ბერაძის აზრით, შუა ფეოდალურ ხანაში რაჭა ქუთათელი ეპისკოპოსის სამწყსოში შედიოდა [70, 149]. 1578 წლის ქუთაისის საყდრის გამოსავლები ბეგრის დავთარში მოხსენიებულია „რაჭას ფუტიეთის საქუთათლო კაცნი“ [42, 308].

ქუთაისის საეპისკოპოსოს საზღვრები ამ მდგომარეობაში მთელი X-XV საუკუნეების მანძილზე უცვლელად დარჩა.

XV საუკუნეში, როცა ერთიანი საქართველოს დაშლის პროცესი დაიწყო, გურიის საერისთავოში ადგილობრივ (საკუთარ) საეკლესიო ორგანიზაციას ჩაუყარეს საფუძველი. XV საუკუნის I ნახევრისთვის გურია ქუთათელის სამწყსოს გამოყოფა და იქ ახალი საეპისკოპოსო კათედრები დაარსდა. პირველად (თუ სამივე კათედრა ერთდროულად არ დაარსდა) შემოქმედის საეპისკოპოსო დააფუძნეს, ხოლო შემდეგ ჯუმათის და ხინოს ეპარქიები შეიქმნა [201, 183. 188, 143. 154, 142, 143].

ამ მხრივ ზუსტია ვახუშტის ცნობა, რომ „...შემდგომად განყოფისა სამეფოთა, გურიელთაგან დაიდგინეს სამნივე ესე ეპისკოპოზნი, თუსის დიდებისათჳს“ [6, 791]. ამ კათედრათა დაარსებით ქუთაისის ეპარქიის ტერიტორია და სამწყსო საკმაოდ შემცირდა. საზღვარმა გურია-იმერეთის მიჯნამდე დაიწია, თუმცა ქუთათელმა გურიაში სოფელი ბახვი და მისი მიმდგომი ზოგიერთი სოფელი მაინც შეინარჩუნა [100, 247]. ეპარქიის საზღვრები სხვა მიმართულებით უცვლელი დარჩა.

მომდევნო, XVI საუკუნეში კიდევ უფრო ინტენსიურად დაიწყო ქუთათელი ეპისკოპოსის სამწყსოს შემცირება.

1529 წელს (სხვა დათარიღებით 1519 წელს [6, 810. 80, 335, 342. 31, 45. 152, 15] იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ (1510-1565 წწ.) თავის სამეფოში მნიშვნელოვანი საეკლესიო რეფორმა ჩატარა: „ქორონიკონსა სიზ მეფეთმეფემან ბაგრატ განყო ღისთ-იმერეთი სამ საეპისკოპოსოდ ბრძანებითა აფხაზეთის კათალიკოზისა აბაშიძისათა“ [5, 493].

ამის შემდეგ ქუთაისის საეპისკოპოსოს ტერიტორიაზე გელათისა და ხონის საეპისკოპოსო კათედრები დაფუძნდა. 1529 წლის საბუთის, „წიგნი მაღაქია კათალიკოზისა გენათელი მელქისედიკისადმი სამწყსოსა და საწირავის გაჩენის“ მიხედვით, გენათელის სამწყსო მოიცავდა: „რიონსა და ქუთათის ქალაქსა ზედათ, ყვირილას გამოღმა და ვიდრე კაცხის ზღუარამდე და ხრეთს აქათ რაჭის მთამდის, ოკრიბა სრულიად...“ [42, 247-250]. ამასვე ადასტურებს ვახუშტი: გელათი „ჰყო ბაგრატ საეპისკოპოსოდ, ამას მისცა სამწყსოდ არგვეთის ნახევარი და ოკრიბა, ქუთათელის სამწყსონი“ [6, 754].

ოკრიბა, რომელიც მდინარეების – წყალწითელას, ღეხიდარას აუზებს და რიონის ხეობის მონაკვეთს მოიცავდა, არგვეთის იმ ნაწილთან ერთად, რომელიც მდინარე წყალწითელასა და მდინარე ყვირილას შენაკად ჩოლაბურს (და მის შენაკად ბუჯის-წყალს) შორის იყო მოქცეული, გელათის ეპარქიას გადაეცა [121, 22. 175, 33. 65, 280].

ხოლო არგვეთის მეორე ნაწილი, რომელიც იმერეთში ბაგრატ III-ის მეფობის დროს სასარდლოების ჩამოყალიბების შემდეგ ზემო მხარედ ან ზემო ქვეყნად იწოდებოდა და მოიცავდა ტერიტორიას მდინარე ჩოლაბურის აღმოსავლეთით ვიდრე ღიხის ქედამდე [67, 116-119], ქუთათელი მთავარეპისკოპოსის სამწყსოში დარჩა.

ხონის საეპისკოპოსოს დაარსებისთანავე ქუთაისის ეპარქიის ტერიტორია დასავლეთის მიმართულებითაც შემცირდა. ხონელი ეპისკოპოსი იყო: „მწყემსი ვაკისა“ [6, 750], რომლის სამწყსოს მდინარე ცხენისწყალსა და რიონს შორის მოქცეული იმერეთის ნაწილი შეადგენდა [12, 209]. რიონის სამხრეთით მდებარე ტერიტორია, დაახლოებით მდინარე სულორიდან აღმოსავლეთით, ვიდრე ღიხის ქედამდე და სამხრეთით მესხეთის ქედამდე, ისევ საქუთათლოდ დარჩა.

1534 წელს (სხვა დათარიღებით 1544 წელს – 108, 29. 69, 49, 379) ბაგრატ III-ის ბრძანებით რაჭაში ნიკორწმინდის საეპისკოპოსო დაარსდა [50, 49, 337, 339. 92, 183]. პირდაპირი მონაცემები იმის შესახებ, შედიოდა თუ არა ქუთათელი ეპისკოპოსის სამწყსოში რაჭა, არ მოგვეპოვება. მაგრამ შეიძლება ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრის დაარსება იმ პოლიტიკის გაგრძელება ყოფილიყო, რასაც ბაგრატ III დასავლეთ საქართველოს კათალიკოს მაღაქიასთან ერთად ქუთაისის საეპისკოპოსოს მიმართ ატარებდა. კერძოდ ქუთათელი ეპისკოპოსის ეპარქიის დაყოფა და ახალი კათედრების დაფუძნება.

ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს დაარსების შემდეგ საზღვარი ქუთაისის და გელათის საეპისკოპოსოებთან რაჭის ქედზე გადიოდა, რომელიც რაჭას იმერეთისაგან მიჯნავდა [70, 142].

XVIII საუკუნეების შუა ხანაში ოსმალთა აგრესიის გამო ქუთაისის საეპისკოპოსო დროებით მოიშალა [134, 01-07]. მამული და მრევლი მიმოიბნა. ზოგი ოსმალებს ჩაუვარდა ტყვედ, უმეტესობა საერო ფეოდალებმა იგდეს ხელთ. 1759 წელს საეკლესიო და საერო კრებაზე იმერეთის მეფე სოლომონ I-მა (1752-1784 წწ.) აღადგინა ქუთაისის კათედრა და მას ძველი ყმა-მამული დაუმტკიცა [105, 2-4].

ო. გიულდენშტედტის მიხედვით, რომელმაც 1772 წლის ივლის-სექტემბერში იმოგზაურა იმერეთის სამეფოში, ქუთათელი მიტროპოლიტის ეპარქია მოიცავდა ქუთაისის გარშემო მიწებს და იმერეთის იმ ნაწილს, რომელიც რიონის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობდა [12, 129, 209].

XVI-XVIII საუკუნეებში ქუთაისის საეპისკოპოსო შემდეგ საზღვრებში იყო მოქცეული: ქუთაისი და მდინარე რიონის სამხრეთით და აღმოსავლეთით მდებარე მიწა-წყალი, კერძოდ: ფერსათში „ბარის საერისთავო“, რომელიც მოგვიანებით შეიქმნა იმერეთში და მოიცავდა ტერიტორიას მდინარე სულორიდან აღმოსავლეთით მდინარე კორთხისწყლამდე (დღევანდელი კორისწყალი) და რიონიდან მესხეთის ქედამდე [147, 86], ლომსიანთხევი, გაღმართი საჩინო (ბაღდადის მხარე), სალომინაო, ზემო მხარე ანუ ზემო ქვეყანა (არგვეთის ნაწილი), ხევი (მდინარეების ძირუღასა და ჩხერიმელას ხეობები, ხარაგაულის მხარე).

ქუთაისის ეპარქიას დასავლეთით ხონის საეპისკოპოსო ესაზღვრებოდა, ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით გელათისა და ნიკორწმინდის ეპარქიები, სამხრეთით მესხეთის ქედი მიჯნავდა სამცხე-საათაბაგოსგან (ახალციხის საფაშო). აღმოსავლეთით საეპისკოპოსოს საზღვარი პოლიტიკურ საზღვარს ემთხვეოდა. ქართლსა და იმერეთს შორის ღიხის ქედზე საზღვარი უცვლელი არ ყოფილა. ის ძირითადად დამოკიდებული იყო სათავადო მფლობელობაზე, ასე, რომ იმერეთის ზოგიერთი სასაზღვრო სოფელი მდინარე ჩხერიმელასა და ძირუღას ზემო წელზე ზოგჯერ ქართლის საზღვრებში შედიოდა. ვახუშტის რუკის მიხედვით, XVIII საუკუნეში ნუნისის ცნობილი მონასტერი ქართლის ტერიტორიაზე იყო მოქცეული [73, 41-51]. ამასვე ადასტურებს გიულდენშტედტი, რომელიც ნუნისის ქართლის საზღვრებში ათავსებს [12, 309] და 1770 წლის ქართლ-კახეთის აოხრებულ მონასტერთა სია, რომელთა შორის ნუნისის ღვთისმშობლის მონასტერიცაა მოხსენიებული [129, 55].

ამრიგად, ქუთაისის საეპისკოპოსოს საზღვრების ცვალებადობაში სამი ეტაპი გამოიყოფა:

1. საეპისკოპოსოს საზღვრები დაარსებიდან XV საუკუნემდე.
2. ეპარქიის საზღვრები XV საუკუნიდან XVI საუკუნის I ნახევრამდე.
3. საეპისკოპოსოს საზღვრები XVI საუკუნის II ნახევრიდან ქუთაისის ეპარქიის

გაუქმებამდე (1821 წ.).

მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეთა მანძილზე ქუთაისის საეპისკოპოსომ სამწყსოს დიდი ნაწილი სხვა საეკლესიო კათედრებს დაუთმო, ის მაინც ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა და იმერეთში რუსეთის ხელისუფლების მიერ 1820 წელს განხორციელებულ საეკლესიო რეფორმამდე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეპარქიად რჩებოდა.

თავი III.

ქუთათელ მთავარეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი

ქუთაისის საეპისკოპოსოს მწვემსმთავრებს – ქუთათელ მთავარეპისკოპოსებს, – როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეპარქიის მესვეურებს, სრულიად კანონზომიერად, გამორჩეული პატივი მიეგებოდათ ერთიანი საქართველოს თუ მოგვიანებით იმერეთის სამეფოს კარზე. უმაღლეს საეკლესიო იერარქიაში მაღალი მდგომარეობა მათ საშუალებას აძლევდა, აქტიური მონაწილეობა მიეღოთ როგორც საეკლესიო, ასევე საერო ცხოვრებაში. ქუთათელი მთავარეპისკოპოსების დიდი პატივის მანიშნებელია ის ფაქტი, რომ ერთიანი საქართველოს მეფის კურთხევის ცერემონიაზე მათ პრეროგატივას შეადგენდა მომავალი მონარქისათვის სამეფო გვირგვინის დადგმა. ეს საგანგებოდ არის აღნიშნული „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანში“: „უნათგან ლიხთ-იმერიტგან იყო წესი დადგმად გვრგუნსა თავსა სამეფოსა, აწეს მონაზონი ღირსი და მაღლშემოსილი, მთავარეპისკოპოსი ქუთათელი ანტონი საღირის ძე, მიღებად გვრგუნისა“ [20, 26-27].

ამასვე ადასტურებს ვახუშტი: „ჟამსა ბაგრატიონთასა უნათგან ლიხთ-იმერთა იყო დადგმა გვრგუნისა: ქართლისა და აფხაზთა კათალიკოზნი აკურთხევედნენ, არამედ გვრგუნსა დაადგმიდა ქუთათელი მეფეთა ქუთაისის ტახტისათვს“ [6, 26].

XIV საუკუნის ქართული საისტორიო წყაროს, „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, „ამიერი ბედიელი მოსაფლავეა, და ქუთათელი მოსაფლავეც არის (და დამლოცველიცა). დიდი გიორგი, რომელმან ბასილი ბერძენთა მეფე გააქცია, მისსა საყდარსა შიგან არის; მეფენი დაილოცუნ. და ოდეს პირველი ვახტანგ დალოცეს და მერმე კონსტანტინე, დაისარჩლნეს აფხაზეთის კათალიკოზი და ქუთათელი იოვანე. ქუთათელმა ასე თქვა: „თუ აწ ორჯელ-სამჯერ ჩემს საყდარსა შიგან ორნი მეფენი დაილოცულან, არ მემართლები, გვრგუნნი ან სკიპტრა ჩემსა საყდარსა შიგან არ დასდგა?“ და მერმე ვეზირთ და ერთობილთ ლაშქართთა თქვეს თუ „ქუთათელი უმართლეა“ და სკიპტრა ქუთათელს გაუჩინეს; და მოანება აფხაზეთის კათალიკოზმა, და ქუთაისის ღვთისმშობლის წინ სამჭვალა მოაჭედეს. და მით ერთობ საპატიო არის და იშხნელის სწორი პატივი მართებს“ [58, 14. 163, 217-218. 60, 26].

ი. დოლიძემ „ხელმწიფის კარის გარიგების“ გარკვეული მონაკვეთი შემდეგნაირად აღადგინა: „ამიერი ბედიელი მესაფლავეა მეფისა და ქუთათელი [მაკურთხეველიცა და] მოსაფლავეც არის. დიდი გიორგი, რომელმან ბასილი ბერძენთა მეფე გააქცია, მისსა [ბედიელის] საყდარსა შიგან არის. [ქუთათელის საყდარსა შინა] მეფენი დაილოცუნ...“ [41, 91].

მეფეთათვის გვირგვინის დადგმის უფლება, როგორც თ. ბერაძე ვარაუდობს, ქუთათელ მთავარეპისკოპოსებს ფაზისის მიტროპოლიტებისაგან უნდა მიეღოთ: „ქუთაისის სამთავარეპისკოპოსოს დაარსების შემდეგ ქუთაისელ მთავარეპისკოპოსს საქართველოს მეფის კურთხევის დროს ყველაზე საპატიო მისია – მეფისათვის გვირგვინის დადგმა ჰქონდა დაკისრებული. „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით ქუთათელი ერთიანი საქართველოს მეფის „მაკურთხეველიცა და მოსაფლავეც“ არის. სწორედ მთავარეპისკოპოსმა ანტონ ქუთათელმა დაადგა გვირგვინი თამარ მეფეს.

საფიქრებელია, რომ ეს საპატიო მოვალეობა ქუთათელმა მთავარეპისკოპოსმა მემკვიდრეობით ფაზისის მიტროპოლიტისაგან მიიღო, რომელიც VII-VIII საუკუნეებში ამავე ფუნქციას ასრულებდა ეგრისის (ლაზეთის) მეფეთა – პატრიკიოზთა კურთხევის დროს [72, 191. 74, 2].

თ. ბერაძის ეს მოსაზრება არ გაიზიარა ბ. კუდავამ, მისი აზრით: სხვაა მეფის „მაკურთხეველი და სულ სხვაა გვირგვინის დამდგმელი („დამლოცველი“). როგორც წესი, მეფის კურთხევის უფლება მხოლოდ კათალიკოსს ჰქონდა. აფხაზეთის კათალიკოსსა და ქუთათელს შორის დავა იყო არა იმის თაობაზე, თუ ვინ აკურთხებდა მეფეს, არამედ სამეფო ნიშნების (სკიპტრა, გვირგვინი) შენახვის უფლებაზე. ქუთათელის ფუნქცია კურთხევის დროს მხოლოდ მეფისათვის თავზე გვირგვინის დადგმა იყო. ეს უფლება მას, როგორც ჩანს, ქუთაისის დედაქალაქობის გამო მოუპოვებია და არა იმის გამო, რომ იგი პატივით ყველაზე აღმატებული იერარქი იყო. გარდა ამისა, არსად არ არის აღნიშნული, რომ მეფე აუცილებლად ქუთაისში უნდა ეკურთხებინათ. ამ მხრივ, ნიშანდობლივია აფხაზეთის კათალიკოსთან მოკამათე იოვანე ქუთათელის არგუმენტი: „ორჯელ-სამჯერ ჩემსა საყდარსა შიგან მეფენი დალოცვილან“. იგი არ ამბობს, მეფეები ყოველთვის ქუთაისში ეკურთხებოდნენო. მას მხოლოდ სურს ოპონენტს შეახსენოს, რომ ყოფილა რამდენიმე პრეცედენტი, როცა ქუთაისში მეფე უკურთხებიათ. ამასთან, ქუთათელ ეპისკოპოსებს მეფისთვის გვირგვინის დადგმის პატივი ფაზისელი მიტროპოლიტებისაგან მემკვიდრეობით არ უნდა ჰქონოდათ მიღებული. ქუთათელი ჭყონდიდელ ეპისკოპოსს არ აღემატებოდა პატივით, რაც დასტურდება იმითაც, რომ ქუთათელს იმხნელის სწორი პატივი მართებდა, ხოლო იმხნელი ეპისკოპოსი საეკლესიო იერარქიაში ქართლის კათალიკოსის, აფხაზეთის კათალიკოსის და ჭყონდიდელის შემდეგ იდგა [115, 101-105].

ქუთაისის ღვთისმშობლის ეკლესიაში მეფეთა კურთხევა გამონაკლის შემთხვევას არ წარმოადგენდა. ცნობილია, რომ ქუთაისის ეკლესიაში აკურთხეს თავდაპირველად გიორგი II (1072-1089 წწ.) მეფედ. „მატიანე ქართლისაჲ“-ს თანახმად, „ამისა პირველ სუმოდა ძე მისი გიორგი ბაგრატს, დაუტევა ქუთათისს მეფედ სამეფოსა ზედა აფხაზეთისასა და წარუდა საბერძნეთს“ [25, 303]. ასევე, როცა დავით ნარინი 5 წლის გახდა, დაახლოებით 1230 წელს, დედამისმა, რუსუდან მეფემ (1223-1245 წწ.) იგი ქუთაისში თანამოსაყდრედ აკურთხა: „მოუწოდა ყოველთა სპათა მისთა, აფხაზთა, დადიანბედიანთა, რაჭის ერისთავსა და კათალიკოსსა აფხაზეთისასა და დასუეს მეფედ დავით, ძე რუსუდანისა, აკურთხეს ქუთათისს და დადგეს თავსა მისსა გურგუნი; დასუეს ტახტსა ზედა სამეფოსა და მიულოცეს მეფობა წესისაებრ და სრულყო კათალიკოსმან წესი კურთხევისა“ [29, 180]. „ხელმწიფის კარის გარეგების“ მიხედვით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქუთაისის კათედრალში მეფეებად ეკურთხნენ დავით ნარინის შვილები: ვახტანგ II (1289-1292 წწ.)² და კონსტანტინე (1293-1327 წწ.). ქუთაისის ტაძარში მეფედ ეკურთხა ალექსანდრე I-იც (1412-1442 წწ.) [6, 278. 72, 251].

რადგან კათალიკოსის მოვალეობას შეადგენდა მომავალი მონარქის მეფედ კურთხევა, ამ ცერემონიალის შესრულების დროს ქუთათელი მთავარეპისკოპოსის ფუნქციაში ახალი მეფისთვის სამეფო გვირგვინის დადგმა შედიოდა. ქუთათელ მღვდელმთავრებს ესოდენ საპატიო მისიის შესრულება ფაზისელი მიტროპოლიტებისაგან მემკვიდრეობით უნდა მიეღოთ.

ქუთათელი მთავარეპისკოპოსი ასევე მეფეთა „მოსაფლავეც“ იყო. ქუთაისის საკათედრო ტაძარში დაკრძალულია საქართველოს მეფე გიორგი I (1014-1027 წწ.) [25, 291. 38, 385].

მოსაფლავედ დადგენა ნიშნავდა მეფის საფლავზე მწირველი ეპისკოპოსის დადგენას, რაც, გარდა საპატიო მოვალეობისა, გარკვეულ მატერიალურ სარგებლობასაც გულისხმობდა [124, 654].

² ვახტანგ II როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ საქართველოს მეფე იყო. სანამ აღმოსავლეთ საქართველოში გამეფდებოდა, დავით VI ნარინის ბრძანებით, იგი ჯერ ქუთაისის ტაძარში აკურთხეს მეფედ.

ის, რომ ქუთათელი მღვდელმთავრების სახელო იშხანის მთავარეპისკოპოსის რანგს უთანაბრდებოდა და საეკლესიო იერარქიაში მასთან ერთად მეოთხე საფეხურზე იკავებდა ადგილს, ნათლად მიუთითებს ამ საეპისკოპოსოს როლსა და მნიშვნელობაზე.

ქუთათელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური სია გვხვდება პ. ცხვილოელის (კარბელაშვილის) ნაშრომში: „სია აფხაზეთის კათალიკოზთა, ქუთათელთა და გენათელთა“ [157, 10-11]. მის მიერ გამოცემული ეს ნუსხა ძალზე საყურადღებოა, მაგრამ ხარვეზებსაც შეიცავს. ეს არცაა გასაკვირი, რადგან პ. ცხვილოელისთვის იმ დროს მიუწვდომელი იყო ზოგიერთი საისტორიო წყარო, რომელშიც XI-XVIII საუკუნის რამდენიმე ქუთათელი ეპისკოპოსია მოხსენიებული. სამწუხაროდ, ნაშრომში ავტორს წყაროები მითითებული არა აქვს, თანაც ზოგიერთი ეპისკოპოსის მოღვაწეობის ხანა მეტ დაზუსტებას მოითხოვს.

პ. ცხვილოელის შემდეგ ქუთათელ მღვდელმთავართა სრული ქრონოლოგიური რიგის დადგენა სპეციალური შესწავლის საგანი არ გამხდარა. მხოლოდ ცალკეული ეპისკოპოსების ზეობის წლების დადგენის ცდები გვხვდება სხვადასხვა ავტორთა ნაშრომებში [105, 206. 122, 139. 149, 33, 42. 134, 079, 0106. 168, 121, 131]. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ვ. სილოგავას პუბლიკაცია, რომელიც XI-XII საუკუნეების ქუთათელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური სიის დადგენას ეხება [144]. აღნიშნული ნაშრომი უაღრესად საინტერესოა, მაგრამ რამდენიმე ეპისკოპოსის მოღვაწეობის წლების დადგენასთან დაკავშირებით, განსხვავებული მოსაზრება გაგვანია. ასევე მის მიერ მოცემულ რიგში ერთი ეპისკოპოსი არ არის შეყვანილი. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ საისტორიო წყაროთა სიმწირე ყოველთვის არ გვაძლევს საშუალებას, ზუსტად დავადგინოთ ამა თუ იმ ეპისკოპოსის მოღვაწეობის წლები.

პირველ ქუთათელ ეპისკოპოსთა შესახებ საისტორიო წყაროებში ცნობები ჯერ-ჯერობით არ ჩანს.

თერჯოლის რაიონის სოფელ გოდოგანში, „ოქროს ჯვრის“ სახელით ცნობილი ეკლესიის ნანგრევების გაწმენდისას აღმოჩნდა თეთრი კირქვის ფილა ასომთავრული წარწერით: „იესუ ქრისტე, შეიწყალენ ანტონ ქუთათელი აქა და საუკუნოსა; და შეიწყალენ მონანი მისნი: ებანი, კორეჭი და გუარამბერი; ამენ იყავნ“ [144, 86]. წარწერა ვ. სილოგავამ პალეოგრაფიულად X-XI საუკუნეთა მიჯნით, ან XI საუკუნის I ნახევრით დაათარიდა. შესაბამისად, მან ანტონ ქუთათელი XI საუკუნის I ნახევრის მოღვაწედ მიიჩნია და გამორიცხა მისი გაიგივება XII საუკუნეში მოღვაწე ქუთათელ ანტონ საღირძესთან [144, 89].

1985 წელს ბაგრატის ტაძართან, არქეოლოგიური გათხრებისას კერამიკული ანტიფიქსის ფრაგმენტი აღმოჩნდა, რომელზეც წარწერის ფრაგმენტი „ანტონი“ იკითხება. ვ. სილოგავას ვარაუდით, ეს ანტიფიქსი და წარწერა X-XI საუკუნეებით თარიღდება. იგი ამ „ანტონს“ და გოდოგანის ეკლესიის წარწერაში მოხსენიებულ ანტონ ქუთათელს ერთი და იგივე პიროვნებად თვლის და მას ერთ-ერთ პირველ ქუთათელ მღვდელმთავრად მიიჩნევს, რომელიც ქუთაისის ღვთისმშობლის ტაძრის კურთხევის საზეიმო ცერემონიაში მონაწილეობდა [145, 61-64. 144, 95]. ვფიქრობთ, რომ გოდოგანის წარწერაში მოხსენიებული ანტონ ქუთათელი შესაძლებელია ერთ-ერთი ადრეული ხანის ქუთათელ ეპისკოპოსად მივიჩნიოთ.

ქუთაისის ეპარქიის მომდევნო მთავარეპისკოპოსია სამოელ ქუთათელი, რომლის მოსახსენიებელი შეტანილია ათონის ქართველთა მონასტრის 1074 წლის ხელნაწერ სააღაპე წიგნში (სინოდის წიგნი): „თუესა აგვისტოსა კ: აღაპი განგვწესებია სამოელ ქუთათელი მთავარეპისკოპოსისა: ქველმოქმედებისა და წყალობისა მათისათვის, უთარცა მაშენებელთა, ეგრეთ გარდაიკდებოდეს ყოვლითა მოსწრაფებითა სალოცველად მათდა საუკუნოდ, ამინ“ [3,241].

აღაპს თარიღი არ უზის. იგი 20 აგვისტოს არის სამოელ მთავარეპისკოპოსისათვის განწესებული. მოსახსენიებული იოანე თაფლაისძის ხელითაა დაწერილი XII საუკუნის I

ნახევარში, მაგრამ გადმოწერილია მიქაელ დაღალისონელის სააღაპე წიგნის შვიდ-ფურცლეულიდან, რომლის დაწერის ზედა ქრონოლოგიური ზღვარია 1074 წელი. ამ ალაპს წინ უსწრებს ორი ალაპი, რომლებიც XI საუკუნის 50-იან წლებშია განწესებული. განგება: „კთარცა მაშენებლთაჲ“ დაღალისონელის რედაქციაში ათონის წინამძღვრის, მამა არსენის (1056-1060 წწ.) დროიდან ჩანს. ამასთან, ალაპების უდიდესი ნაწილი დაღალისონელის სინოდის კონსტანტინოპოლისში შეტანილია შემომწირველის დამსახურების კონკრეტიზაციის გარეშე, რაც უფრო ტიპურია 1057 წლიდან განწესებული ალაპებისათვის [132, 238].

პ. ცხვილოელმა სამოელ მთავარეპისკოპოსის მოღვაწეობა 1044-1072 წლებით დაათარიდა [157, 10-11]. მაგრამ სამოელი 1060 წლის შემდეგ ვერ იქნებოდა ქუთაისის ეპისკოპოსი, რადგან, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ამ დროისათვის ქუთაისის კათედრას სხვა ქუთათელი მღვდელმთავარი განაგებდა.

ვ. სილოგავამ სამოელ ქუთათელი ჩორჩანელთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლად მიიჩნია, ხოლო მისი მოღვაწეობა ქუთაისის საეკლესიო კათედრაზე X საუკუნის მიწურულიდან XI საუკუნის 40-იან წლებამდე განსაზღვრა (ან ამ დროის რომელიმე მონაკვეთში) [144, 91].

სამოელ ქუთათელი მთავარეპისკოპოსის შესახებ სხვა ცნობები არ მოგვეპოვება, ამიტომ მისი მოღვაწეობის ზუსტი თარიღის დადგენა შეუძლებელია. ზოგადად, თუ ჩავთვლით, რომ გოდოგანის წარწერაში მოხსენიებული ანტონ I ქუთათელი XI საუკუნის დასაწყისის მღვდელმთავარია, მაშინ სამოელი ქუთაისის საეპისკოპოსო კათედრას ალბათ ამ საუკუნის I ნახევრის შუა წლებისთვის განაგებდა.

მომდევნო ქუთათელი ეპისკოპოსი უნდა იყოს XI საუკუნის იერუსალიმში გადაწერილი ხელნაწერის, „ეპისტოლენი წმინდა მაკარისანის“ [jer-73] კრიპტოგრაფულ მინაწერებში მოხსენიებული თეოდორე. ერთ-ერთი კრიპტოგრამა შესრულებულია ტექსტისეული ხელით და იკითხება შემდგენაირად: „ქრისტე, აღიდე თეოდორე ქუთათელი“. მეორე კრიპტოგრამა კი – „ქრისტე, შეიწყალე თეოდორე, ამინ“. ეს თეოდორე მოხსენიებულია ასევე A-134 სახელით ცნობილი ხელნაწერის მინაწერში. ეს ორივე მინაწერი შესრულებულია პრომანას ქართველთა მონასტერში (კონსტანტინეპოლთან ახლოს) სვიმონ დვალის მიერ, XI საუკუნის II ნახევარში (უფრო ზუსტად, A-134 გადაწერილია 1066 წელს), მამა გელასის წინამძღვრობის დროს [64, 41-42, 180-181]. კრიპტოგრამის შესრულების დროისთვის, თეოდორე ქუთათელი, როგორც ჩანს, ცოცხალი აღარაა.

ვ. სილოგავას ვარაუდით, თეოდორეს ქუთათელობა მის წარმომავლობას (ქუთათურობას, ქუთაისელობას) აღნიშნავს და არა სასულიერო წოდებას. ასევე ყველა მინაწერში სადაც ქუთათელია დასახელებული, ყოველთვის აღნიშნულია მათი მთავარეპისკოპოსობა, ხოლო თეოდორესთან დაკავშირებით კი არა [144, 90].

ჩვენი მოსაზრებით, თეოდორეს ქუთათელ-ეპისკოპოსობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს. არგუმენტი, რომ ქუთათელი მღვდელმთავრები ყოველთვის მთავარეპისკოპოსის ტიტულით არიან მოხსენიებული, ზოგჯერ ვერ გამოდგება. საისტორიო წყაროებში რამდენიმე ეპისკოპოსი უბრალოდ ქუთათელად არის დასახელებული [3, 257, 263. 133, 79. 103]. აღსანიშნავია, რომ პ. ცხვილოელის ქრონოლოგიურ ნუსხაშიც თეოდორე ქუთათელი დასახელებული არ არის.

თეოდორე ქუთათელი, გამომდინარე იქიდან, რომ იგი XI საუკუნის 60-იან წლებში ცოცხალი აღარაა, საეპისკოპოსოს ამ საუკუნის შუა წლებში ედგა სათავეში. მის შემდეგ ქუთაისის საეპისკოპოსო კათედრას ილარიონ ეპისკოპოსი განაგებდა. XI საუკუნის ქართველი ავტორის, გიორგი მცირის აგიოგრაფიულ თხზულებაში: „ცხორებაჲ გიორგი მთაწმინდელისაჲ“, მოხსენიებულია ილარიონ ქუთათელი. როდესაც მეფე ბაგრატ IV-ის (1027-1072 წწ.) მოწვევით საქართველოში ჩამოვიდა გიორგი მთაწმინდელი, მას ფოთში

ბაგრატ IV-ის მწიგნობართან ერთად მიეგება „მღუდელთმოდგარიცა ქუთაისისაჲ სახელთ ილარიონ, რომელიც უკანასკნელ მოწაფე იქნა ბერისაჲ“. საპატო სტუმარი ილარიონმა ქართლის საზღვრებამდე მიაცილა [11, 159].

პ. ცხვილოელმა ილარიონ ქუთათელის მოღვაწეობა 1020-1043 წლებით დაათარიღა და იგი წყაროებში მოხსენიებულ ქუთათელ ეპისკოპოსთაგან ყველაზე ადრეულ წარმომადგენლად მიიჩნია [157, 10-11]. მაგრამ ეს დათარიღება ეწინააღმდეგება იმ ფაქტს, რომ გიორგი მთაწმინდელი, როგორც ცნობილია, საქართველოში 1060 წელს ჩამოვიდა, 1065 წელს კი უკან გაბრუნდა [10, 85, 113, 121]. შესაბამისად, პ. ცხვილოელის მიერ მოცემული ეს წლები სწორი ვერ იქნება და ილარიონის მოღვაწეობა XI საუკუნის II ნახევარს მიეკუთვნება. ვ. სილოგავას ქუთათელთა ქრონოლოგიურ რიგში ილარიონი დასახელებული არ არის.

ილარიონ ქუთათელის შემდეგ საისტორიო წყაროებში მხოლოდ XII საუკუნის ქუთათელი მთავარეპისკოპოსები გვხვდებიან.

1160-1161 წლების ახლო ხანაში გადაწერილ ტბეთის სახარების ანდერძ-მინაწერში, რომელიც ამ სახარების მომგებელ პავლე მტბევარს ეკუთვნის, მოხსენიებულია მეფე დემეტრე I (1124-1156 წწ.) და მისი ძე გიორგი III (1156-1184 წწ.). ამავე მინაწერში პავლე ტბეთის ეპისკოპოსი თავის სხვა ნათესავებს შორის ასევე ახსენებს ნიკოლოზ ქუთათელს: „...დისწულთა ჩემთა [ნიკოლოზ] ქუთათელ მთავარეპისკოპოსისა... და არსენი ქუთათელ მთავარეპისკოპოსისა; იოანე ანჩელ მთავარეპისკოპოსისა, ანტონი ოპიზის წინამძღურისა, არსენი დ[იმი]ტ[რ]ის მეფისა მწირველ[ის]სა და ყოველთა თვსთა და ნათესავთა ჩემთათვს...“ [158, 177, 157-158, 49, 356].

პ. ცხვილოელისათვის ეს ქუთათელი მთავარეპისკოპოსები ქუთათელთა სიის გამოქვეყნების შემდეგ გახდა ცნობილი და ამიტომ ისინი მის ნუსხაში ვერ მოხვდნენ. მისი მოსაზრებით, პავლე მტბევარის დისწულებიდან ერთ-ერთი, ანტონ ოპიზის წინამძღვარი, არის ანტონ საღირისძე, შემდგომში ცნობილი ქუთათელი მთავარეპისკოპოსი, ხოლო მინაწერში მოხსენიებული ნიკოლოზ და არსენ ქუთათელი მთავარეპისკოპოსები მისი ძმები არიან [158]. პ. ცხვილოელის ეს მოსაზრება კ. კეკელიძემაც გაიზიარა [112, 309, 323].

ჩვენ უფრო მისაღებად მიგვაჩნია ვ. სილოგავას მოსაზრება, რომ პავლე მტბევარის ზემოთ ჩამოთვლილი დისწულები მხოლოდ საღირისძეთა გვარს არ ეკუთვნოდნენ. ამას კი ამტკიცებს ის ფაქტი, რომ ქუთათელ მთავარეპისკოპოსსა და დემეტრე მეფის მწირველს ერთი და იგივე სახელი – არსენი ჰქვიათ, რაც გამორიცხავს მათ ერთ დედმამიშვილობას. ასევე ნაკლებად სავარაუდოა მთელი XII საუკუნის მანძილზე ქუთათელობა სამ ძმას ჰქონოდა ერთი მეორეის მიყოლებით [144, 90]. მით უფრო, როგორც ირკვევა, პავლე მტბევარს სამი და ჰყავდა [177, 157]. ამიტომ უფრო საფიქრებელია, რომ ზემოთ მოხსენიებული პირები დეიდაშვილები იყვნენ და არა ძმები.

ვ. სილოგავამ ნიკოლოზ ქუთათელი მთავარეპისკოპოსის მოღვაწეობა XII საუკუნის I ნახევრით, ხოლო არსენის ქუთათელობა XII საუკუნის შუა ხანით დაათარიღა [144, 94]. რადგან ტბეთის სახარების მინაწერში ნიკოლოზ ქუთათელი არსენ ქუთათელზე ადრეა დასახელებული, მას ქუთაისის კათედრაზე უფრო ადრე უნდა ემოღვაწია. გამომდინარე აქედან, ვ. სილოგავას მოსაზრება სავსებით მართებულად მიგვაჩნია.

მომდევნო ქუთათელი მღვდელმთავრის შესახებ ცნობას ათონის ივერთა მონასტრის სააღაპე წიგნი გვაწვდის. სინოდისკონში განწესებულია მოსახსენებელი აბულასან ქუთათელისათვის: „თუესა დეკემბერსა: კთ, დღესასწაულსა წმინდათა ჩვილთა ყრმათასა, ალაპი აბულასან ქუთათელისაჲ, ამისთვის, რამეთუ შემოსწირა პერპერაჲ მ... და აღესრულებოდეს ალაპი მისთვის, უთა სხუათა შემომწირველთაჲ, რამეთუ მოგუცა ჰელითა ნიკოლოზ გულაბერისძისაჲთა და განუწესე მე, მამამან პავლე და ყოველთა ძმათა“ [3, 257-258].

აღაპი განწესებულია 29 დეკემბერს. აბულასანის შეწირული 40 პერპერა ნიკოლოზ გულაბერისძეს გადაუცია მონასტრისთვის და აღაპი განუწესებია მამა პავლეს. აბულასან ქუთათელის შესახებ წყაროებში მეტი ინფორმაცია არ ჩანს. ნ. ბერძენიშვილის აზრით, აბულასან ქუთათელი არ შეიძლება სასულიერო პირი ყოფილიყო, რადგან ამას მისი არაბული მუსლიმური სახელი ეწინააღმდეგებოდა, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ ქუთათელის გვარის მქონე საერო პირი საერთოდ არ არის ცნობილი [132, 258-259]. შ. მესხიამ აბულასან ქუთათელი სასულიერო ხელისუფლად ჩათვალია [131, 114]. აბულასან ქუთათელი პ. ინგოროყვამ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ნიკოლოზ გულაბერისძესთან დაახლოებულ პირად მიიჩნია და მოსახსენიებლის შეტანა სააღაპე წიგნში 1190-იანი წლებით განსაზღვრა, როცა ნიკოლოზ გულაბერიძე ათონს ეწვია [98, 654, 715].

ე. მეტრეველის გამოკვლევით, ნიკოლოზ გულაბერისძე კათალიკოს-პატრიარქობიდან გადადგომის შემდეგ, 1178 წლის მერე იერუსალიმის მაგივრად ათონის ლავრას ეწვია. მან თამარ მეფის, აბულასან ქუთათელის და სხვათა შესაწირავი ჩაიტანა მამა პავლესთან, რომელმაც გულუხვი შესაწირავისთვის აბულასანს აღაპი განუწესა [132, 99-100, 124].

აბულასანთან დაკავშირებით ვ. სილოგავამ ივარაუდა, რომ იგი ნიკოლოზ გულაბერისძის დასის ერთ-ერთი მომხრე და მომდევნო კათალიკოსის, მიქაელ მირიანის ძის მოწინააღმდეგე იყო. ხოლო 1178 წლისთვის, როცა ნიკოლოზი კათალიკოსობიდან გადადგა, მასთან ერთად აბულასანმაც დატოვა ქუთათელ-ეპისკოპოსობა. მკველვარმა ქუთაისის საეპისკოპოსო კათედრაზე აბულასანის მოღვაწეობა XII საუკუნის 70-იანი წლებით და 80-იანი წლების დასაწყისით დაათარიდა [144, 93-94]. აბულასანის მოღვაწეობა XII საუკუნის 70-იან წლებში მისაღებად გვეჩვენება, რადგან ამის შემდეგ ქუთაისის კათედრაზე პავლე ეპისკოპოსი ჩანს, რომლის მოსახსენიებელი 1183 წლისთვის არის შეტანილი ათონის ივერიის ღვთისმშობლის მონასტრის სააღაპე წიგნში: „თუესა იანვარსა იე, წმიდისა პავლე თებელისა, განუწესთ პანაშვიდი პავლესა ქუთათელს, უთა სხუათა შემომწირველთა ამის ესოდენისა ევლოგისთა, რამეთუ მოსცა დრაჰკანი პერპერად მამის პავლეს ჰელითა ინდიქტიონსა ა...“ [3, 263].

ეს აღაპი ე. მეტრეველის გამოკვლევით განწესებულია 1183 წლის 15 იანვარს პავლე ქუთათელისათვის, რომელმაც მამა პავლეს ხელით 40 პერპერა შესწირა სავანეს [132, 263]. მამა პავლე ათონის ქართველთა მონასტერს 1170 წლიდან 1184 წლის 25 აპრილამდე წინამძღვრობდა [132, 124. 109, 235].

პ. ცხვილოელის ქუთათელთა ნუსხაში პავლე ქუთათელი დასახელებული ასევე არ არის [157, 10-11]. ვ. სილოგავას ვარაუდით, პავლე ეპისკოპოსი ქუთაისის ეპარქიას XII საუკუნის 90-იან წლებში მესვეურობდა [144, 94].

როგორც ჩანს, პავლე ქუთათელს დიდხანს არ უმოღვაწია ქუთაისის საეპისკოპოსო კათედრაზე. ჩვენი ვარაუდით, ის კათალიკოს მიქაელ მირიანის ძის მომხრე უნდა ყოფილიყო.

1184 წლიდან ქუთაისის მთავარეპისკოპოსად ანტონ საღირის ძე ჩანს. იგი პირველად „ქართლის ცხოვრებაში“ თამარის მეფედ მეორედ კურთხევასთან დაკავშირებით იხსენიება [20, 26-27]. 1185 წლისთვის გამართულ საეკლესიო კრებაზე ანტონ ქუთათელი ნიკოლოზ გულაბერისძესთან ერთად აქტიურად იყო ჩართული კათალიკოს-პატრიარქ მიქაელის გადასაყენებლად დაწყებულ მოძრაობაში: „ხოლო შემორაკრბეს ორისავე სამთავროსა ეპისკოპოსნი, რომელთა პირად აქუნდა ზემო მოვსენებული ნიკოლოს, მსგავსი სეხნისა თვისისა, და ანტონი ქუთათელი საღირისძე, დიდად განთქმული სათნოებათა შინა და ძლიერი საქმითა და სიტყუთა. ხოლო წინამძღუართა კრებისათა ნიკოლოს და ანტონი, რომელნი უთარ პირმეტყუელნი მთიები... არ ინებეს შორის მათსა ყოფად მაშინდელი იგი ქართლისა კათალიკოსი, რამეთუ წინაუკმო რამე იყო წესთაგან

ეკლესიისათა...“ [54, 118]. როგორც ცნობილია, ამ კრებაზე ანტონ ქუთათელმა და ნიკოლოზ გულაბერისძემ მიქაელს კათალიკოს-პატრიარქობა ვერ დაატოვებინეს.

შემდგომში ანტონ მთავარეპისკოპოსი 1190-1191 წლებს შორის მომხდარი აჯანყების დროს იხსენიება [159, 261], როცა გიორგი რუსი და ქართველ ფეოდალთა ერთი ნაწილი თამარ მეფის ხელისუფლებას დაუპირისპირდა: „ოდესმე თვედორე პატრიარქსა და ანტონ ქუთათელსა, რომელი იგი ოდენ დარჩა მას ჟამსა ერთგულად ლიხთ-იმერით, სისხლითა დათხევამდის, და სხუათა ეპისკოპოსთა გზავნიდის, ოდესმე შინაურსა ეჯიბსა და მესტუმრესა, და მათგან ვერას პირის მპოვნელი“ [20, 50]. ამ აჯანყების დროს დასავლეთ საქართველოს დიდებულთაგან მხოლოდ ანტონ საღირისძემ უერთგულა სამეფო ხელისუფლებას და თამარმა ის ამბოხებულებთან მოსალაპარაკებლად გაგზავნა. თუმცა ანტონმა, დიდი პიროვნული ღირსების და ავტორიტეტის მიუხედავად, აჯანყებულთა შემორიგება ვერ მოახერხა.

პ. ცხვილოელმა ანტონ საღირისძის ქუთათელობა 1175-1221 წლებით დაათარიდა [157, 10-11], რაც არასწორია. ანტონი ქუთაისის საეპისკოპოსოს დაახლოებით 1184-1191 წლებში (ან 1184 წლიდან XII-XIII საუკუნის მიჯნამდე) განაგებდა.

XIII საუკუნის ქუთათელი მთავარეპისკოპოსების შესახებ ცნობები თითქმის არ მოგვეპოვება, მხოლოდ ერთადერთი მღვდელმთავრის შესახებაა ძალზე მწირი ინფორმაცია შემორჩენილი.

კატამონის წმინდა სვიმეონ მიმრქმელის მონასტერში (იერუსალიმი) შემორჩენილია ქვაზე შესრულებული წარწერების ფრაგმენტი, რომელიც საკურთხეველში ტრაპეზის მარცხნივ იატაკში იყო ჩადგმული. ეს წარწერები 1859 წელს, მონასტრის რესტავრაციის დროს აღმოჩნდა. დღეისათვის წარწერის სამი ფრაგმენტიდან მხოლოდ ერთია შემორჩენილი და ეს ქვა ეკლესიის ინტერიერის ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში დევს. წარწერა ძლიერ დაზიანებულია და შემორჩენილია მხოლოდ მოხდენილი, ბოლოწერტილოვანი ასომთავრული წარწერის სამი სტრიქონი. პალეოგრაფიულად წარწერა XII საუკუნეს, ან არაუგვიანეს XIII საუკუნის I ნახევრის ხანას განეკუთვნება:

„...თ ცხ [ოვე] ლ ს მ ყ [ო] ფ [ე] ლისა ჯ [უარი] თა [დიდე] ბ [უ] ლმ [ა] ნ [ქუ] თათ[ე] ლმ [ა]ნ [ქრ] [ლ]თსა. ჩ[უენ]ისა დი...“ [87, 41-42].

კატამონის წარწერაში მოხსენიებული ეპისკოპოსის სახელი სამწუხაროდ დაზიანებული სახითაა მიღწეული, მაგრამ შემორჩენილი პირველი ასოს მიხედვით, საფიქრებელია მას ქრისტეფორე ერქვა.

მომდევნო ხანის ქუთაისის ეპისკოპოსის შესახებ ცნობა „ხელმწიფის კარის გარიგებაშია“ დაცული. ჩვენ ზემოთ განვიხილეთ ამ დოკუმენტის ეს მონაკვეთი, სადაც იოვანე ქუთათელი აფხაზეთის კათალიკოსს სამეფო რეგალიების შენახვის თაობაზე ედავებოდა. ქუთაისის საეპისკოპოსოს სათავეში იოვანე ქუთათელის მოღვაწეობა, „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ მოხსენიებული ვახტანგ II-ისა და კონსტანტინე I-ის ზეობის წლების მოხედვით, ზოგადად შესაძლებელია დათარიღდეს XIII საუკუნის დასასრულით და XIV საუკუნის დასაწყისით, ან XIV საუკუნის I ნახევრით. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ „ხელმწიფის კარის გარიგება“, როგორც ეს ქართულ ისტორიოგრაფიაშია მიღებული, გიორგი V ბრწყინვალის მეფობის ხანას (1318-1346 წწ.), ანუ XIV საუკუნის I ნახევარს განეკუთვნება.

თხზულების ტექსტიდან ჩანს, რომ ქუთათელი ეპისკოპოსისა და აფხაზეთის კათალიკოსის დავაში საერო პირებსაც: ვეზირებს და ლაშქარსაც მიუღია მონაწილეობა. ეს გვაფიქრებინებს, რომ ამ მაღალი რანგის სასულიერო იერარქებს შორის დაპირისპირებას ფართო მასშტაბი მიუღია. თუმცა შეთანხმება მაღევე მომხდარა და ქუთათელს თავის კათედრალურ ტაძარში სამეფო სკიპტრის შენახვის უფლება მოუპოვებია. ბ. ლომინაძის ვარაუდით, ქუთაისის მთავარეპისკოპოსს თავის ტაძარში სრულიად საქართველოს მეფის გვირგვინის შენახვის უფლებაც მიუღია [124, 654].

აღსანიშნავია ისიც, რომ აფხაზეთის კათალიკოსთან მიმართებაში ქუთათელის ზოგიერთი უფლება შემცირებულა და სადავო გამხდარა [163, 182]. მაგრამ იქვე განსაზღვრული ქუთათელი მღვდელმთავრის პატივი და მნიშვნელობა: მას ქართულ საეკლესიო იერარქიაში იშხნელ მთავარეპისკოპოსთან ერთად მეოთხე ადგილი ეკავა. ამავე დროს, მეფეთა „დამლოცველი“ (გვირგვინის დამდგმელი) და ბედიელ მთავარეპისკოპოსთან ერთად მეფეთა „მესაფლავე“ (საფლავეზე მწირველი ეპისკოპოსი) იყო.

იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრის სვინაქსარის აღაპში მოხსენიებულია მიქაელ ქუთათელი. მისი აღაპი შეტანილია XXXV ტაბულაში: „თუესა სეკდენბერსა ვ და ზ. ქ. ამასვე დღესა პანაშუდი მიქაელ ქუთათელისა საუკუნო, გარდაიკვდებოდეს დაუკლებლად, და ჳნცა დააკლოს, ღმერთმან ჰკითხოს“ [133, 78].

აღაპი განწესებულია მიქაელ ქუთათელისათვის 6 და 7 სექტემბერს მის მოსახსენებლად. აღაპის გამჩენი ცნობილი არ არის. გარდა ამ მოსახსენებლისა, XXXV ტაბულაში არის კიდევ ერთი აღაპი, რომელიც განწესებულია ფილიპე გარეყანისძისთვის. ხელნაწერის მიხედვით ამ ტაბულის აღაპი XIV საუკუნეს ვერ გადასცდება. სავარაუდოდ, ფილიპე უნდა იყოს ძე იმ გარეყანის, რომელიც მოხსენიებულია XIII საუკუნის დამლევიტ და XIV საუკუნის დამდეგით დათარიღებულ აღაპში. დაახლოებით ამავე დროით უნდა შემოიფარგლოს ფილიპეს აღაპიც [133, 113].

სხვა ცნობები მიქაელ ქუთათელ ეპისკოპოსზე საისტორიო წყაროებში არ ჩანს. თუ მის აღაპს გარეყანისძეთა აღაპების თანადროულად ჩავთვლით, მიქაელ ქუთათელი ალბათ XIV საუკუნის I ნახევარში განაგებდა ქუთაისის საეპისკოპოსო კათედრას.

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სვინაქსარის აღაპების ჯგუფში განთავსებულია კიდევ ერთი მოსახსენიებელი, რომელიც ბიძა-ძმისწულ ქუთათელ ეპისკოპოსებს: ოქროპირს და მახარობელს ეკუთვნის: „თუესა ივლისსა ბ. ამასვე დღესა აღაპი საუკუნო ქუთათელისა ოქროპირისა და მისი ძმისწულისა ქუთათელისა მახარობლისა და მოხსენებად ყოველთა სვანქსრისა წარკითხვასა ზედა. და ნუ ვინ დაგუაკლებთ ღმრთისათს გვედრებით, და ვინც აღგუსრულოთ, შეგინდენეს ღმერთმან“ [133, 103].

ქუთათელი ეპისკოპოსების: ოქროპირისა და მახარობლის აღაპები განწესებულია 2 ივლისისათვის და თარიღდება XIV საუკუნის მიწურულით და XV საუკუნის დამდეგით. ეს ორივე ქუთათელი XIV საუკუნის II ნახევრის მოდგაწე ყოფილა [133, 119].

სხვა ხელმოსაჭიდი ცნობა ამ ეპისკოპოსების შესახებ არ მოგვეპოვება. სავარაუდოდ, ოქროპირ ქუთათელი საეპისკოპოსო კათედრას უფრო ადრე, დაახლოებით XIV საუკუნის შუა წლებისათვის განაგებდა, ხოლო შემდეგ ეპარქიის მღვდელმთავარი მისი ძმისწული მახარობელი გახდა. პ. ცხვილოელის ქუთათელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიურ სიაში იოვანე, მიქაელი, ოქროპირი და მახარობელი დასახელებულნი არ არიან.

გ. კელენჯერიძეს, გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსსადმი მიძღვნილ ნაშრომში, ვახუშტი ბაგრატიონზე დაყრდნობით ჩართული აქვს ცნობა, რომ იმერეთის მეფე გიორგი I-მა, ძმამ ალექსანდრე მეფისამ, 1390 წელს ქუთაისის მღვდელმთავარი არსენი გამოაცხადა აფხაზეთის კათალიკოსად [114, 102].

მაგრამ ვახუშტისთან არსენის ქუთათელ ეპისკოპოსობაზე არაფერია ნათქვამი. ვახუშტი წერს: „ამავე გიორგიმ დასუა კათალიკოსად არსენი ქსა ჩ ~ტქ“ (1390 წ.) [6, 803].

თოფურიძეთა სასისხლო სიგელში, რომელიც გაცემულია ალექსანდრე მეფის მიერ კაცობერ თოფურიძისადმი, საბუთის ბოლოს მოხსენიებულია მანუელ ქუთათელი ეპისკოპოსი: „აწე ქრისტეს მიერ კურთხევით კურთხეულნი ქართლისა ქათალიკოზონო და ეპისკოპოზონო: თქვენითა ჯვართა, თქვენითა ომფორითა თქვენც ასრე დაუმტკიცეთ: ლიხთ-იმერისა ქათალიკოზონო და ეპისკოპოზონო, თქვენც ასრე დაუმტკიცეთ ბრძანება და სიგელი: სვიმონ მაწყვერელო, მანუელ ქუთათელი, დავით ცხეთელი, ელია ჭყონდელი, ბართლომე ცაიშიელი, რომანოზ მოქველო, გრიგოლ ბედიელი, საბა ხობელი, ევდემოს ცხეთელი, თევდორე დრანდელი“ [93, 1-3. 50, 232-235. 36, 35].

სიგელი პირველად ექ. თაყაიშვილმა გამოაქვეყნა. მან დოკუმენტი საქართველოს მეფე ალექსანდრე I-ს მიაკუთვნა და მისი მეფობის წლებით: 1413 (უნდა იყოს 1412 წ.) - 1442 წლებით დაათარიდა [93, 1-3]. თ. ჟორდანიამ ნაწილობრივ გაითვალისწინა ექ. თაყაიშვილის ვარაუდი და სიგელი 1428-1430 წლებით გადაათარიდა, მაგრამ იქვე გამოთქვა ვარაუდი, რომ ეს სასისხლო საბუთი შეიძლება იმერეთის მეფე ალექსანდრე II-ის (1484-1510 წწ.) გაცემული ყოფილიყო [50, 233-235]. თოფურიძეთა სიგელი ს. კაკაბაძემ 1490 წლით დაათარიდა და იგი იმერეთის მეფე ალექსანდრე II-ის ბოძებულად ჩათვალა [107, 65]. პირთა ანოტირებულ ლექსიკონში ეს დოკუმენტი 1484-1510 წლებით, ალექსანდრე II-ის მეფობის ხანით არის დათარიღებული [28, 460]. მ ბოლო დროს თ. ჯოჯუამ გაარკვია, რომ თოფურიძეთა სასისხლო სიგელი 1484-1488 წლებს შორის იმერეთის მეფე ალექსანდრე II-ის მიერ არის გაცემული [168, 119].

თ. ჟორდანიამ მანუელ ქუთათელთან დაკავშირებით გამოთქვა ვარაუდი, რომ იგი შეიძლება ყოფილიყო ჯერ 1529 წელს ხონელ ეპისკოპოსად, ხოლო 1534 წელს ნიკორწმინდელად დანიშნული მანუელ ჩხეტიძე [50, 379]. ეს ვარაუდი ექ. თაყაიშვილმაც შესაძლებლად მიიჩნია [91, 102].

პ. ცხვილოვლმა მანუელის ქუთაისის კათედრაზე მოღვაწეობა 1431-1464 წლებით დაათარიდა [157, 10-11]. მაგრამ, როგორც თოფურიძეთა სასისხლო სიგელიდან ჩანს, იგი 1484-1488 წლებს შორისაც განაგებდა ქუთაისის ეპარქიას და მისი მოღვაწეობა XV საუკუნის II ნახევრის დასაწყისიდან დაახლოებით 1488 წლამდე უნდა დათარიღდეს. 1488 წლიდან ქუთაისის საეპისკოპოსოს უკვე სხვა მღვდელმთავარი განაგებდა.

ქუთაისის საეპისკოპოსო კათედრას 1488 წლიდან ხელმძღვანელობდა ბართლომე ქუთათელი. მთავარეპისკოპოსი ბართლომე მოხსენიებულია იმერეთის მეფე ალექსანდრე II-ის მიერ 1488 წელს ფალავანდიშვილებისადმი გაცემული სასისხლო სიგელის მტკიცებულებით ნაწილში: „ამის მოწმენი არიან და შუა დამხდურნი არიან: პატრონი დადიან-გურიელი გიორგი, ქუთათელი მთავარეპისკოპოსი ბართლომე, ჭილაძე ლიპარი, რაჭის ერისთავი ჩხეტიძე ივანე“ [ხელნ. ინსტ. Hd-8731. 28, 219-220. 168, 120-121].

ქუთათელად კურთხევამდე ბართლომეს, როგორც ეს თოფურიძეთა სასისხლო სიგელიდან ჩანს, ცაიშელი ეპისკოპოსის სახელო ეკავა და ცაიშის ეპარქიას დაახლოებით 1484-1488 წლებს შორის განაგებდა [168, 120].

ბართლომე ქუთათელ მთავარეპისკოპოსს 1488 წლის შემდეგაც გაუგრძელებია წინსვლა საეკლესიო იერარქიაში. გარეჯული კრებულის: „სანატრელის“ (Ven. 4) მინაწერის თანახმად, როგორც ეს თ. ჯოჯუამ გაარკვია, მას აფხაზეთის კათალიკოსობაც მიუღია და დასავლეთ საქართველოს ეკლესიას დაახლოებით 1488-1519 წლებს შორის განაგებდა [168, 121].

ცნობების უქონლობის გამო ვერ დგინდება ზუსტად რამდენ ხანს განაგებდა ბართლომე ქუთაისის ეპარქიას და კათალიკოსობის პარალელურად ფლობდა თუ არა ქუთათელი მთავარეპისკოპოსის თანამდებობას.

სავარაუდოდ, ბართლომე ქუთაისის საეპისკოპოსოს 1488 წლიდან 1501 წლამდე ედგა სათავეში. ალექსანდრე II იმერთა მეფის მიერ ბაქრაძეთათვის 1501 წლის 7 ივნისს გაცემულ სასისხლო სიგელში სახელის გარეშე მოხსენიებული ქუთათელი ეპისკოპოსი [18, 23] ბართლომეს მომდევნო ქუთათელი მღვდელმთავარი, გერასიმე ჩხეტიძე უნდა იყოს. იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტში დასახელებულ ქუთათელ ეპისკოპოსად ბართლომეს მივიჩნევთ, მას საბუთში აუცილებლად მოიხსენიებდნენ „კათალიკოს-ქუთათელად“, რადგან იგი ამ დროისთვის დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი იყო.

XVI საუკუნის დასაწყისში იმერეთში ტრაპიზონის ფაშა სელიმის მეთაურობით ოსმალთა ჯარი შემოიჭრა და 1510 წელს: „ქრონიკონსა რჳჭ ნოემბერსა: კგ: დაწვეს საყდარი ქუთათისი და გელათი“ [50, 327]. 1510 წლის 29 ნოემბერს ოსმალების მიერ ქუთაისის და გელათის ტაძრების დაწვეას გელათის წმინდა გიორგის გულანის გარდა

XVIII საუკუნის II ნახევრის კინკლოსური მინაწერი [183, 1-19. 47, 256-261. 27, 55] და ერთი ქრონიკალური ცნობაც ადასტურებს [185, 6].

ოსმალების მიერ ქუთაისისა და გელათის ეკლესიების აოხრებას სხვა ქრონიკალური ცნობები განსხვავებული წლებით ათარიღებენ. მაგალითად, 1508 წლის ქვეშ აღნიშნავს სელიმის შემოსევას იკორთის ჟამნ-გულანი [107. 5] და XVI-XVII საუკუნის კინკლოსური მინაწერი [47, 331-333]; 1509 წლით – „ქართლის ცხოვრება“ [5, 487] და „პარიზის ქრონიკა“ („ცხოვრება საქართველოდსა“) [55, 40]; ხოლო 1703 წლის ჟამნ-გულანის [56, 67-72], 1749 წლის შემოქმედის გულანის [188, 149-154. 26, 121-122], ნიკორწმინდის ხელნაწერის [92, 182] და „ერისთავთა დაუჯდომელის“ [176, 14] ცნობებით, ყოველივე ეს 1512 წელს მომხდარა. ამ წლით თარიღდება ეს დარბევა ვახუშტის-თანაც [6, 810].

ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ შემოსევის თარიღად ძირითადად 1510 წელია მიღებული [108, 6. 123, 206. 162, 212. 143, 94].

XVI საუკუნის I მესამედში ქუთაისის საეპისკოპოსოს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. იმერეთის მეფე ბაგრატ III-ის (1510-1565 წწ.) და დასავლეთ საქართველოს კათალიკოს მალაქია აბაშიძის ინიციატივით, ქუთაისის ეპარქიას ტერიტორიის და სამწყსოს მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოერთვა და იქ ახალი საეკლესიო ცენტრები: გელათის და ხონის საეპისკოპოსო კათედრები დაარსდა. ახალი კათედრების დაფუძნება ქუთათელ ეპისკოპოს გერასიმეს გარდაცვალებას და მის მაგივრად ქუთათელად გერასიმეს ძმისწულის, სვიმონის კურთხევას დაემთხვა:

„ქორნიკონსა სიზ: მიიცვალა ქუთათელი გერასიმე, იანვარსა ი. ამასვე წელიწადსა დაჯდა მათი ძმისწული სვიმონ, და წარვიდა და ეკურთხა საყდარსა ბიჭვინთისასა. ამასვე ქორნიკონსა მეფეთ-მეფემან ბაგრატ განყო ღიხთ-იმერი სამ საეპისკოპოზოდ ბრძანებითა აფხაზეთის კათალიკოზისა აბაშიძისათა. ინება ღ'თიჲ გვრგვნოსანმა მეფეთ-მეფემან ბაგრატ და დედოფალთა-დედოფალმან ელენე დიდისა და ცათა მობაძავისა საყდარისა, ახლისა იერუსალიმისა, გენათისა ეპისკოპოზისა მელქისედეკისა საყუარელისძისა, საუკუნოდამცა არს ვსენება მათი. ამასვე დროსა იმავე პატრონმან განაჩინა ხონელ ეპისკოპოზად მხეცტიქე მანოელ მისვე აფხაზეთისა კათალიკოსისა ჳელითა საყდართა შიგან ბიჭვინთისათა, ქორნიკონი იყო ს-იზ: წარვედით აფხაზეთს საკურთხეველად ივნისს კ ~, და მოვედით ივლისს კ~“ [5, 493].

„ახალი ქართლის ცხოვრების“ ამ ცნობის თანახმად, გერასიმე ქუთათელი 1529 წლის 10 იანვარს გარდაიცვალა. იმავე წელს ქუთაისის საეპისკოპოსოს ჩამორთმეულ ტერიტორიაზე გელათისა და ხონის საეპისკოპოსოს კათედრები დააარსეს. 1529 წლის 20 ივნისისა და 20 ივლისს შორის ბიჭვინთაში, საკათალიკოსოს ცენტრში გერასიმეს ძმისწული სვიმონი აკურთხეს ქუთათელ ეპისკოპოსად.

თუმცა საისტორიო წყაროებში და ისტორიოგრაფიაში ამ მნიშვნელოვანი მოვლენის განსხვავებული დათარიღებებიც გვხვდება.

გელათის გულანის XVII საუკუნის მინაწერის თანახმად, „ქორნიკონსა სზ (1519 წ.) გელათს ეპისკოპოსი დამჯდარა“ [50, 335. 178, 196. 27, 71]. უთარიღო გელათის სიგელის მიხედვით, მისმა პირველმა გამომცემელმა თ. ჟორდანიამ გელათში საეპისკოპოსოს დაარსება და იქ პირველ ეპისკოპოსად მელქისედეკ საყუარელისძის დანიშვნა 1519 წელს მიაკუთვნა [50, 342-343]. ასევე, 1519 წელს გაცემულად მიიჩნია თ. ჟორდანიამ ბაგრატ III-ის მიერ გელათისადმი ბოძებული უთარიღო სიგელი „სამწყსოსა და საზღვრის განჩენის თაობაზე“ [50, 336]. XVIII საუკუნის ჟამნ-გულანშიც 1519 წლით არის აღნიშნული გელათის საეპისკოპოსო კათედრის დაარსება [31, 45]. იმავე წლით დაათარიღა ეს მოვლენა ვახუშტი ბატონიშვილმა: „შემდგომად შემოიკრიბნა კათალიკოზ-ეპისკოპოზნი იმერეთისანი ბაგრატ მეფემან და ჳყო გელათი საეპისკოპოსოდ და დასუა საყუარელისძე

მელქისედეკ, ქრონიკონსა ჩვით, ქართ. ს~ზ [6, 810]. ამგვარ დათარიღებასვე ემხრობა მკვლევარი თ. ქორიძე [152, 13-15].

სრულიად განსხვავებულად, 1525 წლით ათარიღებს იმერეთში ახალი საეპისკოპოსო კათედრების დაარსებას შემოქმედის გულანი (1749 წლის): „ქრონიკონსა სიგ გელათს ომფორი დასდევს“ [188, 149-154. 27, 73-74. 48, 121-122].

1529 წელს იმერეთში ახალ საეპისკოპოსოთა დაარსებას, ზემოთ აღნიშნული „ახალი ქართლის ცხოვრების“ გარდა, აგრეთვე ადასტურებს საისტორიო ქრონიკა „ცხოვრება საქართველოსა“ („პარიზის ქრონიკა“), რომელიც გ. ალასანიას გამოკვლევით, „ახალ ქართლის ცხოვრებაზე“ გვიან დაიწერა [55, 23, 41-42]. გარდა ამისა, გელათური წმინდა გიორგის გულანის მინაწერის ცნობით, 1529 წელს, „ქრონიკონს: სიზ: ამ ქრონიკონსა მიიცვალა ქუთათელი გერმანოზ და დადგა სუმეონ“ [50, 372]. ზუსტად ასეთივე ინფორმაციას გვაწვდის ერთი ქრონიკალური ცნობაც: „ქრონიკონსა სიზ: მიიცვალა ქუთათელი გერმანოზ და დადგა სუმეონ“ [50, 327]. თ. ჟორდანიას თავის ქრონიკებში ასევე ჩართული აქვს „პარიზის ქრონიკის“ ცნობაც [50, 372-373].

ქრონიკებში ნახსენები გერმანოზი და „ახალ ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული გერასიმე ქუთათელი, ეჭვგარეშეა ერთი და იგივე პიროვნებაა.

ს. კაკაბაძემ გელათის სიგელი (ძველი გენათელთა საეპისკოპოსო კათედრის აღდგენის შესახებ) 1529 წლით დაათარიღა [17, 10-11]. დოკუმენტის ამ წლით დათარიღება ი. დოლიძემაც გაიზიარა [42, 247]. იმერეთში ახალი ეპარქიების დაარსების თარიღად 1529 წელი მოიაზრეს ბ. ლომინაძემ [123, 178] და ო. სოსელიამ [149, 33-34].

დასავლეთ საქართველოს ეკლესიაში მომხდარი ამ მნიშვნელოვანი მოვლენის დათარიღების დადგენისას, საინტერესო დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა იმერეთის მეფე ბაგრატ III-ის მიერ სეფე ჯურის მტვირთველ ფანჩულაძესათვის ბოძებული წყალობის საბუთი, რომელსაც თარიღად უზის „ქრონიკონი სიე, აპრილის კზ“, ანუ 1527 წლის 27 აპრილი. სიგელის მტკიცებულებით ნაწილში მოხსენიებულია გელათის წინამძღვარი მაკარე, მოძღვართმოდვარი მანასე, აფხაზეთის კათალიკოსი მალაქია და ქართლის კათალიკოსი ბასილიოსი [17, 8-10. 50, 370]. ხოლო 1529 წლის მერე გაცემულ საბუთებში მხოლოდ გენათელი ეპისკოპოსები გვხვდებიან და არა მონასტრის წინამძღვრები [17, 12. 123, 36, 49].

შეიძლება ეს გარემოება იყოს იმის დამასტურებელი, რომ გელათსა და ხონში საეპისკოპოსო კათედრების დაარსება 1529 წელს უნდა მომხდარიყო, რაც უფრო მართებულიად გვეჩვენება.

გელათსა და ხონში ახალი საეკლესიო ცენტრების დაარსება არამარტო საეკლესიო სფეროში განხორციელებული მნიშვნელოვანი რეფორმა იყო, არამედ მას გარკვეული პოლიტიკური დატვირთვაც გააჩნდა.

იმერეთის მეფე ბაგრატ III-ის დროს იმერეთის სამეფომ დასრულებული სახე მიიღო. ამ მეფეს ზოგჯერ „აღმაშენებელსაც“ უწოდებდნენ. ან, პირველ რიგში, იმერეთის სამეფოს სამხედრო-ადმინისტრაციული მოწყობა განახორციელა. ბაგრატ III-მ თავისი სამეფო სასარდლოებად დაჰყო და რაჭის საერისთავოს რეორგანიზაცია მოახდინა. იგი აქტიურად და თანმიმდევრულად ებრძოდა განდგომილ მთავრებს [67, 116. 87(ა), 24-38].

სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარებისას ბაგრატ III-ს ეკლესიის თანადგომაც ესაჭიროებოდა. ამიტომ რეფორმატორი მეფის ყურადღების გარეშე არც საეკლესიო ცხოვრება დარჩენილა. რეფორმა პირველ რიგში ქუთაისის ძველ საეპისკოპოსოს შეეხო, რომელშიც მთელი იმერეთი და რაჭა შედიოდა. ეპარქია დაიყო და ახალი საეპისკოპოსო ცენტრები დაარსდა. ძველი ქუთათელი მთავარეპისკოპოსები თავიანთი მრავალრიცხოვანი სამწყსოთი, საეკლესიო მამულებითა და სიმდიდრით იმერეთის მეფეებს არ ჩამოუვარდებოდნენ. ბუნებრივია, რეფორმატორი ბაგრატ III-ისათვის ეს მიუღებელი აღმოჩნდა და მან ახლადდაარსებული საეპისკოპოსო კათედრების სახით თავისი ხელი-

სუფლების მოკავშირეები და მხარდამჭერები შეიძინა. მეფის მიერ ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლისას და განდგომილი ქვეშევრდომების მორჩილებაში მოსაყვანად, ქუთათელი მთავარეპისკოპოსის, როგორც დასავლეთ საქართველოს უდიდესი საეკლესიო ხელისუფალის, აზრი და პოზიცია ანგარიშგასაწვევი და გასათვალისწინებელი იქნებოდა.

თავის მხრივ, დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის ინტერესებშიც შედიოდა ასეთი მძლავრი მთავარეპისკოპოსის ძალაუფლების შესუსტება და მისი ეპარქიის დაყოფა რამდენიმე საეპისკოპოსოდ, რათა შესაძლო დაპირისპირების შემთხვევაში კათალიკოსს შესძლებოდა თავისი ხელქვეითის მორჩილებაში მოყვანა, ვინაიდან მძლავრი ქუთათელი მთავარეპისკოპოსი კათალიკოსსაც არ დაუდებდა ტოლს. მაღაქია კათალიკოსისათვის ცნობილი იქნებოდა „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ აღწერილი დაპირისპირების ამბავი აფხაზეთის კათალიკოსსა და ქუთათელს შორის და მისი შედეგი.

ეს რეფორმა ბაგრატ III-მ საეკლესიო ცხოვრების უკეთ მართვის მიზნით განახორციელა. ამაში მას კათალიკოსი მაღაქია დაეხმარა, რომელმაც თავისი გავლენა დასავლეთ საქართველოს ეკლესიაზე კიდევ უფრო განამტკიცა.

ახალი საეკლესიო ცენტრების დაარსებას კიდევ ერთი ფაქტორი განაპირობებდა: თუ ერთიანი საქართველოს პირობებში ვრცელი ქუთაისის საეპისკოპოსო სამეფო ხელისუფლებისათვის პრობლემას არ წარმოადგენდა, ბევრად უფრო მცირე იმერეთის სამეფოსთვის ასეთი უზარმაზარი საეპისკოპოსოს არსებობა უკვე ანაქრონიზმი იყო. თანაც მეზობელ გურიისა და სამეგრელოს სამთავროებში რამდენიმე ეპარქია არსებობდა, რომელთა საზღვრები ბევრად უფრო ნაკლებ ტერიტორიებს მოიცავდა. ამიტომ იმერეთის სამეფო კარზე ვრცელი ქუთაისის ეპარქიის დაყოფის და მის ხარჯზე საეპისკოპოსოთა გაზრდის საკითხიც დადგა.

ქუთათელი მთავარეპისკოპოსები გერასიმე (გერმანოზი) და მისი ძმისწული სვიმონი XVI საუკუნის ჩხეიძეთა სათავადო სახლის წარმომადგენლები იყვნენ [108, 29. 123, 206. 149, 33]. ამავე პერიოდში ბედიელ ეპისკოპოსად იჯდა გერმანე ჩხეტიძე, რომელიც ბ. ლომინაძის აზრით იმავე ქუთათელი გერმანოზი შეიძლება ყოფილიყო [123, 206-207]. ანალოგიური მოსაზრება გააჩნდა ო. სოსელიასაც სვიმონ ქუთათელთან დაკავშირებით. მისი ვარაუდით სვიმონ ქუთათელი და იმავე პერიოდში მოღვაწე სვიმონ ჯუმათელი ერთი და იგივე პიროვნება იყო [149, 33].

გერასიმეს ქუთაისის ეპისკოპოსად კურთხევის თარიღად პ. ცხვილოელმა 1489 წელი მიიჩნია [157, 10-11]. როგორც ზემოთ აღინიშნა, იმერეთის მეფე ალექსანდრე II-ის მიერ 1501 წლის 7 ივნისს ბაქრადეთის გაცემული სასისხლო სიგელის მტკიცებულებით ნაწილში სახელის გარეშე მოხსენიებული „ქუთათელი ეპისკოპოსი“ [18, 23], ჩვენი ვარაუდით, გერასიმე ჩხეტიძე უნდა იყოს, ხოლო XV საუკუნის მიწურულამდე ქუთაისის მთავარეპისკოპოსად ბართლომე უნდა ვივარაუდოთ.

გერასიმე ქუთათელის შესახებ კიდევ ერთი ცნობა მოგვეპოვება: იმერეთში, ტაბაკინის მონასტრის წმინდა გიორგის ეკლესიის სამწირველოს სამხრეთის კარის თავზე (შიგნიდან) გამოსახული იყო მღვდელმთავარი. მას მარცხენა ხელში ერთნავიანი ეკლესიის მოდელი ეჭირა, ხოლო მეორე ხელი მაკურთხებელი მარჯვენის სახით არის მოცემული. ფრესკაზე გამოსახული ეპისკოპოსის მარჯვნივ და მარცხნივ იყო წარწერა:

„აქა წმიდისა გიორგის მონასტერი ძღვევისა და ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისა დაკნინებულ და ოხრებულ აღვაშენე მე ჩხეტიძემან ქუთათელმა გერასიმე. ცოდვანი მისნი შეუნდოს ღმერთმა, ამინ და კირიალესონ მისთა დედმამათა და მისთა მიცვალებულისა შეუნდოს ღმერთმან, ამინ“ [83, 165-166].

ქუთაისის კათედრაზე გერასიმე ჩხეტიძის ქუთათელ ეპისკოპოსად მოღვაწეობა 1501 წლიდან 1529 წლის 10 იანვრამდე უნდა დათარიღდეს.

რაც შეეხება გერმანეს ძმისწულ სვიმონ ქუთათელს (რადგან მომდევნო საუკუნეებში ქუთაისის ეპარქიას სვიმონის სახელით კიდევ ორი ეპისკოპოსი განაგებდა, მას

შემდგომში სვიმონ I სახელით მოვიხსენიებთ), თ. უორდანიას ვარაუდით, იგი ქუთაისის კათედრას 1529-1565 წლებს შორის განაგებდა [50, 111], ხოლო პ. ცხვილოელი ქუთაისის საეპისკოპოსოს სათავეში სვიმონ I-ის მოღვაწეობას 1573 წლამდე ფიქრობდა [157, 10-11]. თუმცა ამის დამადასტურებელი წყარო მას არ მიუთითებია.

ჩვენი აზრით, სვიმონ I ქუთაისის საეპისკოპოსოს XVI საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისამდე განაგებდა. XVI საუკუნის შუა წლებში იმერეთის მეფე ბაგრატ III-ის ინიციატივით, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კრება მოიწვიეს, რომელსაც ქართლის კათალიკოსიც დაესწრო. კრებაზე მიიღეს სამართლებრივი დოკუმენტი – „კათალიკოზთა სამართალი“ რომელიც დაამტკიცეს: აფხაზეთის კათალიკოსმა ვედემონმა, ქართლის კათალიკოსმა მაღაქიამ, ქუთათელმა მიტროპოლიტმა სვიმონმა, გენათელმა მთავარეპისკოპოსმა ანტონმა. დადგენილების მტკიცებულებით ნაწილში ასევე მოხსენიებულნი არიან: ჭყონდიდელი, ბედიელი მიტროპოლიტი, მოქველი მთავარეპისკოპოსი, დრანდელი მიტროპოლიტი ფილიპე, ცაგერელი კოზმანი, ნიკორწმინდელი იოაკიმე, ცაიშიელი კვრილე [106, 7].

ს. კაკაბაძის აზრით, „სამართალი კათალიკოზთა“ შედგენილია 1544 წლიდან 1562 წლამდე, დაახლოებით XVI საუკუნის 50-იან წლებში [106, 10]. კ. კეკელიძის ვარაუდით – 1543-1549 წლებს შორის [111, 571]. ხოლო ა. ტულუშის დათარიღებით, ამ საეკლესიო კრების გამართვა და დოკუმენტის მიღება 1548-1549 წლებს უნდა განეკუთვნებოდეს [151, 12].

„კათალიკოზთა სამართალში“ მოხსენიებული ქუთათელი მიტროპოლიტი სვიმონი, ექვევარეშეა, სვიმონ I ჩხეტიძეა, გერასიმე ქუთათელის ძმისწული, რომელიც ამ წლებშიც ხელმძღვანელობდა ქუთაისის საეპისკოპოსო კათედრას. აღსანიშნავია, რომ ქუთათელ მთავარეპისკოპოსთაგან მიტროპოლიტის წოდება პირველად სვიმონ I-ს მიუძღია, მანამდე არც ერთი ქუთათელი ამ საეკლესიო ხარისხით არ მოიხსენიება.

XVI საუკუნის ერთ-ერთ დოკუმენტში, კერძოდ 1563-1564 წლებით დათარიღებულ კლდიაშიგლებისადმი ბოძებულ წყალობის წიგნში მოხსენიებულია „ბატონი ქუთათელი“ [21, 17]. თუ ვენდობით პ. ცხვილოელისეულ დათარიღებას სვიმონ I-ის ქუთათელად მოღვაწეობის წლებთან დაკავშირებით, მაშინ ამ საბუთში მოხსენიებული ქუთათელი ეპისკოპოსი ის უნდა იყოს.

თუმცა ს. კაკაბაძე ამ პერიოდის ქუთათელ ეპისკოპოსად ბასილი ჩხეტიძეს ვარაუდობდა [108, 29]. მაგრამ ბასილი ქუთათელი საისტორიო წყაროებში უფრო მოგვიანებით, XVII საუკუნის დასაწყისში გვხვდება.

სვიმონ I ქუთათელის მოღვაწეობის დროს დასავლეთ საქართველოში კიდევ ერთი ახალი ეპარქია დაარსდა. ნიკორწმინდის სიგელის თანახმად, ბაგრატ III იმერეთის მეფემ რაჭაში განაახლა ნიკორწმინდის ეკლესია და იქ საეკლესიო კათედრა დააარსა. თ. უორდანიამ ამ სიგელის გაცემა და ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს დაარსება 1534 წლით დაათარიღა [50, 49, 373, 379]. ამგვარი დათარიღება ექ. თაყაიშვილმაც გაიზიარა [92, 183]. ს. კაკაბაძემ ბაგრატ III-ის მიერ ნიკორწმინდისადმი ბოძებული სიგელის გაცემის თარიღი 10 წლით გვიან გადმოსწია და, შესაბამისად, საეპისკოპოსო კათედრის დაარსება 1544 წლით განსაზღვრა [108, 29].

სვიმონ I ქუთათელის მოღვაწეობის დროს, მისი დაკვეთით, 1556 წელს გადაიწერა გულანი, რომელიც „გელათის გულანის“ სახელით არის ცნობილი. გულანზე არსებული მინაწერი გვამცნობს: „ქუთათელ მთავარეპისკოპოსსა სვიმონსა ჩხეტიძესა, რომლის ბრძანებით, დიდი მოჭირვებითა აღიწერა ესე სულთაგანმანათლებელი გულანი, ცოდვანი მისნი შეუნდოს ღმერთმან და ამა სოფელსა დღეგრძელი და პატიოსნება მიეც, ღმერთო და ქუთათისა და პალიასტომის ღმრთისმშობელო, თქუენსა მაძლსა“ [50, 372].

ეს გულანი გადაუწერია სვიმონ სოფრომის ძე კარგარეთელს. ცნობილი კალიგრაფები: სვიმონი, გიორგი და ზებედე კარგარეთელები ცხოვრობდნენ XVI საუკუნეში

[50, 111]. როგორც ვხედავთ, 1556 წლისთვის სვიმონ I კვლავ ქუთაისის საეპისკოპოსოს სათავეში დგას.

სვიმონ I ქუთათელი ტაბაკინის მონასტრის წმინდა გიორგის ეკლესიის დასავლეთის კარის მახლობლად იყო გამოსახული, რომლის ქვეშ ეწერა: „ქუთათელს ძმასა ჩუენსა სიმონს შეუნდოს ღმერთმან, ამინ“ [83, 167]. ასევე, დავით გარეჯის მონასტერში, წმინდა დავითის ლავრაში, სატრაპეხოს აღმოსავლეთ ბოძზე ამოკაწრულია წარწერა, სადაც სვიმონ I ქუთათელი და გენათელი მეღქმისმცემი (საყვარელისძე) იხსენიებიან: „ქ. შენ საშინელო გარეჯისა ღმრთისმშობელო, [აცხო]ვ[ა]-ნე პატონი ქუთათელი სვიმონ და პატონი გენათელი მეღქმე. ამინ უფალო“ [7, 179].

ამრიგად, სვიმონ I-ის ქუთათელ ეპისკოპოსობა უნდა განისაზღვროს 1529 წლიდან ვიდრე XVI საუკუნის 60-იან წლებამდე, ან, როგორც პ. ცხვილოელი ვარაუდობდა, 1573 წლამდე. 34 წლის მანძილზე სვიმონის ქუთათელ ეპისკოპოსობა დასაშვებად მიგვაჩნია.

მომდევნო ქუთათელი მთავარეპისკოპოსი, რომლის შესახებ ცნობები მოგვეპოვება, არის ბასილი ჩხეტიძე. ბასილი ქუთათელის შესახებ ცნობა პირველად გვხვდება მის მიერ ათონის ივერიის მონასტრისადმი შეწირულობის წიგნში: „ღმრთისმშობელო მე... ქუთათელ მთავარეპისკოპოზმან ბასილიოს... შემოგწირეთ... თქვენ პორტიატისა ღმრთისმშობელს... ქუტირს გლეხი შეთატმასაშვილი ნასყიდი და უმცროსად და იქიე გლეხი ბეთლემ ივანიკაშვილი და მისი ძმისწული გიორგად და მესხეთის გლეხი დანდურიძე ნასყიდა... დაიწერა ქორონიკონსა ორასორმოდაათსა, ივნისსა ერთსა“ [50, 404]. სიგელის დაწერის თარიღი თ. უორდანისეული გამოქვეყნებით არის 1562 წლის 1 ივნისი.

ა. ნატროევის მიხედვით, სიგელი დაწერილია „ქორონიკონსა ორასოთხმოცდაათსა“, რაც 1602 წელს უდრის [174, 305-306]. ბასილი ქუთათელის მიერ გაცემული ამ სიგელის უახლოეს გამოცემაშიც იგი 1602 წლით არის დათარიღებული [28, 470].

ბასილი ქუთათელი მთავარეპისკოპოსი პალიასტომის ხატის წარწერაშიც არის ნახსენები: „დედაქალაქისა ქუთაისისა ღუთისმშობელო, ადიდე ორთავე ცხოვრებასა მეფეთამეფე გიორგი, ძე მათი ალექსანდრე... ქუთათელ მთავარეპისკოპოსმან ჩხეტიძემან ბასილი მოვაჭედინეთ ხატი ესე ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისა, პირველ მოჭედილი დაძველებულიყო და ჩვენ მეორედ განვაახლეთ“ [138, 34].

გ. ჩუბინაშვილმა ხატის წარწერაში მოხსენიებული გიორგი მეფე იმერეთის მეფე გიორგი II-დ მიიჩნია, რომელიც, მისი აზრით, 1548-1585 წლებში ზეობდა (გიორგი II მეფობდა 1565-1586 წლებში – პ.გ.). გამომდინარე აქედან, მკვლევარმა ბასილი ქუთათელის მიერ ხატის ხელმეორედ შემკობა ამ წლებს შორის შესრულებულად მიიჩნია. ასევე, ბასილი ქუთათელის მიერ ათონის ივერთა მონასტრისათვის გაცემული სიგელის თარიღად 1562 წელი ჩათვალია [200, 635-636].

მ. ნიკოლეიშვილის დაკვირვებით, პალიასტომის ხატის წარწერაში ქორონიკონის აღმნიშვნელი „ტ“ ასო, რომელიც დაზიანებულად მიაჩნდათ, ხატის მამკობლებს ადგილის სიმცირის გამო პირველი სტრიქონის ბოლოში გადაუტანიათ. აქედან გამომდინარე, ხატზე წარწერის შესრულება 1612 წელს განეკუთვნება [138, 35].

პალიასტომის ხატზე არსებული წარწერის ამგვარი დათარიღება დამაჯერებლად მიგვაჩნია, რადგან ბასილი ქუთათელის ამ პერიოდში მოღვაწეობას 1619 წელს გიორგი III იმერეთის მეფის (1605-1639 წწ.) მიერ გოლგოთის მონასტრისადმი გაცემული შეწირულობის წიგნიც ადასტურებს. ამ შეწირულობის წიგნის თანახმად, გიორგი მეფე, დედოფალი თამარი, მათი ძეები – ალექსანდრე, როსტომი და მამია – სოფელ საზანოში მცხოვრებ სამ კომლ გლეხს სწირავენ გოლგოთის მონასტერს. სიგელის მტკიცებულებით ნაწილში მოხსენიებულია ქუთათელი ბატონი ვასილიოსი (იგივე ბასილი), სახლთხუცესი ვახტანგი და პაატა აბაშიძე. საბუთს თარიღად უზის „ქორონიკონი ტზ“ (1619 წელი) [21, 22].

ო. სოსელიამ ბასილი ქუთათელის მოღვაწეობა გიორგი III-ის ხანას დაუკავშირა, ხოლო მის მომდევნო ქუთათელ მთავარეპისკოპოსად სვიმონ ჩხეტიძე (სვიმონ II) მიიჩნია

[149, 42]. ს. კაკაბაძის ვარაუდით, სვიმონ ქუთათელის (სვიმონ I) მერე ქუთაისის ეპისკოპოსი ბასილი იყო, ხოლო ბასილის შემდეგ სვიმონ ჩხეტიძე (სვიმონ II) [108, 30].

პ. ცხვილოელი ქუთათელთა ქრონოლოგიურ ნუსხაში ბასილი ქუთათელის მოღვაწეობას 1574-1619 წლებით ათარიღებს [157, 10-11].

ყველა ამ ცნობიდან გამომდინარე, ბასილი ქუთათელი მთავარეპისკოპოსის მოღვაწეობა ზოგადად შესაძლებელია, XVI-XVII საუკუნის მიჯნიდან XVII საუკუნის 20-იან წლებამდე განისაზღვროს.

მომდევნო ქუთათელი მთავარეპისკოპოსის, თეოფილეს შესახებ ძალზე მწირი ცნობა მოგვეპოვება. მის შესახებ ვგებულობთ გრიგოლ ღვთისმეტყველის (ნაზიანზელის) XIII საუკუნეში გადაწერილი თხზულების – „სიტყვანის“ გვიანდელი მინაწერიდან, რომლის თანახმად, ეს წიგნი განუახლებია მთავარეპისკოპოს თეოფილეს: „გელათისა და ხახულის ღმრთისმშობელო, უმეტესად დიდებული ყავ სულით და ხორციით მადიდებელი შენი და ახლად მამკობელი ამ წიგნისა გურიელის შვილი, ქუთათელი მთავარეპისკოპოზი, პატრონი თეოფილე აქა უმეტეს საუკუნისა, ამინ“ [14, 158-159. 52, 63. 186, 56. 204, 34].

პ. ცხვილოელს თეოფილე ქუთათელი თავის ნუსხაში შეყვანილი პყავს, მაგრამ მისთვის უცნობია ამ მთავარეპისკოპოსის მოღვაწეობის წლები. ამ სიაში თეოფილე ბასილი ქუთათელის შემდეგ არის დასახელებული [157, 10-11].

თეოფილე ქუთათელი მთავარეპისკოპოსის შესახებ სხვა ცნობები არ მოგვეპოვება. უცნობია აგრეთვე, თუ რომელი გურიელის შვილია იგი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი ქუთაისის ეპარქიას ბასილი ქუთათელის მერე, დაახლოებით XVII საუკუნის 20-იანი წლებიდან ამავე საუკუნის შუა ხანამდე განაგებდა. XVII საუკუნის შუა წლებიდან ქუთაისის მთავარეპისკოპოსად სვიმონ ჩხეტიძეა, რომელსაც შემდგომ სვიმონ II-ის სახელით მოვისხენიებთ.

საისტორიო წყაროებში სვიმონ II ჩხეტიძედ ან ჩხეიძედ იხსენიება [149, 31]. სვიმონ II ქუთათელ მიტროპოლიტად პირველად მოხსენიებულია 1651 წელს, იმერეთში რუსი ელჩების, ნიკიფორე ტოლოჩანოვის და ალექსი იველევის მოგზაურობის დროს. ალექსი იველევი აღნიშნავს: „იმერეთში, ქუთაისში არის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, რომელიც სვიმონ მიტროპოლიტს ეკუთვნის“ [4, 166-167]. იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ის (1639-1660 წწ.) მიერ რუსეთის მეფე ალექსი მიხეილის ძისადმი 1651 წლის 9 ოქტომბერს დადებულ ფიცის წიგნს სხვა სასულიერო პირებთან ერთად ხელს სვიმონ II ქუთათელიც აწერს: „ქუთაისისა და პალისტომის ყოვლად წმიდისა მიტროპოლიტი სვიმონ ქუთათელი“ [4, 175].

სვიმონ ჩხეტიძე სანამ ქუთაისის ეპარქიას ჩაუდგებოდა სათავეში, 1637 წლისთვის ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად იხსენიება [50, 452].

სვიმონ II ქუთათელი ასევე ალექსანდრე III იმერეთის მეფის მიერ გიორგი და ხოსია ახვლედიანებისადმი დაახლოებით 1639-1659 წლებში ბოძებული წყალობის წიგნის მტკიცებულებით ნაწილშია მოხსენიებული [17, 63-64]. სვიმონი და მისი ძმა, სახლთხუცესი სეხნია ჩხეტიძე, მოწმედ არიან დასახელებული ალექსანდრე III-ის მიერ 1660 წლის დასაწყისში ციხისთავ ომათმადიძისადმი გაცემულ წყალობის სიგელში [101, 90-92].

მალე სვიმონ II ქუთათელი მთავარეპისკოპოსი, კათალიკოს ზაქარია ქვარიანის გარდაცვალების შემდეგ, დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი გახდა. ამ ფაქტს გელათის წმინდა გიორგის გულანის გვიანდელი მინაწერი 1659 წელს მიაკუთვნებს: „ქორნიკონსა ტმზ... გარდახდა ქვარიანი ზაქარია და ამავე წელსა ქრისტიანი და ღვთისმოყუარე ქუთათელი მიტროპოლიტი ჩხეტიძე ბატონი სვიმონი კათალიკოსად დასვეს“ [50, 476. 180. 147]. მაგრამ გელათის გულანის მინაწერის ეს ცნობა სწორი არ არის. ზაქარია მოქმედ კათალიკოსად იყო 1660 წელსაც [122, 132]. იგი იმავე წელს იმერეთში მომხდარ მოვლენებში აქტიურ მონაწილეობას იღებდა.

1660 წლის 4 მარტს გარდაიცვალა მეფე ალექსანდრე III. სამეფო ტახტზე მისი ძე ბაგრატ IV ავიდა, რომელსაც დედინაცვალი, ალექსანდრე III-ის მეორე ცოლი, დარეჯან დედოფალი დაუპირისპირდა. რამდენიმე თვის შემდეგ დარეჯან დედოფალმა თავის მომხრეებთან ერთად ბაგრატ IV დაატყვევა და შემდეგ დააბრმავა [6, 834, 835]. დედოფლის მომხრეებს შორის კათალიკოსი ზაქარია ქვარიანიც იყო, რასაც მეფე თეიმურაზ I-თან ჩამოსული რუსი დესპანების ერთ-ერთი ხელქვეითი, ივანე ფიოდოროვი [139, 153] და 1664 წელს იმერეთში მყოფი ანტიოქიის პატრიარქი მაკარი [173, 16-17] ადასტურებენ. ზაქარიას გარდაცვალების შემდეგ, 1660 წლიდან, კათალიკოსის ტახტი სვიმონ II ქუთათელმა დაიკავა. იგი „კათალიკოს-ქუთათელად“ ან „ქუთათელ-კათალიკოსად“ იწოდებოდა.

სვიმონ ჩხეიძე „ქუთათელ-კათალიკოსად“ პირველად 1661 წელს, ვამეყ დადიანის მიერ გაცემულ სიგელში იხსენება, რომელიც დადიანმა ბიჭვინთის ღვთისმშობლის ეკლესიას და ახალ კათალიკოსს, სვიმონ II ქუთათელ მიტროპოლიტს მიართვა. საბუთში ვამეყი პირობას სდებდა, რომ ერისკაცთაგან მიტაცებულ საეკლესიო მამულებს ისევ საკათალიკოსოს დაუბრუნებდა და კათალიკოსის უკითხავად ეპისკოპოსებს არ დანიშნავდა [41, 223]. ანალოგიური პირობის წიგნი მისცა 1664 წელს სვიმონ კათალიკოს-ქუთათელს გიორგი გურიელმა [41, 225-226].

სვიმონ კათალიკოს-ქუთათელის აშენებული უნდა იყოს სოფელ თხილთაწყაროს ეკლესია, რომლის საკურთხეველში გადარჩენილი წარწერა გვაუწყებს: „ქ მხ-სნე ორ ს-სფველსა შ-სა ამის ეკლესიის აღმშენებელი ჩხეიძე სვიმონ“ [78, 16]. თხილთაწყარო საგენათლო სოფელი იყო და კათალიკოსმა საეკლესიო მიწაზე ააგო ახალი ეკლესია.

სვიმონ II ქუთათელი მოხსენიებულია XI საუკუნის სვინაქსარის კრებულის გვიანდელ მინაწერში: „სულსა ქუთათელ მთავარეპისკოპოსსა ჩხეტიძესა სიმონს შეუენდნენ ღმერთმან“ [45, 438]. კათალიკოს-ქუთათელი სვიმონი გარდაიცვალა 1666 წლის 11 ოქტომბერს [50, 483. 6, 838].

პ. ცხვილოელმა სვიმონის ქუთათელ მთავარეპისკოპოსობა 1620-1659 წლებით დაათარიდა [157, 10-11], რაც სწორი არ არის. როგორც მიმოვიხილეთ, სვიმონ II ქუთაისის საეპისკოპოსო კათედრას XVII საუკუნის შუა წლებიდან (1651 წლიდან მაინც) 1660 წლამდე განაგებდა, როგორც ქუთაისის მიტროპოლიტი, ხოლო 1660-1666 წლებში იგი დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი იყო და იმავდროულად ქუთათელის სახელმწიფოც ეკავა.

ქუთაისის მომდევნო მთავარეპისკოპოსი სვიმონ III წინა, კათალიკოს-ქუთათელი სვიმონ II-ის ძმისშვილი და სახლთხუცეს სეხნია ჩხეიძის შვილი იყო. იგი პირველად 1669 წლის 6 დეკემბრით დათარიღებულ, იმერეთის მეფე ბაგრატ IV-ის (1660-1681 წწ.) მიერ რუსეთის მეფე ალექსისთვის მიწერილ წერილ-მიმართვაში, დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის, ეფვთიმეს შემდეგ არის დასახელებული: „დიდისა დედაქალაქისა ქუთათელ მიტროპოლიტი სვიმონ“ [53, 100. 179, 82. 104. 207]. მაგრამ როგორც მართებულად მიუთითა ო. სოსელიამ, ამ სვიმონს ქუთათელობა აღნიშნულ ხანაზე უფრო ადრე, მისი ბიძის, კათალიკოს-ქუთათელ სვიმონ II-ის გარდაცვალების შემდეგ, 1666 წლის მიწურულში უნდა მიეღო [149, 42].

ვახუშტი ბაგრატიონი სვიმონ III ქუთათელს ძალიან უარყოფითად ახასიათებს და ისეთ პიროვნებად წარმოაჩინს, რომელიც საეკლესიო საქმეების მაგივრად უფრო საერო-პოლიტიკური ცხოვრებით იყო გართული და ქუთაისის საეპისკოპოსო კათედრაზე მოღვაწეობის დროს მრავალ უკანონობას სჩადიოდა [6, 851].

დაახლოებით 1668 წლისთვის, სვიმონ III ქუთათელი გიორგი აბაშიძესთან ერთად წინ აღუდგა იმერეთში არჩილ ვახტანგის ძის გამეფებას და იმერეთის მეფე ალექსანდრე IV-ის (1683-1695 წწ.) ერთგული დარჩა. მაგრამ უკვე 1690 წლისთვის იგი არჩილ მეფის მხარეზე გადავიდა [6, 851-853. 108, 105-106].

სვიმონ III-ის ქუთათელობის ჟამს საეპისკოპოსოს კათედრალურ ტაძარს, ღვთისმშობლის ეკლესიას ახალი უბედურება დაატყდა. ვახუშტის მიხედვით, 1691 წელს არჩილ მეფემ ქუთაისის ციხეში გამაგრებულ ოსმალებს შეუტია, მაგრამ შემდეგ იძულებული გახდა, მათთვის ალყა მოეხსნა, რასაც სავალალო შედეგი მოჰყვა: „გარნა იქნა საგლოველი, რამეთუ გამოვიდნენ ციხიდან ოსმალნი და შემუსრეს ქუთაისის ეკლესია ყოვლად წმიდისა, დიდ შეენიერად გებული, ჳნათგან ავნებდნენ ციხეს მუნიდამ ფრიად“ [6, 854].

როგორც ოსმალეთის სულთნის ამ პერიოდში მოღვაწეო ოფიციალური მემბტიანის, ფუნდუკულუს თხზულებიდან ირკვევა, ქართველებმა არჩილ მეფის ხელმძღვანელობით ქუთაისის ციხეს ალყა 1698 წელს შემოარტყეს და არა 1691 წელს, როგორც ამას ვახუშტი აღნიშნავს. ოსმალო ისტორიკოსის ცნობით, ქუთაისის ციხის ალყა 1698 წლის აპრილში დაწყებულია: „ქართლის მეფე შაჰნავაზის ვაჟი, არჩილ ხანად წოდებული, რუსებმა რომ აზოვი აიღეს, მან ქართველი თავადები, აზნაურები, სასულიერო წოდების მსახურნი ფარული შეგულიანებით შეაცდინა და საკმაოდ დიდი რაოდენობის ჳარით 1109 წლის შევალის პირველ დღეებში (1698 წლის აპრილი) ქუთაისის ციხის ალყის შემორტყმა დაიწყო... 7 თვე განუწყვეტილ უტევდა ციხეს, წყლისა და სურსათ-სანოვავის გზები გადაუჭრა... მთელი იმერეთის თავადები: აბაშიძე, ქუთათელი, გენათელი, რაჭა-ლქიხუშის ურჯულონი, დადიანის მოურავი ლიპარტიანი, ყველანი 2000 ჳარისკაცით იმერთა დასახმარებლად რომ მივიდნენ, ციხეს მძლავრად შემოუტყეს“. – სწორედ ერთ-ერთი შეტევის დროს, ოსმალთა საპასუხო ცეცხლის დროს დაინგრა ქუთაისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძარი, რადგან – „ცეცხლმა ამ ეკლესიაზე მყოფნიც გაანადგურა და ეკლესიის გუმბათი და კედლებიც დაანგრია“ [71, 222. 61, 153-161].

როგორც ფუნდუკულუს თხზულების ამ ნაწივივიტიდან ჩანს, სვიმონ III ქუთათელს ამ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობა მიუღია.

სვიმონ III ქუთათელი ასევე მოხსენიებულია არჩილ მეფის მიერ 1691 წელს ქაიხოსრო წერეთლისადმი გაცემულ წყალობის წიგნში: „ამის მაშუალი და მოწამე არის ქუთათელი ბატონი სვიმონი“... [21, 40-41].

1696-1714 წლებით დათარიღებულ საბუთში დასახელებულია „ჩხვიძე მთავარეპისკოპოსი“, რომელსაც დასავლეთ საქართველოს კათალიკოსმა გრიგოლმა იმერეთ-ოდიშის თავადებთან ერთად ფიცი ჩამოართვა ოსმალო აგრესორებთან ბრძოლისა და „პირის მიუცემლობის“ თაობაზე [35, 43-45]. ეს „ჩხვიძე მთავარეპისკოპოსი“ სვიმონ III ქუთათელი მთავარეპისკოპოსი უნდა იყოს.

პ. ცხვილოელმა ქუთაისის საეპისკოპოსო კათედრაზე სვიმონ III-ის მოღვაწეობა 1673-1698 წლებით დაათარიღა [157, 10-11], რაც აშკარად მცდარია. როგორც ო. სოსელიამ მიიჩნია, სვიმონ III-ის ქუთათელობა უნდა დათარიღდეს 1666 წლიდან ვიდრე XVIII საუკუნის დასაწყისამდე [149, 43, 49], რაც მართებულად მიგვაჩნია.

ქუთაისის საეპისკოპოსოს XVIII საუკუნის I მესამედში, სვიმონ III ქუთათელის მერე, ევდემონ მიტროპოლიტი განაგებდა. მის შესახებ ცნობას „ფიცის წიგნი“ იძლევა, რომელიც დასავლეთ საქართველოს თავადებმა აფხაზეთის კათალიკოს გრიგოლს, ქუთათელ ევდემონს და გენათელ ნიკოლოზს მიართვეს. ამ „ფიცის წიგნით“ თავადებმა პირობა დადეს, რომ დასავლეთ საქართველოს დასაპყრობად წამოსულ ოსმალებს ხელშეწყობას აღარ აღმოუჩენდნენ. ექ. თაყაიშვილის ვარაუდით, ეს დოკუმენტი 1680-1710 წლებს შორის უნდა იყოს დაწერილი [35, 43, 44-45]. მაგრამ, რადგან მასში ევდემონ ქუთათელი იხსენიება, საბუთი აშკარად XVIII საუკუნის დასაწყისშია გაცემული.

ევდემონ ქუთათელი მოხსენიებულია ბურჯანაძეების „ფიცის წიგნში“, რომელიც მათ დასავლეთ საქართველოს კათალიკოს გრიგოლს მიართვეს. როგორც საბუთიდან ჩანს, გრიგოლ კათალიკოსმა ევდემონ ქუთათელი და ნიკოლოზ გენათელი მიავლინა ბურჯანაძეებთან, რომლებიც ტყვეთა სყიდვას ეწეოდნენ და მათი შერისხვა დაავალა.

საბუთი იმერეთში გიორგი VI-ის მეფობის პირველი ეტაპის წლების (1707-1711) მიხედვით არის დათარიღებული [35, 47].

1669-1725 წლებით არის დათარიღებული წყალობის წიგნი, რომელიც ევდემონ ქუთათელმა პაპუა აგიაშვილს უბოძა: „ჩვენ, ქრისტეს ღმრთისა მიერ კურთხევით კურთხეულმან ქუთათელ მიტროპოლიტმან ბატონმან ევდემონ მოგეცით ესე აუარებელი, მტკიცე და შეუცვალელებელი ფიცი, პირი და წიგნი თქვენ, აგიაშვილს პაპუას“ [42, 710-711]. ეს საბუთიც XVIII საუკუნის დასაწყისიდან ვიდრე 1725 წლამდე უნდა იყოს გაცემული და არა 1669 წლიდან.

პ. ცხვილოელის ქუთათელთა ნუსხაში ევდემონ ქუთათელი დასახელებული არ არის. მაგრამ მკვლევარი ევდემონის ქუთათელ მიტროპოლიტობის ჟამს ქუთაისის მთავარეპისკოპოსად მაქსიმე იაშვილს ასახელებს და მისი მოღვაწეობის თარიღად 1699-1737 წლებს სდებს [157, 10-11]. პ. ცხვილოელი აქაც არ უთითებს ამის დამადასტურებელ საისტორიო წყაროს და ვერც ჩვენ მოვიძიეთ მაქსიმე იაშვილის ქუთათელ ეპისკოპოსობის თაობაზე რაიმე ცნობა. თ. სოსელიას ვარაუდით, XVII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედსა და XVIII საუკუნის I მეოთხედში ორი ევდემონ ქუთათელი მოღვაწეობდა. პირველი კათედრას 1669-1694 წლებში, ხოლო მეორე – 1721-1725 წლებში განაგებდა [148, 14-15]. ეს მოსაზრება მართებულად არ მიგვაჩნია, რადგან XVII საუკუნის დასასრულამდე, როგორც აღვნიშნეთ, ქუთაისის მთავარეპისკოპოსი სვიმონ III ჩხეიძე იყო. ხოლო XVIII საუკუნის დასაწყისიდან ამავე საუკუნის 30-იან წლებამდე საისტორიო წყაროებში ქუთაისის მიტროპოლიტად მხოლოდ ერთი ევდემონ ქუთათელი გვხვდება. ის ქუთაისის ეპარქიას ქუთათელ მთავარეპისკოპოსად ტიმოთე გაბაშვილის დანიშნამდე განაგებდა.

ტიმოთე გაბაშვილი ქუთათელ მიტროპოლიტად საისტორიო წყაროებში 1737 წლიდან ჩანს. ამ წელს იმერეთის მეფე ალექსანდრე V-მ (1720-1752 წწ.) ტიმოთე ქუთათელი რუსეთში ელჩად მიაგვლინა და იმპერატორ ანა იოანეს ასულთან წერილი გაატანა. ეს წერილი დაწერილია 1737 წლის 27 სექტემბერს [179, 225-226]. ამ ელჩობაში ტიმოთეს გარდა მონაწილეობას შანშე ქსნის ერისთავიც იღებდა. დესპანები მოსკოვში 1738 წლის მარტის პირველ რიცხვებში ჩავიდნენ [134, 081. 76, 195]. ტიმოთე ქუთათელმა რუსეთის საიმპერატორო კარს ალექსანდრე V-ის წერილთან ერთად დასავლეთ საქართველოში შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობაც გააცნო. ასევე მათ წარუდგინა სავარაუდოდ საკუთარი შედგენილი ლიხთ-იმერეთის რუკა, სადაც აღნიშნული იყო მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრეები, დასახლებული პუნქტები, ეკლესია-მონასტრები. ბოლოს, იმერეთის ელჩი რუსეთისგან დასავლეთ საქართველოს ოსმალთაგან განთავისუფლებას ითხოვდა [134, 081-082]. ამ ელჩობიდან ტიმოთე იმერეთში დაახლოებით 1742-1743 წლების მიჯნაზე დაბრუნდა [134, 0107].

მართალია, ტიმოთე გაბაშვილი ქუთათელ მიტროპოლიტად 1737 წელს იხსენიება, მაგრამ მისაღებად მიგვაჩნია ე. მეტრეველის მოსაზრება, რომ მას ეს ხარისხი აღნიშნულ ხანაზე რამდენიმე წლით უფრო ადრე უნდა მიეღო [134, 079]. ამ დროს ოსმალთა მოძალების გამო იმერეთში მძიმე მდგომარეობა იყო შექმნილი. განსაკუთრებით ეკლესია დაზარალდა. იმერეთში ჩასულ ტიმოთეს თურქთა ხელში ქუთაისის საეპისკოპოსო კათედრალური ტაძარი გუმბათჩამოქცეული და „უწირავ-ულოცველი“ დახვდა [86, 184].

ტიმოთე ქუთათელის რუსეთში ყოფნის პერიოდში იმერეთში ქუთაისის ახალი მთავარეპისკოპოსი დაადგინეს. ანჩისხატის ტაძრის კონდაკის მინაწერის თანახმად, 1740 წელს ქუთათელ მიტროპოლიტად აკურთხეს ანტონი (ერისკაცობაში თეიმურაზ ბაგრატიონი, შემდგომ ქართლის კათალიკოს-პატრიარქი ანტონ D): იგი „წლისა ოცისა მიტროპოლიტად ხელდასმულ იქმნა აფხაზეთისა კათალიკოზისა გრიგოლის მიერ საყდარსა ზედა ქუთაისისა, სექტემბერსა კზ, დღესა შაბათსა“ [94, 142. 34, 121]. როგორც მინაწერიდან ჩანს, ანტონს ქუთათელობა 20 წლის ასაკში მიუღია 1740 წლის 27 სექტემბერს,

რადგან, როგორც იმავე მინაწერიდან ირკვევა, იგი 1720 წლის 17 ოქტომბერს დაბადებულია [94, 142].

ანტონის მიერ 1740 წელს ქუთათელ მიტროპოლიტობის მიღებას ადასტურებს ა. ხახანაშვილიც [192, 2].

ანტონმა ქუთათელ მთავარეპისკოპოსობა მალევე დატოვა და დავით გარეჯის უდაბნოს მიაშურა. იმავე ანჩისხატის კონდაკის მინაწერის მიხედვით, მის მიერ ქუთაისის ეპარქიის სამწყსოს დატოვება 1743 წლის 5 იანვარს მომხდარა [94, 142]. ანტონის მიერ ამ წლისთვის ქუთაისის კათედრის დატოვება ა. ხახანაშვილმა იმერეთში შექმნილი მძიმე მდგომარეობას დაუკავშირა [192, 2]. ჩვენი მოსაზრებით, ანტონის მიერ ქუთაისის მიტროპოლიტობის დატოვება რუსეთიდან ტიმოთე გაბაშვილის ჩამოსვლასთან არის დაკავშირებული.

ქუთაისის სამთავარეპისკოპოსოს კათედრაზე დაბრუნებული ტიმოთე გაბაშვილი 1747 წლის 11 აგვისტოთი დათარიღებულ, იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ის მიერ მღვდელ სვიმონ წერეთლისადმი გაცემულ წყალობის სიგელში მოწმედ იხსენიება [21, 80].

ტიმოთე გაბაშვილი ქუთათელ მთავარეპისკოპოსად დაახლოებით 1747 წლის ბოლომდე მაინც უნდა დარჩენილიყო, ხოლო შემდეგ იმერეთში ოსმალთა აგრესიის და თარეშის გამო ის ქართლში გადასულა, სადაც სამთავროს მონასტრის საქმეებს განაგებდა. 1749 წელს ტიმოთეს კათალიკოს-პატრიარქმა ანტონ I-მა ბოლნისის ეპარქიის მამულების შემოსავალი უბოძა. ქართლში გადასული ტიმოთე ერთხანს, 1752 წლამდე ქუთათელ მიტროპოლიტის წოდებას ატარებდა [134, 0108-0109], მიუხედავად იმისა, რომ მას ეს საეპისკოპოსო დატოვებული ჰქონდა და რეალურად მის სათავეში არ იმყოფებოდა. 1753 წლის მაისისთვის ტიმოთე უკვე ქუთათელ-ყოფილად და ქართლის მთავარეპისკოპოსად იხსენიება [51, 225], ისევე როგორც 1755 წელს, როცა ტიმოთე ქუთათელყოფილი და ქართლის არქიეპისკოპოსი პორტაიტის ღვთისმშობელს შეწყალებას სთხოვს [51, 235]. ამავე წელს სამეფო კარისა და მცხეთელი კათალიკოსის (ანტონ I-ის) ხელშეწყობით ტიმოთე გაბაშვილი ოსმალეთის იმპერიაში შემავალ წმიდა ადგილთა მოსალოცად გაემგზავრა. 4 წლის განმავლობაში მან ორჯერ მოინახულა ათონის მთა და იერუსალიმი, გარკვეული ხანი დაჰყო კონსტანტინეპოლშიც. ეს მოგზაურობა ტიმოთე გაბაშვილმა დაწვრილებით აღწერა თავის თხზულებაში – „მიმოსვლა“. 1761 წელს ტიმოთე გაემგზავრა რუსეთში, ხოლო გარდაიცვალა ასტრახანში 1769 წელს [134, 0127].

კ. კეკელიძემ ტიმოთე გაბაშვილის ქუთათელ მთავარეპისკოპოსობა 1738-1743 წლებით დაათარიღა [112, 354]. ლ. მელიქსეთ-ბეგის აზრით, ტიმოთე 1738 წლამდე ქუთათელ ეპისკოპოსად, შემდეგ ქართლის მთავარეპისკოპოსად მოღვაწეობდა [130, 637]. ტიმოთეს ქუთათელ მთავარეპისკოპოსობა პ. ცხვილოელმა 1738-1752 წლებით დაათარიღა [157, 10-11].

ზემომყვანილი წყაროების მონაცემებიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ტიმოთე გაბაშვილი ქუთათელ მთავარეპისკოპოსის თანამდებობას იკავებდა XVIII საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისიდან 1747 წლის ჩათვლით. ხოლო 1748-1749 წლიდან 1752 წლამდე იგი მხოლოდ ფორმალურად ატარებდა ქუთათელი მიტროპოლიტის წოდებას.

ტიმოთე გაბაშვილის მიერ ქუთაისის საეპისკოპოსოს დატოვების შემდეგ ეპარქიას მძიმე დრო დაუდგა. ოსმალთა შემოსევებმა და მათ მიერ იმერეთის სამეფოს დედაქალაქის დაპყრობამ ფაქტობრივად მოშალა ქუთაისის საეპისკოპოსო. ამას ემატებოდა საკათედრო ტაძრის მდგომარეობა – ღვთისმშობლის ეკლესია 1698 წლის საომარი მოქმედებების შედეგად მნიშვნელოვნად დაზიანდა და, ფაქტობრივად, იქ წირვა-ლოცვის ჩატარება შეუძლებელი გახდა. 1747 წლის შემდეგ, რაც ტიმოთე მიტროპოლიტმა დატოვა სამწყსო და აღმოსავლეთ საქართველოში გადავიდა, ქუთაისის საეპისკოპოსო კათედრას ფორმალურად მაქსიმე აბაშიძე ჩაუდგა სათავეში. იგი

პირველად ლაზარე ერგებლიძის მიერ 1750 წელს გელათის ღვთისმშობლის ეკლესიისადმი შეწირულობის წიგნშია მოხსენიებული, როგორც „ქუთათელად წოდებული“ [18, 1]. მაქსიმე ამ ტიტულით კიდევ ერთ საბუთში, იმერეთის მეფე სოლომონ I-ის (1752-1784 წწ.) მიერ გაცემული სიგელის ბოლოს იხსენიება [18, 4-5].

„ქუთათელად წოდებული“ მაქსიმეს ქვეყანაში შექმნილი მძიმე ვითარების გამო მისდამი დაქვემდებარებულ საეპისკოპოსოს მართვა-გამგეობაზე სრულად ხელი არ მიუწვდებოდა. ქუთაისში ოსმალური გარნიზონის ჩაყენებამ მაქსიმე იძულებული გახადა საეპისკოპოსო რეზიდენცია სხვაგან გადაეტანა. 1766 წლის 23 იანვრით დათარიღებულ, სოლომონ მეფის მიერ ქუთათელი მიტროპოლიტი მაქსიმესადმი ბოძებული წყალობის წიგნიდან ირკვევა, რომ როცა ქუთაისი და ქუთაისის ღვთისმშობლის ეკლესია ოსმალებს ჰქონდათ დაკავებული, ქუთათელ მაქსიმეს სოფელ მადლაკში, ჟორჯოლიანების მამულში მცირე ეკლესია აუშენებია და ღვთისმშობლის მთავარი ხატი იქ დაუბრძანებია. როგორც ჩანს, მადლაკში საეპისკოპოსო რეზიდენცია 1770 წლამდე ქუთაისის ოსმალთაგან სრულ განთავისუფლებამდე არსებობდა, რასაც გვაფიქრებინებს სოლომონის მიმართვა მაქსიმესადმი: „ამის მუქაფად თქვენც ეს პირობა დასდევით, რომელიც ქუთათელი მაგ ეკლესიაზე იჯდეს მიტროპოლიტად, თქვენ თუ თქვენი შემდგომი, ყოველ ადღგომას თვითონ ქუთათელი ჩვენთვის ჟამს გვიწირვიდეს“ [63, 80-83].

1759 წელს ქუთაისის მოშლილი ეპარქია ისევ აღადგინეს. ამ წლის 4 დეკემბერს საეკლესიო კრებაზე, რომელსაც ესწრებოდნენ: მეფე სოლომონ I, დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი ბესარიონი, ჭყონდიდელი მიტროპოლიტი გაბრიელი, გენათელი მიტროპოლიტი იოსები, შემოქმედელი ნიკოლოზი, ცაგერელი გრიგოლი და სხვა საეკლესიო თუ საერო პირები, დაადგინეს:

„ქუთაისის ეკლესია ყოვლად წმიდისა ტაძარი ჳელთ ეგდო მძვინვარესა აგარიანსა და მიზეხით ამით საქუთათლო მამული და სამრევლო მიმობნეულიყო და რომელიმე დაშთომილიყო, საერთო გამსდარიყო და ქუთათელი აღარ იჯდა. ახლა ჩვენ ვინებეთ განახლება და საქუთათლოს მოუშლელობა... და დავამტკიცეთ, აწ და უკუნისამდე რათა შეუცვალალებლად ეგოს საქუთათლო ესე და დავაჯდინეთ ქუთათელი ესე და გაკურთხებინეთ ქუთათელად აბაშიძე მაქსიმე... და დავამტკიცეთ ასე, რომ საქუთათლო სახასო მამული სადაც იყოს და ვისაც ქონდეს, ყველა უკლისად საქუთათლოდ ეგოს ამიერ უკუნისამდე. ვინც ამის შემდგომად ქუთათელი დაჯდეს, ყოვლის კაცისაგან შეუცილებლად ქონდეს, ამას და შემდგომსა ამისსა აუცილებლად, ასე, რომ რაც ხელმწიფის სამართალი იყოს, ნადირობაჰქვე და ყანის მოსავალი საქმე, რომელიც რიგი იყო, თორემ სხვა არა ეთხოვებოდეს რა თვინიერ ქუთათლის უდასტუროდ, არც ძალი და უსამართლობა დაემართოს, არც ვინ მოურავი და უფროსი დაუდგეს მას მამულშიდ, თვინიერ მისი ყმის მეტი, ასე ხელშეუაღათ საქუთათლოდ იყოს...“ [105, 3-6].

ამ საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით ქუთაისის სამთავარეპისკოპოსოს დაუბრუნდა მიტაცებული ყმა-მამული და შეუვალობა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა იყო დასავლეთ საქართველოს ეკლესიისთვის, რომელიც ოსმალთა მოძალების გამო დიდ გაჭირვებას განიცდიდა. კრების გადაწყვეტილებითვე „ქუთათელად წოდებული მაქსიმე ქუთაისის მიტროპოლიტად დაამტკიცეს და აკურთხეს“.

1773 წლის 9 იანვარს სოლომონ I-მა ქუთაისის ღვთისმშობლის ეკლესიას და ქუთათელ მიტროპოლიტ მაქსიმეს საგანგებო სიგელით საბოლოოდ დაუმიცვდა მიტაცებული ყმა-მამული, რომელიც ძველთაგანვე ამ ეპარქიის საკუთრებას შეადგენდა [21, 129-133].

მაქსიმე ქუთათელი არამარტო სასულიერო სფეროში იღვწოდა აქტიურად, არამედ დიპლომატიურ სარბიელზეც გამოიჩინა თავი. 1768 წელს სოლომონ I-მა მაქსიმე რუსეთში ელჩად მიაგვლინა [13, 225], სადაც მან 1769 წელს რუსეთის საიმპერატორო კარს დაწვრილებით გააცნო იმერეთის სამეფოში და საერთოდ დასავლეთ საქართველოში ოსმალეთის გამუდმებული აგრესიით შედეგად შექმნილი ვითარება, მიაწოდა

სათანადო ცნობები და რუსეთის სახელმწიფოსგან იმერეთის მფარველობა ითხოვა [172, 3-5]. შეიძლება ითქვას, მაქსიმეს ელჩობამ გარკვეული შედეგი მაინც გამოიღო: გენერალ ტოტლებენის მეთაურობით ქართლიდან იმერეთში გადმოსულ რუსეთის ჯარის დახმარებით, სოლომონ I-მა, რომელსაც ამასობაში ქალაქი ქუთაისი ოსმალებისაგან უკვე გაეთავისუფლებინა, 1770 წლის 6 აგვისტოსთვის თურქი მეციხოვნენი განდევნა ქუთაისის ციხიდანაც [142, 235-236. 143, 655].

მაქსიმე მიტროპოლიტი რუსეთიდან 1769 წელს დაბრუნდა [171, 18-26. 122, 137-139] და სექტემბერში იგი იმერეთში იყო. ქუთაისის განთავისუფლების შემდეგ მაქსიმე საეპისკოპოსოს კუთვნილი და ოსმალთაგან მიტაცებული გლეხების მოძიებით იყო დაკავებული: „მე ქუთათელ მიტროპოლიტმან მაქსიმე ქუთაისის აღებაზე გამოვიყენე აბუღაძე საბა თავის ცოლშვილით და პირველადცა ჩვენი ეკლესიის ყოფილიყო და ახლაც ჩვენი ეკლესიის ადგილზე დავასახლე“ [42, 341-342].

ქუთათელი მიტროპოლიტი მაქსიმე მოხსენიებულია 1761, 1762, 1764, 1765, 1773, 1775 წლების საბუთებში [42, 843-487. 18, 21-47]. 1772 წელს იმერეთს გერმანელი მეცნიერი ი. გიულდენშტედტი ეწვია, რომელმაც მარტის თვეში სოლომონ I-ის სამეფო ბანაკში ნახა მიტროპოლიტი მაქსიმე და მისი ძმა, სახლთხუცესი დავით აბაშიძე. გიულდენშტედტის დახასიათებით „ორივე ძმები იყვნენ 40 წელზე ნაკლები ხნისა, ჭკვიანები და საღად მოაზროვნე ადამიანები“ [12, 127-129].

მაქსიმე ქუთათელი შემდგომ კიდევ უფრო დაწინაურდა საეკლესიო იერარქიაში. 1776 წლის 13 მაისს დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი იოსები გარდაიცვალა და იმავე წლის 12 ივნისს ქუთათელი მიტროპოლიტი მაქსიმე კათალიკოსად ქუთაისის ეკლესიაში აკურთხეს. მის კურთხევას დაესწრო კათოლიკე მღვდელი იოვანე სოჯაშვილი [22, 151. 32, 273].

აქედან მოყოლებული, მაქსიმე აბაშიძე ერთდროულად იყო დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი და ქუთაისის მიტროპოლიტი.

1776, 1777, 1778, 1780 წლებში გაცემულ საბუთებში მაქსიმე მოხსენიებულია, როგორც „კათალიკოზ-ქუთათელი“ [18, 51-73].

1781 წლის 7 თებერვალს სოლომონ I-ის შეწირულობის წიგნში გელათის მონასტრისადმი, კათალიკოსი მაქსიმე სიგელის მტკიცებულებით ნაწილში იხსენიება [18, 73-74], ხოლო იმავე წლის აგვისტოთი დათარიღებულ დოკუმენტში ქუთათელ მიტროპოლიტად უკვე დოსითეოს წერეთელია დასახელებული [18, 73-74]. 1781 წლისთვის მაქსიმე აბაშიძესა და სოლომონ I-ს შორის ურთიერთობა ძალზე დაიძაბა. დაპირისპირება თავიდან უფლისწულ ალექსანდრეს უკანონო ქორწინებამ გამოიწვია, რისთვისაც ეს უკანასკნელი ეკლესიიდან განკვეთეს. 1781 წელს ალექსანდრე ბატონიშვილი გარდაიცვალა. მაქსიმე კათალიკოს-ქუთათელმა სოლომონ მეფეს ეკლესიიდან განკვეთილი უფლისწულის ცხედრის გელათის მთავარ ტაძარში სათანადო საეკლესიო წესის აგებით დაკრძალვაზე უარი უთხრა [191, 63. 149, 188]. ამის შემდეგ მეფესა და კათალიკოსს შორის კონფლიქტი კიდევ უფრო გაღრმავდა და 1781 წლის თებერვლის ბოლოს მაქსიმე აბაშიძე იძულებული გახდა ქართლ-კახეთის სამეფოში გადასულიყო. დევნილობაში მაქსიმემ დასავლეთ საქართველოს კათალიკოსობა შეინარჩუნა, მაგრამ ქუთათელ მიტროპოლიტად მის მაგივრად დოსითეოს წერეთელი დაინიშნა.

მაქსიმე კათალიკოსი იმერეთში სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ, 1784 წელს, დავით II გიორგის ძის მეფობისას დაბრუნდა. მალე იგი რუსეთში ელჩად მეორეჯერ გაგზავნეს, საიდანაც აღარ დაბრუნებულა. მაქსიმე აბაშიძე, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის ტიტულს ატარებდა, გარდაიცვალა კიევში 1795 წლის 30 მაისს და კიევის მღვდმის („პეჩორის“) მონასტერშია დაკრძალული [189, 137-138. 122, 138. 190, 152-153].

პ. ცხვილოელმა მაქსიმეს ქუთათელობა 1753-1775 წლებით დაათარიდა [157, 10-11]. მაგრამ, როგორც ზემოთ მიმოვიხილეთ, მაქსიმე აბაშიძე 1750-1759 წლებში იხსენიებოდა,

როგორც „ქუთათელად წოდებული“, ხოლო 1759 წლის 4 დეკემბრიდან 1776 წლის 12 ივნისამდე ქუთათელი მიტროპოლიტი იყო. 1776 წლიდან 1781 წლის I ნახევრამდე იგი ერთდროულად კათალიკოსობას და ქუთათელობას ფლობდა. 1781 წლის 4 აგვისტოსათვის მაქსიმეს ქუთაისის მიტროპოლიტის სახელო უკვე აღარ ეკავა და მხოლოდ დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი იყო.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, მაქსიმე აბაშიძის შემდეგ ქუთაისის სამიტროპოლიტოს დოსითეოს მიტროპოლიტი განაგებდა. დოსითეოსი (ერისკაცობაში დათუა) წერეთელთა სათაგადოს გვერდითი შტოს წარმომადგენლის, ნიკოლოზ წერეთლის მეოთხე ვაჟი იყო [150, 139]. ნიკოლოზი სოლომონ I-ს თარჯიმნად ემსახურებოდა [12, 123] და მის „სამსახურზე თავდადებით“ გამოირჩეოდა, რისთვისაც მეაბჯრეთუხუცესობა მიიღო [21, 127]. ალბათ ნიკოლოზის მეფესთან სიახლოვემ განაპირობა დოსითეოსის ქუთათელ მიტროპოლიტად კურთხევა, რადგან 1778 წელს სოლომონ I-ის წინააღმდეგ დავით აბაშიძის მეთაურობით მოწყობილ აჯანყებაში დოსითეოსმა ძმებთან ერთად მონაწილეობა მიიღო და ამის გამო ერთხანს თავის მამულიდან გაძევებულიც იყო [84, 132].

ქუთათელ მიტროპოლიტად დოსითეოსი პირველად 1781 წლის 4 აგვისტოთი დათარიღებულ ნასყიდობის წიგნშია მოხსენიებული, რომელიც მას სოსია ავალიანმა მიართვა [18, 74]. ეს მაღალი საეკლესიო თანამდებობა დოსითეოსმა 1781 წლის თებერვლის შემდეგ მიიღო.

ქუთაისის მიტროპოლიტობის მიღებისთანავე დოსითეოსი დიდი მონღომებით შეუდგა მისდამი მინდობილ ეპარქიაზე ზრუნვას. ამას მოწმობს 1781 წლიდან მისი მოღვაწეობის ბოლომდე ჩვენამდე მოღწეული მრავალრიცხოვანი შეწირულობების, ნასყიდობის თუ სამეურნეო ხასიათის განჩინების ამსახველი საბუთები [18, 73, 85, 103, 109, 140, 143, 147, 153. 42, 342-343, 946, 996, 1029, 1033, 1091, 1124, 1125, 43, 445, 446, 673. 44, 377, 456].

1784 წელს იმერეთის ახალი მეფის, დავით გიორგის ძის (1784-1790 წწ.) დავალებით დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი მაქსიმე რუსეთში ელჩობაში გაემგზავრა და სიცოცხლის ბოლომდე იქ დარჩა. საფიქრებელია, რომ მაქსიმეს რუსეთში ყოფნის დროს საკათალიკოსო საქმეებს დოსითეოს ქუთათელი განაგებდა [114, 105. 122, 138]. 1792 წელს მაქსიმე აბაშიძემ ასტრახანიდან საპასუხო წერილი გამოუგზავნა იმერეთის სამღვდელთა და შემოუთვალა, რომ იგი ვერ ჩამოდიოდა იმერეთში და შეეძლოთ ახალი კათალიკოსი აერჩიათ. როგორც ამ წერილშია ნათქვამი, იმერეთის სამღვდელთა შერთვლია მაქსიმესთვის, თუ ჩამოდიხარ გვაცნობე, თუ არადა, ჩვენ ახალი კათალიკოსი უნდა დავნიშნოთ [172, 138, 19, 23].

ყოველ შემთხვევაში, 1795 წლის მერე დოსითეოსი მეურვეობდა საკათალიკოსოს. ჩვენამდე მოღწეული ორი საბუთის მიხედვით, ის თითქოს კათალიკოსიც უნდა ყოფილიყო. კერძოდ, 1797 წლის 23 აპრილით დათარიღებულ წერილში ერეკლე II-ის (1744-1798 წწ.) მეუღლე, დარეჯან დედოფალი დოსითეოსს კათალიკოსობის მიღებას ულოცავდა: „... მესმა ხმა ესე, რომელიცა აღრიდანვე საწადელ ჩემდა იყო, ყოველად სამღვდელთა თქვენისა აღსვლა ხარისხსა ზედა უწმინდესობისა“ [37, 251]. იმერეთის მეფე სოლომონ II-ის (1789-1810 წწ.) მიერ 1798 წელს გაცემულ შეწირულობის წიგნში ნათქვამია, რომ „ამ უამად არცა კათალიკოსი იმყოფებოდა... და ამის შემდეგ ქუთათელ მიტროპოლიტს დოსითეოსს კათალიკოსობა უბოძეთ“ [18, 114].

მეფის მიერ კათალიკოსად დანიშნულ დოსითეოსს ქუთათელს საეკლესიო კრების მიერ დამტკიცება ესაჭიროებოდა. მოვლენები ისე განვითარდა, რომ იმერეთის სამეფოს გაუქმებამდე აფხაზეთის, ანუ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კრება არ გამართულა. ამის მიზეზი სავარაუდოდ შეიძლება ისიც იყოს, რომ სოლომონ II-ს და იმერეთის უმაღლეს საეკლესიო წრეებს იერარქიულად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქისადმი დამორჩილება და საქართველოს ეკლესიის გაერთიანება სურდათ. საეკლესიო კრების გაუმართაობის გამო, მიუხედავად ფაქტობრივი მდგომარეობისა,

დოსითეოს ქუთათელს კათალიკოსის ტიტული არ მიუღია. იგი საკუთარ თავს არცერთ დოკუმენტში კათალიკოსად ან კათალიკოს-ქუთათელად არ მოიხსენიებს. დოსითეოსი 1804, 1809, 1810, 1813 წლებში მის მიერვე გაცემულ საბუთებში მოხსენიებულია, როგორც ქუთათელი მიტროპოლიტი და „გამგე კათალიკოსი“, „გამგებელი საკათალიკოსო მამულთა“, ან „საკათალიკოსოს გამგე“ [18, 145, 165, 166. 42, 1105, 1119].

ვფიქრობთ, რომ სწორედ საკათალიკოსოს მართვა-გამგეობა დაუკანონა მას ოფიციალურად სოლომონ II-მ 1795-1797 წლებში.

დოსითეოსი დიდ ყურადღებას აქცევდა საკათალიკოსოს საქმეებს, რასაც რამდენიმე სამეურნეო ხასიათის თუ განჩინების ამსახველი დოკუმენტი მოწმობს, სადაც ის მტკიცედ იცავდა საკათალიკოსო მამულების შეუვალობას [18, 145. 42, 329]. ამავე დროს იგი ბიჭვინტის საკათალიკოსოს თვითონაც სწირავდა ყმა-მამულს [18, 166. 42, 1105. 51, 448].

1810 წელს რუსეთის იმპერიამ იმერეთის სამეფო დაიპყრო. 1814 წელს რუსეთის ეკლესიის სინოდმა დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო გააუქმა და იგი თავის მიერ დანიშნულ ეგზარქოსს დაუქვემდებარა, რომელიც ოფიციალურად საქართველო-იმერეთის ეგზარქოსად იწოდებოდა [194, 69]. ამის შემდეგ დოსითეოსი საკათალიკოსო საქმეების მართვა-გამგეობას ჩამოაშორეს. მან მხოლოდ ქუთათელ მიტროპოლიტობა შეინარჩუნა.

1819 წელს რუსეთის კოლონიურმა ხელისუფლებამ დასავლეთ საქართველოში ახალი საეკლესიო პოლიტიკის გატარება დაიწყო, რომელსაც ეგზარქოსი თეოფილაქტე რუსანოვი ახორციელებდა. საეკლესიო რეფორმა მიზნად ისახავდა: მიტროპოლიტთა დაქვემდებარებაში არსებული ეკლესიების, ყმა-მამულის, ქონების და შემოსავლების, სამრევლო ეკლესიების და სასულიერო პირთა, მონასტრების შემოსავლების და იქ მყოფ ბერ-მონაზონთა, იმ საეკლესიო აზნაურთა და გლეხთა, რომლებიც ეპისკოპოსებს არ ეკუთვნოდნენ, დაწვრილებით აღწერას; ასევე ნატურალური გადასახადების ფულადით შეცვლას; ეკლესიის უკეთ მართვის მიზნით ეპარქიათა შემცირებას და გადასახადების გადიდებას [170, 547].

საეკლესიო რეფორმის გატარება ეგზარქოსმა თეოფილაქტემ ქუთაისის საეპისკოპოსოდან დაიწყო, რადგან იგი ქუთათელ მიტროპოლიტს თავიდანვე დაუპირისპირდა [185, 506]. ამ რეფორმამ იმერეთში მოსახლეობის ყველა ფენის ინტერესი შელახა და აჯანყებამაც არ დააყოვნა. აჯანყების ერთ-ერთ ძირითად მოთავედ რუსეთის ხელისუფლებამ დოსითეოს ქუთათელი მიიჩნია, რომელსაც მრავალი ბრალდება წაუყენეს, მათ შორის, საეკლესიო შემოსავლებით თითქოსდა უკანონოდ სარგებლობა [197, 141].

ეგზარქოსმა თეოფილაქტემ მთავრობას ისე გააცნო საქმე, რომ დოსითეოს ქუთათელი და ეფთვიმე გენათელი იყვნენ იმერეთში საპატრიარქო გამოსვლების მთავარი მოთავეები და მხოლოდ მათი გასახლების შემდეგ იქნებოდა იმერეთში მშვიდობის დამყარება შესაძლებელი და შესაბამისად, – საეკლესიო რეფორმის განხორციელებაც [170, 539, 542].

თავის მხრივ, დოსითეოს მიტროპოლიტმა, ეფთვიმე გენათელთან ერთად, კონსტანტინეპოლის პატრიარქს გაუგზავნა წერილი, სადაც მოთხოვნილი იყო, თუ რა უბედურებას განიცდიდა დასავლეთ საქართველოს ეკლესია რუსეთის ხელისუფლებისაგან. ორივე მიტროპოლიტი სთხოვდა პატრიარქს, რომ მათი სამწყსო თავის დაქვემდებარებაში მიეღო [170, 562].

1819 წლის ივლისში ქუთათელი მიტროპოლიტი გიორგი ავალიშვილმა ინახულა. დოსითეოსმა მას ეგზარქოსის უსამართლობაზე შესწივლა. გ. ავალიშვილის დახასიათებით ქუთათელი მიტროპოლიტი იყო: „გონიერი, შუწნიერმოუბარი, მდაბლად მქცეველი, უხვი, სტუმართმოყვარე, დიდშემძღვებელი და თანასწორ გამოცდილი ვითარცა საღმრთოთა დოღმატთა, ესრეთუჳ აქაურთა სამკვედროთა და სამოქალაქოთაცა საქმეთა

შინა“. დოსითეოსი ქუთაისში ყოფნისას ღვთისმშობლის თითქმის დაქცეულ ტაძართან მიღებულ მცირე სამწირველოში ცხოვრობდა [2, 16-21], ხოლო მეორე სამყოფელი სოფელ მაღლაკში ჰქონდა [170, 569, 582].

1820 წლის 4 მარტს რუსეთის ხელისუფლებამ იმერეთის აჯანყების მოთავეები, მათ შორის დოსითეოს ქუთათელი, ქუთაისში მოტყუებით შეიპყრო. დაკავების დროს დოსითეოსმა რუსებს დიდი წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ შემდეგ გონება დაკარგა [185, 510-511], რაც გამოწვეული იყო იმით, რომ მიტროპოლიტი სალდათებმა სცემეს. 5 მარტს გადასახლებაში გაგზავნილი სასტიკად ნაცემი დატყვევებული დოსითეოს ქუთათელი სურამსა და გორს შორის გზაზე გარდაიცვალა [170, 584]. გარდაცვლილი მიტროპოლიტის ცხედარი სათანადო პატივის გარეშე ანანურის ეკლესიაში დაკრძალეს [15, 206-207. 170, 586].

1821 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით რუსეთის ეკლესიის სინოდმა ქუთაისის, გელათის და ხონის სამთავარეპისკოპოსოები გააუქმა და მათ მაგივრად იმერეთის ეპარქია დააარსა [194, 71], რომლის კათედრალი ქუთაისის ღვთისმშობლის („უსპენსკის“ – მიძინების) ეკლესია გახდა. სინოდის ამ განკარგულებით ქუთაისის უძველესმა საეპისკოპოსო კათედრამ არსებობა შეწყვიტა.

ახლადშექმნილი იმერეთის საეპისკოპოსოს მიტროპოლიტად დაინიშნა ნიკორწმინდელი არქიეპისკოპოსი სოფრონი, რომელიც 1843 წლამდე განაგებდა აღნიშნულ ეპარქიას. მის შემდეგ მიტროპოლიტი დავით წერეთელი გახდა, რომელიც 1853 წელს გარდაიცვალა. იმერეთის ეპარქიის მომდევნო მიტროპოლიტი 1856 წლის 4 აპრილამდე ეფემია წულუკიძე იყო. შემდეგ მიტროპოლიტად გერმანე გოგოლაშვილი დაინიშნა, რომელიც 1860 წლის 2 ივლისს ცნობილმა ქართველმა საეკლესიო მოღვაწემ, მთავარეპისკოპოსმა გაბრიელ ქიქოძემ შეცვალა [194, 68-86].

ჩვენამდე მოღწეულია დოსითეოს ქუთათელის ბეჭედი წარწერით „ქუთათელი დოსითეოს“ და საწინამძღვრო ჯვარი ქუთაისის საკათედრო ტაძრიდან, რომელიც დღეს ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება. ჯვარზე დოსითეოს ქუთათელის მხედრული წარწერაა, რომელსაც თარიღად 1792 წელი უზის [66, 114. 13, 104-105].

ქუთათელ მთავარეპისკოპოს-მიტროპოლიტთა
ქრონოლოგიური რიგი
(XI ს.-XIX საუკუნის დასაწყისი)

1. ანტონ I – XI საუკუნის დასაწყისი.
2. სამოელი – XI საუკუნის II მეოთხედი.
3. თეოდორე – XI საუკუნის შუა ხანა.
4. ილარიონი – XI საუკუნის II ნახევარი.
5. ნიკოლოზი – XII საუკუნის I ნახევარი.
6. არსენი – XII საუკუნის შუა ხანა.
7. აბულასანი – XII საუკუნის 70-იანი წლები.
8. პავლე – XII საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისი.
9. ანტონ II (საღირისძე) – დაახლოებით 1184 წლიდან 1191 წლამდე (ან XII საუკუნის მიწურულამდე).

10. ქრისტეფორე – სავარაუდოდ XII-XIII საუკუნეთა მიჯნა.
11. იოვანე – XIII-XIV საუკუნეთა მიჯნა.
12. მიქაელი – XIV საუკუნის I ნახევარი.
13. ოქროპირი – XIV საუკუნის შუა ხანა.
14. მახარობელი – XIV საუკუნის II ნახევარი.
15. მანუელი – XV საუკუნის შუა ხანიდან 1488 წლამდე.
16. ბართლომე – 1488 წლიდან დაახლოებით 1500 წლამდე. დაახლოებით 1488-1519 წლებს შორის ბართლომე იმავდროულად დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი იყო.
17. გერასიმე იგივე გერმანოზ (ჩხეტიძე) – დაახლოებით 1501 წლიდან 1529 წლის 10 იანვრამდე.
18. სვიმონ I (ჩხეტიძე) – 1529 წლიდან XVI საუკუნის 60-იანი წლების ჩათვლით,
19. ბასილი (ჩხეტიძე) – XVI-XVII საუკუნეთა მიჯნიდან XVII საუკუნის 20-იან წლებამდე.
20. თეოფილე (გურიელი) – სავარაუდოდ XVII საუკუნის 20-იანი წლებიდან XVII საუკუნის შუა ხანამდე.
21. სვიმონ II (ჩხეტიძე) – XVII საუკუნის შუა ხანიდან 1666 წლის 11 ოქტომბრამდე, სვიმონი 1660-1666 წლებში იმავდროულად დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი იყო და კათალიკოს-ქუთათელად იწოდებოდა.
22. სვიმონ III (ჩხეტიძე) – 1666 წლიდან XVIII საუკუნის დასაწყისამდე.
23. ევდემონი – XVIII საუკუნის დასაწყისიდან XVIII საუკუნის 30-იან წლებამდე.
24. ტიმოთე (გაბაშვილი) – XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან 1747 წლის ბოლომდე.
25. ანტონ III (თეიმურაზ ბაგრატიონი, შემდგომში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ანტონ I) – 1740-1743 წლის 5 იანვარი.
26. მაქსიმე (აბაშიძე) – 1750-1759 წლებში „ქუთათელად წოდებული“. 1759 წლის 4 დეკემბრიდან 1781 წლამდე ქუთათელი მიტროპოლიტი. მაქსიმე დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი იყო 1776-1795 წლებში.
27. დოსითეოსი (წერეთელი) – 1781-1820 წლის 8 მარტი. დოსითეოსი დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს გამგებელი იყო 1795-1814 წლებში.

თავი IV.

ქუთათელ მთავარეპისკოპოს-მიტროპოლიტების პოლიტიკურ-დიპლომატიური მოღვაწეობა

ქუთათელი მთავარეპისკოპოსები საეკლესიო ცხოვრების გარდა, გარკვეულწილად ქვეყნის საშინაო-პოლიტიკურ ცხოვრებაშიც მონაწილეობდნენ. XVIII საუკუნიდან კი ქუთათელი მიტროპოლიტები იმერეთის სამეფოს ინტერესების დასაცავად დიპლომატიურ ასპარეზზეც გამოჩნდნენ. ყველა ქუთათელი მთავარეპისკოპოსის პოლიტიკური თუ დიპლომატიური მოღვაწეობის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. ალბათ ბევრი მათგანი ამგვარი საქმიანობით არც იქნებოდა დაკავებული. მხოლოდ ცალკეული მთა-

ვარეპისკოპოსები, რომლებიც თავიანთი დამსახურებით და გავლენით გამოირჩეოდნენ, აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში.

ჩვენთვის ცნობილ პირველ ასეთ ქუთათელ მთავარეპისკოპოსს XII საუკუნეში მოღვაწე ანტონ საღირისძე წარმოადგენს, რომელმაც თამარს მეფედ კურთხევისას თავზე გვირგვინი დაადგა [20, 26-27] და მემკვიდრის სიტყვით იყო: „...დიდად განთქმული სათნოებათა შინა და ძლიერი საქმითა და სიტყვით“ [54, 118]. სწორედ ამიტომ, 1190-1191 წლებში თამარის სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ გიორგი რუსისა და დიდებულთა ერთი ნაწილის აჯანყების დროს [131, 136], მეფე მეამბოხეების მშვიდობიანი გზით შემოსარიგებლად მათთან დასავლეთ საქართველოში აგზავნის „...თეოდორე პატრიარქსა და ანტონი ქუთათელსა, რომელ-იგი ოდენ დარჩა მას ჟამსა ერთგულად ღიხთ-იმერით, სისხლთა დათხევამდის, და სხუათა ეპისკოპოსთა გზავნიდის, ოდესმე შინაურსა ეჯიბსა და მესტუმრესა, და მათგან ვერას პირის მპოვნელი“ [20, 50]. მიუხედავად დიდი ავტორიტეტისა, ანტონ ქუთათელმა აჯანყებულების დაწყნარება ვერ მოახერხა. ვ. სილოგავას მოსაზრებით, სამეფო სახლის ერთგული ანტონ საღირისძე ამ მისიის განხორციელებას კიდევაც შეეწირა [144, 89]. თ. ჯოჯუამ ამის საპირისპიროდ, წარმოდგენლად მიიჩნია, რომ მათთან მოსალაპარაკებლად გაგზავნილი ანტონ II საღირისძე აჯანყებულებს მოეკლათ. მკვლევის აზრით, მემკვიდრის ფრაზა – „სისხლის დათხევამდის“ – მოკვლის გარდა დაჭრასაც შეიძლება გულისხმობდეს და ამასთანავე არც ისაა გამორიცხული, ეს სიტყვები გადატანითი მნიშვნელობითაც ყოფილიყო გამოყენებული. აქედან გამომდინარე, იგი ასკვნის, რომ ანტონ ქუთათელი 1191 წელს არ დაღუპულა და მომდევნო წლებშიც მოღვაწეობდა [168^b, 229].

მომდევნო ქუთათელი მთავარეპისკოპოსი, რომლის პოლიტიკურ საქმიანობაზე ცნობებია შემორჩენილი, არის მიტროპოლიტი სვიმონ II ჩხეიძე, რომელიც ქუთაისის საეპისკოპოსოს სათავეში 1651 წლიდან ჩანს [4, 175]. ხოლო 1660 წლიდან იგი დასავლეთ საქართველოს კათალიკოსიც გახდა და „კათალიკოს-ქუთათელად“ იწოდებოდა [42, 223]. მისი ძმა იყო იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ის (1639-1660 წწ.) სახლთხუცესი სეხნია ჩხეიძე [50, 477], რომელიც მომდევნო მეფის, ბაგრატ IV ალექსანდრეს ძის (1160-1681 წწ.) დროს იმერეთის სამეფოს უძლიერესი თავადი გახდა [149, 43]. 1663 წელს სვიმონ კათალიკოს-ქუთათელმა და სეხნია ჩხეიძემ ქართლში ვახტანგ V-თან საპატიო ტყვეობაში მყოფი იმერეთის უსინათლო მეფე ბაგრატ IV „დიდი ცლით“ და მონღოლებით იმერეთში დააბრუნეს და კვლავ სამეფო ტახტზე დასვეს [6, 837. 179, 82]. მომდევნო წელს სვიმონმა უცნაური გადაწყვეტილება მიუღია. როგორც ანტიოქიის პატრიარქი მაკარი გადმოგვცემს, 1664 წელს იმერეთში მისი მოსვლისას, ბაგრატ IV-სა და სამეგრელოს მთავარ ლევან III-ს შორის ომი ახალი დამთავრებული იყო. იმერეთის მეფესთან იმ დროს კათალიკოს-ქუთათელი იმყოფებოდა, რომლის რჩევით ბაგრატმა დატყვევებულ მთავარს სილამაზით განთქმული ცოლი თამარი წაართვა და თვითონ შეირთო, სამაგიეროდ კი ლევან III-ს თავისი და მიათხოვა. პატრიარქმა მაკარმა ამ ქორწინებათა მოთავე სვიმონ კათალიკოს-ქუთათელი ამის გამო გააკიცხა და ახსნა-განმარტება მოსთხოვა. ას კი პასუხად მიუგია, რომ ამ დამოყვრებით ორ მოღავე მხარეს შორის მშვიდობისა და სიყვარულის აღდგენას იმედოვნებდა. ბოლოს ანტიოქიის პატრიარქთან სვიმონს თავისი ნამოქმედარი მოუხანინებია [173, 56-57. 23, 118-120]. ამ ამბავს ნაწილობრივ ცნობილი ფრანგი მოგზაური და კომერსანტი ჟან შარდენიც გვაწვდის, რომელიც 1672-1673 წლებში იმყოფებოდა საქართველოში [30, 243, 285].

სვიმონ ჩხეიძის ეს გადაწყვეტილება შემდგომში დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებს შორის მრავალწლიანი შინაომების საბაზი გამხდარა.

იმერეთის სამეფოს შიდაპოლიტიკურ მოვლენებში აქტიურად იყო ჩაბმული სახლთხუცესი სეხნია ჩხეიძის ძე, სვიმონ III ქუთათელი, რომელიც ქუთაისის საეპისკოპოსოს სათავეში 1666 წელს, თავისი ბიძის, კათალიკოს-ქუთათელ სვიმონის გარ-

დაცვალების შემდგომ ჩაუდგა [149, 42]. ამ სვიმონ ქუთათელს ვახუშტი ბატონიშვილი ძალიან უარყოფითად ახასიათებს და მას მრავალ უკანონო ქმედებას მიაწერს. 1688 წელს იმერეთის მეფე ალექსანდრე IV-ს (1683-1695 წწ.) ტახტს არჩილ ვახტანგ V-ის ძე ეცილებოდა, რომელსაც ზურგს რაჭის ერისთავი პაპუნა და გიორგი ლიპარტელიანი უმაგრებდნენ, ხოლო ალექსანდრე IV-ის მხარეს სვიმონ ქუთათელი და გიორგი აბაშიძე იდგნენ. ეს დაპირისპირება ამ უკანასკნელთა გამარჯვებით დასრულდა და იმერეთის მეფემ ტახტი შეინარჩუნა [6, 851]. მაგრამ 1690 წლისთვის სვიმონ ქუთათელი არჩილის მხარეზე გადავიდა [108, 105-106] და იმავე წლის 20 დეკემბერს ალექსანდრე IV-ის წინააღმდეგ გოდოგანის ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა, რომელიც უკვე არჩილის და მისი მომხრეების გამარჯვებით დასრულდა [179, 134]. XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე ამ სვიმონ ქუთათელს დასავლეთ საქართველოს კათალიკოსმა გრიგოლმა იმერეთ-ოდიშის თავადებთან ერთად ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლისა და პირის მიუცემლობის შესახებ ფიცი ჩამოართვა [35, 43-45].

XVIII საუკუნიდან იმერეთის მეფეების დავალებით ქუთათელი მიტროპოლიტები დიპლომატიურ მოღვაწეობასაც შეუდგნენ და რუსეთის საიმპერატორო კარისაგან ოსმალეთის აგრესიის მოსაგერიებლად დახმარების მიღებას ცდილობდნენ. იმერეთის სამეფოს ინტერესების დასაცავად ამ სარბიელზე მათ მონდომება და ცდა არ დაუკლიათ.

რუსეთში ელჩად გაგზავნილი პირველი ქუთათელი მიტროპოლიტი ტიმოთე გაბაშვილი იყო, რომელიც ამ საეპისკოპოსოს XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან განაგებდა [134, 079].

XVIII საუკუნის დასაწყისიდან დასავლეთ საქართველოში ოსმალეთის დაპყრობითმა პოლიტიკამ ფართო მასშტაბები მიიღო. 1723 წლისთვის ოსმალთა ხელში საქართველოს მთელი ზღვისპირეთი აღმოჩნდა, ხოლო 1730 წელს სულთანმა დასავლეთ საქართველოში ახალი ლაშქრობა განახორციელა. ამ ლაშქრობებით ოსმალებმა იმერეთის სამეფოს დედაქალაქი ქუთაისი და მნიშვნელოვანი სიმაგრეები: ბაღდათის (თხმელისციხე), ცუცხვათის, შორაპნის ციხეები დაიკავეს და იქ გარნიზონები ჩააყენეს [143, 462. 141, 20].

მოახლოებული საფრთხის თავიდან ასაცილებლად იმერეთის მეფე ალექსანდრე V-მ (1720-1752 წწ.) გადაწყვიტა, რომ რუსეთის იმპერიისთვის სამხედრო დახმარება ეთხოვა. ვითარებაც ხელსაყრელი იყო, რადგან 1736 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომი დაიწყო. მალე ომში რუსეთის მხარეზე ავსტრიაც ჩაერთო. 1737 წლის 16 აგვისტოს დაიწყო რუსეთ-ავსტრიასა და ოსმალეთს შორის მოლაპარაკებები. ეს სამშვიდობო კონგრესი იმავე წლის 11 ნოემბრამდე გაგრძელდა. ასეთ ვითარებაში ალექსანდრე V-მ რუსეთში ელჩის გაგზავნა გადაწყვიტა. იგი იმედოვნებდა, რომ რუსეთ-ოსმალეთის ომის მსვლელობის დროს რუსეთის მთავრობა ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლი იმერეთით დაინტერესდებოდა. ალექსანდრე V შეეცადა შექმნილი საერთაშორისო ვითარება თავისი სამეფოს სასარგებლოდ გამოეყენებინა, ოსმალეთის გავლენის სფეროდან გამოსულიყო და რუსეთისთვის მფარველობა ეთხოვა [140, 151-152].

ამ მისიის განხორციელება იმერეთის მეფემ ქუთათელ მიტროპოლიტ ტიმოთე გაბაშვილს დაავალა, რომელიც განათლებული პიროვნება იყო და რუსეთის საიმპერატორო კარისთვის ნათლად შეეძლო აეხსნა იმერეთის სამეფოს სამხედრო-პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა. ტიმოთესთან ერთად რუსეთში გამგზავრება შანშე ქსნის ერისთავმაც გადაწყვიტა. რომელიც ქართლიდან ირანის მბრძანებელმა ნადირ-შაჰმა გააძევა და თავს იმერეთს აფარებდა. ისიც რუსეთისაგან ირანის წინააღმდეგ სამხედრო დახმარების მიღებას ლამობდა [79, 170].

იმერეთიდან ტიმოთე გაბაშვილი და შანშე ქსნის ერისთავი 1737 წლის სექტემბრის ბოლოს გაემგზავრნენ. ქუთათელ მიტროპოლიტს თან ალექსანდრე V-ის ორი წერილი, იმერეთის სამეფოს რუკა და წმინდა ნაწილები მიჰქონდა. ტიმოთეს მხლებლებად იღუ-

მენი, დიაკვანი და 4 მსახური ახლდა. რუსეთის ხელისუფლება ირანთან ურთიერთობის გამწვავებას ერიდებოდა და ამიტომ ქსნის ერისთავის რუსეთიდან გასტუმრებას ჩქარობდა. ტიმოთე გაბაშვილს საგანგებო ზომების მიღება დასჭირდა, რომ იგი ერისთავის ამალიდან გამოეყოთ. იმერეთის მეფის ელჩი 1738 წლის მარტში მოსკოვში ჩავიდა, ხოლო აპრილში პეტერბურგში ჩასვლის ნებართვა მიიღო. თარჯიმნად მას ვახუშტი ბატონიშვილთან მყოფი დავით ფანჩულიძე დაუნიშნეს. მოსკოვში რუსეთის საგარეო საქმეთა უწყების მოხელეებმა ტიმოთე ქუთათელს ალექსანდრე V-ის წერილების ჩამორთმევა დაუპირეს, რათა წინასწარ გაეგზავნათ პეტერბურგში იმერეთის ელჩის მიღების საკითხის გადასაწყვეტად, მაგრამ გაბაშვილმა წერილების მიცემაზე მათ კატეგორიული უარი განუცხადა. მიტროპოლიტი რუსეთის სამეფო კარზე ოფიციალურ მიღებას ესწრაფვოდა და აცხადებდა, რომ ჩამოტანილი წერილები და დასავლეთ საქართველოს რუკა მას პირადად იმპერატორ ანასთავის უნდა გადაეცა. იგი დიპლომატიურად აღნიშნავდა, რომ წერილების შინაარსის გამჟღავნება არ შეეძლო, ვინაიდან ორივე წერილი დაბეჭდილი იყო და გახსნის უფლება არ ჰქონდა. მაგრამ რადგანაც ტიმოთეს ერთ-ერთი წერილის ასლი გამოატანეს, ამიტომ მისი თარგმნის წინადადებას იძლეოდა. წერილის თარგმანი დავით ფანჩულიძემ შეასრულა. ამგვარად, იმერეთის ელჩმა, ერთი მხრივ, საგარეო საქმეთა კოლეგიას წინასწარ აუწყა, თუ რაოდენ საინტერესო იყო ალექსანდრე მეფის მიერ წამოყენებული წინადადებები, რითაც ხაზი გაუსვა თავისი დიპლომატიური მისიის მნიშვნელობას, ხოლო მეორე მხრივ – თავისთან წერილების დედნების დატოვებით შეეცადა, რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკის მესვეურებთან უშუალო შეხვედრა უზრუნველყო [140, 152-154].

პირველი წერილი რწმუნების სიგელს წარმოადგენდა. მასში განდიდებული და ხოტბაშესხმული იყო ქრისტიანების მფარველი რუსეთის იმპერატორი ანა. ბოლოში კი ოფიციალური რწმუნება იყო იმის შესახებ, რომ ქუთაისის მიტროპოლიტი ტიმოთე იმერეთის მეფის, ალექსანდრე V-ის ოფიციალური ელჩი იყო. მეორე წერილი, რომლის თარგმანიც ტიმოთემ საგარეო საქმეთა კოლეგიას წინასწარ წარუდგინა, საქმიანი ხასიათის ინფორმაციას შეიცავდა. მასში ალექსანდრე V აცხადებდა, რომ ის, ისევე როგორც მისი წინაპრები, რუსეთს ერთგულებდა და ყველა თავისი ქვეშევრდომით მზად იყო რუსეთის იმპერატორის სამსახურისთვის. ამის შემდეგ მეფე წერილში აღნიშნავდა: იმერეთი დიდი ხნიდან თურქეთისაგან დიდ შევიწროებას განიცდიდა, თუმცა იგი ოსმალებს ხარკს აღარ უხდიდა და მართლმადიდებლობაზე მტკიცედ იდგა. ოფიციალურად იმერეთი ოსმალეთის ვასალ ქვეყნად ითვლებოდა, მაგრამ მათ ალექსანდრე V-ის იძულება არაფერში შეეძლოთ. ადრე იგი რუსეთისთვის დახმარების თხოვნით მიმართვისაგან თავს იმიტომ იკავებდა, რომ ეშინოდა, თურქებისთვის რაიმე საბაბი არ მიეცა თავის სამეფოს ასაოხრებლად და ქრისტიანობის მოსასპობად; მაგრამ როცა რუსეთის ჯარის მიერ თურქებზე გამარჯვება და აზოვის ციხე-სიმაგრის აღება შეიტყო, რუსეთთან დაკავშირება გადაწყვიტა. ამის შემდეგ წერილში აღნიშნული იყო აზოვიდან შავი ზღვით საქართველოს ნავსადგურებში მოსვლის და შემდეგ სახმელეთო გზით იმერეთში მოხვედრის შესაძლებლობები. ხაზგასმული იყო ამ გზების უსაფრთხოება. გარდა ამისა, დაწვრილებით იყო მოცემული იმერეთის სამეფოს სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის სიმაგრეების აღწერა; უპირველეს ყოვლისა, იმ 4 ციხეზე ინფორმაცია, რომლებიც ოსმალებს ეკავათ და გარნიზონები ეყენათ. მათ შესახებ საიმპერატორო კარს უფრო დაწვრილებით ტიმოთე ქუთათელი მოახსენებდა. იმერეთის მეფე რუსეთის მთავრობას ეკონომიკური თვალსაზრისითაც უსახავდა პერსპექტივას, რაც ძირითადად იმერეთში სხვადასხვა მადნეულის მოპოვებას უკავშირდებოდა. დასასრულ, ალექსანდრე V იმპერატორ ანას იმერეთში არტილერიითა და სამხედრო აღჭურვილობით უზრუნველყოფილი 20-ათასიანი ჯარის გამოგზავნას სთხოვდა, რაც სავსებით საკმარისი იქნებოდა ოსმალთა დასამარცხებლად, რის შედეგადაც ყველა მეზობელი ქრისტიანი ხალხი ოსმალების წინააღმდეგ აღსდგებოდა. ამის შემდეგ იმერეთის მეფე რუსეთის იმპერიის

მფარველობაში შევიდოდა. წერილის ბოლოს ალექსანდრე V ხაზს უსვამდა რუსეთის საიმპერატორო კარზე ქუთათელი მიტროპოლიტის სრულუფლებიან ელჩად გაგზავნის საკითხს და ყველა მისი ცნობის სარწმუნოდ მიღებას ითხოვდა. აღნიშნავდა აგრეთვე, რომ ელჩი დიდხანს არ დაეყოვნებინათ და იმერეთში ნათელი პასუხით დაებრუნებინათ [140, 154-156. 179, 225-226].

იმერეთის სამეფოს სამხედრო-სტრატეგიული მდგომარეობის უკეთ გასაცნობად იმერეთის მეფემ რუსეთის ხელისუფლებას გაუგზავნა დასავლეთ საქართველოს რუკა. როგორც ე. მეტრეველმა დაადგინა, ეს რუკა თვითონ ტიმოთე გაბაშვილის მიერ იყო შედგენილი [134, 085-091]. ამ რუკაზე რელიეფურად გამოხატულ მთებსა და მცენარეულ საფართან ერთად ნაჩვენებია ქალაქები, ციხე-სიმაგრეები, ნავსადგურები, სასახლეები, ეკლესია-მონასტრები, სოფლები. ამ რუკაზე, რადგან მას სამხედრო მნიშვნელობა გააჩნდა, ოსმალთა მიერ დაკავებულ ციხე-სიმაგრეებთან წარწერებია გაკეთებული, თუ სად რამდენი რაოდენობის მეციხოვნე ეყენათ მათ და რა რაოდენობის იარაღი გააჩნდათ. რუკის ავტორი, როგორც ჩანს, იმ მიზნით, რომ იმერეთის საკითხით რუსეთის მთავრობის ინტერესი გამოეწვია, ცდილობდა, სამდინარო გზებით სარგებლობის შესაძლებლობა ეჩვენებინა. მიზანი, რომლითაც აღნიშნულ შემთხვევაში რუკის შემდგენელი და მისი შემკვეთი ხელმძღვანელობდნენ, იმერეთის სამხედრო-ეკონომიკური მნიშვნელობის ჩვენება იყო, რომელიც რუსეთს ოსმალეთის წინააღმდეგ შეეძლო გამოეყენებინა [86, 197-198. 140, 156-157. 196, 14-22].

1738 წლის 1 ივნისს ტიმოთე ქუთათელმა პეტერბურგში საგარეო საქმეთა კოლეგიას გააცნო ის საკითხები, რომელთა მოხსენება მას ზეპირად ჰქონდა დავალებული. მან აღნიშნა, რომ იმერეთში ოსმალეთის გარნიზონები 4 ციხე-სიმაგრეში იყო განლაგებული: ქუთაისში 500 იენიჩარი და არტილერია, ბაღდათის, შორაპნის და ცუცხვათის ციხეებში – ას-ასი იენიჩარი და არტილერია. ელჩმა განაცხადა, რომ იმერეთში რუსეთის ჯარის შემოსვლის შემთხვევაში ოსმალთაგან ამ ციხე-სიმაგრეების განთავისუფლება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. ხოლო რუსეთის 20-ათასიან ჯარს ამ სიმაგრეების აღების შემდეგ უშუალოდ ანატოლიაზე შეტევის დაწყება შეეძლო. თავის მხრივ, იმერეთის მეფეს 22 ათასი ჯარისკაცის მოგროვება შეეძლო, ორი მთავარი კი ორ-ორ ათასიან ჯარს გამოიყვანდა. ტიმოთემ იქვე განაცხადა: თუ კი იმპერატორი ანა რაიმე მიზეზის გამო რუსეთის ჯარის გაგზავნაზე თავს შეიკავებდა, მეფე ალექსანდრე მას თხოვნით მიმართავდა რუსეთ-თურქეთის მომავალ საზავო ხელშეკრულებაში იმერეთის სამეფოზე მიეთითებინა, როგორც რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ მყოფ ქვეყანაზე. სამაგიეროდ, ალექსანდრე V პირობას იძლეოდა, რომ რუსეთის იმპერატორს „დვთისმშობლის კვართს“ მიართმევდა. ბოლოს მიტროპოლიტმა საგარეო საქმეთა კოლეგიას იმერეთის მეფის თხოვნა გადასცა მისთვის მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ადრე რუსეთიდან იმერეთის მეფეებს „მოწყალე ხელფასი ეგზავნებოდათ“ რაც უკვე დიდი ხანია რუსეთის მთავრობას აღარ გამოუგზავნია.

1738 წლის ივლისში ტიმოთე გაბაშვილი იმპერატორ ანას წინაშე წარსდგა. აუდიენციაზე ქუთათელმა მიტროპოლიტმა სიტყვა ქართულ ენაზე წარმოსთქვა. საპასუხო სიტყვით ელჩს კაბინეტ-მინისტრმა ა. ვოლინსკიმ მიმართა. მერე ტიმოთემ იმპერატორს ხელახლა მიმართა სიტყვით, ხოტბა შეასხა მას და ალექსანდრე მეფის წერილი გადასცა. აუდიენცია ამით დამთავრდა. ამის შემდეგ იმერეთის ელჩთან მოლაპარაკებას საგარეო საქმეთა კოლეგიის მრჩეველი პეტრე კურბატოვი აწარმოებდა. მალე ეს მოლაპარაკება მთელი რიგი მიზეზების გამო შეგნებულად გაჭიანურდა [179, 226. 140, 159].

ნემიროვის კონგრესზე ავსტრიის პოზიციამ ოსმალეთის მთავრობა რუსეთ-ავსტრიის კავშირის მოსალოდნელ რღვევაში დაარწმუნა. საფრანგეთის მხარდაჭერის შემდეგ ოსმალეებმა რუსების ყველა მოთხოვნა უარყვეს და 1737 წელს კონგრესმა თავისი მუშაობა დაასრულა. 1738 წელს რუსეთის ჯარებმა მიხინისა და ლასის

მეთაურობით მარცხი განიცადეს. რუსებმა ოჩაკოვი და კინბურნი დატოვეს. ჯარში ეპიდემიამაც იფეთქა. ამ ომში ოსმალეთის მხარეზე ფრანგი დიპლომატებიც გამოვიდნენ, რომლებიც შვედებს აქეზებდნენ რუსეთის წინააღმდეგ. ყოველივე ამან რუსეთის მთავრობა აიძულა, სამხრეთში თურქებთან დათმობაზე წასულიყო [199, 383-387. 193, 431, 182, 70].

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, იმპერატორ ანას მთავრობამ ალექსანდრე მეფის შეთავაზებული წინადადება იმერეთში რუსეთის 20-ათასიანი ჯარის გაგზავნის და ოსმალეთისთვის ახალი ფრონტის გახსნის თაობაზე მიზანშეწონილად არ მიიჩნია. მაგრამ იმერეთის ელჩის უარყოფითი პასუხით სასწრაფოდ უკან გაბრუნებაც არ იყო მათთვის სასურველი. რუსეთის ხელისუფალთ იმერეთის პოლიტიკურ მოღვაწეთა კეთილგანწყობის დაკარგვა არ უნდოდათ, რადგან მომავალში ოსმალეთის წინააღმდეგ მათთან ურთიერთობის შენარჩუნებაზე ფიქრობდნენ. ამიტომ დროის მოგების მიზნით პეტერბურგში იმერეთის ელჩის შეყოვნება გადაწყდა. თავის მხრივ, ტიმოთე ყოველ ღონეს ხმარობდა, რუსეთის მთავრობისაგან ოფიციალური პასუხი მიეღო და უკან ხელცარიელი არ დაბრუნებულიყო. 1738 წლის სექტემბერში პ. კურბატოვის სახელში ქუთათელმა მიტროპოლიტმა განაცხადა, რომ თუკი რუსეთის ხელისუფლება მიზანშეწონილად არ მიიჩნევდა იმერეთში ჯარის გაგზავნას, ხოლო თურქები იმერეთის მეფის დევნა-შევიწროებას დაიწყებდნენ, იგი უფლებამოსილი იყო განეცხადებინა ალექსანდრე V-ის სურვილი რუსეთში მთელი ოჯახით გამგზავრების უფლების მიღების შესახებ. ტიმოთე ასევე ითხოვდა, რუსეთის მთავრობას თავის სასაზღვრო ქალაქებში სპეციალური მითითება გაეგზავნა, რათა რუსეთში მიმავალი იმერეთის ელჩები გზაში არ შეეჩერებინათ. დასასრულ, ქუთათელი მიტროპოლიტი რუსეთის იმპერატორის ოფიციალური პასუხით იმერეთში დაბრუნების შემდეგ რუსეთში ხელმეორედ ჩამოსვლისა და დასახლების სურვილს გამოთქვამდა [140, 161].

დრო ისევ გაიწვია და იმერეთის ელჩისთვის ოფიციალური პასუხი არ გაუციათ. ტიმოთეს ამ დროს რუსეთში მცხოვრები ქართლის ყოფილი მეფის, ვახტანგ VI-ის მემკვიდრეებთან ურთიერთობა გაუფუჭდა და მოლაპარაკებების გაჭიანურების მიზეზად მათ საქმიანობას მიიჩნევდა. 1738 წლის 21 ოქტომბერს პ. კურბატოვის სახელში ტიმოთემ ვახტანგ VI-სა და მის მემკვიდრეებზე იჩივლა, თითქოს მათ იმერეთის მეფის მიერ იმპერატორ პეტრე I-თან გაგზავნილი ძვირფასი ნივთები მიეთვისებინათ და მათი დაბრუნება მოითხოვა. ამ განცხადების მერე საგარეო საქმეთა კოლეგიამ გამოძიება დაიწყო. საბოლოოდ გაირკვა, რომ ქუთათელ მიტროპოლიტს ამ საჩუქრებზე ხელი არ მიუწვდებოდა. ყოველივე ამან საბოლოოდ დაძაბა ურთიერთობა ტიმოთე ქუთათელსა და ვახტანგ VI-ის მემკვიდრეებს შორის. თარჯიმანმა დავით ფაჩულიძემაც 1738 წლის ნოემბერში ავადმყოფობის საბაბით ელჩის თარჯიმნობიდან განთავისუფლება და ისევ ვახუშტი ბატონიშვილთან დაბრუნება ითხოვა [140, 162].

1739 წლის 17 თებერვალს გაბაშვილმა პ. კურბატოვს ახალი განცხადებით მიმართა. ის აღნიშნავდა იმერეთში არსებულ შინაფეოდალურ აშლილობის თაობაზე და რუსეთში დარჩენის ნებართვას ითხოვდა, ხოლო იმერეთში იმპერატორ ანას პასუხით თავისი თანმხლები პირის გაგზავნას ვარაუდობდა. ამ სურვილს იგი იმით ასაბუთებდა, რომ მის მოწინააღმდეგეებს შეეძლოთ ოსმალებისთვის ემცნობებინათ მისი რუსეთში ელჩობის ამბავი და ამით არამარტო ის, არამედ მთელი იმერეთის სამეფო დაზარალებულნი იქნებოდნენ. ელჩი ხედავდა, რომ რუსეთის მთავრობა გარკვეული მიზეზით ოფიციალური პასუხისაგან თავს იკავებდა, შესაბამისად საიმპერატორო კარს იმერეთის მეფისათვის საიდუმლო პასუხის გაგზავნას სთხოვდა. ეს თხოვნა ფაქტიურად მიმართული იყო იქითკენ, რომ რუსეთის მთავრობა იძულებული გამხდარიყო, იმერეთის მიმართ თავისი დამოკიდებულება გამოეხატა. 1739 წლის ივნისში იმპერატორ ანას მთავრობამ იმერეთის მეფისთვის პასუხის გაცემა გადაწყვიტა. 7 ივნისს განკარგულება გასცეს, ელჩისთვის საჩუქრები მოემზადებინათ, სულ 1500 მანეთის ღირებულების. ტიმოთეს ქუთაისის ეკ-

ლესიისთვის რამდენიმე საეკლესიო ნივთი გადასცეს. 11 ივლისს ტიმოთეს დონის მონასტერში დასახლების ნებაც დართეს. მაგრამ უკვე თვითონ მას აღარ სურდა რუსეთში დარჩენა, რადგან რუსეთის საიმპერატორო კარი იმერეთის მეფისთვის საპასუხო წერილის გაგზავნას აპირებდა. ტიმოთემ 1739 წლის 24 ივლისს ამის შესახებ საგარეო საქმეთა კოლეგიას წერილით შეატყობინა [140, 162-163].

1739 წლის 17 სექტემბერს ტიმოთე ქუთათელმა საჭიროდ ჩათვალა, იმპერატორ ანას მთავრობისთვის ოფიციალურად კვლავ შეეხსენებინა იმერეთის მეფის გეგმების შესახებ და ხაზი გაესვა მისი რაციონალურობისთვის. იგი ვიცე-კანცლერ ა. ოსტერმანს სწერდა, რომ იმერეთის მეფისთვის რომელიც თურქებს ებრძვის, მის დასახმარებლად რუსეთის მთავრობას ჯარის გაგზავნა დასავლეთ საქართველოში აზოვიდან შეეძლო. რუსეთი ალექსანდრე V-ის ჯართან ერთად ადვილად დაიკავებდა მოსაზღვრე ქალაქებს, რადგან იქ თურქების მცირერიცხოვანი გარნიზონები იდგა. ოსმალების წინააღმდეგ ყოველმხრივი და მასობრივი ლაშქრობა მტერს დიდ მარცხს აგეგმებდა, ყირიმში ფელდ-მარშალ ფონ მინიხის სამხედრო მოქმედებებთან ერთად. იგივე ტექსტი ტიმოთემ ოსტერმანს 24 სექტემბერს მეორეჯერაც გაუგზავნა, მაგრამ რუსეთის მთავრობა და სამხედრო ხელმძღვანელობა ამ ეტაპზე იმერეთის ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართვაზე გარკვეული სამხედრო-სტრატეგიული მოსაზრებების გამო თავს იკავებდა, რადგან 1735-1739 წლების რუსეთის სამხედრო კამპანიამ, რომელსაც მინიხი აწარმოებდა, მნიშვნელოვანი მარცხი განიცადა [140, 164-166].

ასე, რომ 1738-1739 წლებში იმერეთის ელჩის მიერ რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დადების ცდა თავიდანვე განწირული იყო. მით უმეტეს, რომ 1739 წლის 18 სექტემბერს ბელგრადში რუსეთ-თურქეთს შორის დაზავების ხელშეკრულებას მოეწერა ხელი [198, 61].

ქუთათელ მიტროპოლიტს კარგად ესმოდა, რომ რუსეთის მთავრობა იმერეთში ჯარის გაგზავნას არ აპირებდა, მაგრამ ომის ტრაქტატით დასრულებას მოელოდა. იგი შეეცადა, იმერეთის სამეფოს ინტერესები რუსეთისა და ოსმალეთის სახელმწიფოთა შორის წარმოშობილ პრობლემებისთვის დაეკავშირებინა. ტიმოთე ცდილობდა, ზავის დადების დროს იმერეთის სამეფოს დასაცავად რუსეთს მზადყოფნა გამოეთქვა, ხოლო ოსმალეთს ელიარებინა განსაკუთრებული შემთხვევების დროს იმერეთის საქმეში რუსეთის ჩარევის უფლება. გარდა ამისა, ტიმოთეს ამ ელჩობას რუსეთ-იმერეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის გამყარებაზეც უნდა მოეხდინა გავლენა.

30 ოქტომბერს იმპერატორ ანასთან აუდიენციაზე ყოფნის დროს ტიმოთე ქუთათელს ზოგადად განუცხადეს, რომ იმერეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მფარველობაში იქნებოდა. კონკრეტული წინადადებები კი არ შეუთავაზებია. მას არც იმპერატორის მიერ 6 ოქტომბერს რატიფიცირებული ბელგრადის ზავის შესახებ შეატყობინეს რამე. მხოლოდ ნოემბრის დასაწყისში გაიგო იმერეთის მეფის ელჩმა ბელგრადის მოლაპარაკებების ამბები, თანაც არა როგორც უკვე დასრულებული ამბის შესახებ, არამედ ისე, თითქოს მოლაპარაკება ჯერ კიდევ მიმდინარეობდა. ამიტომაც 1739 წლის 8 ნოემბერს ტიმოთემ კიდევ ერთხელ მიმართა წერილით ოსტერმანს და შეახსენა რუსეთის მთავრობის დაპირება იმერეთის სამეფოს თავის მფარველობაში მიღების თაობაზე. ის იმედს გამოთქვამდა, რომ რუსეთ-თურქეთის საზავო ხელშეკრულებაში იმერეთის სამეფოს საკითხი დაფიქსირებული იქნებოდა [140, 169].

მაგრამ, რასაკვირველია, ტიმოთე გაბაშვილის მცდელობამ უშედეგოდ ჩაიარა, რადგან ბელგრადში დადებული საზავო ხელშეკრულების ტექსტი საკითხის ამგვარად დაყენებას გამორიცხავდა.

1740 წლის თებერვალში ტიმოთემ ისევ მიმართა ოსტერმანს თხოვნით, შეეტყობინებინათ მისთვის იმერეთის საკითხზე რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილება და აცნობებდა, რომ თურქები რუსეთში მისი ხანგრძლივი ელჩობის ამბავს შეიტყობდნენ და ის დაუსჯელი არ დარჩებოდა, ამიტომ იმერეთში საიდუმლოდ გაშვებას ითხოვდა. 1740

წლის 10 მარტს რუსეთის იმპერატორმა ანამ იმერეთის მეფის ელჩს ოფიციალური პასუხი გასცა. იმპერატორის სიგელში ნათქვამი იყო, რომ რუსეთის იმპერატორმა იმერეთის მეფის ალექსანდრე V-ის 1737 წლის 27 სექტემბრით დათარიღებული სიგელი და ელჩის მიერ ჩამოტანილი წმინდანთა ნაწილები დიდი მადლობის გრძნობით მიიღო. ხოლო თხოვნას მფარველობაში მიღების თაობაზე, თუმცა კეთილგანწყობით უყურებდა, მაგრამ, ვინაიდან თურქეთთან ზავი უკვე დადებული იყო, ამიტომ იმერეთის ელჩს მხოლოდ ამ ცნობით ისტუმრებდა. ალექსანდრე მეფეს უგზავნიდნენ საჩუქრად ბეწვეულს და ოქროქსოვილ ფარჩას. 1740 წლის 18 მარტს ტიმოთე გაბაშვილი ვიცე-კანცლერმა ოსტერმანმა მიიღო და იმპერატორის საპასუხო სიგელი გადასცა [140, 172].

ოსტერმანმა ტიმოთე ქუთათელთან განაცხადა, რომ იმპერატორი ალექსანდრე მეფის მიმართ კეთილგანწყობილი იყო და იმერეთში ჯარის გაგზავნასაც აპირებდა, თუმცა ამას ბელგრადის ზავმა შეუშალა ხელი. ტიმოთემ ვიცე-კანცლერს დიდი მადლობა გადაუხადა და საპასუხოდ მიუგო, რომ მას ესმოდა, რუსეთისათვის შექმნილი მდგომარეობა და იმერეთში ჯარის გაგზავნას აღარც ვარაუდობდა.

ამგვარად 1737-1740 წლების ტიმოთე გაბაშვილის ელჩობა რუსეთში იმერეთის სამეფოსთვის უშედეგო აღმოჩნდა. წინა ელჩობისაგან განსხვავებით, ტიმოთემ პეტერბურგში ჩასვლა და იმპერატორთან აუდიენცია მოახერხა, თან ოფიციალური პასუხიც მიიღო. ამ ელჩობას უფრო მომავალი დიპლომატიური ურთიერთობისთვის ჰქონდა მნიშვნელობა, როგორც მორალურ ფაქტორს, რადგან რუსეთის ხელისუფლება იმერეთის სამეფოსთვის დახმარების გაწევის სურვილს სამერმისოდ აცხადებდა. სხვა მხრივ, ტიმოთე ქუთათელის ელჩობას ერთი საშიშროებაც ახლდა თან, რადგან თუ სულთნის კარი იმერეთის მეფის რუსეთთან დაკავშირების შესახებ შეიტყობდა, იმერეთ-ოსმალეთის ურთიერთობა კიდევ უფრო გამწვავდებოდა და თურქებს ახალი სამხედრო აგრესიის განხორციელება შეეძლოთ [170, 174].

ტიმოთემ უკან გამგზავრებისას რუსეთის მთავრობას საგანგებო დაცვა მოსთხოვა, რადგან იმპერატორის სიგელი მიჰქონდა. პეტერბურგიდან მოსკოვში გაბაშვილი 1740 წლის 31 მარტს ჩავიდა.

აქ მან სერგი-სამების და სავინ-სტოროუევისკის მონასტრების მოლოცვა ითხოვა, რაზედაც თანხმობა მიიღო [140, 175]. ჯერ კიდევ პეტერბურგში ტიმოთე ქუთათელმა ანდრია პირველწოდებულის ეკლესიაში დიაკვანი დოროფეევი მღვდლად აკურთხა [134, 97], მოსკოვში კი მიძინების ტაძარში მონაწილეობა მიიღო სომეხი არქიეპისკოპოსი მინასის მართლმადიდებლურად მოქცევის ცერემონიაში [130, 638].

მოსკოვიდან ტიმოთე ყიზლარში ჩავიდა. ყიზლარში მან თავისი ავლადიდება დატოვა და მსვლელებითურთ ისე განაგრძო გზა. გზაში ტიმოთე თანმსვლებ პირებთან ერთად ჩერქეზებს ჩაუვარდა ტყვედ. 6 თვის ტყვეობის შემდეგ იგი გაიპარა და 3 დღის მგზავრობის შემდეგ რუსების კონტროლირებად ტერიტორიაზე მივიდა. იმერეთში ქუთათელი მიტროპოლიტი დაახლოებით 1742 წლის მიწურულისთვის დაბრუნდა [134, 0107].

ტიმოთე გაბაშვილისაგან განსხვავებით, მომდევნო ქუთათელი მიტროპოლიტის, მაქსიმე აბაშიძის რუსეთში ელჩობა გაცილებით უფრო შედეგიანი აღმოჩნდა. იგი საეპისკოპოსოს 1747 წლის შემდგომ, ტიმოთეს მერე განაგებდა, მაგრამ, რადგან ოსმალთა მოძალების გამო ეპარქია ფაქტიურად მოშლილი იყო, მას „ქუთათელ წოდებულად“ მოიხსენიებდნენ [18, 1, 4-5]. მხოლოდ 1759 წლის 4 დეკემბერს, სოლომონ I-ის მიერ მოწვეულ საეკლესიო კრებაზე დაამტკიცეს მაქსიმე ქუთათელ მიტროპოლიტად [105, 3-6].

იმერეთის სამეფოს 1760-1766 წლებში თურქ-ოსმალები გამუდმებით უტევდნენ. მეფე სოლომონ I (1752-1784 წწ.) გმირულად იგერიებდა მათ შემოტევებს და რამდენჯერმე (1760, 1761, 1763, 1764 და 1765 წლებში) სასტიკად დამარცხდა ისინი. 1766 წელს ოსმალებმა სვერისა და ქუთაისის ციხის აღება მოახერხეს. ახალციხის ფაშამ იმერეთის მეფედ სოლომონ I-ის ბიძაშვილი თეიმურაზ ბაგრატიონი გამოაცხადა. ოსმალებმა იმერ-

ეთში გარნიზონები გააძლიერეს. ამასობაში სოლომონ I მოდინახეს ციხეს აფარებდა თავს საწერეთლოში. სოლომონმა 1762 წლის ჩხარის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ სამეფო ტახტის დაკავება ისევ შეძლო, მაგრამ ქუთაისის, ბაღდათის, შორაპნის და ცუცხვათის ციხეები კვლავ ოსმალებს ეჭირათ [143, 640]. შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან თავდასაღწევად სოლომონ I-მა გადაწყვიტა, რუსეთის იმპერატორ ეკატერინე II-თვის დახმარების გაწევის თხოვნით მიემართა. ამ მიზნით მეფემ რუსეთში ელჩად მაქსიმე ქუთათელი მიტროპოლიტი მიაგვლინა.

მაქსიმე იმერეთიდან 1768 წლის ივნისის ბოლოს გაემგზავრა. მას თან სოლომონ I-ის წერილი მიჰქონდა იმპერატორ ეკატერინე II-თან. წერილში, სათანადო მოკითხვის შემდეგ, იმერეთის მეფე რუსეთის იმპერატორს მის სამეფოში ოსმალთა ლაშქრობებით გამოწვეული მძიმე მდგომარეობის შესახებ აუწყებდა. სულთნის ჯარებსა და იმერეთის ლაშქარს შორის უკვე 12 წელიწადი მიმდინარეობდა ბრძოლები, ამ დროის განმავლობაში ოსმალო ფაშები იმერეთს შვიდჯერ შემოესივნენ. სოლომონ I ხაზს უსვამდა ამ ბრძოლების სიმძიმეს და იქვე ამბობდა, რომ, მიუხედავად ყოველივე ამისა, იგი სულთანს ტყვეებს მაინც არ აძლევდა და არც გადასახადებს უხდიდა, შემოსეულ მტერს კი ყოველთვის ამარცხებდა. მეფე იმპერატორს ამ ბრძოლებში ჯარით დახმარებას სთხოვდა, რადგან ოსმალეთს მრავალრიცხოვანი არმია ჰყავდა და საკუთარი ძალებით საბოლოო გამარჯვების მოპოვებას შეუძლებლად მიიჩნევდა. სოლომონ I პირობას იძლეოდა, რომ ოსმალების წინააღმდეგ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებდა და რუსეთის იმპერატორის მორჩილად გამოაცხადებდა თავს. წერილის ბოლოს იმერეთის მეფე წერდა: „სხვა გულის სიტყვა და გაზრახვა ჩვენის ქუთათელ მიტროპოლიტისა მაქსიმეს მიერ მოკსენდეს“ წერილს თარიღად უზის 1768 წლის 23 ივნისი [171, 1-2].

1768 წლის 4 ოქტომბერს იმერეთის მეფის ელჩი ყიზლარში ჩავიდა და კომენდანტს, გენერალ-მაიორ ნ. პოტაპოვს შეხვდა. მაქსიმეს თან ერთი არქიმანდრიტი და ორი ბერი ახლდა. მაქსიმე ქუთათელს სოლომონ მეფის თხოვნის წიგნის გარდა, რომელიც იმპერატორისთვის იყო განკუთვნილი, წერილები ჰქონდა გადასაცემი გრაფ პანინისთვის და პოტაპოვისთვის. მეფე პანინს და ყიზლარის კომენდანტს ელჩისთვის დახმარების გაწევის სთხოვდა, რომ იგი საიმპერატორო კარზე მიეღოთ [129, 72].

პოტაპოვი თავისი მთავრობის მითითებით ხელმძღვანელობდა და იმერეთის ელჩს პეტერბურგში გამგზავრებაზე უარი უთხრა. რუსეთ-თურქეთს შორის საომარი მოქმედებები ჯერ კიდევ დაწყებული არ იყო, თუმცა გარკვეული სამზადისი ორივე მხარეს შორის იწყებოდა.

ყიზლარის კომენდანტმა მაქსიმეს სამშობლოში დაბრუნება ურჩია, თან დაჰპირდა, რომ სოლომონ I-ის თხოვნას რუსეთის მთავრობას აცნობებდა და პასუხსაც შეატყობინებდა. პეტერბურგში ჩასვლის ნება რომ მიეღო, მაქსიმე იძულებული გახდა, პოტაპოვისთვის განეცხადებინა: თუ კი სოლომონ მეფეს რუსეთი საიდუმლო დახმარებას აღმოუჩენდა, სამაგიეროდ, რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყების შემთხვევაში იმერეთის მეფე ოსმალებს საქართველოს შავიზღვისპირა სიმაგრეებს წაართმევდა და ამ ადგილებიდან მტრის ჯარს თავისუფალი გადაადგილების საშუალებას არ მისცემდა. ელჩი მზად იყო, საკუთარი ხარჯით წასულიყო პეტერბურგში და საიმპერატორო კარი ვალდებული იყო იგი მიეღო, რადგან მას იმერეთის მეფისგან უფლებამოსილება ჰქონდა მინიჭებული, დაწვრილებით ეპასუხა ყველა საკითხზე. მაქსიმეს თან მეფის ბეჭედი ჰქონდა. ქუთათელმა მიტროპოლიტმა პოტაპოვს ბოლოს განუცხადა, რომ სანამ პეტერბურგში ჩასვლას არ მოახერხებდა, მანამდე სამშობლოში დაბრუნება არ შეეძლო.

1768 წლის ოქტომბერში მაქსიმე ქუთათელმა რუსეთის ხელისუფლებას მოხსენებითი ბარათი გაუგზავნა, სადაც დაწვრილებით აღწერა იმერეთ-ოსმალეთს შორის ურთიერთობა. ამ წერილიდან ირკვევა, რომ სოლომონ I-მა ოსმალებთან ტყვეებით ვაჭრობა აკრძალა და ყოველ 3 წელიწადში სულთნისთვის ტყვე გოგო-ბიჭებით ხარკის გადახდა არ იკისრა. ოსმალეთის მთავრობის მოთხოვნის მიუხედავად, იმერეთის მეფე

მათ არ დაემორჩილა და 1760 წელს სულთანმა სოლომონ I-ის წინააღმდეგ სერასკირ მოლა აბდულ ფაშას მეთაურობით ჯარი გამოგზავნა. იმერეთის მეფემ მტერი დაამარცხა და ბრძოლაში ქართველებმა ოსმალო სარდალიც კი მოკლეს. ამის საპასუხოდ მომდევნო წელს სულთანმა ახალი ჯარი გამოგზავნა, მაგრამ იმერლებმა ეს ლაშქარიც დაამარცხეს. 1763 წელს ოსმალებმა მესამე ლაშქრობა წამოიწყეს, რომელთა ერთ ნაწილს სარი აბდულ რიჰან ფაშა, ხოლო მეორე ნაწილს ახალციხის მმართველი ასან ფაშა ხელმძღვანელობდა. ოსმალთა საერთო რაოდენობა 40 ათას კაცს აღწევდა. სოლომონ I-მა თავის მხედრობასთან ერთად მოულოდნელი თავდასხმით მტერი დაამარცხა. მაგრამ სულთანმა იმერეთის სამეფოს წინააღმდეგ ახალი, დიდძალი ლაშქარი გამოგზავნა, რომლის რაოდენობა 70 ათასს აღწევდა. ამ ჯარს ხელმძღვანელობდნენ ასან ფაშა, არზრუმის ფაშა და სხვა 6 ფაშა. ოსმალები იმერეთში შემოვიდნენ და მთელი რიგი ციხე-სიმაგრეები და დასახლებული ადგილები დაიკავეს. იმერეთის თავად-აზნაურების ნაწილი ოსმალებთან გამოცხადდა. სოლომონ მეფე თავის მომხრე თავად-აზნაურებთან ერთად დაახლოებით 2 წლის განმავლობაში მტერს თავს არიდებდა. როცა ოსმალეთის ძირითადი ლაშქარი დასავლეთ საქართველოდან გავიდა, სოლომონ მეფემ დაიქირავა ლეკები და სულ მოკლე ხანში რამდენიმე ციხე-სიმაგრის გარდა, მთელი იმერეთი გაანთავისუფლა. ოსმალთა სერასკირმა სოლომონ I-ს ისევ მოსთხოვა 60 გოგო-ბიჭის ყოველწლიურად სულთნისთვის მიცემა. იმერეთის მეფეს დახმარება არსაიდან მიუღია და მტერს მარტო ებრძოდა, მხოლოდ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II ესმარებოდა საიდუმლოდ. იმერეთის მეფეს თავის ქვეშევრდომი რაჭის ერისთავიც არ დაემორჩილა, ამიტომ მისი სამფლობელო დარბეულ იქნა, ხოლო ერისთავი მიიმალა, შემდეგ ისევ გამოჩნდა. სოლომონ მეფეს დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა სამეგრელოს მთავარ დადიანთან და გურიის მთავარ გურიელთან, მაგრამ იმერეთის მეფე მტკიცედ ფლობდა თავის სამფლობელოს [171, 15-17].

ბოლოს ნ. პოტოპოვი იძულებული გახდა, დათანხმებოდა მაქსიმეს ყიზლარში დარჩენას და 1768 წლის 4 ოქტომბერს პეტერბურგში ვიცე-კანცლერს და საგარეო საქმეთა კოლეგიას ფოსტით გაუგზავნა მოხსენება, რომელსაც დაურთო მაქსიმე აბაშიძის განცხადებებიც. 25 ნოემბერს პეტერბურგში პოტაპოვის პატაკი მიიღეს, რომელითაც შეიტყვეს იმერეთში არსებული ვითარება და ელჩის ყიზლარში ყოფნის ამბავი [19, 72-73. 30, 13-14]. მაქსიმე ქუთათელმა არაფერი იცოდა რუსეთ-ოსმალეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ, თორემ საიდუმლო დახმარებისათვის ვალდებულებების აღებას არ იკისრებდა. ელჩმა იცოდა, რუსეთ-ოსმალეთის ომი საერთოდ მოსალოდნელი იყო და იმერეთის მეფისგან მიტეხული უფლება-მოსილების ფარგლებში ყველაფერს აღუთქვამდა რუსეთის წარმომადგენელს, ოღონდ პეტერბურგში ჩასვლის ნებართვა მიეღო, რომ თავის ქვეყანას დახმარებოდა.

1768 წლის 25 სექტემბერს ოსმალეთის სულთანმა სტამბოლში რუსეთის რეზიდენტის, ობრესკოვის დაპატიმრებით რუსეთს ფაქტიურად ომი გამოუცხადა. ასეთ ვითარებაში სულთანმა იმერეთის მეფის დასასჯელად ჯარის გამოგზავნა მიზანშეუწონლად ჩათვალა და 1768 წლის 25 სექტემბერს სოლომონ I „შეიწყალა და აპატია ძველი დანაშაული“ [129, 68].

1768 წლის ნოემბერში დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის მორიგი ომი. რუსეთის მთავრობამ მეზობელი ქრისტიანი ხალხების ამ ომში თავის მხარეზე ჩაბმა გადაწყვიტა. იმპერატორი ეკატერინე II თავს ყველა მართლმადიდებლის მფარველად აცხადებდა. მდგომარეობა იმერეთის ელჩის სასარგებლოდ შემობრუნდა.

1768 წლის 30 ნოემბრის განკარგულებით, რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგია ყიზლარის კომენდანტ პოტაპოვს ატყობინებდა, რომ ქუთათელი მიტროპოლიტი მარჯვე დროს იყო მოსული, რადგან იმერეთის მეფე ოსმალებთან მტრულ ურთიერთობაში იმყოფებოდა. ამიტომ ელჩი სასწრაფოდ უნდა გაემგზავრებინა პეტერბურგში, ხოლო მისი თანმხლები არქიმანდრიტი იმერეთში დაებრუნებინა გრაფ პანინის წერილით. ამ

წერილში პანინი სოლომონ I-ს სწერდა, რომ ოსმალეთის მიერ ზავის ვერაგულად დარღვევამ ის დაბრკოლება მოსპო რომელიც იმერეთის მეფის თხოვნის შესრულებას აფერხებდა. ამიერიდან იმერეთის მეფის ელჩი საიმპერატორო კარზე შეუფერხებლად მიიღებოდა. პანინი სოლომონ მეფეს ურჩევდა დახმარების მიღებამდეც, თავის ძალებით, ოსმალების წინააღმდეგ მოქმედების დაწყებას.

ციხლარის კომენდანტმა მაქსიმე ქუთათელი თანმხლებ პირებთან ერთად 1769 წლის 6 იანვარს საიმპერატორო კარზე გაგზავნა, ხოლო 14 იანვარს არქიმანდიტრი და იმერეთში გასაგზავნად შერჩეული პორუჩიკი, თავადი გრიგოლ ხვაბულოვი (ქობულაშვილი) იმერეთისკენ გაისტუმრა [129, 74-75. 171, 26].

მაქსიმე ქუთათელი 1769 წლის 17 იანვარს ასტრახანში ჩავიდა, 22 თებერვალს მოსკოვში, ხოლო 8 მარტს – პეტერბურგში. იმერეთის მეფის ელჩის ჩასვლით რუსეთის მთავრობას საშუალება მიეცა, საქართველოს შესახებ გარკვეული ცნობები შეეგროვებინა. მაქსიმე ქუთათელი ძვირფასი იყო არამარტო როგორც ინფორმაციის მიმწოდებელი, არამედ როგორც იმერეთის მეფის სრულუფლებიანი ელჩი, რომელიც მეფისგან დიდი რწმუნებით იყო აღჭურვილი.

1769 წლის მარტში პეტერბურგში ჩასული იმერეთის ელჩი რამდენადმე შებოჭილი იყო მანამდე გაკეთებული საკუთარი განცხადებებით და მეფის წერილით, რაც რუსეთის მთავრობისთვის უკვე ცნობილი იყო. მაგრამ შექმნილი ვითარება მას საქმის გამოსწორებას ავალებდა. ელჩი არ დაბნეულა და შესაფერისი დიპლომატიური გამჭრიახობა გამოავლინა. მას ესმოდა, რომ რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებამ იმერეთს საფრთხე დროებით ააცილა, ოსმალეთის აგრესია იმერეთის მიმართ ამ ეტაპზე მოსალოდნელი არ იყო. ქუთათელი მიტროპოლიტი რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი მოთხოვნებისთვის შესაფერისი პასუხის გასაცემად ნიადაგის მომზადებას შეუდგა [129, 76-77].

იმერეთის მეფის ელჩი რუსეთის საიმპერატორო კარზე დიდი პატივით მიიღეს. მაქსიმე ქუთათელმა თავისი საგანგებო რწმუნებიდან გამომდინარე, 1769 წლის 14 მარტს რუსეთის მთავრობას საგანგებო წერილით დაწვრილებით გააცნო დასავლეთ საქართველოში არსებული მდგომარეობა. ეს წერილი შემდეგ შინაარსს შეიცავდა: იმერეთის მეფე სოლომონ I-ს და ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ს დიდი მეგობრობა აკავშირებდა, და როცა იმერეთს ოსმალები შეესივნენ, ერეკლე II-მ სოლომონ I-ს ორჯერ საიდუმლო დახმარება აღმოუჩინა. ასევე, იმერეთის მეფე ქართლ-კახეთის მეფეს 9-ათასიანი ჯარით დაეხმარა, ერთხელაც ერეკლეს ლეკთა რაზმითაც მიაშველა თავის ძმა არჩილის მეთაურობით. სოლომონ მეფეს დასავლეთ საქართველოს მთავრები: დადიანი და გურიელი, ასევე რაჭის ერისთავი და სხვა თავადები უკლებლივ ემორჩილებოდნენ.

იმერეთს აღმოსავლეთით ქართლ-კახეთი ესაზღვრებოდა, სამხრეთიდან ახალციხის საფაშო. ახალციხემდე 1 დღის, არზრუმამდე 8 დღის, ტრაპიზონამდე 6 დღის საგალი მანძილი იყო. ამ ქალაქებში ოსმალთა სამთუღიანი ფაშები ისხდნენ. შემდეგ მაქსიმე ქუთათელი დაწვრილებით ეხება უმთავრეს საკითხს, ანუ დასავლეთ საქართველოში ოსმალთა გარნიზონების განლაგებას. ოსმალებს საქართველოს ზღვისპირეთში ეკავათ ბათუმის, ფოთის, სოხუმის ციხეები, სადაც საზღვაო ხომალდების მისადგომები იყო. საკუთრივ იმერეთში მათი ჯარი სამეფოს დედაქალაქ ქუთაისში, ბაღდათის, შორაპნის და ცუცხვათის ციხეებში იდგა. შვიდივე ციხე-სიმაგრეში ოსმალების საერთო რაოდენობა 700 მეომარს მოითვლიდა, ხოლო შეიარაღება – 85 დიდ და მცირე ზარბაზანს. ისინი ამ ციხეებში დიდი ხანია იდგნენ, მაგრამ ზიანის მიყენება და წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლოთ, ამასთანავე ზოგჯერ სოლომონ I-საც მორჩილებდნენ, ამიტომ მეფე მათ არსებობას ურიგდებოდა, რადგან მათი გაყრა ოსმალთა ახალ ლაშქრობას გამოიწვევდა. ის ციხე-სიმაგრეები, რომლებიც იმერეთის მეფეს ემორჩილებოდა, 15-მდე ზარბაზნით იყო აღჭურვილი. ერთი დიდი ზარბაზანი იმერლებმა მტერს წაართვეს და მათ წინააღმდეგ იყენებდნენ. შემდეგ ელჩი იმერეთის სამხედრო ძალას აღწერს: თავისი

მოლაშქრეებით გამოსული თავად-აზნაურობა 25 ათასიდან 30 ათასამდე აღწევდა, მაგრამ თანხის უქონლობის გამო ჯარის დიდხანს შენახვა და მტრისთვის საზღვარზე წინააღმდეგობის გაწევა ვერ ხერხდებოდა. თუ ეს თანხა იქნებოდა, მაშინ 50 ათასი მოლაშქრის შეგროვებაც შესაძლებელი გახდებოდა. გარდა ამისა, ყოველთვის მოხერხდებოდა ქირით 50 ათასამდე ლეკისა და ოსის გამოყვანა. თუ იმერლებს სათანადო გასამრჯელო ექნებოდათ, ქვეითი და ცხენოსანი მეომრების გამოყვანა ყოველთვის იქნებოდა შესაძლებელი, როგორც რუსეთში სალდათის და დრაგუნის რაზმები იყო. ომში იმერლები მამაცები და შეუპოვრები იყვნენ. თოფის წამალს იმერეთში აკეთებდნენ, მაგრამ უფრო მეტად სპარსეთიდან, ოსმალეთიდან და თბილისიდან იღებდნენ. აქედან მოსდიოდათ თოფი, ხმალი და ტყვია. რუსეთთან დამაკავშირებელი გზების შესახებ მაქსიმე ქუთათელი აღნიშნავდა, რომ იმერეთიდან მოზდოკამდე 5 დღის სავალი მანძილი იყო, მაგრამ ოსეთზე და მცირე ყაბარდოზე გამავალი გზების ცუდი მდგომარეობის გამო 2 დღის მანძილზე ურმით გასვლა შეუძლებელი იყო. თუმცა ცხენოსან და ქვეით ჯარს ამ გზაზე, ზამთრის გარდა, მოძრაობა ყოველთვის შეეძლო. ელჩმა თავის წერილში ყურადღება გაამახვილა იმერეთში არსებულ ბუნებრივ სიმდიდრეებზე, განსაკუთრებით ოქროსა და ვერცხლის საბადოებზე, აღწერა იმერეთის სავაჭრო ურთიერთობები და სამეურნეო მდგომარეობა. წერილის ბოლოს მაქსიმე ქუთათელმა რუსეთის მთავრობას იმერეთის მეფისთვის 5 ათასი ჯარისკაცითა და ფულადი სახსრით დახმარების აღმოჩენა სთხოვა. შამაგიეროდ, სოლომონ მეფე დასავლეთ საქართველოში მდგარ ოსმალებს იმ ზავსულსვე ერთიანად გაანადგურებდა და რუსეთის იმპერატორის ერთგული იქნებოდა [172, 2-5].

მაქსიმე ქუთათელმა რუსეთ-თურქეთის ომის დაწყების შემდეგ, იმერეთის ომში მონაწილეობის პირობად, საკმარისად აღარ მიიჩნია მარტო საიდუმლო დახმარების მიღება. ის უკვე იმერეთისათვის რუსეთის მფარველობას, საკუთარი სახსრებით აღჭურვილი რუსეთის ჯარის და სოლომონისათვის სახარჯო თანხის გაგზავნას ითხოვდა. ელჩის ეს მოთხოვნა თავისი შინაარსით სოლომონ I-ის თხოვნის წიგნს სცილდებოდა. უცხო კარზე დახმარების სათხოვნელად მისულ ელჩს კატეგორიული ტონით ლაპარაკი არ შეეძლო, მაგრამ თხოვნაში სიმტკიცე მაინც იგრძნობოდა. თუმცა მაქსიმეს რომ სცოდნოდა სულთნის მიერ სოლომონ მეფის შეწყალება, რაც მისი წამოსვლის შემდეგ, 1768 წლის სექტემბერში მოხდა, შეიძლება მისი მოთხოვნა სხვაგვარი ყოფილიყო. ელჩმა იმერეთის შესაძლებლობების თაობაზე გაზვიადებული ცნობების მიწოდებით მოახერხა რუსეთის საიმპერატორო კარის დაინტერესება და რუსეთისაგან დამხმარე ჯარი კიდევაც მიიღო, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მთავრობას 1768 წლის ნოემბერში ეს შეუძლებლად მიაჩნდა [129, 77-78].

1769 წლის 26 მაისს იმპერატორმა ეკატერინე II-მ იმერეთის მეფეს საპასუხო წერილი გამოუგზავნა, რომლითაც შემწეობის აღმოჩენას ჰპირდებოდა. სოლომონ I-ს იგი ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის დაუყოვნებლივ გაჩაღებას ურჩევდა [171, 50-51]. ხოლო 28 მაისს, სამშობლოში გამოემგზავრების წინ მაქსიმე ქუთათელს ოფიციალური საპასუხო წერილი გადასცეს, სადაც ნათქვამი იყო, რომ იმერეთში სამხედრო რაზმი და საკმარ რაოდენობის თანხა იგზავნებოდა, რათა სოლომონ მეფეს ოსმალთა მიმართ ბრძოლის განახლება შესძლებოდა. იმერეთის სამეფოსთვის მაქსიმე მიტროპოლიტის დიპლომატიური მისია რუსეთში მნიშვნელოვანი წარმატებით დასრულდა: 1. თუ რუსეთი ოსმალებზე გამარჯვებას მოიპოვებდა, საზავო ხელშეკრულების დროს იმერეთის სამეფოს, როგორც რუსეთის სამხედრო მოკავშირის ინტერესები გათვალისწინებული იქნებოდა; 2. იმერეთში გაიგზავნებოდა რუსეთის კარის სამი ასეული არტილერიით, სარტილერიო საქმის მცოდნე და სიმაგრეების მშენებელი ოფიცრებით; 3. იმერეთის მეფეს 50 ათასი მანეთი საკუთარი ჯარის შესანახად ეძლეოდა. ამის შემდეგ მაქსიმე ქუთათელი სამშობლოში გამოემგზავრა და 14 აგვისტოს იგი უკვე ყიზლარში იყო [129, 87, 89, 90]. 1769 წლის სექტემბრისთვის ქუთათელი მიტროპოლიტი იმერეთში მოვიდა, სადაც

მას ყველა დიდი სიხარულით მიეგება. სამეფოს კარზე იმპერატორი ეკატერინეს წერ-ილი უმაღლვე წაიკითხეს [172, 22-23].

რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოში გენერალ ტოტლებენის მეთაურობით, სამხედრო რაზმი გამოგზავნა 480 კაცის შემადგენლობით. ამ რაზმს 4 ქვემეხი გააჩნდა. 1769 წლის 26 სექტემბერს ტოტლებენი თავისი რაზმის სამი ასეულით იმერეთის საზღვრებზე მივიდა, სადაც მას 27 სექტემბერს სოლომონ მეფე, კათალიკოსი იოსები და სხვა დიდებულები შეეგებნენ. 1769 წლის 3 ოქტომბერს ტოტლებენმა და სოლომონ I-მა საერთო ძალებით ალყა შემოარტყეს შორაპნის ციხეს, რომელსაც 23 მეციხოვნე იცავდა. ამასობაში იმერეთის ტერიტორიაზე სამეგრელოს მთავარი და ოსმალები შემოიჭრნენ. სოლომონი იძულებული გახდა, მოწინააღმდეგეს შებრძოლებოდა, ხოლო რუსებს დამხმარედ კათალიკოსი იოსები და მაქსიმე ქუთათელი მიტროპოლიტი მიუჩინა მათი მოლაშქრეებით. თუმცა ტოტლებენმა 4 დღის შემდეგ შორაპნის ციხეს ალყა თვითნებურად მოხსნა, 13 ოქტომბერს იმერეთის საზღვარი დატოვა და ქართლში გადავიდა [172, 21. 129, 106]. 1770 წელს რუსეთის რაზმი იმერეთში ისევ შემოვიდა. სოლომონ I-მა და ტოტლებენმა ჯერ ცუცხვათის ციხე აიღეს, შემდეგ 15 მაისს ქუთაისის ქალაქი ოსმალთაგან გაანთავისუფლეს. მერე ბაღდათის ციხეც აიღეს. ამის მერე რუს-იმერთა გაერთიანებულმა ჯარმა ქუთაისის ციხეში გამაგრებულ ოსმალებს შეუტია და 1770 წლის ივლისში გამარჯვება მოიპოვა [172, 47-78].

1778-1781 წლებში სოლომონ I-ს და მაქსიმე აბაშიძეს შორის, რომელიც ქუთათელ მიტროპოლიტობასთან ერთად დასავლეთ საქართველოს კათალიკოსობასაც ფლობდა, ურთიერთობა გამწვავდა. ეს დაპირისპირება მეფის ძის, უფლისწულ ალექსანდრეს უკანონო ქორწინებით იყო გამოწვეული [190, 63]. ამ უჯერო ქორწინების გამო ეკლესიამ უფლისწული შეაჩვენა. 1780 წელს ალექსანდრე გარდაიცვალა. სოლომონ I-ს მემკვიდრის შესაფერისი პატივით დაკრძალვა უნდოდა ეკლესიის შიგნით, მაგრამ საეკლესიო კრებამ და მაქსიმე კათალიკოს-ქუთათელმა მეფეს ამის ნება, მიუხედავად დიდი თხოვნისა, არ მისცეს, რადგან ალექსანდრე ეკლესიისგან შეჩვენებული იყო. ბატონიშვილის ცხედარს მხოლოდ ერთი მღვდელი მიუძღოდა წინ და მისი თანხლებით გელათის მთავარი ეკლესიის გარეთ დაკრძალეს [24, 26-27. 33, 146]. ყოველივე ამან მეფესა და კათალიკოს შორის ურთიერთობა დაძაბა და მაქსიმე აბაშიძე 1781 წლის თებერვლის შემდეგ იძულებული გახდა, აღმოსავლეთ საქართველოში გადასულიყო.

მომდევნო ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოს წერეთელი, რომელიც 1781 წლიდან განაგებდა საეპისკოპოსოსს [18, 74], აქტიურად მონაწილეობდა იმერეთის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. სოლომონ I-ის მიერ რუსეთის იმპერატორ ეკატერინე II-სადმი 1784 წლის 6 მარტს გაგზავნილ წერილს, სადაც მეფე მფარველობას ითხოვდა, სხვებთან ერთად დოსითეოს მიტროპოლიტმაც მოაწერა ხელი [190, 58].

1784 წლის 23 აპრილს სოლომონ I გარდაიცვალა. იმერეთის სამეფო ტახტზე სოლომონის ბიძაშვილი დავით გიორგის ძე (1784-1790 წწ.) ავიდა, რომელსაც ტახტის მეორე მაძიებლის, დავით არჩილის ძის მომხრეები დაუპირისპირდნენ. დავით მეფემ იმერეთის სასულიერო პირთა და თავად-აზნაურთა უმრავლესობის მხარდაჭერის მოპოვება შესძლო. 1784 წლის 1 მაისს დოსითეოს ქუთათელმა, ეფთვიმე გენათელმა, იოანე მთავარეპისკოპოსმა და თავადების ნაწილმა ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის წარმომადგენელ გენერალ პოტიომკინს წერილი გაუგზავნეს, სადაც ისინი სწერდნენ, რომ დავით გიორგის ძის გამეფებას მხარს უჭერდნენ [128, 97, 248].

1789 წლის 11 ივლისს მათხოჯის ბრძოლაში დავით მეფე სამეგრელოს მთავარ გრიგოლ დადიანსა და დავით არჩილის ძის მომხრეებთან ბრძოლაში დამარცხდა და იძულებული გახდა, ახალციხის საფაშოში გადახვეწილიყო [128, 51]. იმერეთის სამეფო ტახტზე სოლომონ II-ის სახელით დავით არჩილის ძე (1789-1810 წწ.) ავიდა [130, 204]. მაგრამ შიდა არეულობა ისევ გრძელდებოდა და ამიტომ შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, 1789 წელს იმერეთის წარჩინებულებმა ერეკლე II-თან დელეგაცია

მიაველინეს. წარმომადგენლობაში დოსითეოს ქუთათელი, ეფთვიმე გელათელი, ზურაბ წერეთელი, პაატა მიქელაძე, სეხნია წულუკიძე და სხვები შედიოდნენ. მათ ერეკლე II-ს იმერეთის ქართლ-კახეთთან შეერთება სთხოვეს [99, 18], მაგრამ, სამწუხაროდ, მათი ეს სურვილი ვერ განხორციელდა.

მოგვიანებით, დოსითეოსი და ეფთვიმე გენათელი ერთმანეთს გადამტყრებული სოლომონ II-ის და სამეგრელოს მთავარ გრიგოლ დადიანის მორიგებასაც ცდილობდნენ. იმერეთის მეფემ სამეგრელოს მთავარი ქუთაისში მოსალაპარაკებლად მიიწვია. სოფელ ბანძაში მყოფმა გრიგოლ დადიანმა და ბიძამისმა გიორგი დადიანისძემ შუამავლებად ქუთათელი და გენათელი მიტროპოლიტები მოითხოვეს. დოსითეოს ქუთათელი და ეფთვიმე გენათელი ბანძაში მივიდნენ. მათ მთავარი და მისი ბიძა ქუთაისში, ქუთათელი მიტროპოლიტის სასახლეში მიიყვანეს. სოლომონ II-თან მოლაპარაკებაზე გრიგოლ დადიანმა ბიძამისი გააგზავნა. გიორგი დადიანისძემ სამეგრელოს მთავარს მეფესთან გამოცხადება არ ურჩია. გრიგოლი სწრაფად უკან დაბრუნდა და ხუნწში დადგა. მას დოსითეოსი და ეფთვიმეც გამოყვინენ, რომლებიც შემდეგ უკან დაბრუნდნენ [15, 189]. მიტროპოლიტთა ეს შუამავლობა მეფისა და მთავრის შესარიგებლად უშედეგოდ დამთავრდა [184, 22-23].

1803 წელს მთავარმართებელ ციციანოვის დაგალებით, იმერეთში ს. ბრონევსკი გაემართა, რომელსაც სოლომონ II-ის მიერ დატყვევებული ბატონიშვილი კონსტანტინეს განთავისუფლება ჰქონდა დაკისრებული. ბრონევსკიმ დახმარება დოსითეოს ქუთათელს და ქაიხოსრო წერეთელს სთხოვა. მათაც დაიყოლიეს მეფე, რომ გაენთავისუფლებინა კონსტანტინე ბატონიშვილი [169-ა, 349].

1804 წელს პ. ციციანოვმა შეძლო ეიძულებინა სოლომონ II, იმერეთის რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლის ხელშეკრულებაზე მოეწერა ხელი. შეთანხმების თანახმად, სამეფო ტახტს სოლომონ II და მისი შთამომავლობა ინარჩუნებდა. თუმცა 1808 წელს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა საიდუმლო ბრძანება გასცა იმერეთში სამეფო ხელისუფლების გაუქმების შესახებ [142, 343, 356]. ამის შემდეგ სოლომონ II-სა და რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის ურთიერთობა დაიძაბა და მეფე იძულებული გახდა, დაეტოვებინა ქუთაისი, სადაც უკვე რუსის ჯარი იდგა. 1809 წელს ქაიხოსრო წერეთელმა, სეხნია წულუკიძემ და როსტომ ნიჟარაძემ აფხაღაურში იმერეთის თავად-აზნაურობა და მრავალრიცხოვანი ხალხი შეკრიბეს. შეკრიბილებმა დოსითეოს ქუთათელისა და ეფთვიმე გენათელის წინაშე ფიცი დადეს, რომ სოლომონ II-ის ერთგულები იქნებოდნენ. იმავდროულად იმერეთში რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა სოლომონ II-თან მოსალაპარაკებლად, ზურაბ წერეთელსა და ეფთვიმე გენათელთან ერთად დოსითეოს ქუთათელიც მიაველინეს, რომელსაც რუსების თვალსაზრისით, მეფესა და ხალხზე დიდი გავლენის მოხდენა შეეძლო. თუმცა 1809 წლის 10 ივლისს გამართული ეს მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა, რადგან მეფემ რუსეთის მთავრობის მოთხოვნების შესრულებაზე უარი განაცხადა [169, 199, 202]. თვითონ დოსითეოსი რუსებთან შემდგომ თანამშრომლობაზე შეძლებისდაგვარად თავს იკავებდა. 1810 წლის თებერვალში მან უპასუხოდ დატოვა იმერეთში რუსეთის ჯარების სარდალ სიმონევიჩის მოთხოვნა, კვლავ წასულიყო სოლომონ II-თან მოსალაპარაკებლად [169, 229].

1810 წლის 20 თებერვალს ქუთაისის ეკლესიაში სიმონევიჩმა სოლომონ II-ის ხელისუფლება დამსობილად გამოაცხადა და თან საომარი მოქმედებები დაიწყო მეფის მომხრეების წინააღმდეგ. 12 მარტს ბაღდადთან ახლოს სალხინოს ტაძარში რუსმა ოფიცრებმა: სიმონევიჩმა და მოგილევისკიმ ჯვარსა და სახარებაზე დაიფიცებით, რომ მეფეს არაფერს ავნებდნენ, მთავარმართებელ ტორმასოვთან ვითომ მოსალაპარაკებლად სოლომონ II ქართლში შეიტყუეს. სოფ. ვარიანში კი ტორმასოვის ბრძანებით მეფე „საპატიო ტყვეობაში“ აიყვანეს და გაძლიერებული ბადრაგის თანხლებით თბილისში გაამგზავრეს.

დატყვევებულმა მეფემ 11 მაისს თბილისიდან გაქცევა მოახერხა და თავი ახალციხის საფაშოს შეაფარა [85, 196, 204]. 17 მაისს სოლომონ II ახალციხიდან დოსითეოს ქუთათელს სწერდა, რომ თუკი რუსებმა იმერეთში გაიმარჯვეს, რუსების მომხრეებს „რომლებსაც დღეს ოქროს აძლევდნენ, ხვალ მათის ოჯახის საცხოვრებელსაც წაართმევენ“, „მათ ქართლ-კახეთშიც პირველად ფიცითა და ოქროთი მოატყუეს“, რუსები „თავის ჩვეულებას თქვენთვის არ გამოცვლიან, არც თქვენს მამა-პაპათ იცნობენ, არც აქვთ სიყვარული და გულისშეტკიება. მე კი თქვენ მიყვარხართ, გიცნობთ და მიცნობთ და მოვიდა შემთხვევა, რომ ჩემს მხარეზე დადგეთ და დარახმით თქვენი მრევლი“. მეფე ქუთათელ მიტროპოლიტს წინანდელი დამსახურების გამო მადლობას უხდოდა და კვლავ ერთგულებას სთხოვდა [169, 268-269].

1810 წელს ახალციხიდან იმერეთში გადმოსულმა სოლომონ II-მ რუსების მხარეზე გადასულ სახლთხუცეს ზურაბ წერეთელთან მოსარიგებლად თუ მოსალაპარაკებლად ქუთათელი დოსითეოსი, ეფთვიმე გენათელი, ნიკოლოზ ლორთქიფანიძე და ხახული აბაშიძე გაგზავნა. მეფე ამ დროს თავისი ჯარით კოხში იდგა [19, 115].

იმერეთის დაპყრობის შემდეგ იქ 1819 წელს რუსეთის კოლონიური ხელისუფლების წინააღმდეგ დიდი აჯანყება დაიწყო. აჯანყების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი რუსეთის მიერ დასავლეთ საქართველოში ახალი საეკლესიო პოლიტიკის გატარება იყო, რომელსაც საქართველოს ეგზარქოსი თეოფილაქტე რუსანოვი რუსეთის ხელისუფლთა მხარდაჭერით ასორციელებდა. აჯანყების ერთ-ერთ მთავარ ორგანიზატორად და ხელშემწყობად რუსეთის მმართველობამ თავიდანვე დოსითეოს ქუთათელი მიიჩნია [170, 540, 554, 574].

1819 წლის 18 ივლისს დოსითეოს ქუთათელი და ეფთვიმე გენათელი ქუთაისში ჩასულ გენერალ სისოევს შეხვდნენ. მიტროპოლიტებმა გენერალს აუხსნეს, რომ აჯანყება იმერეთიდან რუსეთის ხელისუფლების განდევნას კი არ ისახავდა მიზნად, არამედ დაწყებული საეკლესიო რეფორმის წინააღმდეგ იყო მიმართული, რადგან ეგზარქოსი ფულადი გადასახადების დაწესებას აპირებდა, რომლის გადახდა მოსახლეობას არ შეეძლო [170, 541]. იმავე დღეს დოსითეოსმა თავისთან მიიღო გიორგი ავალიშვილი და თეოფილაქტეს უსამართლობაზე შესჩივლა. გ. ავალიშვილის დახასიათებით, ქუთათელი მიტროპოლიტი სასულიერო განსწავლულობის გარდა გამოცდილი იყო „აქაურთა სამკვედროთა და სამოქალაქოთაცა საქმეთა შინა“, რომელსაც რუსეთის ხელისუფლებისაგან მანამდე მიღებული ჰქონდა წმინდა ანას პირველი კლასის ორდენი [2, 16, 21].

1819 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში დოსითეოს ქუთათელმა ეფთვიმე გენათელთან ერთად მთავარმართებელ ერმოლოვს წერილით მიმართა, რომ გამოეძიებინა იმერეთში ეგზარქოსის მიერ ჩადენილი უსამართლო ქმედებები [170, 397].

1819 წლის 31 აგვისტოს რუსეთის უმაღლესმა ხელისუფლებამ გადაწყვეტილება მიიღო, რომ ქუთაისის და გელათის მიტროპოლიტები პეტერბურგში გაეგზავნათ, რადგან ისინი იმერეთში დაწყებულ აჯანყებას ხელს უწყობდნენ. განსაკუთრებით, ყურადღება დოსითეოსზე იყო გამახვილებული, რომელსაც, რუსების აზრით, თავის ძმისშვილ ბეჟან წერეთელთან ერთად კავშირი ჰქონდა მემამოხეებთან და მათ ფულითა და იარაღით ამარაგებდა. უშუალოდ ქუთათელი მიტროპოლიტი ამ დროს სოფელ მაღლაკში ცხოვრობდა. მას მეთვალყურეობას მაიორი ოსტროუხოვი უწევდა, რომლის განკარგულებაში 100 ეგერი და 15 კაზაკი იმყოფებოდა. ოსტროუხოვისთვის ნაბრძანები იყო, განკარგულების მიღებისთანავე დოსითეოს ქუთათელი დაეპატიმრებინა [170, 395, 569, 575, 582].

1820 წლის დასაწყისისთვის რუსეთის ხელისუფლებამ გეგმა შეიმუშავა, რომლის მიხედვით, აჯანყების ყველა მოთავე უნდა შეეპყროთ და რუსეთში გადაესახლებინათ. კავკასიის მთავარმართებელმა ერმოლოვმა და გენერალმა ველიამინოვმა ამის შესრულება იმერეთის ახალ მმართველს, პოლკოვნიკ პუზირევსკის დაავალეს. პუზირევსკის

ნაბრძანები ჰქონდა, რომ აჯანყებულთა შეპყრობის დროს ქუთათელი და გენათელი მიტროპოლიტები არ მოეკლა, რადგან მათი სიკვდილი იმერეთში მღვლავარებას კიდევ უფრო გააძლიერებდა. თუ მიტროპოლიტების ცოცხლად შეპყრობა მაინც ვერ მოხერხდებოდა, მათი ცხედრები იმერეთში არ უნდა დაეკრძალათ [170, 582].

1820 წლის 12 თებერვალს პუზირევსკიმ ველიამინოვისაგან მიიღო მითითება, რომ იმერეთის აჯანყების მოთავეები ყველა ერთად, ერთ დღეს შეეპყრო. დასაკავებელ პირთა სია საკმაოდ ვრცელი იყო: დოსითეოს ქუთათელი, ეფთვიმე გენათელი, ტაბაკინის მონასტრის არქიმანდრიტი გრიგოლი, დარეჯან დედოფალი, ივანე აბაშიძე, სეხნია წულუკიძე და სხვები. ამ სიის შედგენაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ეგზარქოსმა თეოფილაქტემ [170, 575-576].

დაპატიმრების დროდ 1820 წლის 4 მარტის საღამო დაინიშნა. ველიამინოვმა პუზირევსკის დამხმარე ძალად გენერალ სისოევის მეთაურობით ხერსონის გრენადერთა ბატალიონი გაუგზავნა. პუზირევსკიმ ამბოხების მოთავეები მოტყუებით ქუთაისში, ვითომდა იმერეთის ყოფილი მმართველის კურტანოვსკის გასაცლილებლად მიიწვია. დაკავების დროს თავად სეხნია წულუკიძემ მაიორ მიხინს ესროლა, ხოლო მდივანბეგი მიქელაძე ხანჯლით ცდილობდა თავის დაცვას, მაგრამ ისინი განაიარაღეს. ქუთათელმა დოსითეოსმა დაკავებისას რუსებს დიდი წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ შემდგომ სალდათებისაგან სასტიკად ნაცემმა გონება დაკარგა [185, 510-511]. ამ ამბის თვითმხილველი კაპიტანი დუბეცკი წერდა: „მათი დაპატიმრების დროს ადგილი ჰქონდა არათავაზიან მოქცევას, რადგან ერთი მათგანის წინააღმდეგობის გამო იხმარეს თოფის კონდახები და ხიშტები, ასე, რომ გასისხლიანებული მწყემსმთავარი შეკრეს და ძალით შესვეს ცხენზე“ [197, 89].

პუზირევსკიმ საჭიროდ მიიჩნია, რომ დაკავებულებისთვის თავზე ტომრები გადაეცვა, რათა ისინი ხალხს არ ეცნო. გაცემული იყო განკარგულება, რომ ბადრაგზე თავდასხმის შემთხვევაში ყველა დაპატიმრებული უნდა დაეხოცათ. 5 მარტს გზაში დოსითეოს ქუთათელი ავად გახდა, ხოლო 8 მარტს ნაშუადღევს 5 საათზე იგი სურამსა და გორს შორის გზაზე გარდაიცვალა. მისი სიკვდილი მაიორ მიხინს ბადრაგისთვისაც არ გაუმხელია. ეგზარქოსმა თეოფილაქტემ განკარგულება გასცა, გარდაცვლილი მიტროპოლიტის ცხედარი პირველსავე ეკლესიაში სათანადო პატივის გარეშე დაემარხათ. დოსითეოსის ნეშტი ანანურის ეკლესიაში დაკრძალეს [170, 575, 584, 586, 15, 206-207].

როგორც ვხედავთ, ქუთათელი მღვდელმთავრები დიდ როლს თამაშობდნენ ჯერ ერთიანი საქართველოს, შემდეგ კი იმერეთის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქუთაისის მთავარეპისკოპოსების დიდი წვლილი XVIII საუკუნის იმერეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის დიპლომატიურ ურთიერთობებში. ქუთათელი მიტროპოლიტი ტიმოთე გაბაშვილი სათავეში ედგა 1737 წლის იმერეთის ელჩობას რუსეთში, რომელმაც შედეგი ვერ მოიტანა მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთი იძულებული გახდა, ზავი დაედო ოსმალეთთან და იმხანად შავ ზღვაზე გაბატონების ამოცანაზე ხელი აეღო. სამაგიეროდ, უფრო წარმატებული აღმოჩნდა ქუთათელი მიტროპოლიტი მაქსიმე აბაშიძის დიპლომატიური მისია რუსეთში. ამ მისიამ რუსეთის ხელისუფლებას საბაბი მისცა, გენერალ ტოტლებენის მეთაურობით საექსპედიციო კორპუსი გამოეგზავნა სამხრეთ კავკასიაში და საქართველოს სამეფო-სამთავროები 1768-1774 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში ჩაება.

თავისებურ დიპლომატიურ მისიას ასრულებდა ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოს წერეთელი, რომელიც, როგორც შეამავალი, რამდენჯერმე მონაწილეობდა იმერეთის მეფე სოლომონ II-სა და რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკებებში. დოსითეოს ქუთათელი რუსეთის მიერ იმერეთის სამეფოს გაუქმების

შემდეგ ცდილობდა, დასავლეთ საქართველოს ეკლესია დაეცვა რუსების ძალადობრივი ხელყოფისაგან და ამას მისი ტრაგიკული სიკვდილი მოჰყვა.

თავი V.

ქუთაისის საეპისკოპოსოს სამეურნეო-ეკონომიკური მდგომარეობა

ქუთაისის საეპისკოპოსო მნიშვნელოვან საეკლესიო ცენტრთან ერთად, საუკუნეთა განმავლობაში მსხვილ სამეურნეო-ეკონომიკურ ერთეულს წარმოადგენდა დასავლეთ საქართველოში.

ქუთაისის საეპისკოპოსოს სამეურნეო-ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი ყველაზე ადრეული ხანის დოკუმენტი, რომელიც დღეისთვის მოგვეპოვება, არის 1578 წლის ქუთაისის საყდრის გამოსაღები ბეგრის დავთარი. დავთარი ნუსხურით არის დაწერილი და 78 ფურცელს შეიცავს. ტექსტი პირველად ექ. თაყაიშვილმა გამოაქვეყნა [57, 1-72], ხოლო შემდგომ ი. დოლიძემ [42, 279-343].

დავთარი წარმოადგენს ქუთაისის საეპისკოპოსოს კუთვნილი გლეხების გამოსაღები გადასახადების წიგნს, რომლებიც ამ საეპისკოპოსოს სამწყსოში შემავალ სოფლებში ცხოვრობდნენ და ვალდებულნი იყვნენ, ქუთათელი მთავარეპისკოპოსოსთვის დადგენილი გადასახადი გადაეხადათ.

ექ. თაყაიშვილის აზრით, საბუთი დედანს წარმოადგენს [57, 2], ხოლო ივ. ჯავახიშვილმა ხელნაწერის დედნობა საეკვოდ მიიჩნია იმ მოსაზრებით, რომ ზოგი სოფლის გამოსაღების ჯუმალი დავთრის ცნობებს არ უდგებოდა და დოკუმენტს არავითარი შესავალი არ ჰქონდა. ასევე უცნობი იყო, თუ ვისი ბრძანებით და ვის მიერ იყო შედგენილი [42, 1160].

დავთრის ბოლო ნაწილი განსხვავდება დანარჩენი ნაწილისაგან გამოსაღების სახეობით და ტერმინოლოგიით. ს. კაკაბაძემ ქუთაისის საყდრის მთელ დავთართან შედარებით ეს ბოლო ნაწილი უფრო ადრეულ ხანაში, XIV-XV საუკუნეში შედგენილად მიიჩნია [100, 246]. დავთრის ეს ბოლო ნაწილი გურიის სოფელ ბახვის და ალბათ მისი მეზობელი ზოგიერთი სოფლის მეკომურთა გამოსაღებს ეხება, რომლებიც ქუთათელის სამწყსოში შედიოდნენ და მისი ბეგარავალდებულები ყმები იყვნენ (42, 1161).

აღნიშნული დავთრის მიხედვით, საქუთათლო მამულები თავის გამოსაღები ბეგარა-ვალდებულებებით შემდგენილია:

1. ქუთაისი – ქუთაისში იყო 20 კომლი, მათ შორის 5 პარტახტი (ამოწყვეტილი კომლი). 14 კომლიდან 1 აზნაური იყო, რომელსაც პურის ჭამა ემართა. 10 მსახურიდან ექვსს პურის ჭამა და სამსახური ელო ბეგრად. დანარჩენი ოთხიდან ერთს – საყდრის სამსახური, მეორეს – საყდრის ჭედვა და ხელოსნობა, მესამეს – ჭურჭლით სამსახური, მეოთხეს – 20 თეთრი და სამსახური ემართა. 1 გლეხი იყო ქუთაისის საყდრის სადეკანოზოდ (დეკანოზს ემსახურებოდა). ქუთაისში ქუთათელის ყმები იყვნენ: ქასილაძე, კიკორაძე (პარტახტი), ფაჩუაშვილი, გზობიაშვილი, იობიძე, უგრეხელისშვილი, კახაშვილი, გოგაწითელასშვილი, მეგრელიძე, აფხაძე, მეფარისშვილი, მალდაკელიძე, თუთბერიძე და სხვები.

2. ახალსოფელი – ახალსოფელში ქუთაისის ეკლესიის მეზობრე გლეხების რაოდენობა 7 კომლს აღწევდა, რომელთაც მართებდათ ბეგარა, სულ: 175 კოკა ღვინო (9-ლიტრიანი კოკა), 56 ნაოთხალი ღომი (იმ შემთხვევაში, თუ საეკლესიო ყანას არ დაამუშავებდნენ. ყანის დამუშავებისას მხოლოდ 14 ნაოთხალი უნდა გადაეხადათ). 42 თეთრი, 21 ქათამი, 7 საკლავი (თითო 12-თეთრიანი), 140 კვერცხი. პარტახტების რაოდენობა ახალსოფელში 6 იყო, რომელთა გამოსაღები შეადგენდა სულ: 150 კოკა ღვინოს, 6 საკლავს, 36 თეთრს, 18 ქათამს, 120 კვერცხს, 12 ნაოთხალ ღომს (ეს იმას უნდა გადაეხადა, პარტახტებს ვინც დაამუშავებდა). ამ სოფელში ქუთათელს 1 აზატი ჰყავდა, ხოლო საერთოდ ახალსოფელში ქუთაისის საყდრის ყმები იყვნენ: რუხვაძე, ქაშიბაძე, მექუაბიძე, ბიბილასვილი, ტაბიძე, აფრიდონიძე, მელაძე, ქურციანაძე, ჟორჯოლიანი, კუტივაძე, ტყეშელაშვილი. გლეხების ვალდებულებას შეადგენდა, გამოსულიყვნენ საყდრის და სასახლის სამუშაოზე, ტვირთი ეზიდათ და საეკლესიო ზვარი დაემუშავებინათ.
3. ორშიში – ქუთათელს 7 კომლი მეზობრე გლეხი ეკუთვნოდა, რომელთა გამოსაღების საერთო რაოდენობა შედგენდა: 120 კოკა ღვინო (12-ლიტრიანი), 100 კოკა ღვინო (9-ლიტრიანი), 7 საკლავი, 42 თეთრი, 21 ქათამი, 104 კვერცხი, 14 ნაოთხალი ღომი. გლეხები უნდა გამოსულიყვნენ საყდრის, სასახლის და ზვარის სამუშაოზე, უნდა ეზიდათ ტვირთი. ქუთათელის ყმები კოსტანტაძეები იყვნენ.
4. ქუტირი – ქუთათელის 2 კომლ ყმას, შატმახაშვილს და ჩიბურდანიძეს, ემართათ: პირველს – 20 კოკა ღვინო (8-ლიტრიანი), ხოლო მეორეს – 20 კოკა ღვინო (12-ლიტრიანი). მათ ასევე ევალეობდათ სამსახური და შინაყმობა.
5. მალლაკი – ქუთაისის საეპისკოპოსოს 31 კომლი მეზობრე გლეხი ჰყავდა, რომელთა გამოსაღები იყო: 321 კოკა ღვინო (9-ლიტრიანი), 374 თეთრი, 58 ქათამი, 270 კვერცხი. ქუთათელის ყმები იყვნენ: ივანჯანისშვილები, აროძეები, ჟორჯოლიანები, სარიდასშვილები, ხაზარაძეები, შალაბერიძეები და სხვები. პარტახტების რაოდენობა 11-ს აღწევდა, რომელთაც მართებდათ: 102 კოკა ღვინო (9-ლიტრიანი), 112 თეთრი, 60 კვერცხი, 6 ქათამი. მალლაკელიძეებს ასევე უნდა გადაეხადათ: ფინი, ღარძაყანი, სამარხვო ცერცვი. გლეხებს ბეგრად ედოთ: მძიმე სამუშაოების შესრულება და ხარ-ურემით სამსახური.
6. ფარცმანაყანევი – ქუთათელის ყმების რაოდენობა 13 კომლ მეზობრე გლეხს შეადგენდა. მათი გადასახადი იყო: 150 კოკა ღვინო (9-ლიტრიანი), 160 კოკა ღვინო (8-ლიტრიანი), 70 თეთრი, 16 ქათამი, 37 კვერცხი. პარტახტები 7 იყო, რომელთაც შემდეგი გამოსაღები ედოთ: 79 კოკა ღვინო (9-ლიტრიანი), 84 თეთრი, 14 ქათამი, 37 კვერცხი. გლეხებს ასევე უნდა გადაეხადათ სამარხვო ცერცვი, ყდა და ღარტყაჲ, საქუთათლოს ყმები იყვნენ: კილაძეები და ღაღაძეები.
7. ჩუნეში – ქუთაისის ეკლესიას 5 კომლი კუტივაძეები ეკუთვნოდა, რომელთაც 35 კოკა ღვინო, 90 თეთრი, 5 ქათამი, 25 კვერცხი და 21 ნაოთხალი ღომი ემართათ.
8. ოფსკვჯი – ბლუიძეებს, ღაღაძეს და კვარტელიძეს, სულ 5 კომლს, საეპისკოპოსოსთვის უნდა გადაეხადათ: 5 ურემი ღომი, 70 კოკა ღვინო (10-ლიტრიანი) და 20 კოკა ღვინო (9-ლიტრიანი), 4 საკლავი (თითო ათ-ათი თეთრის) და 1 საკლავი (12-თეთრიანი), 4 ნაოთხალი ქერი, 7 ქათამი, 4 კომლს თითო-თითო საძღვენო კვერცხი ემართა.
9. პატრიკეთი – 4 კომლ ყმა-გლეხებს – ნარჩომაშვილებს და ბლუიძეებს ემართათ: 20 კოკა ღვინო, 4 საკლავი, 5 ქათამი, 3 ურემი ღომი და 3 ნაოთხალი ქერი.

10. ბაკისუბანი – 1 კომლ მსახურ რევისშილს გადასახდელი ჰქონდა 4 ლიტრა სანთელი, პურის ჭამა და ძღვენი.
11. გეგუთი – 2 კომლ მსახურ გაბუნიებს მართებდათ: 900 ძნა თივა, 6 თეთრი, 1 ქათამი, შინ ჩადგომით სმა-ჭამა და ცხენით სამსახური.
12. ბაში – ქუთაისის საეპისკოპოსოს 29 კომლი მებეგრე გლეხი ჰყავდა, რომელთა გადასახადი შეადგენდა: 29 ურემ ღომს, 580 კოკა ღვინოს (12-ლიტრიანი), 28 საკლავს, 112 ქათამს, 72 კვერცხს. გარდა ამისა, ყველა კომლს სათითაოდ „სათეთრო თევზი“, 30 ხელი საჯინბო მჭადი, თითო შექნილი მჭადი, თითო ჩარეკი მკედი, მძაღვ, ნიორი, მარილი, თევზაობა, ტვირთის ზიდვა, სასახლის მუშაობა, პურის ჭამა (რომელსაც რიკრიკას ეძახდნენ) და ბადის მკედი ემართა. ქუთათელის ყმები იყვნენ: ცეტიძეები, სვანიძეები, ნონიასშვილები, გერაძეები, კაშმაძეები, ნაცვლისშვილები, მუხლუხიძეები, ხალბაკიძეები, ღანდურიძეები.
13. მესხეთი – ქუთათელი ფლობდა 9 კომლ მებეგრე გლეხს, რომელთაც ემართათ: 108 კოკა ღვინო (9-ლიტრიანი), 34 კოკა ღვინო (8-ლიტრიანი), 1 საკლავი, (10-თეთრიანი), 96 თეთრი, 16 ქათამი, 90 კვერცხი. ერთ შინაყმას, ლაღაძეს, მართებდა 1 ლიტრა სანთელი და შინაყმობით სამსახური. პარტახტი ერთი იყო, რომლის გამოსადები 12 კოკა ღვინოს, 10 თეთრს, 2 ქათამს, 5 კვერცხს შეადგენდა. გლეხებს სამარხვო ცერცვიც უნდა გადაეხადათ. მესხეთში ქუთათელის ყმები იყვნენ: მოცინარაშვილი, გორგოძეები, აბულაძეები, ცქვინაძეები.
14. წყალთაშუა – ეპარქიას 3 კომლი მებეგრე გლეხი ჰყავდა, რომელთაც 3 ურემი თივა, 3 გვერდი ქერი, 3 საკლავი, 3 ქათამი, კვერცხი, სამარხვო, პირუტყვის შენახვა, სმა-ჭამა, ურმით ბარგის ზიდვა, გეგუთის შეშის მიტანა ემართათ. ამ სოფელში 7 პარტახტი იყო, რომელთა გამოსადები 7 ურემი თივა, 7 გვერდი ქერი, 7 საკლავი და სხვა დანარჩენი გადასახადები იყო. მებეგრე გლეხები იყვნენ: თოღაძე და სურსლაძეები. ის, რომ გეგუთში წყალთაშუაელებს შეშის მიტანა ევალებოდათ, გვაფიქრებინებს, რომ იქ ქუთათელი მთავარეპისკოპოსის ერთ-ერთი რეზიდენცია – „სასახლე“ არსებობდა, რომლის სამსახური, როგორც დავთრიდან ჩანს, საქუთათლოს ყმებს ევალებოდათ.
15. ჭოღლევი – ბერძენაძეებს, ბათლუმესშვილს და სულამაისაშვილს, სულ 6 კომლს, საქუთათლოდ 78 კოკა ღვინო (10-ლიტრიანი), 6 საკლავი (თითო 20 თეთრის) 36 თეთრი, 6 ნაოთხალი ღომი, 10 ქათამი, 30 კვერცხი, სავაჭრო ძღვენი მართებდა. 3 კომლს ემართა „სათეთრო თევზი“. გლეხები ვალდებულნი იყვნენ, ყოველ კვირას საყდრის სამუშაოზე გამოსულიყვნენ.
16. ჯვარისა – ქუთათელის 3 კომლ ყმას – ებაურიძეს, სირბილაძეს, დიდბარიძეს მართებდათ: 30 კოკა ღვინო, 15 ფოხალი ღომი, საყდრის ლურსმანი და გარდაჭედა.
17. როკითი – ქუთათელის საყმოს შეადგენდა სულ: 7 კომლი აზნაური, 3 კომლი აზატი, 11 კომლი მსახური, 48 კომლი მებეგრე გლეხი, 2 კომლი აზნაურის ყმა, 1 კომლი აზატის ყმა, 1 კომლი ჯვრისმტვირთველის ყმა ქუთათელის საკუთრება იყო: 6 მებეგრის პარტახტი, 1 აზნაურის პარტახტი, 3 მსახურის პარტახტი. 7 კომლ თითოეულ აზნაურს მართებდა: პურის ჭამა, ლაშქრობა და თითო თეთრის ყავრის მიტანა ქუთაისში. ერთ კომლ აზნაურს 2 კომლი ყმა ჰყავდა. 3 კომლ აზატს მართებდა: პურის ჭამა, ცხენით სამსახური, თითო თეთრის ყავრის მიტანა ქუთაისში. ერთ აზატს თავისი ყმა ჰყავდა. 11 კომლ მსახურს უნდა გადაეხადა: 11 კოკა ღვინო (10-ლიტრიანი), 4 ნაოთხალი ღომი, 6 საკლავი, 5 გოჭი, 6 ქათამი, 3 ცხვარი. მათ ასევე ევალებოდათ პურის ჭამა, სამსახური და ლაშქრობა. 48 კომლ მებეგრეს ემართა: 119 კოკა ღვინო (14-ლიტრიანი), 76 ნაოთხალი ღომი, 40 ურემი ღომი, 1140 მკლავი ფეტვი, 45

საკლავი, 46 გოჭი, 46 ქათამი, 37 ლიტრი ყველი, თევზი, კვერცხი, 2 ძროხა, 2 ცხვარი. 1 კომლს 4 ცხენის ნალ-ლურსმანი მართებდა. კომლზე დაწესებული იყო თითო ყავრის მიტანა ქუთაისში. მათვე ვვალეობდათ ტვირთის ზიდვა და სხვა სამუშაოების შესრულება. პარტახტიდან 1 აზნაურის იყო, რომელსაც გადასახდელად პურის ჭამა ედო. 3 კომლი მსახურის პარტახტის გადასახადი შეადგენდა 3 ცხვარს, 3 ძღვენს და ლაშქარს. 6 მებეგრის პარტახტზე გამოსაღები იყო 28 კოკა ღვინო, 1 ურემი ღომი, 2 ნაოთხალი ღომი, 30 მკლავი ფეტვი, 1 საკლავი, ყველი, კვერცხი, თევზი. როკითში ქუთათელის ყმები იყვნენ: აზნაურები: შერმაძაშვილები და კარგარეთელები. გლეხები: ვახტაგისაიშვილები, ხარაბაძეები, ხორბალაძეები, დედაბრიშვილები, ხურციძეები, გუბულაძეები, თაფლაძეები, წიქვაძეები, თედორგიაშვილები, კოპაურიძეები, მზარეულიშვილები, შალაბერიძეები, ქვარიანიძეები, ლალატიშვილები, ვიშნარაძეები, იოსებიშვილები, ცირიკიძეები, სოლომონიძეები, ცქეინაძეები, ზენიაშვილები, მეფარიძეები, ნიკოლაიშვილები, ჭუმბურიძეები, ნიკოლაძეები, გოგნაძეები, გაბრიელაშვილები, მჭედლიძეები, ჯანელიძეები, ჯანიაშვილები, ჯიხვაძეები, სირდაძეები, სულამანისძეები, ბასილაშვილები, ბერძენაძეები, გელდახვაძეები, დოღურიძეები.

18. ფუტიეთი – ქუთათელი მთავარეპისკოპოსის ყმები გიორგობიანები იყვნენ, რომელთაც პურის ჭამა და ცხენით სამსახური ვვალეობდათ.
19. შუბანი – ქუთაისის საეპისკოპოსოს საყმომ 2 კომლ აზატს, 6 კომლ მსახურს, 32 კომლ მებეგრეს და 4 კომლ პარტახტს შეადგენდა. აზატებს ხადილის პურის ჭამა, ცხენით სამსახური, ყავრის მიტანა ქუთაისში და საყდრის სამსახური ემართათ. გარდა ამისა, 1 ფურბეწი და 1 ცხვარი უნდა გადაეხადათ. 32 კომლი მებეგრის გადასახადი შეადგენდა: 903 კოკა ღვინოს, 32 საკლავს, 82 თეთრს, 640 კვერცხს, 32 ურემ ღომს, 30 საბელს, ასევე – 32 თეთრის ყავრის მიტანა ქუთაისში, ტვირთის ზიდვა და საყდრის მუშაობა, ხოლო 1 კომლს საყდრის სამსახური ემართათ. ყველას სათითაოდ ფურბეწი და ცხვარი უნდა გაეღო. პარტახტების გამოსაღები იყო: 103 კოკა ღვინო, 3 საკლავი (თითო 12 თეთრის), 4 ურემი ღომი, კვერცხი, ქათამი, ყავრის მიტანა და საყდრის მუშაობა. შუბანში ქუთათელის ყმები იყვნენ: გრძელიძეები, მჭედლიძეები, მინაძეები, ტანტრაძეები, ბევრიჭაძეები, წიქარაძეები, ფაშქუიძეები, შაშვიძეები, თათელიშვილები, ლომიძეები, ბერყმაძეები.
20. ხონი – ქუთათელს 1 კომლი მებეგრე ყრინტაძე ჰყავდა, რომელსაც 15 კოკა ღვინო (13-ლიტრიანი), 1 ურემი ღომი, 2 საკლავი (24 თეთრის), 6 ქათამი, 4 თეთრი და მუშაობა მართებდა.
21. ფერსათი – ქუთათელს გადასახადს უხდიდა 1 კომლი აზნაური, 5 კომლი აზატი, 1 კომლი შინაყმა, 16 კომლი მსახური, 42 კომლი მებეგრე. მებეგრეებიდან 2 კომლი დასახლებულ აზნაურს ეკუთვნოდა, ხოლო 2 კომლი ჯვრისმტვირთველს. იყო 4 პარტახტი. აზნაურ გიორგის (ფერსათის მამასახლისს) მართებდა „კარგი კაცობით პურის ჭამა“. 5 კომლ აზატს 112 კოკა ღვინო (10-ლიტრიანი), 4 კომლს ყოველ მეორე წელს ძროხა, 1 კომლს ყოველ წელიწადს ძროხა უნდა გადაეხადა. ასევე ყველას კარგი პურის ჭამა და ცხენით სამსახური ემართათ. 1 კომლ შინაყმას ზუთხით პურის ჭამა და ყოველი დღის მსახურება ედო ბეგრად. 16 კომლი მსახურის გადასახადი შეადგენდა: 402 კოკა ღვინოს, 14 საკლავს (სულ 168 თეთრის), 14 ურემ ღომს, 40 თეთრს, 14 ქათამს, 185 კვერცხს, 7 საბელს, სამსახურს და მუშაობას. 42 კომლი მონიღელს, 4 კომლის გამოკლებით, რომლებიც აზნაურს და ჯვრისმტვირთველს ეკუთვნოდნენ, გამოსაღების რაოდენობა იყო: 916 კოკა ღვინო (10-ლიტრიანი), 52 კოკა ღვინო (14-ლიტრიანი), 35 საკლავი, 560 თეთრი, 33 ურემი ღომი, 665 კვერ-

- ცხი, 32 ქათამი, 33 საბელი. მებეგრეებს გარდა ამისა საყდრისთვის ყოველ დღე მუშაობა ემართათ და 3 კომლს ყავარი უნდა მიეცანა. პარტახტების გადასახადი შეადგენდა: 111 კოკა ღვინოს, 8 საკლავს, 4 თეთრს, 4 ურემ ღომს, ასევე საყდრის სამსახური. ფერსათში ქუთათელის საყმოს განეკუთვნებოდნენ: რაზმაძეები, დოლაბარჯიძეები, ჭუმბურიძეები, დემეტრაძეები, წიქარაძეები, თუთბერიძეები, ენდელაძეები, ღვაჩიბაძეები, ჯავრაშვილები, კოვზაძეები, კიკაბიძეები, ხასაშვილები, თვალაძეები, ლომიძეები, არწივიძეები, თაფლაძეები, ვაშაყმაძეები, კახაბერიძეები, ტანტარაძეები, ახალაძეები, ოქრომჭედლიშვილები, იმანჩიბაძეები, სირბილაძეები, ლიხვიტაშვილები, თათეიშვილები.
22. ჭყეიში – 2 კომლ სვანიძეს და ეფრემიშვილს საქუთათლოდ ემართათ: ერთს – 9 ზუთხი და მეორეს – 21 თეთრი, 30 კოკა ღვინო და 2 ნაოთხალი ღომი.
23. კორთხა – 16 კომლ მსახურს საქუთათლოდ უნდა გადაეხადა: 216 კოკა ღვინო, 15 ურემი ღომი, 33 ნაოთხალი და 1 პინა ქერი, 15 ნაოთხალი და 3 პინა პური, 19 ლიტრა სანთელი, 36 კვერცხი. კორთხაში ქუთათელის საყმოს ლომიძეები და წიქარიძეები შეადგენდნენ.
24. დიანტყა – საეპისკოპოსო ფლობდა 2 კომლ შინაყმას, 11 კომლ მსახურს, 7 კომლ მებეგრეს და 6 პარტახტს. შინაყმები ვალდებულნი იყვნენ, გადაეხადათ 36 თეთრი, 3 ლიტრა სანთელი, 10 კოკა ღვინო, 4 ნაოთხალი ქერი, 2 ნაოთხალი პური, 5 კვერცხი. ასევე ყოველ დღე ცხენით სამსახური ევალეობდათ. მსახურებს ემართათ: 17 ლიტრა სანთელი და ძღვენი, 132 თეთრი, 36 კოკა ღვინო, 9 ურემი ღომი, 25 ნაოთხალი ქერი, 6 ნაოთხალი და 1 პინა პური, 39 კვერცხი. მებეგრეებს უნდა გადაეხადათ: 86 თეთრი, 7 ლიტრა სანთელი, 5 ლიტრა მატყლი, 31 ნაოთხალი იფქლი, 5 ჩარეკი მარილი, 11 პური, 4 ლიტრა ყველი, 17 კვერცხი. მებეგრეებს მეულაყეობაც მართებდათ. პარტახტების გადასახადი 72 თეთრს, 6 ლიტრ სანთელს, 3 ურემ ღომს, 40 კოკა ღვინოს, 20 ნაოთხალ ქერს და 5 ნაოთხალ პურს შეადგენდა. დიანტყაში საქუთათლო გლეხები იყვნენ: თაფლაძეები, ჯერაშვილები, თათეიშვილები, თედოსაიშვილები, ხინიკიძეები, ცხადიაშვილები, ლომიძეები, გორგაძეები, კოხოძეები, გრძელიძეები.
25. პიტნისხევი – საქუთათლოდ იყო 4 კომლი მსახური და 1 პარტახტი. მათ ემართათ: 17 ლიტრა სანთელი, 8 ნაოთხალი იფქლი, 2 ძღვენი. გუბს ქვემოთ, კორთხისწყალს (კორისწყალი) გამოდმა ქუთათელს ეკუთვნოდა 2 კომლი აზატი, 2 კომლი მსახური, 6 კომლი მებეგრე, 3 პარტახტი. აზატებს ცხენით სამსახური, პურის ჭამა და თითო ლიტრა სანთელი მართებდათ. მსახურების გადასახადი იყო: ხელოსნობით სამსახური, საყდრის ფინი, თითო ლიტრა სანთელი და პურის ჭამა. მებეგრე გლეხებს უნდა გადაეხადათ: 92 თეთრი, 6 ლიტრა სანთელი, 6 ლიტრი მატყლი, 30 ნაოთხალი იფქლი, 4 ლიტრი მარილი, 10 პური. მათ ასევე მეულაყეობა მართებდათ. საქუთათლო გლეხები იყვნენ: დოვრაშვილები, გუგუნბერიძეები, მამიაშვილები, გრძელიძეები, თათელიშვილები, ენდელაძეები.
26. ხოლასკური – საქუთათლოდ 7 კომლი მებეგრე გლეხი იყო. მათ ემართათ: 111 თეთრი, 36 ნაოთხალი იფქლი, 8 ლიტრა სანთელი, 6 ნაოთხალი ქერი, 6 ლიტრა მატყლი, 19 კვერცხი, 17 პური, 3 ლიტრა მარილი, 1 ჩარეკი მარილი და მეულაყეობა. ქუთათელის საყმოს ხოლასკურში კოხოძეები და გორგოძეები შეადგენდნენ.
27. ალისმერე – 7 კომლ მებეგრეს საქუთათლოდ მართებდათ: 132 თეთრი, 7 ლიტრა სანთელი, 6 ლიტრა მატყლი, 48 ნაოთხალი იფქლი, 453 პური, 6 ლიტრა მარილი, 12 კვერცხი, 1 ლიტრა ერბო და მეულაყეობა. ალისმერეში ქუთათელის

28. ჯვარისა – ქუთათელს 3 კომლ მებეგრე გლეხი ჰყავდა, რომელთაც 49 თეთრი, 60 კოკა ღვინო, 4 ნაოთხალი ღომი ემართათ. 1 პარტახტის, გამოსაღები შეადგენდა 21 თეთრს, 30 კოკა ღვინოს (ათიანით) და 2 ნაოთხალ ღომს.
29. აღისუბანი – აქ ქუთათელს 1 კომლი მსახური თოთლაძე და 1 პარტახტი ეკუთვნოდა. მსახურს უნდა გადაეხადა: 1 საკლავი, 10 კოკა ღვინო (ათიანით), 4 საკაბელო იფქლი და ძღვენი. პარტახტის გამოსაღები ასეთივე იყო.
30. მუჯირეთუბანი – ამ სოფელში საეპისკოპოსოს 9 პარტახტი ეკუთვნოდა. პარტახტების გამოსაღები აღისუბანში მსახურის გამოსაღებს ემთხვეოდა. მუჯირეთუბანში ქუთათელის ყმები იყვნენ: არჯევანიძეები და კაპანაძეები.
31. ბახვი – (გურიაში) სოფელ ბახვში და ზოგიერთ მის მიმდგომ სოფელში ქუთათელ მთავარეპისკოპოსს ეკუთვნოდა 59 კომლი მებეგრე და 5 პარტახტი, რომელთა გამოსაღები შეადგენდა: 497 ჩითახური, 48 საკლავი, 48 ფსომიარე ღომი, 240 საწყავი ღვინო, 310 საწყავი ღვინო. ბახვში ქუთათელის საყმოს ეკუთვნოდნენ: ანდღულაძეები, უშაძეები, ბარამიძეები, ქიქოძეები, მჭედლიძეები, მახარაძეები, დოლიძეები, მხეიძეები, ჯინჭარაშვილები [103, 11-18. 42, 279-341].

1578 წელს ქუთაისის საყდრის გამოსაღები დავთრის მიხედვით, ქუთაისის საეპისკოპოსოს ყოველწლიურად დაახლოებით შემდეგი რაოდენობის შემოსავალი შემოუდიოდა: ფულადი თანხა – 2140 თეთრი; ღვინო – 26 კოკა (8-ლიტრიანი), 1970 კოკა (9-ლიტრიანი), 688 კოკა (10-ლიტრიანი), 760 კოკა (12-ლიტრიანი), 15 კოკა (13-ლიტრიანი), 1796 კოკა (14-ლიტრიანი), ჩვეულებრივი 2017 კოკა (არაა ნახვენები რამდენლიტრიანი); ღომი – 201 ურემი, 271 ნაოთხალი, 5 საწყავი, 15 ფოხალი, ფეტვი – 1320 მკლავი, ქერი – 92 ნაოთხალი, 10 გვერდი და 1 პინა მჭადი – 870 ხელი; პური – 28 ნაოთხალი, 4 პინა, 73 პური, იფქლი – 155 ნაოთხალი, 44 საკაბელო; საკლავი – 250, სულ – 3038 თეთრის; ქათამი – 520, კვერციხი – 3041; სანთელი – 110 ლიტრა; ძროხა – 46, ცხვარი – 47. 86 კომლის პურის ჭამა მართებდა. ნატურალური გამოსაღები თანხაზე გადაყვანით დაახლოებით 22500 თეთრს შეადგენდა [103, 19-20].

ქუთაისის ეპარქიის ღვინისა და მარცვლეულის შემოსავალს თუ თანამედროვე მეტროლოგიით დავიანგარიშებთ, შემდეგ რაოდენობას მივიღებთ: ღვინის საერთო რაოდენობა, თუ საშუალოდ 10-ლიტრიანი კოკით ვიანგარიშებთ, გამოვა 8115 კოკა, რაც 81252 ლიტრს ანუ თითქმის 81,3 ტონა ღვინოს შეადგენს [103, 18].

ღომი – 201 ურემი. იმ დროს 1 ურემი 108 კგ-ს უდრიდა [166,118] და დაახლოებით 3620 კგ გამოდის. 271 ნაოთხალი ღომი, როდესაც ნაოთხალი 4,5 კგ-ს უტოლდებოდა, გამოდიოდა დაახლოებით 1220 კგ. 15 ფოხალი ღომი მიახლოებით 103 კგ-ს აღწევდა. 1 ფოხალი 7,5 კგ-ს უდრიდა [166, 121]. ღომის საერთო რაოდენობა 4940 კგ-ზე ცოტა მეტი, დაახლოებით 5 ტონა იყო.

ქერი – 92 ნაოთხალი, რაც 414 კგ-ს აღწევდა. იმ დროს, როცა 1 გვერდი უდრიდა 9 კგ-ს [166, 85], 10 გვერდი ქერი გამოდიოდა 90 კგ. 1 პინა ქერი უტოლდებოდა 7 კგ-ს. სულ ქერის გამოსაღები 500 კგ-ს აღწევდა. ხორბლის გადასახადი 900 კგ-ს შეადგენდა.

გურიაში სოფელი ბახვის გამოსაღები შეადგენდა: 497 ჩითახურს, რომელიც ფულადი გადასახადი იყო [102, 224], 1440 კგ ანუ ტონანახევრამდე ღომს და 10 ტონამდე ღვინოს.

ქუთაისის საეპისკოპოსოს სამეურნეო-ეკონომიკურ მდგომარეობაზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის 1762 წლის 4 აპრილის ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრის დავთარი, რომელიც ქუთათელმა მიტროპოლიტმა მაქსიმე აბაშიძემ დაადგინა. დავთრის მიხედვით ზეგარდლის წმინდა გიორგის ეკლესიისადმი შეწირული მამულის შემოსავლის ნახევარი ეკლესიას და ნახევარი – სოფელს ეკუთვნოდა. ძელუხის ხატის მამულის

გამოსაღების ნახევარი საეპისკოპოსოს ეკუთვნოდა, ხოლო მეორე ნახევარი სოფელს, გადასახადის განაწილება ვინმე პაპუნას, ალბათ ქუთათელის მოურავს ევალებოდა. რომნეთის მამულის გამოსავლის ნახევარი საყდრის იყო, მეორე ნახევარი კი სოფლის. წმინდა ელერიკის საყდრის ბეგარა, 12 კოკა ღვინო, ოქროპირაშიღის ყოველწლიურად უნდა გადაეხადა. ამ სოფელში საეპისკოპოსოს სხვა მამულების გამოსაღების ნახევარი ქუთათელს ეკუთვნოდა, ხოლო მეორე ნახევარი კი სოფელს. გაღმა უხუთს წმინდა კვირიკეს საყდრის მამულიდან, რომელიც ამ სოფლის მკვიდრთ უნდა დაემუშავებინათ, მოწეული მოსავლის ნახევარი სოფელს რჩებოდა, მეორე ნახევარი ტაძრისთვის იყო გადაღებული. კერცხეთის მთავარანგელოზის საყდრის მამულის გამოსაღებშიც ასევე იყო დაღებული.

ზეგარდლის საყდრის მეგებრეებს – ზურციძეს, ხელაძეს და რუხვაძეს გამოსაღების გარდა, ყოველწლიურად ევალებოდათ თითო მარჩილის გაღება. კერცხეთის საყდრის მისართმევი ღვინო 40 კოკას შეადგენდა, ხოლო ფულადი თანხა კომლზე მარჩილნახევარი იყო. კობერაულის წმინდა კვირიკეს საყდრის ყმას, ხატის ღვინის დახარჯვისათვის, ეკლესიის ბარძიმ-ფეშხუმით გაწყობა დაევადა. ვინმე ბაბიძიძეს საყდრის ღვინო 40 კოკა უნდა გაეყიდა და თანხა საყდრისთვის უნდა მიერთმია [42, 847-848].

XVIII საუკუნის 50-იან წლებში ქუთაისის საეპისკოპოსომ ოსმალთა შემოსევების გამო დიდი ზიანი განიცადა. ეპარქიის კუთვნილი ყმა-მამულიდან ზოგი ოსმალებმა მიიტაცეს, დიდი ნაწილი იმერეთის საერო ფეოდალებმა დაისაკუთრეს. ამის გამო საეპისკოპოსო დროებით მოიშალა და მის სამეურნეო-ეკონომიკურ მდგომარეობას დიდი ზარალი მიადგა. მაგრამ 1759 წელს იმერეთის მეფე სოლომონ I-მა საეპისკოპოსო კათედრა აღადგინა და ქუთათელ მიტროპოლიტად მაქსიმე აბაშიძე დასვა. 1773 წლის 9 იანვარს შეწირულობის წიგნით, მეფემ ქუთაისის ღვთისმშობლის ეკლესიას ყველა მისი ყმა-მამული, რომელიც ძველი, 1578 წლის დავთრის მიხედვით ეკუთვნოდა, კვლავაც დაუმტკიცა.

ამ შეწირულობის წიგნით სოლომონ I ქუთაისის ღვთისმშობლის ეკლესიას უბრუნებს: ქუთაისის მამულს იქ მოსახლე გლეხებითურთ, ახალსოფელს მთლიანად, ზემო ქუტირის ეკლესიის კუთვნილ მამულს და გლეხებს, ქვემო ქუტირის მამულს და გლეხებს, ოშიშის ყმა-მამულს, ჩუნეშის მამულს და გლეხობას, ოფსკუჯის ყმა-მამულს, პატრიკეთის ტაძრის კუთვნილ მიწას და გლეხობას, ბაკისუბნის, გეგუთის, ბაშის, მესხეთის, წყალთაშუას, ჭოღევის საეკლესიო მამულს და გლეხობას. როკითი, შუბანი, ფერსათი, კორთხა, ანტყა, ღვინისხევი, ხოლასკური, ალისმერეთი – ეს სოფლები მთლიანად ქუთათელს დაუბრუნდა. ხონში, ჯვარისში, ალისუბანში, მუჯირეთში, ბერეთისაში, ჭყვიშში, გურიას სოფელ ბახვში და რაჭის სოფელ ფუტიეთში ქუთაისის ეპარქიის კუთვნილი მამული და გლეხობა ისევ საეპისკოპოსოს გადაეცა. ზეგანში, რომელიც სამეფო სოფელი იყო, ქუთათელს 2 კომლი გლეხი: კოსოძე და გორგოძე ეკუთვნოდა [21, 129-132].

ქუთაისის საეპისკოპოსოს სამეურნეო-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლისას უადრესად მნიშვნელოვანია იმერეთში რუსეთის საეკლესიო მმართველობის მიერ 1819 წელს განხორციელებული საეკლესიო აღწერა, სადაც ნაჩვენებია, თუ რა რაოდენობის ყმა-მამულს ფლობდნენ იმერეთში არსებული ეპარქიები და მონასტრები. აღნიშნული აღწერა იძლევა 1819 წლის და უფრო ადრეული ხანის სურათს. აღწერიდან ირკვევა, რომ 1819 წლამდე არსებული დაბეგვრა იყო ნატურით და ფულითაც, ხოლო რუსული საეკლესიო მმართველობის მიერ განხორციელებული საეკლესიო რეფორმის შემდეგ საეკლესიო გადასახადების ერთგვარი უნიფიკაცია მომხდარა ფულზე გადატანით და, ამასთან, გადასახადებიც გაუდიდებიათ. აღწერის ნუსხების ხასიათი ამტკიცებს, რომ იმერეთის 1819 წლის საეკლესიო აღწერისას რუსეთის სახელისუფლო და საეკლესიო წრეებს უსარგებლიათ ქართული საეკლესიო საბეგრო გამოსაღების მასალებით. სა-

ზოგადოდ, ამ წლის რუსული ნუსხა წარმოგვიდგენს წინათ არსებული ბეგრების სურათს [102, 58-59].

ამ კამერალური აღწერის მიხედვით ქუთაისის საეპისკოპოსოს 1819 წლისთვის ყმა-მამული შემდეგ სოფლებში გააჩნდა:

1. ზემო მესხეთი – იყო 12 კომლი, რომელთაც 15,5 ქცევა ვენახი და 30,5 ქცევა სახნავი მიწა ჰქონდათ. ღვინის მოსავალი 653 ჩაფს შეადგენდა. გამოსაღები იყო: 160 ჩაფი ღვინო, 96 ფოხალი ღომი, 360 კაპიკი. 1819 წლიდან ეს გადასახადი მთლიანად ფულადი გახდა – 60 მანეთი ვერცხლით წელიწადში.
2. ქვემო მესხეთი – აქ 4 კომლს 4 ქცევა ვენახი და 21,5 ქცევა სახნავი მიწა ჰქონდა. ღვინის მოსავალი 260 ჩაფს შეადგენდა. გადასახადი იყო: 48 ჩაფი ღვინო, 12 ბათმანი ღომი, 5 ქათამი, 52 კაპიკი. 1819 წლიდან ნატურალური გადასახადი შეიცვალა და მებეგრეებს დაეკისრათ 60 მანეთი ვერცხლით.
3. ზემო ქვიტირი – 7 კომლს 5 ქცევა ვენახი და 37 ქცევა სახნავი მიწა ჰქონდათ. ვენახების მოსავალი 480 ჩაფ ღვინოს შეადგენდა. გადასახადი იყო: 4 გირვანქა სანთელი, ყოველ მესამე წელს 18 გირვანქა სანთელი, 3 ბათმანი ღომი, 17 ჩაფი ღვინო, 4 ქათამი, 1819 წლიდან მათ მთლიანად დაეკისრათ 28 მანეთი ვერცხლით.
4. ბაკისუბანი – 11 კომლს 40 ქცევა სახნავი მიწა და 4,5 ქცევა ვენახი ჰქონდათ. ღვინის მოსავალი 390 ჩაფს შეადგენდა. გადასახადი იყო: 20 ჩაფი ღვინო, 10 ფოხალი ღომი, 110 კაპიკი. 1819 წლიდან მებეგრეთა საერთო გადასახადი 50 ვერცხლის მანეთით განესაზღვრათ.
5. პატრიკეთი – 4 კომლს 4 ქცევა ვენახი და 21 ქცევა სახნავი მიწა ჰქონდათ. მოსავალი შეადგენდა: ღვინო – 230 ჩაფი, ხოლო გადასახდელი იყო 80 ჩაფი ღვინო, 9 კოდი ღომი, 7 ქათამი, 104 კაპიკი. 1819 წლიდან კი ფულით – 30 მანეთი ვერცხლით.
6. ფერსათი – 6 კომლი, რომლებიც ეკლესიის სავენახე მიწით, ტყით და სხვა მიწებით სარგებლობდნენ. სახნავი მიწა სახაზინო ჰქონდათ, რისთვისაც ისინი ღალას იხდიდნენ. ვენახების მოსავალი 1100 ჩაფ ღვინოს შეადგენდა. გარდა ამისა, ცალკე 4 ქცევა ვენახის მოსავალი – 160 ჩაფი ღვინო ქუთათელ მიტროპოლიტს ეკუთვნოდა. გადასახადი იყო: 55 ჩაფი ღვინო, 40 კაპიკი. 1819 წლიდან კი ფულით – 36 მანეთი ვერცხლით.
7. სადემეტრეო – აქ 9 კომლს ჰქონდა 36 ქცევა ვენახი, საიდანაც 1695 ჩაფი ღვინო მოუდიოდათ. ისინი საეკლესიო ტყით და 120 ქცევამდე სახნავ-სათესად უუარგისი მიწითაც სარგებლობდნენ. სახაზინო სახნავი მიწისათვის ღალას იხდიდნენ. 2 ქცევა ვენახის მოსავალი – 60 ჩაფი ღვინო ქუთათელ მიტროპოლიტს ეკუთვნოდა. სულ გადასახადი იყო: 134 ჩაფი ღვინო და 234 კაპიკი. 2 კომლს მიტროპოლიტისათვის 60 ჩაფი ღვინო და 6 გირვანქა სანთელი უნდა მიერთმია. 1819 წლიდან გადასახადი 56 ვერცხლის მანეთის ოდენობით უნდა გადაეხადათ.
8. ალისმერე – აქ 12 კომლი 17 ქცევა ვენახს და 43 ქცევა სახნავ მიწას ამუშავებდა. ვენახის მოსავალი 930 ჩაფ ღვინოს შეადგენდა. გადასახდელი იყო: 26 კაპიკი მთლიანად. მთელი სოფელი 1 ძროხას იხდიდა. 1819 წლიდან კი ეს გადასახადი ფულით შეადგენდა 18 მანეთს ვერცხლით.
9. ხოლასკური – 6 კომლი ამუშავებდა 8 ქცევა ვენახს, რომლის გადასახადი შეადგენდა: 34 კაპიკი მთლიანად და ყოველწლიურად 1 ძროხა. 1819 წლიდან კი გამოსაღები 9 ვერცხლის მანეთი იყო.
10. ზეკარი – 8 კომლს 7,5 ქცევა ვენახი გააჩნდა, რომლის მოსავალი 234 ჩაფ ღვინოს შეადგენდა. მათი გადასახადი იყო: 76 კაპიკი მთლიანად და 1 ძროხა ყოველწლიურად. 1819 წლიდან კი 12 მანეთი დაეკისრათ.

11. ნებიერეთი (ზეგანი) – 19 კომლს 33 ქცევა ვენახი და 57 ქცევა სახნავი მიწა გააჩნდა. ვენახების მოსავალი 2360 ჩაფი ღვინო იყო. გადასახდელი იყო: 3,5 გირვანქა სანთელი და 42 კაპიკი. გარდა ამისა, გლეხებს ეკლესიისთვის საღურგლო სამუშაოების უფასოდ შესრულებაც ევალებოდათ. 1819 წლიდან საერთო ყოველწლიური გადასახადი 57 მანეთით განისაზღვრა.
12. ობჩა – 21 კომლი 26 ქცევა ვენახს და 72 ქცევა სახნავ მიწას ამუშავებდა. ღვინის მოსავალი 1420 ჩაფი ღვინო იყო. გამოსაღები შედგენდა: ღვინო – 20 ჩაფი, ღომი – 18 ფოხალი, მარილი – 7 გირვანქა, პური – 14 ბათმანი, 168,5 კაპიკი.
13. დიმი – 1 კომლი 1 ქცევა ვენახით და 4 ქცევა სახნავი მიწით. ვენახის მოსავალი 40 ჩაფი ღვინო. ბეგარას არ იხდიდა, ხოლო 1819 წლიდან დაედო 6 კაპიკი.
14. მუჯირეთი – 2 კომლს გააჩნდა 5 ქცევა ვენახი, რომლის მოსავალი 200 ჩაფ ღვინოს აღწევდა. ისინი 17 ქცევა სახნავ მიწას ამუშავებდნენ. მათი გადასახადი შეადგენდა 16 ჩაფ ღვინოს, 16 ბათმან პურს, 1 მანეთს, ყოველ 2 წელიწადში 1 ცხვარს. 1819 წლიდან მათ ყოველწლიურად 20 მანეთის გადახდა დაევალოთ.
15. ჩხარი – 7 კომლს 6,5 ქცევა ვენახი გააჩნდა, რომლის მოსავალი 404 ჩაფ ღვინოს შეადგენდა. ისინი 22 ქცევა სახნავი მიწითაც სარგებლობდნენ. მათი გადასახადი იყო: 124 ჩაფი ღვინო, 123 ბათმანი პური, 12 ქათამი, 80 კაპიკი. 1819 წლიდან მათ ყოველწლიურად 45 მანეთის გადახდა დაეკისრათ.
16. ეწერი – აქ 2 კომლს 1,5 ქცევა ვენახი, რომლის მოსავალი 240 ჩაფი ღვინო იყო, და 7 ქცევა სახნავი მიწა ჰქონდა. გადასახდელი იყო: 4 გირვანქა სანთელი, 24 ბათმანი პური, 1 ცხვარი და 1 მანეთი. 1819 წლიდან დაეკისრათ 24 მანეთი.
17. ნავენახარი – 2 კომლს 1,5 ქცევა ვენახი ჰქონდა, რომლის მოსავალი 40 ჩაფი ღვინო იყო და 6 ქცევა სახნავი მიწა გააჩნდა. ბეგარას არ იხდიდნენ. დღესასწაულებზე ერთს ძღვენის მირთმევა ევალებოდა, მეორე – ოჯახის უფროსი, მიტროპოლიტთან მზარეულად იყო. 1819 წლიდან მათ ყოველწლიურად 24 მანეთის გადახდა დაევალოთ.
18. ბუეთი – აქ 9 კომლს 10 ქცევა ვენახი და 19 ქცევა სახნავი მიწა ჰქონდა. ვენახებიდან მოსავალი 305 ჩაფ ღვინოს შეადგენდა. მათი გადასახადი იყო: ღვინო – 37 ჩაფი, პური – 108 ბათმანი, 1 ცხვარი და 225 კაპიკი. 1819 წლიდან მათ 36 მანეთი დაეკისრათ.
19. საწირე – 22 კომლს 10,5 ქცევა ვენახი, რომლის მოსავალი 780 ჩაფ ღვინოს აღწევდა, და 50 ქცევა სახნავი მიწა ჰქონდა. გამოსაღები იყო: 63 გირვანქა სანთელი, 9 ბათმანი ღომი, 1 ცხვარი და 1105 კაპიკი. ამის მაგივრად 1819 წლიდან ყველას ერთად 88 მანეთი დაეკისრა.
20. ოსომირა – 6 კომლს 5,5 ქცევა ვენახი და 11 ქცევა სახნავი მიწა ჰქონდა, რომლის მოსავალი 106 ჩაფი ღვინო იყო. გამოსაღები შეადგენდა: 16 ჩაფ ღვინოს, 3 ბათმან პურს და 213 კაპიკს. 1819 წლიდან ამის მაგივრად ყველას ერთად 24 მანეთი დაეკისრა.
21. ჯვარისა – 1 კომლს 3 ქცევა ვენახი და 10 ქცევა სახნავი მიწა ჰქონდა, ვენახის მოსავალი 120 ჩაფ ღვინოს აღწევდა. გადასახადი შეადგენდა 4 გირვანქა სანთელს. 1819 წლიდან წელიწადში 4 მანეთი დაეკისრა.
22. სორმონი – 8 კომლს 8 ქცევა ვენახი და 48 ქცევა სახნავი მიწა ჰქონდა, რომლის მოსავალი 1600 ჩაფი ღვინო იყო. გამოსაღები შეადგენდა: 6 გირვანქა სანთელს, 128 ჩაფ ღვინოს, 11 ბათმან ღომს, 4 ცხვარს და 260 კაპიკს. 1819 წლიდან ამის მაგივრად ყველას ერთად 32 მანეთი დაეკისრა.

23. ჭოლევი – 2 კომლს 4 ქცევა ვენახი და 10 ქცევა სახნავი მიწა ჰქონდა, რომლის მოსავალი 200 ჩაფი ღვინო იყო. გამოსაღებს არ იხდიდნენ, მხოლოდ მიტროპოლიტის და მისი ამალის გამასპინძლება მართებდათ. 1819 წლიდან ამათ 4 მანეთის გადახდა დაეკისრათ.

გარდა ამისა, ქალაქ ქუთაისში 7 კომლი სახაზინო აზნაური ქუთაისის ეკლესიას ყოველწლიურად 175 კაპიკს უხდიდა, ხოლო 4 კომლი სახაზინო გლეხი 100 კაპიკს. სოფელ ჭალაში 1 კომლ აზნაურს 25 კაპიკი უნდა გადაეხადა, ხოლო 2 კომლ გლეხს 50 კაპიკი. ქუთაისის ეკლესიას ქალაქ ჩხარში სომხების 5 კომლი ეკუთვნოდა, რომელთაც 20 გირვანქა სანთელი უნდა გადაეხადათ, ხოლო 1819 წლიდან მათ 20 მანეთის გადახდა დაეკისრათ.

ქუთაისის საეპისკოპოსოს თავის დაქვემდებარებაში აზნაურებიც ჰყავდა. მათგან ზოგიერთნი ყმა-გლეხებს ფლობდნენ: ზემო ქვიტირი – 1 კომლი აზნაური (მას 11 კომლი გლეხი ჰყავდა). შუა ქვიტირი – 2 კომლი (3 კომლი გლეხი), ქვემო ქვიტირი – 5 კომლი (3 კომლი გლეხი), ზემო მესხეთი – 2 კომლი (1 კომლი გლეხი), ბაკისუბანი – 1 კომლი, გეგუთი – 1 კომლი (1 კომლი გლეხი), როკითი – 5 კომლი (8 კომლი გლეხი), ფერსათი – 18 კომლი (24 კომლი გლეხი), ბაღდათი – 2 კომლი, ობჩა – 4 კომლი (2 კომლი გლეხი), ჯვარისა – 2 კომლი (4 კომლი გლეხი), მუჯირეთი – 1 კომლი (1 კომლი გლეხი), ქუთაისის ეპარქიის საეკლესიო აზნაურებს გადასახადების გადახდა ეკლესიის სასარგებლოდ არ მართებდათ [102, 69-88].

გამომდინარე აქედან, XIX საუკუნის დასაწყისისთვის, სანამ რუსული მმართველობა იმერეთში ახალ საეკლესიო გადასახადებს დააწესებდა, ქუთაისის საეპისკოპოსოს თავისი ზემოთ აღნიშნული საეკლესიო ყმებიდან დაახლოებით შემდეგი რაოდენობის შემოსავალი შემოსდიოდა: ღვინო – 997 ჩაფი; 1 ჩაფი XIX საუკუნის დასაწყისში 9,2 ლიტრს უდრიდა [166, 125]. 997 ჩაფი დაახლოებით 9200 ლიტრი ანუ 9,2 ტონა ღვინო იყო. ღომი – 124 ფოხალი, 1 კოდი და 38 ბათმანი, რაც სულ 1000 კგ-ს უტოლდებოდა. ფულადი გადასახადი მთლიანად 12830 კაპიკს აღწევდა. ასევე 3 ძროხა, 9 ცხვარი, 107 გირვანქა სანთელი, 28 ქათამი, მარილი და სხვა გადასახადი საქუთათლოდ ყოველწლიურად იყო განკუთვნილი.

საეპისკოპოსოს ქონებრივი მდგომარეობა XIX საუკუნის დასაწყისში, XVI საუკუნესთან შედარებით, მნიშვნელოვნად იყო შემცირებული, რაც გამოწვეული იყო იმ ძნელბედობით, რომელიც დასავლეთ საქართველომ გამოიარა ამ სამი საუკუნის მანძილზე.

ქუთათელ მიტროპოლიტს თავისი ყმა-მამული ვაკე იმერეთში, ანუ მაშინდელი რუსული დაყოფით ვაკის ოლქშიც ჰყავდა:

1. ივანდიდი – 3 კომლს 35 ქცევა სახნავი მიწა და 3 ქცევა ვენახი გააჩნდა, რომლის მოსავალი 60 კოკა ღვინო იყო. 1819 წლიდან მათ გადასახადის სახით 12 მანეთი დაეკისრათ.
2. გვაზაური – 3 კომლ აზნაურს 180 ქცევა სახნავი მიწა გააჩნდა და ეკლესიის სასარგებლოდ გადასახადის გადახდა არ ევალეებოდა. ამ სოფელში 2 კომლ საქუთათლო გლეხს 2 ქცევა ვენახი და 15 ქცევა სახნავი მიწა გააჩნდა. მათ 1819 წელს გადასახადელად 4 მანეთის გადახდა დაეკისრათ.
3. მათხონჯი – აქ 1 კომლ აზნაურს 2 ქცევა ვენახი და 12 ქცევა სახნავი მიწა ჰქონდა. აზნაური ეკლესიის სასარგებლოდ გადასახადს არ იხდიდა. გარდა ამისა, ამ სოფელში ქუთათელს 28 კომლი გლეხი ჰყავდა, რომელთაც 253 ქცევა სახნავი მიწა და 79 ქცევა ვენახი გააჩნდათ. ვენახების მოსავალი იყო 978 კოკა ღვინო. მათ უნდა გადაეხადათ: ღვინო, ღომი, სანთელი, ქათამი და წვრილფეხა საკლავი. ევალეებოდათ მიტროპოლიტის გამასპინძლება და მოურავისთვის ცალკე გადასახადის გადახდა. ეს გამოსაღები თანხაზე გადაყვანით კომლზე 3-4 მანეთს შეადგენდა, სულ – 94 მანეთს. 1819 წლიდან კი ამ გლეხებს სულ 168

მანეთის გადახდა დაევადათ. გარდა ამისა, პარტახტებში იკრიფებოდა მაღლარი ვენახი და ღვინო ეკლესიას მიერთდებოდა.

4. ვანი – აქ ქუთათელის ერთი კომლი აზნაური ცხოვრობდა, რომელსაც 4 კომლი გლეხი ჰყავდა. აზნაური 5 ქცევა ვენახს და 3 ქცევა სახნავ მიწას ფლობდა. მისი ყმები 7 ქცევა ვენახს და 17 ქცევა სახნავ მიწას ამუშავებდნენ. აზნაურს ყმები ნაყიდი ჰყავდა და ამიტომ ეკლესიის სასარგებლოდ ისინი გადასახადს არ იხდიდნენ. ამავე სოფელში 2 კომლი საქუთათლო გლეხი სახლობდა, რომელთაც 6 ქცევა ვენახი და 13 ქცევა სახნავი მიწა გააჩნდათ. ვენახის მოსავალი 100 კოკა ღვინოს შეადგენდა. 1819 წლიდან მათ წელიწადში მთლიანად 4 მანეთი უნდა გადაეხადათ.
5. ბაში – ამ სოფელში საქუთათლო აზნაურების რაოდენობა 8 კომლს შეადგენდა, რომელთაც სულ 4 კომლი ყმა-გლეხი ჰყავდათ. აზნაურებს სულ 8,5 ქცევა ვენახი და 148 ქცევა სახნავი მიწა გააჩნდათ. საეკლესიო მიწა მათ განკარგულებაში იყო 388 ქცევა ტყესთან ერთად. ეკლესიისთვის აზნაურებს გადასახადის გადახდა არ მართებდათ. ბაშიში ქუთათელის კუთვნილი 27 კომლი გლეხი ცხოვრობდა, რომელთაც 23 ქცევა ვენახი და 127 ქცევა სახნავი მიწა ჰქონდათ. ვენახების მოსავალი 381 კოკა ღვინო იყო. გარდა ამისა, აქ სამი მღვდელი ცხოვრობდა (გლეხები, ქუთათელის ყმები). მათ 3,5 ქცევა ვენახი და 37 ქცევა სახნავი მიწა ჰქონდათ. ვენახის მოსავალი 72 კოკა ღვინო იყო. გლეხებს (გარდა მღვდლებისა) გადასახადი ღვინით, პურით, სანთელით და ფრინველით მართებდათ, რაც თანხაზე გადაყვანით 90 მანეთს შეადგენდა. 1819 წლიდან ყველა კომლს, მღვდლების ჩათვლით 150 მანეთის გადახდა დაეკისრა.
6. ფარცხანაყანევი – აქ 2 კომლი საქუთათლო აზნაური ცხოვრობდა. მათგან ერთი, დავით დიასამიძე, მხატვარი იყო. აზნაურებს 9 კომლი გლეხი ჰყავდათ, 7,5 ქცევა ვენახი და 26 ქცევა სახნავი მიწა გააჩნდათ. აზნაურების განკარგულებაში იყო დოსითეოს ქუთათელის მიერ გადაცემული 90 ქცევა მიწა, რომლითაც ისინი ფაქტიურად არ სარგებლობდნენ. საეკლესიო გადასახადს აზნაურები და მათი ყმები არ იხდიდნენ. ფარცხანაყანევიში 9 კომლი საქუთათლო გლეხი ცხოვრობდა, რომელთაც 11 ქცევა ვენახის და 50 ქცევა სახნავი მიწის გადასახადი ღვინით და ღობით უნდა გადაეხადათ, რაც თანხაზე გადაყვანით 8 მანეთს შეადგენდა. 1819 წლიდან 24 მანეთი დაეკისრათ.
7. მაღლაკი – საქუთათლო გლეხების რაოდენობა 26 კომლს შეადგენდა, რომელთაც 19,5 ქცევა ვენახი და 146 ქცევა სახნავი მიწა გააჩნდათ. ვენახების მოსავალი 262 კოკა ღვინო იყო. გადასახადს ღვინით, პურით, ღობით იხდიდნენ, რაც დაახლოებით 70 მანეთს საფასურს შეადგენდა. 1819 წლიდან მთლიანად 104 მანეთი დაეკისრათ. ამავე სოფელში 6 კომლი საქუთათლო აზნაური ცხოვრობდა, რომელთაგან 4 კომლი აზნაურს 4 კომლი ყმა ჰყავდა. აზნაურები ფლობდნენ 11 ქცევა ვენახს და 172 ქცევა სახნავ მიწას. ვენახების მოსავალი 282 კოკა ღვინო იყო. ერთ აზნაურს სარგებლობაში 80 ქცევა სახნავი მიწა ჰქონდა გადაცემული. ეკლესიის გადასახადის გადახდა მათ არ ემართათ.
8. ხომური – აქ 1 კომლი გლეხს 1,5 ქცევა ვენახი და 2 ქცევა მიწა გააჩნდა. 1819 წლიდან 1 მანეთის ოდენობით დაეკისრა გადასახადი [102, 91-93].

საქუთათლოში და საგენათლოში განწესებული იყო ყოველ მესამე წელს: „მარჩილი მღვდელსა და ორი რუბი მთავარსა. სხვას რამდენი საყდარი სოფელშიდ იყოს თუ მოიცალოს, თვითონ მთავარეპისკოპოზმან ჩამოიაროს და სწიროს, თორემ დეკანოზი ჯვართმტვირთებელი და მის მაგიერ კაცი გამოგზავნოს და აწირვინოს, საწირავი კვამლის (კომლის) თავს თითო შაური ან თითო შაურის პური იყოს; თუ ღობი მიერთდეს, დეკანოზსა და ჯვართმტვირთველსა მისი მართებული სასჯულო და საკანონო საქმე ყოველ წელს მოიკითხოდეს“ [181, 142].

1814 წელს, დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს გაუქმების შემდეგ, საკათალიკოსოს ყმა-მამული ქუთათელი მიტროპოლიტის გამგებლობაში გადავიდა. 1819 წლისთვის მარტო რაჭაში ქუთაისის კათედრალს ეკუთვნოდა 111 კომლი 429 მცხოვრებლით. გამოსაღების რაოდენობა 445 მანეთს შეადგენდა. ქუთათელი მიტროპოლიტს სოფელ კრისში ვენახიც გააჩნდა [70, 149].

1819 წლისთვის ქუთაისის ეპარქიაში 52 სოფელი ირიცხებოდა, სადაც ცხოვრობდა: 146 კომლი სახაზინო გლეხი, 170 კომლი საეკლესიო გლეხი, 1282 კომლი საბატონო გლეხი, სულ – 1596 კომლი. საეპისკოპოსოს ტერიტორიაზე 72 ეკლესია მოქმედებდა. დიდ სოფლებში რამდენიმე ეკლესია იდგა. ქუთათელ მიტროპოლიტს მრავალი სასულიერო პირი ექვემდებარებოდა [197, 58].

1820 წელს საქართველოს ეგზარქოსი თეოფილაქტე რუსანოვი მთავარმართებლის მოადგილე ველიამინოვისადმი გაგზავნილ წერილში საგანგებოდ ითხოვდა, რომ პირველ რიგში ენახათ ქუთათელ მიტროპოლიტ დოსითეოსთან შენახული დასავლეთ საქართველოს წინა კათალიკოსების სიმდიდრე და ამ მდიდარი საღაროს აღწერის ხელნაწერი პირი მოეძიათ [170, 575].

როგორც ვხედავთ, ქუთაისის საეპისკოპოსო თავისი ყმა-მამულით უმსხვილეს საეკლესიო სენიორიას წარმოადგენდა. ასეთი ვრცელი სამეურნეო-ეკონომიკური ერთეულის სამართავად ქუთათელ მთავარეპისკოპოსებს საგანგებო მოხელეთა მრავალრიცხოვანი შტატიც ემსახურებოდა. როგორც სხვა მთავარეპისკოპოსებს, ქუთათელსაც საკუთარი სახლთხუცესი ეყოლებოდა, რომლის მოვალეობას საკუთრივ საქუთათლო მეურნეობის მართვა-გამგეობა შეადგენდა. სამწუხაროდ, ქუთათელთა სახლთხუცესებზე ცნობები საისტორიო წყაროებში ვერ მოვიძიეთ. სახლთხუცესის ხელქვეითები მოურავები იყვნენ. ისინი საქართველოს ყოველ დიდ სოფელში იხდნენ. მოურავს საეკლესიო გადასახადის აკრეფაში ან სხვა საკითხების გადაჭრაში მისი თანაშემწე ხელოსანი ეხმარებოდა. მნიშვნელოვანი ადგილი ექნებოდა მიკუთვნებული ქორეპისკოპოსსაც, რომლის უფლება-მოვალეობანი „დიდი სჯულის კანონით“ იყო განსაზღვრული.

დასკვნა

ქუთაისის საეპისკოპოსო IX-X საუკუნეთა მიჯნაზე, ეგრის-აფხაზეთში კონსტანტინე III-ის (893-922 წწ.) მეფობის ხანაში დაარსდა, დაახლოებით ერთი საუკუნით ადრე, ვიდრე ბაგრატ III (978-1014 წწ.) ქუთაისში ძველი ტაძრის ადგილას ახალ, ღვთისმშობლის კათედრალს საზეიმოდ აკურთხებდა 1003 წელს. სწორედ ამიტომ „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორმა საგანგებოდ არ აღნიშნა ქუთაისში ახალი კათედრალური ტაძრის აგებისა და საეპისკოპოსოს დაარსების შესახებ. ეგრის-აფხაზეთის სამეფოს დედაქალაქში IX-X საუკუნეთა მიჯნაზე ქართული საეპისკოპოსო კათედრის დაარსება და კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსადმი დაქვემდებარებული ფაზისის, როდოპოლისის და

პეტრას საეკლესიო კათედრების ქუთაისის საეპისკოპოსოთი მოცვლა სავსებით რეალურად გვეჩვენება.

თავდაპირველად ქუთაისის საეპისკოპოსოს საწესოში მთელი ისტორიული იმერეთი, გურია, დანდალოს ქვემო აჭარა და რაჭა შევიდა. XV საუკუნის შუა ხანებში, გურიაში შემოქმედის, ჯუმათის და ხინოს საეპისკოპოსოების ჩამოყალიბების შემდეგ, ქუთაისის ეპარქიას გურია და ქვემო აჭარა ჩამოშორდა. 1529-1544 წლებში ქუთაისის საეპისკოპოსოს ტერიტორიაზე ახლადაშენებული გელათის, ხონის და ნიკორწმინდის საეპისკოპოსოები დაარსდა. ამის შემდეგ ქუთაისის საეპისკოპოსოში მის გაუქმებამდე (1821 წ.) იმერეთის უდიდესი ნაწილი შედიოდა, ვაკე იმერეთის, ოკრიბისა და არგვეთის ერთი ნაწილის გამოკლებით.

ქუთათელი მთავარეპისკოპოსები თავიდანვე დიდ როლს ასრულებდნენ ერთიანი საქართველოს და შემდეგ – დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების საეკლესიო და პოლიტიკურ-კულტურულ ცხოვრებაში. ქუთათელი მთავარეპისკოპოსის საპატიო მოვალეობას მეფედ კურთხევისას მომავალი მონარქისათვის თავზე გვირგვინის დადგმა შეადგენდა. ქუთათელი მთავარეპისკოპოსი მეფის „მესაფლავე“, ანუ მეფის საფლავზე მწირველი იყო. მის მოვალეობას სამეფო სეპტრის შენახვაც შეადგენდა.

ნაშრომში დადგენილი გვაქვს 27 ქუთათელი მთავარეპისკოპოსის ვინაობა და ზეობის თარიღი, რომლებიც XI საუკუნიდან XIX საუკუნის 10-იანი წლების ჩათვლით მოღვაწეობდნენ. სამწუხაროდ, ეს ქრონოლოგიური სია სრული არ არის, რადგან საისტორიო წერილობითი წყაროები არ იძლევა ყველა ქუთათელი მღვდელმთავრის ვინაობისა და მათი ზეობის წლების დადგენის საშუალებას.

ქუთათელი მთავარეპისკოპოსები აქტიურად მონაწილეობდნენ ერთიანი ქართული სამეფოს, შემდეგ კი იმერეთის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. მათ შორის საერო ცხოვრებაში აქტიურობით გამოირჩეოდნენ ქუთათელი ანტონ II (სადირისძე), ქუთათელი სვიმონ II (ჩხეიძე), ქუთათელი სვიმონ III (ჩხეიძე), ქუთათელი ტიმოთე (გაბაშვილი), ქუთათელი მაქსიმე (აბაშიძე) და ქუთათელი დოსითეოსი (წერეთელი).

ქუთაისის საეპისკოპოსო დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ უდიდეს ფეოდალურ სენიორიას წარმოადგენდა. ამ სენიორიის შესახებ წერილობითი წყაროები მხოლოდ XVI საუკუნის II ნახევრიდან მოგვეპოვება. 1578 წლის „ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრის“ მონაცემების მიხედვით ქუთაისის ეპარქიის მნიშვნელოვანი ქონებრივი შესაძლებლობა გააჩნდა. თუმცა დასავლეთ საქართველოში შემდგომ არსებულმა შიდაფეოდალურმა აშლილობამ და ოსმალეთის აგრესიამ ქუთაისის საეპისკოპოსოს სამეურნეო-ეკონომიურ ცხოვრებაზე უარყოფითად იმოქმედა. XIX საუკუნის დასაწყისისთვის ამ ეპარქიის ქონებრივი მდგომარეობა წინანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად იყო შემცირებული.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და შენიშვნები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, III, ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1936. გვ. 23-187.
2. ავალიშვილი გიორგი, მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. მეტრეველმა, „მეცნიერება“, თბ., 1967.
3. ათონის ივერთა მონასტრის 1074 წლის ხელნაწერთა აღაპები, საიუბილეო გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა, ტფ., 1901.

4. ალექსი იეველვის 1650-1652 წლების იმერეთის ელჩობის საანგარიშო აღწერილობა, რუსული ტექსტი ხელნაწერების მიმოხილვით და ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ი. ცინცაძემ, „მეცნიერება“, თბ., 1969.
5. ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1959.
6. ბაგრატიონი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1973.
7. გარეჯის ეპიგრაფიული ძეგლები, ტ. I, ნაკვ. I, წმინდა დავითის ლავრა, უდაბნოს მონასტერი (XI-XVIII სს), გამოსაცემად მოამზადეს დ. კლდიაშვილმა და ზ. სხირტლაძემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბ., 1999.
8. გეორგიკა, ბასილი სოფენელი, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, ტ. IV, ნაკვ. II, თბ., 1952, გვ. 123-202.
9. გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ქართული პროზა, წ. 1, მესხეთე-მეთერთმეტე სს. მწერლობა, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1982.
10. გიორგი მცირე, ცხოვრებად გიორგი მთაწმინდელისაჲ, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. ლოლაშვილმა, „მეცნიერება“, თბ., 1994.
11. გიორგი მცირე, ცხოვრებად გიორგი მთაწმინდელისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები (XI-XV სს.), ი. აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაქციით, ნაწ. II, „მეცნიერება“, თბ., 1967.
12. გიულდენშტედტი ი., მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. I, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1962.
13. გიულდენშტედტი ი., მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. II, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1964.
14. გრიგოლ ნაზიანზინელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ხელნაწერთა აღწერა, შესავალი და საძიებლები დაურთო თ. ბრეგვაძემ, თბ., 1988.
15. დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, ტექსტები გამოსცა, წინასიტყვაობა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო ს. ბურჯანაძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1962.
16. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, „სახელგამი“, თბ., 1955.
17. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ს. კაკაბაძის გამოცემა, წ. 1 ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტფ., 1921.
18. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ს. კაკაბაძის გამოცემა, წ. 2 ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტფ., 1921.
19. იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საბუთები (1784-1810 წწ.), ტექსტები შენიშვნებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა შ. ბურჯანაძემ, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული დოკუმენტები და არქივი, II, ისტორიული დოკუმენტები, თბ., 1953.

20. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1959.
21. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო შ. ბურჯანაძემ, წ. 1, თბ., 1958.
22. ლომსაძე შ., გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, ახალციხური ქრონიკები, „მეცნიერება“, თბ., 1979.
23. მაკარი ანტიოქელი, ცნობები საქართველოს შესახებ, არაბულიდან თარგმნა თ. მარგველაშვილმა, არმაღანი, აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები, თბ., 1982.
24. მასალები საქართველოს ისტორიისათვის, 1744-1840 წწ. შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგისძისა და მისი ძმებისა, გამოცემა მ. ჯანაშვილისა, ტფ., 1905.
25. მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, „სახელგამი“, თბ., 1955.
26. მესხეთის საეპისკოპოსოთა ნუსხა, ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები, I, ტფ., 1907.
27. მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინაწერები), ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯ. ოდიშელმა, თბ., 1968.
28. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I, XI-XVII სს. „ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა, თბ., 1991.
29. უამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1959.
30. უან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, „მეცნიერება“, თბ., 1975.
31. საისტორიო მასაღანი, ე. თაყაიშვილის გამოცემა, წ. II, ტფ., 1919.
32. საქართველოს ისტორიის ქრონიკები, XVII-XIX სს., ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და განმარტებები დაურთო პროფ. ა. იოსელიანმა, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1980.
33. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი კოლექცია, ტ. I, შემდგენელი ე. მეტრეველი, ქრ. შარაშიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1957.
34. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი A-123.
35. საქართველოს სიძველენი, ექ. თაყაიშვილის რედაქციით, წ. 1, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამომცემლობა, ტფ., 1920.
36. საქართველოს სიძველენი, ექ. თაყაიშვილის რედაქციით, წ. 2, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამომცემლობა, ტფ., 1909.
37. საქართველოს სიძველენი, ექ. თაყაიშვილის რედაქციით, წ. 3, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამომცემლობა, ტფ., 1910.
38. სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, „სახელგამი“, თბ., 1955.
39. ტბეთის სულთა მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ, „მეცნიერება“, თბ., 1977.

40. ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი, II, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. 1 (IX-XIII სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, „მეცნიერება“, თბ., 1980.
41. ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. II, „მეცნიერება“, თბ., 1965.
42. ქართული სამართლის ძეგლები, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. III, „მეცნიერება“, თბ., 1970.
43. ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. V, „მეცნიერება“, თბ., 1974.
44. ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. VI, „მეცნიერება“, თბ., 1977.
45. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ და ლ. ქუთათელაძემ, ტ. I, „მეცნიერება“, თბ., 1973.
46. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, H კოლექცია, ტ. VI, თბ., 1953.
47. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, შემდგენლები: თ. ბრეგაძე, თ. ენუქიძე, ნ. კასრაძე, ლ. ქუთათელაძე, ქ. შარაშიძე, ტ. I, საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1960.
48. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, Q კოლექცია, ტ. I, თბ., 1957.
49. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, Q კოლექცია, შემდგენლები: თ. ბრეგაძე, თ. ენუქიძე, ნ. კასრაძე, ელ. მეტრეველი, ლ. ქუთათელაძე, ქ. შარაშიძე, ტ. II, საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1958.
50. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, წ. 2, ტფ., 1897.
51. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, გამოსაცემად მოამზადეს გ. ჟორდანიამ და შ. ხანთიძემ, წ. 3, ტფ., 1867.
52. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილი და დასაბეჭდად მომზადებული ე. ნიკოლაძის მიერ, თბ., 1953.
53. ცისკარი, ჟურნალი, 1969 წლის 6 დეკემბრის წერილი იმერეთის მეფე ბაგრატ IV-ისა რუსეთის მეფე ალექსისადმი, ივლისი, 1869, №7, კერესელიძის ტიპოგრაფია, გვ. 98-104.
54. ცხოვრება მეფეთ-მეფე თამარისი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1959.
55. ცხოვრება საქართველოდსა (პარიზის ქრონიკა), ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1980.
56. ძველი საქართველო, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიული საზოგადოების კრებული, ექ. თაყაიშვილის რედაქციით, ტ. II, განყოფილება III, თბ., 1913.
57. ძველი საქართველო, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიული საზოგადოების კრებული, ექ. თაყაიშვილის რედაქციით, ტ. IV, განყოფილება III, თბ., 1914.
58. ხელმწიფის კარის გარიგება, ე. თაყაიშვილის გამოცემა, ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტფ., 1920.

59. ხელმწიფის კარის გარიგება, ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. II, „მეცნიერება“, თბ., 1965.
60. ხელმწიფის კარის გარიგება, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, ინგლისურად თარგმნა, წინასიტყვაობა, ლექსიკონი, შენიშვნები და კომენტარები დაურთო ქ. სურგულაძემ, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1993.
61. ჯაველიძე ნ., ოსმალთა ისტორიკოსი ფუნდუკლუღ მუჰამედ ალა დასავლეთ საქართველოს შესახებ., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 250., გვ. 153-161.
62. ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, „სახელგამი“, თბ., 1655.
63. აბაშიძე ზ., ერთი ეპიზოდი ქუთაისის ეპარქიის ისტორიიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია, თბ., 1986, №266, გვ. 80-83.
64. ათანელიძე ლ., ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობა, „მეცნიერება“, თბ., 1982.
65. ბაგრატიონი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, კომენტარები, მთ. რედაქტორი ზ. ტატაბიძე, „მეცნიერება“, თბ., 1997.
66. ბაქრაძე ა., მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, „მეცნიერება“, ნაწ. 1, თბ., 1978.
67. ბერაძე თ., დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, თბ., 1982, №1, გვ. 108-121.
68. ბერაძე თ., საეკლესიო რეფორმა დასავლეთ საქართველოში X საუკუნეში, ქრისტიანული არქეოლოგიის VI კონფერენცია, მოხსენებათა შინაარსები, თბ., 2002, გვ. 84-86.
69. ბერაძე თ., რაჭა, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1983.
70. ბერაძე თ., რაჭა ფეოდალურ ხანაში (ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა), საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, V, „მეცნიერება“, თბ., 1975, გვ. 132-152.
71. ბერაძე თ., ოდიშის სამთავრო დადიან-ჩიქოვანთა დინასტიის მმართველობის ხანაში, XVII საუკუნის მიწურულიდან XVIII საუკუნის დამდეგამდე, სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში (არქეოლოგიის, ენათმეცნიერების, ისტორიის, ხუროთმოძღვრების და ეთნოლოგიის ნარკვევები), ი. ანთელავას საერთო რედაქციით, „ინტელექტი“, თბილისი-ზუგდიდი, 1999, გვ. 129-164.
72. ბერაძე თ., სანაძე მ., საქართველოს ისტორია, წ. 1, თბ., 2003.
73. ბერაძე თ., ცქიტიშვილი გ., იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საზღვრები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, IV, „მეცნიერება“, თბ., 1971, გვ. 41-52.
74. ბერაძე თ., ჩიტაია გ., მცირეოდენი ცნობები პალიასტომის ღვთისმშობლის ხატის შესახებ, გაზეთი, „ფოთის ეპარქიის ქრონიკა“, ოქტომბერი, 2001, №8 (50), გვ. 2.
75. ბერიძე ვ., „ძველი საქართველოს ხუროთმოძღვრება, თბ., 1974.
76. ბერძენიშვილი ნ., XVII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიიდან, ნაკვ. 1, თბ., 1944.
77. ბერძენიშვილი ნ., სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, „მეცნიერება“, თბ., 1966.

78. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, I, „მეცნიერება“, თბ., 1964.
79. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, II, „მეცნიერება“, თბ., 1965.
80. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, V, „მეცნიერება“, თბ., 1971.
81. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, (VIII ტომის მე-2-ე გამოცემა), „მეცნიერება“, თბ., 1990.
82. ბერძენიშვილი დ., ბანძელაძე ი., სურამელაშვილი მ., ჭურღულია ლ., ლეჩხუმი, „მეცნიერება“, თბ., 1983.
83. ბოჭორიძე გ., იმერეთის ისტორიული ძეგლები, წიგნი შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ლ. რატიანმა, „მეცნიერება“, თბ., 1935.
84. ბურჯანაძე შ., იმერეთის სამეფო 1768-1784 წლებში, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, III, თბ., 1961.
85. ბურჯანაძე შ., იმერეთის სამეფოს ურთიერთობა რუსეთთან სოლომონ II-ის დროს, მაცნე №4, თბ., 1967.
86. ბურჯანაძე შ., ლიხთ-იმერეთის 1737 წლის რუკა, როგორც ფეოდალური საქართველოს ისტორიის პირველწყარო, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, თბ., 1959.
87. გავოშიძე, წმიდა მიწის ქართული წარწერები, ACADEMIA, ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი, ტ. 5(A), თბ., 21003.
- 87^ა ე. გვენეტაძე, იმერეთის სამეფოს წარმოქმნის ისტორიიდან, თბ., 2003.
88. გოილაძე ვ., ქართული ეკლესიის სათავეებთან, „საქართველო“, თბ., 1991.
89. დიასამიძე ბ., ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში (I-X სს.), „აჭარა“, ბათუმი, 2001.
90. თაყაიშვილი ექ., არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში, 1910, პარიზი, 1937.
91. თაყაიშვილი ექ., არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში, საქართველოს სსრ. მეცნ. აკადემია, თბ., 1963.
92. თაყაიშვილი ექ., მეფეთა და კათალიკოზთა სულთა მატთანე ნიკორწმინდის ხელნაწერში, ემიგრანტული ნაშრომები, შემდგენელი გ. შარაძე, ტ. 1, თბ., 1991.
93. თაყაიშვილი ექ., ნიმუშები სამეგრელოს სიგელი გუჯრებისა, I, გაზეთი „ივერია“, ტფ., 1891, №213.
94. იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოზნი და მღვდელმთავარნი, შედგენილი მღ. პოლიევქტოს კარბელაშვილის მიერ, ტფ., 1890-1900.
95. ინაიშვილი ა., პეტრა-ციხისძირში 1962-1965 წლებში ჩატარებული გათხრების შედეგები, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, IV, „მეცნიერება“, თბ., 1974.
96. ინაიშვილი ა., პეტრას საეპისკოპოსოს საკითხისათვის, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, II, თბ., 1971.
97. ინგოროყვა პ., გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი X საუკუნისა, „საბჭოთა მწერალი“, თბ., 1954.
98. ინგოროყვა პ., რუსთაველიანა, თხზულებათა კრებული, თ. I, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1963.
99. იოსელიანი პ., ცხოვრება გიორგი XIII-სა, აკ. გაწერელის შესავალი წერილით, რედაქციით და შენიშვნებით, თბ., 1936.
100. კაკაბაძე ს., ქუთაისის საყდრის დავთრის უძველესი ნაწილი, საისტორიო მოამბე, წ. 1, ტფ., 1925.

101. კაკაბაძე ს., იმერეთის ციხისთავთა შესახებ XVII საუკუნეში, საისტორიო მოამბე, წ. 1, ტფ., 1925.
102. კაკაბაძე ს., მასალები დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის, საისტორიო მოამბე, წ. 1, ტფ., 1925.
103. კაკაბაძე ს., მასალები დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის, საისტორიო კრებული, I, ტფ., 1925.
104. კაკაბაძე ს., მასალები იმერეთის სახელმწიფოებრივი მდგომარეობის შესახებ XVII საუკუნეში, საისტორიო მოამბე, წ. 1, ტფ., 1925.
105. კაკაბაძე ს., საეკლესიო რეფორმებისათვის სოლომონ I დროს, ბ. ა. კილაძის სტამბა, ტფ., 1913.
106. კაკაბაძე ს., სამართალი კათალიკოზისა და მისი შედეგის დრო, ს. მ. ლოსაბერიძის სტამბა, ტფ., 1913.
107. კაკაბაძე სასისხლო სიგელების შესახებ, საისტორიო მოამბე, წ. II, ტფ., 1924.
108. კაკაბაძე ს., საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამომცემლობა, ტფ., 1922.
109. კეკელიძე კ., ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორიიდან, ეტიუდები, II, თბ., 1945.
110. კეკელიძე კ., ეტიუდები, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1957.
111. კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1941.
112. კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, „მეცნიერება“, თბ., 1980.
113. კეკელიძე კ., ბარამიძე ა., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია (V-XVIII სს.), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1969.
114. კელენჯერიძე მ., გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, მისი დრო, ცხოვრება და მოღვაწეობა, სტ. „ძმობა“, ქუთაისი, 1913.
115. კუდავა ბ., დასავლეთ საქართველოს ეკლესია (IX-XI სს.), ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბ., 2002.
116. კუდავა ბ., აფხაზთა საკათალიკოსოს ისტორიიდან (IX-XIII სს.), ქართული დიპლომატია, წელიწადი, 9, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2002, გვ. 564-586.
117. კუდავა ბ., კონსტანტინეპოლის საპატრიარქო და დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრები (IX ს.), ისტორიანი, სამეცნიერო კრებული, გამომცემლობა არტანუჯი, თბ., 2002, გვ. 43-48.
118. კუდავა ბ., დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრები კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში (VI-IX სს.) კლიო, საისტორიო აღმანახი, 15, მემატინე, თბ., 2002, გვ. 180-197.
119. ლანჩავა ო., ქუთაისი ეგრის-ლაზიკის ციხე-ქალაქთა სისტემაში, ქუთაისი, 1996.
120. ლანჩავა ო., ციხე-ქალაქი ქუთაისი ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს სისტემაში, ქუთაისის უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე, „მეცნიერება“, „ქუთაისი“, თბ.-ქუთ., 1994.
121. ლომინაძე ბ., გელათი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1955.
122. ლომინაძე ბ., მასალები დასავლეთ საქართველოს XVII-XVIII საუკუნეთა ისტორიის ქრონოლოგიისათვის, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, თბ., 1954.

123. ლომინაძე ბ., ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, სენიორები, I, „მეცნიერება“, თბ., 1966.
124. ლომინაძე ბ., საქართველო XIV საუკუნის პირველ ნახევარში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979.
125. ლორთქიფანიძე მ., მასალები XVIII საუკუნის II ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწ. III, ნაკვ. 1, თბ., 1988.
126. ლორთქიფანიძე მ., ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1973.
127. ლორთქიფანიძე მ., ქუთაისი დასავლეთ საქართველოს დედაქალაქი, ქუთაისი უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე, „მეცნიერება“ – „ქუთაისი“, თბ.-ქუთ., 1994, გვ. 89-117.
128. მაჭარაძე ვ., ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, „მერანი“, თბ., 1968.
129. მაჭარაძე ვ., მასალები XVIII საუკუნის II ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწ. III, ნაკვ. 1, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1988.
130. მელიქსეთ-ბეგი ლ., ქუთათელი ტიმოთე გაბაშვილის ბიოგრაფიისათვის, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მოამბე, №8, თბ., 1940, გვ. 637.
131. მესხია შ., საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1979.
132. მეტრეველი ე., ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი, „სკოლა“, თბ., 1998.
133. მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.), თბ., 1962.
134. მეტრეველი ე., ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლა“, გამოკვლევა – წიგნში: „ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლა“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. მეტრეველმა, თბ., 1956.
135. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. II, „მეცნიერება“, თბ., 1980.
136. მჭედლიძე გ., ბაგრატ მესამის საქართველო, „სტამბა“, ქუთაისი, 1996.
137. ნიკოლეიშვილი მ., ისტორიული მასალები, ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, III, თბ., 1978.
138. ნიკოლეიშვილი მ., XVII საუკუნის ისტორიული მასალები ქუთაისის მუზეუმში (ძეგლების წარწერები), ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მასალები, თბ., 1971.
139. პაიჭაძე გ., მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1660-1685 წწ.), საისტორიო მოამბე, №23-24, თბ., 1970.
140. პაიჭაძე გ., ტიმოთე გაბაშვილის ელჩობა რუსეთში (1737-1740 წწ.), ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკური ისტორიიდან, I, „მეცნიერება“, თბ., 1970.
141. რეხვიაშვილი მ., იმერეთის სამეფო XVIII საუკუნეში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1982.
142. რეხვიაშვილი მ., იმერეთის სამეფო (1462-1810 წწ.), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1989.
143. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1973.
144. სილოგავა ვ., ეპიგრაფიკული ეტიუდები და შენიშვნები, მაცნე, ისტორიის ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, №4, თბ., 1990.

145. სილოგავა ვ., ეპიგრაფიკული მასალა ბაგრატის ტაძრიდან და მისი მიდამოების არქეოლოგიური გათხრებიდან, ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე, ქუთაისი, №4, 1995.
146. სიხარულიძე ი., აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები, „სახელგამი“, ბათუმი, 1962.
147. სიხარულიძე ი., ფერსათის ისტორიული გეოგრაფიიდან, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, VII, „მეცნიერება“, თბ., 1989, გვ. 82-88.
148. სოსელია ო., მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის ფეოდალური ხანის საქართველოში, საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1960.
149. სოსელია ო., ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, I, 1, „მეცნიერება“, თბ., 1973.
150. სოსელია ო., ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, II, 1, „მეცნიერება“, თბ., 1981.
151. ტულუში ა., „კათალიკოზთა სამართლის“ დათარიღებისათვის, საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების შესწავლის საკითხები, რესპუბლიკური სამეცნიერო სესია ოზურგეთში, 1987 წლის 19-21 მაისი, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1987.
152. ქორიძე თ., XI-XVI საუკუნეების აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსთა ქრონოლოგია, კლიო, საისტორიო აღმანახი, №15, „მემატიანე“, თბ., 2002, გვ. 3-26.
153. ჩაკვეტაძე ვ., ქუთაისის ისტორიიდან, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1960.
154. ჩხარტიშვილი ქ., ქართული საეკლესიო ორგანიზაციის ისტორიიდან, საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, VI, „მეცნიერება“, თბ., 1990, გვ. 139-159.
155. ცინცაძე ვ., ბაგრატის ტაძარი, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1964.
156. ციციშვილი ი., ქართული არქიტექტურის ისტორია, „ტექნიკა და შრომა“, თბ., 1955.
157. ცხვილოელი (კარბელაშვილი) პ., სია აფხაზეთის კათალიკოზთა, ქუთათელთა და გენათელთა, ჟურნალი „მწყემსი“, №22, ყვირილა, 1892.
158. ცხვილოელი (კარბელაშვილი) პ., ტბეთის ტაძრის სახარება ტყავზე დაწერილი 1162 წელს, გაზეთი „ივერია“, №229, ტფ., 1900.
159. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თხზულებანი 12 ტომად, „მეცნიერება“, თბ., 1983.
160. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკლესიის ისტორია, I, გვ. 72 – ვიმოწმებთ: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოცემა, ტ. III, თბ., 1970, გვ. 1160.
161. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. II, „მეცნიერება“, თბ., 1983.
162. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1967.
163. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. V, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1953.
164. ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, ტ. I, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1928.
165. ჯაფარიძე ა., საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, II, „მერანი“, თბ., 1998.
166. ჯაფარიძე ვ., ნარკვევები ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX-XIX სს.), „მეცნიერება“, თბ., 1973.

167. ჯაფარიძე ვ., ვარდციხის ნაქალაქარი (ეგრისის ქალაქების არქეოლოგიური შესწავლისათვის), „მეცნიერება“, თბ., 1989.
168. ჯოჯუა თ., XII საუკუნის გარეჯული კრებულის (Ven. 4) ერთ-ერთი მინაწერი და აფხაზეთის უცნობი კათალიკოსი ბართლომე (დაახ. 1488-1519 წწ.), საქართველოს სიძველენი, I, თბ., 2002.
- 168.^ბ ჯოჯუა თ., ქუთათელი მთავარეპისკოპოსის ანტონ II საღირისძის (1183/1184-1190-იანი წწ.) დაკვეთით გადაწერილი ოთხთავი (H-325) (ანდერძების პუბლიკაცია, კოდოლოგიურ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი), ისტორიის ინსტიტუტის შრომები, X-XI, თბ., 2010-2011.
169. Акты собранные Кавказскою археографическою комиссиею, т. IV, Тиф. 1870.
- 169.^ბ Акты собранные Кавказскою археографическою комиссиею, т. II, Тиф. 1868.
170. Акты собранные Кавказскою археографическою комиссиею, т. VI, ч. I. Тиф. 1874.
171. Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся к Грузии (с 1768 по 1774 годы), под редакцией А. А. Цагарели, т. I, сп-б., 1891.
172. Грамоты и другие исторические документы относящиеся до Грузии, под редакцией А. А. Цагарели, т. II, вып. I, сп-б., 1898.
173. Жузе П., Грузия в 17 столетий по изображению Патрярха Макария, Казан, 1905.
174. Иверский монастырь на Афоне, составили А. Натроев, Тиф., 1909.
175. Кавказ в древних памятниках христианства, в кн: Записки общества любителей Кавказской археологии, книга I. Изданная под редакциею А. Берже и Д. Бакрадзе, Тиф. 1875.
176. Материалы для истории Грузино-Русских отношений (80-90 годы XVII века), документы к печати подготовил, предисловиями и комментариями снабдил Г. Пайчадзе.
177. Материалы по Археологии Кавказа, Христианские памятники, Е. Такашвили, вып. XII, под. редакции графинии Уваровой, М., 1909.
178. Описание рукописей и старопечатных книг церковного музея духовенства Грузинской епархии, составленное Ф. Д. Жордания, кн. 1, Тиф., 1903.
179. Переписка на иностранных языках Грузинских царей с Российскими государями от 1693 г. по 1770, под. ред. Броссе, сп-б., 1861.
180. Полиевктов М., материалы по истории Грузино-Русских взаимоотношений 1651-1640 гг., Тб., 1937.
181. Пурцеладзе Д., Грузинское церковные гуджари (Грамоты), 1881.
182. Сборник ИРИО, т. 86, 1893.
183. Сборник материалов для описания местностей и племён Кавказа, вып. XXI, 1896.
184. Сборник материалов для описания местностей и племён Кавказа, вып. 31, 1902.
185. Утверждение Русского владычества на Кавказе, под. Редакцией Потто, т. III, ч. 2, Тиф., 1904.
186. Церетели Г., полное собрание надписей на стенах и камнях и приписок к рукописям Гелатского монастыря, М., 1891.
187. Анчабадзе А., из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.), Абхазское государственное издательство, Сухум, 1959.
188. Бакрадзе Д., Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, сп-б., 1878.
189. Бутков П., Материалы для новой истории Кавказа с 1722 г. по 1803 г., ч. II, сп-б., 1869.
190. Дубровин Н., История войны и владычества Русских на Кавказе, т. 2, сп-б., 1886.
191. Дубровин Н., История войны и владычества Русских на Кавказе, т. II, сп-б., 1886.
192. Жизнь и деятельность каталикоса Грузии Антония I, А. С. Хаханов.
193. Кочюбинский А., Граф Андрей Иванов Остерман и раздел Турции, Одесса, 1899.
194. Краткий очерк истории Грузинской церкви и Экзархата, XIX столетие, Е. Кирион, Тиф. 1901.

195. Леквинадзе В., О постройках Юстиниана в западной Грузии, В. В., М., 1973.
196. Матурели Н., Материалы по Грузинской картографии, Тб., 1961.
197. Махарадзе Н., Восстание в Имеретии 1819-1820 гг., მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. III, თბ., 1942.
198. Новая история стран зарубежного востока, под редакцией И. М. Рейснера и Б. К. Рубцова, т. I, М., 1952.
199. Очерки истории СССР, вторая четверть XVIII века, М., 1957.
200. Чубинашвили Г., Грузинское чеканное искусство, исследование по истории Грузинского средневекового искусства, «Сабчота Сакарთველო», Тб., 1959.
201. Brosset M., Rapport sur un voyage archeologique dans la Georgie et dans l'Armenie, Livr. II, 1850.
202. Voyage autour du Caucase, chez les Therkesse et les Abkhases, en Colchide, en Georgie, en Armenie et en Crime, par Frederic Dubois de Montpereux, t. IV, Paris, 1840.
203. Notitae Episcopatum Ecclesiae Constantinopolitanae. Texte critique, introduction et notes par Jaen Darrouzes, A. A. Institut Francais d'Etudes Byzantines, Paris, 1981. დამოწმებულია ბ. კუდავას სადისერტაციო ნაშრომიდან: დასავლეთ საქართველოს ეკლესია IX-XI საუკუნეებში.
204. Rapports sur un Voyage archeologique dans la Georgie et dans L'Armenie, M. Brosset, st. p. 1851.

პაპუნა გაბისონიამ 2001 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალი. ხოლო 2002-2005 წლებში სწავლა გააგრძელა ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურაში.

სტუდენტობის პერიოდში ქუთაისის საპისკოპოსოსთან დაკავშირებული საკითხების მეცნიერული შესწავლა-დამუშავება პაპუნა გაბისონიას ურჩია მკვლევარ-ისტორიკოსმა ავთანდილ თორდიაშვილმა. სადიპლომო თემად მის მიერ შერჩეულ იქნა „ქუთათელ მთავარეპისკოპოს-მიტროპოლიტთა ქრონოლოგიური რიგი.“

ახალგაზრდა მკვლევარმა ქუთაისის საეპისკოპოზე მუშაობა განაგრძო ასპირანტურაში სწავლის დროსაც, უკვე პროფესორ თამაზ ბერაძის ხელმძღვანელობით. 2005 წელს, ასპირანტურის დამთავრების შემდეგ კი პაპუნა გაბისონიამ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი: „ქუთაისის საეპისკოპოსოს ისტორია“. წინამდებარე გამოცემა წარმოადგენს აღნიშნულ ნაშრომს მცირეოდენი ცვლილებებით.

ამჟამად პ. გაბისონია ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის საქართველოს შუა საუკუნეებისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელია.